ევროკავშირი
საქართველოსთვის

Global Initiative on Psychiatry

პროექტს ახორციელებს გიფ-თბილისი

კრიმინალური მენტალიტეტი და მისი გავლენა საზოგადოებაზე

კვლევის ანალიტიკური ანგარიში

თბილისი, 2024

GCRT წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი

ISSA

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

კვლევა მოამზადა სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა (ISSA).

კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი

სარჩევი

შესავალი 5

შემაჯამებელი დასკვნა 6

მეთოდოლოგია 9

ხაოდენობრივი კვლევა 9

თვისებრივი კვლევა 10

კვლევის ძირითადი მიგნებები 12

ხაოდენობრივი კვლევის ძირითადი მიგნებები 12

თვისებრივი კვლევის ძირითადი მიგნებები 22

რაოდენობრივი კვლევის შედეგები 29

1. კრიმინალური სუბკულტურების შესახებ ინფორმირებულობა 29

2. საცხოვრებელი გარემოს შეფასება 45

3. მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის მაპროვოცირებელი მახასიათებლები 110

4. კრიმინალური სუბკულტურების გავლენის შეფასება 125

5. პენიტენციურ დაწესებულებაში კრიმინალური სუბკულტურების გავლენის შეფასება 183

6. რესპონდენტის სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი 196

თვისებრივი კვლევის შედეგები 202

1. დანაშაულებრივი ქმედების მაპროვოცირებელი ფაქტორები 202

2. დანაშაულის ჩადენის რისკ- ჯგუფები 204

3. კრიმინალური სუბკულტურის მიმზიდველობა 206

4. კრიმინალური სუბკულტურა - აღმავალი თუ დაღმავალი ტენდენცია? კრიმინალური სუბკულტურის წევრების მიმართ შეთავაზებული სერვისები 209

5. მოზარდებში კრიმინალური მენტალიტეტის ფორმირების მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები 212

6. კრიმინალური სუბკულტურის გავლენა მოზარდებზე 214

7. კრიმინალური სუბკულტურისა და ცნობიერების გამოვლინება სკოლებში 217

8. დანაშაულის პრევენცია სკოლებში 222

9. კრიმინალური სუბკულტურა პენიტენციურ სისტემაში 223

10. სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში 226

11. მართლმსაჯულების და არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს შეფასება 227

12. არასრულწლოვნების უფლებრივი მდგომარეობა სასამართლო პროცესზე 228

13. სასჯელის არსებული მეთოდების შეფასება 229

რეკომენდაციები 231

შესავალი

საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით დადებითი გამოცდილება არსებობს, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმით, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის დაფუძნებით გამოიხატება, ბოლო წლებში, ქვეყნის მასშტაბით, გაზრდილია დანაშაულებრივი ქმედებების მაჩვენებლები, რაც მოზარდთა მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების მზარდი ტენდენციის გამოხატულებაა. განსაკუთრებით ხშირია მოზარდთა მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ფაქტები, როგორებიცაა ჯგუფურად შეჭრა სავაჭრო ობიექტებზე, მანქანების ძარცვა, ძალადობრივი ქმედებები და სხვ. ეს მიანიშნებს, რომ ქვეყანაში მცხოვრები არასრულწლოვნების სხვადასხვა უფლებისა და თავისუფლების (განათლების უფლება, მათთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნა, მათი არაძალადობრივ გარემოში ცხოვრება და სხვ.) დაცვა და მათ მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება საკმარისად ეფექტიანი არ არის. დღემდე ქვეყნისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მოზარდების/ბავშვების განვითარებასა და მათ საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკის, შესაბამისი სრულყოფილი პროგრამებისა და სერვისების შემუშავება და დანერგვა, როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე. ამასთან, ხშირია საზოგადოების სრულწლოვანი წევრების მიერ ჩადენილი დანაშაულებიც. ამდენად, მნიშვნელობას იძენს, ერთი მხრივ, დანაშაულის გამომწვევი მიზეზების, კრიმინალური მენტალიტეტის გააზრების, კრიმინალური სუბკულტურის მიმღებლობის, დანაშაულებრივ ქცევასთან დაკავშირებული რისკების შესწავლა/ანალიზი და, მეორე, მხრივ, მიღებული შედეგების/მიგნებების საფუძველზე ადეკვატური ღონისძიებების განხორციელება.

სწორედ ამ მიზნით, ჩატარდა კვლევა „კრიმინალური მენტალიტეტი და მისი გავლენა საზოგადოებაზე“, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „სამოქალაქო საზოგადოება აღდგენისუნარიანობისა და უსაფრთხოებისთვის“ (CiSSCo) ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი“ (GIP-T), „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრთან“ თანამშრომლობით.

კვლევა ჩაატარა არასამთავრობო კვლევითმა ორგანიზაციამ “სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი” (ISSA), რომელიც მიზნად ისახავდა ქართულ რეალობაში არსებული კრიმინალური მენტალიტეტისა და საზოგადოებაზე მისი გავლენის შესწავლას. კვლევა კომპლექსურია და მოიცავს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდების კომბინირებულ გამოყენებას (ტრიანგულაციური მიდგომა).

შემაჯამებელი დასკვნა

კრიმინალური სუბკულტურის რაობის შესახებ მოსახლეობას ბუნდოვანი ცოდნა აქვს: ტესტურ შეკითხვებზე რესპონდენტთა პასუხები ცხადყოფს, რომ კრიმინალურ სუბკულტურაზე სწორი ინფორმაციის მქონეთა წილი მეხუთედს არ აღემატება. ამ თემაზე ინფორმაციის ძირითად წყაროებად ტელევიზია და სოციალური ქსელები იკვეთება.

მოსახლეობის უმრავლესობა მათ საცხოვრებელ გარემოში არსებულ კრიმინალურ მდგომარეობას დადებითად აფასებს, თუმცა, აღსანიშნია, რომ მინიმუმ ყოველი მეოთხე რესპონდენტი (27%) მათ უბანში კრიმინალის მაღალ დონეს უჩივის, ხოლო 16% ბოლო 2 წლის განმავლობაში კრიმინალის ზრდის ტენდენტიაზე მიუთითებს. მომატებულ კრიმინალურ შემთხვევებზე ყველაზე მეტად თბილისის მაცხოვრებლები მიუთითებენ. მეორე მხრივ, კრიმინალური შემთხვევების არსებული ინტენსივობა მოსახლეობის უმრავლესობას არ უჩენს იმის განცდას, რომ საკუთარ საცხოვრებელ გარემოში მათი ყოფნა საფრთხის შემცველია. ასეთი განცდა რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილს - 8%-ს აქვს.

პოლიციის მიმართ ზოგადად დადებითი დამოკიდებულების ფონზე, ყოველი მეოთხე რესპონდენტი მოსახლეობაში (24%) უჩივის იმას, რომ პოლიცია პასიურად არის ჩართული სამართალდარღვევების აღკვეთისა და პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებში, რასაც აბრალებენ შერჩევით მართლმსაჯულებას, არაკვალიფიციურ საპოლიციო კადრებსა და პოლიციაში ადამიანური რესურსების ნაკლებობას.

რესპონდენტებმა მოსახლეობაში (30-40%-ის ფარგლებში) დაასახელეს ის დანაშაულები, რომლებიც მათ საცხოვრებელ ადგილას გარკვეული სიხშირით ხდება: ოჯახში ძალადობა, მოზარდებს შორის დაპირისპირება, ფიზიკური ძალადობა, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ჰომოფობიურ/ტრანსფობიურ ნიადაგზე, ნარკოტიკული საშუალებების შენახვა/მოხმარება და სხვ. აღნიშნულ დანაშაულებზე ყველაზე მეტად თბილისის მაცხოვრებლები მიუთითებენ.

აღსანიშნია, რომ მოქალაქეთა დაახლოებით 30% თავად შესწრებია ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულებიდან ერთს მაინც, თუმცა მათგან მესამედს დანაშაულზე არავითარი რეაგირება მოუხდენია. დანაშაულებზე მოქალაქეთა რეაქციებიდან ყველაზე გავრცელებულია სიტუაციის თავად განმუხტვა ან საპატრულო პოლიციაში (112-ზე) დარეკვა.

პოლიციაში მუშაობა დაახლოებით ყოველი მეხუთე მოქალაქისთვის (19%) არაპრესტიჟულია, 39%-თვის კი - პრესტიჟული. 40%-ს არ სურს, რომ მისი ოჯახის წევრი პოლიციაში დასაქმდეს. ამის მიზეზებად ძირითად სახელდება ის, რომ ა) პოლიციელობა სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი საქმიანობაა და ბ) პოლიციას არ აქვს მაღალი ლეგიტიმაცია საზოგადოებაში.

იმ სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებლებს შორის, რომლებიც, მოსახლეობის აზრით, უფრო მეტად დამახასიათებელია დანაშაულის ჩამდენი პირებისთვის, გამოირჩევა: ა) არასრული საშუალო განათლება; ბ) მოზარდობის პერიოდი (13-19 წწ.); გ) მამრობითი სქესი; დ) ბიოლოგიურ მშობლებთან განშორება; ე) უმუშევრობა;

ე) ინდივიდის/ოჯახის ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა. რაც შეეხება დანაშაულის მაპროვოცირებელ ფაქტორებს, აქ გამოიყო: მშობლების მხრიდან გამოხატული უყურადღებობა/მიშვებულობა, პირის არასტაბილური ფსიქო-ემოციური მდგომარეობა და კანონთან წინააღმდეგობაში მყოფი პირების საახლობლო გარემოში ყოფნა. კვლევაში ჩართული ექსპერტებიც (ფსიქოლოგები) ფიქრობენ, რომ სქესი და ასაკი კორელაციაშია დანაშაულის ჩადენასთან: მამრობითი სქესის და 18 წლამდე არასრულწლოვნები უფრო მეტად წარმოადგენენ დანაშაულის ჩადენის რისკ-ჯგუფებს ვიდრე სხვები.

მოსახლეობის უმრავლესობის (60%-მდე) შეფასებით, ქვეყანაში არსებული კრიმინალური სუბკულტურები/რეალობა გავლენას ახდენს ადამიანების (პირველ რიგში, მოზარდების) ცხოვრების წესზე, მათი შეხედულებების ფორმირების პროცესზე, განათლების მიღებაზე, დასაქმებაზე, ქცევით ჩვევებზე, ზოგადად - ცნობიერებაზე. ამასთან, რესპონდენტთა დაახლოებით 30% თვლის, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში მოზარდებში კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილი გაზრდილია.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილში არსებობს, ერთი მხრივ, კრიმინალური მენტალიტეტისადმი ლოიალური დამოკიდებულება, ხოლო, მეორე მხრივ, სამართალდამცავი ინსტიტუტების მიმართ უნდობლობა (ამ ორ ფაქტორს შორის კორელაციაა): კერძოდ, მოქალაქეთა 21%, მათ მიმართ განხორციელებული ჩაგვრის/უსამართლობის შემთხვევაში, სიტუაციის მოსაგვარებლად კრიმინალური სუბკულტურის წევრებს მიმართავდა. გარდა ამისა, 16% აცხადებს, რომ მსგავს შემთხვევებს პოლიციას არ შეატყობინებდა. ასევე, მოსახლეობის თითქმის მეხუთედისთვის მისაღებია, თუ ადამიანი მის მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში ქურდული სამყაროს წევრებს დაუკავშირდება. მონაცემები გამოკვეთს, რომ საქალაქო ტიპის დასახლებებში, სოფლებთან შედარებით, ასევე დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთთან შედარებით, უფრო მეტად იკვეთება კრიმინალური სამყაროს გავლენა და მიმღებლობა.

კვლევაში ჩართული ექსპერტებიც მიუთითებენ, რომ ადამიანები მაშინ ეძებენ ალტერნატიულ გზებს, კერძოდ, მიმართავენ კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლებს დასახმარებლად, როდესაც ქვეყანაში სამართალდამცავი ინსტიტუტები (პოლიცია, სასამართლო და სხვ.) დეზორგანიზებულია და ვერ ახერხებს ეფექტიანად გადაწყვიტოს მოქალაქეების პრობლემები.

კვლევის ფარგლებში შემუშავდა კრიმინალური მენტალიტეტის მიმღებლობის **ინდექსური ცვლადი.** ამ ცვლადის მიხედვით, ყოველ მეხუთე რესპონდენტს მოსახლეობაში (21%) კრიმინალური მენტალიტეტის მიმღებლობა ახასიათებს, ანუ სადავო საკითხების გადაწყვეტისას უპირატესობას კრიმინალურ სუბკულტურებს ანიჭებს.

თვისებრივ კვლევაში მონაწილე ექსპერტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ კრიმინალური სუბკულტურის ავტორიტეტებთან დაახლოების სურვილი მოზარდებში მაშინ იწყება, როდესაც წყდება ან სუსტდება თანამშრომლობაზე დაფუძნებული კომუნიკაცია ოჯახში ბავშვებსა და მშობლებს შორის. ამას კი სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს: ა) ოჯახების არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, როდესაც მშობლების ენერგია, ძირითადად, შვილ(ებ)ის პირველადი საჭიროებით უზრუნველყოფას ხმარდება; ბ) ოჯახებში არსებული ავტორიტარული აღზრდის სტილი, როდესაც ბავშვებს, რომლებიც აგრესიის ობიექტები ხდებიან, მიღებული აგრესია სხვებზე გადააქვთ; გ) მშობლებისგან მიღებული ნეგატიური როლური მოდელი, რომლის წყაროცაა ოჯახში მშობლებს შორის

არსებული კონფლიქტი და მშობლების დამოკიდებულება ალკოჰოლსა თუ ნარკოტიკულ ნივთიერებებზე; დ) მიბაძვა, რომელიც გამოწვეულია ოჯახის რომელიმე წევრის კრიმინალური სუბკულტურის წევრობით და ციხეში ყოფნით.

ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს, აგრეთვე, ძალაუფლებრივი გავლენები მოზარდებში. გარდატეხის ასაკში იზრდება საზოგადოებაში თავის დამკვიდრებისა და ლიდერობის სურვილი, ხოლო კრიმინალური აქტივობა მოზარდებს უჩენს ძალაუფლების მოპოვების შესაძლებლობას. ამ გზაზე ყველაზე გავრცელებული ფორმაა ე.წ. „ყოჩის“ ინსტიტუტის არსებობა სკოლებში ან საცხოვრებელ უბნებში, რაც გულისხმობს სხვა ბავშვებთან შედარებით დაწინაურებულ მდგომარეობაში ყოფნას და მოქმედებს როგორც ქცევითი პატერნი. ამასთან, მნიშვნელოვანია უსაფრთხოების მოპოვების სურვილიც - ზოგიერთი ბავშვი მიიჩნევს, რომ კრიმინალურ ჯგუფებთან სიახლოვით ნაკლებად დაიჩაგრება.

ექსპერტებმა ისაუბრეს, ასევე, ისეთ წამახალისებელ ფაქტორებზე მოზარდებში, როგორებიცაა: კრიმინალური დაჯგუფებების შესახებ არსებული პოზიტიური შინაარსის სტერეოტიპული განწყობები; თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სოციალური ქსელების ხშირი გამოყენება; დროის ნაყოფიერად გასატარებლად შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა; COVID-19-ის პანდემიის გავლენა; ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების სისტემატური მომხმარება და კანონის უზენაესობის და ინსტიტუტების მიმართ არასაკმარისი ნდობა.

ექსპერტებმა განსაზღვრეს დანაშაულის ჩადენის სპეციფიკური რისკ-ჯგუფები მოზარდებში:
ა) ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები;
ბ) ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემის მქონე მოზარდები და
გ) ბავშვები, რომლებიც სახელმწიფო ზრუნვაში იმყოფებოდნენ და ხშირად იცვლიდნენ ზრუნვის დაწესებულებებსა თუ მიმღებ ოჯახებს. ასეთი ბავშვები ვერ იღებენ მხარდაჭერას უფროსებისგან და დანაკლისის ანაზღაურებას კრიმინალურ ჯგუფებში გაერთიანებით ცდილობენ.

ექსპერტების აზრით, კრიმინალური სუბკულტურის წევრობის მიმზიდველობას მოზარდებში განაპირობებს ის, რომ აღნიშნული ჯგუფი გავლენას ახდენს საზოგადოებაში მიმდინარე (მათ შორის, პოლიტიკურ) მოვლენებზე. ასევე, ისიც, რომ კრიმინალური სუბკულტურის წევრები კონკრეტულ ადამიანებს ეხმარებიან სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. მეტიც: კრიმინალური სამყაროს წევრები ასოცირებულნი არიან უსამართლობასთან ბრძოლასა და თავისუფლებასთან. ამგვარად, მოზარდებში ჩნდება განცდა, რომ კრიმინალური სუბკულტურის წევრები არ მუშაობენ, მხოლოდ სამართლიანი „მოსამართლის“ როლს ასრულებენ და ასე იქმნიან სოციალურ და ეკონომიკურ კაპიტალს.

სკოლებში კრიმინალური სუბკულტურის ცნობიერება ვლინდება მოსწავლეების მხრიდან ფსიქოლოგიურ ბულინგში (მათ შორის კიბერბულინგი, გარიყვა, სიტყვიერი შეურაცხყოფა), ფიზიკურ ძალადობაში, ფულის გამოძალვასა და ქურდობაში. სკოლაში ე.წ. „ბულერები“ გამოირჩევიან აქტიურობით, არიან აგრესიულები, უჭირთ ემოციების მართვა და აქვთ დაბალი აკადემიური მოსწრება.

მოზარდებზე კრიმინალური სუბკულტურების გავლენა და ამ გავლენის ნეგატიური შედეგები, მოსახლეობის მიხედვით, ვლინდება:
ა) კრიმინალური სუბკულტურების წევრების მიმართ მიმბაძველობაში (რაც გამოიხატება ჩაცმულობაში, ლექსიკაში, ქცევით ჩვევებში, ღირებულებით ორიენტაციაში);
ბ) მოზარდის განვითარებისთვის შეუსაბამო ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაში; გ) კრიმინალურ გარჩევებში აქტიურ მონაწილეობაში. ამ გავლენების დასაძლევად ძირითადი როლი ოჯახსა და სამეგობროს ენიჭება. თუმცა, აღიარებულია ეკლესიის და სახელმწიფო სტრუქტურების (პარლამენტი, სასამართლო, პროკურატურა), ისევე როგორც, ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის პოზიტიური როლიც.

მეთოდოლოგია

კვლევის ძირითადი მიზანია ქართულ რეალობაში არსებული კრიმინალური მენტალიტეტისა და საზოგადოებაზე მისი გავლენის შესწავლა.

კვლევის მიზნის მისაღწევად განისაზღვრა იქნა შემდეგი ამოცანები:

- დანაშაულის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა;
- დანაშაულებრივი ქმედების გამომწვევი სოციალური ფაქტორების შესწავლა, რომლებიც პირს დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებს;
- დანაშაულის მიმართ უფრო მეტად მიდრეკილი სოციალური ჯგუფების დადგენა და მათი სოციალურ-ეკონომიკური-კულტურული მახასიათებლების შესწავლა;
- საზოგადოებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე, კრიმინალური სუბკულტურების გავლენა;
- პენიტენციური დაწესებულებების შიგნით კრიმინალური სუბკულტურების დომინირებისა და გავლენების მიზეზების შესწავლა;
- მოზარდების დამოკიდებულებები/განწყობები კრიმინალური სუბკულტურებისა და დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ;

კვლევის მიზნისა და ამოცანების მისაღწევად გამოყენებული იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები - პირისპირ ინტერვიუ, სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი.

რაოდენობრივი კვლევა

საკითხის შესწავლის მიზნით, რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში საქართველოს 11-ვე რეგიონის მოსახლეობასთან (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) ჩატარდა პირისპირ ინტერვიუები (face to face interviews). რესპონდენტებად განისაზღვრებიან 15 წლის და მეტი ასაკის პირები. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 1908 რესპონდენტმა, რამაც უზრუნველყო სტატისტიკურად რეპრეზენტატული მონაცემები მთელი საქართველოს მასშტაბით 2.2%-იანი ცდომილების ფარგლებში. აღსანიშნია, რომ რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში მონაცემები რეპრეზენტატულია ასაკის, სქესის, გეოგრაფიული მდებარეობის (აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)/დასავლეთ საქართველო) და დასახლების ტიპის (თბილისი/სხვა ქალაქი/სოფლის) ჭრილში. გამოსაკითხი მოსახლეობა კატეგორიზდება 5 ასაკობრივ სეგმენტად:

- 15-17 წლის მოსახლეობა (მოზარდები)
- 18-29 წლის მოსახლეობა (ახალგაზრდები)
- 30-54 წლის პოპულაცია
- 55-64 წლის მოსახლეობა
- 65+ ასაკის პოპულაცია

ცხრილში #ა მოცემულია გამოკითხულ პირთა რაოდენობები დამატებით ჭრილებში - ასაკი, სქესი, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და დასახლების ტიპი (იხ. ცხრილი #ა).

ცხრილი #ა

	რესპონდენტთა რაოდენობა	ცდომილება (95%-იანი სანდოობის დონე)
ასაკობრივი ჯგუფები		
15-17 წლის	382	5.0%
18-29 წლის	388	5.0%
30-54 წლის	397	5.0%
55-64 წლის	381	5.0%
65+ წლის	360	5.0%
სქესი		
კაცი	860	3.3%
ქალი	1048	3.1%
გეოგრაფიული ადგილმდებარეობა		
აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	642	3.9%
დასავლეთ საქართველო	699	3.7%
დასახლების ტიპი		
თბილისი	567	4.1%
სხვა ქალაქი	534	4.3%
სოფელი	807	3.4%
სულ (საქართველო)	**1908**	**2.2%**

თვისებრივი კვლევა

კრიმინალური მენტალიტეტისა და საზოგადოებაზე მისი გავლენის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, თვისებრივი კვლევის ფარგლებში, ჩატარდა ფოკუს ჯგუფები და ექსპერტული ინტერვიუები.

ფოკუს-ჯგუფები

ფოკუს-ჯგუფების რესპონდენტებად განისაზღვრნენ: სკოლის პედაგოგები, სკოლის მანდატურები, სკოლის ფსიქოლოგები, სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - პრობაციის ეროვნული სააგენტო) სოციალური მუშაკები და არასამთავრობო სექტორის ექსპერტები, რომლებიც მუშაობენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. თვისებრივი კვლევის ფარგლებში, ჯამში, ჩატარდა 11 ფოკუს ჯგუფი. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში #ბ.

ცხრილი #ბ

სამიზნე ჯგუფები	ფოკუს-ჯგუფების რაოდენობა სამიზნე ლოკაციების მიხედვით			
	ყველა რეგიონის მონაწილეობით	თბილისი	აღმოსავლეთ საქართველო	დასავლეთ საქართველო
სკოლის პედაგოგები	-	1	1	1
სკოლის მანდატურები	-	1	1	1
სკოლის ფსიქოლოგები	-	1	1	1
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტები	1	-	-	-
პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები	-	1	-	-
ჯამი	1	4	3	3
	ჯამში 11 ფოკუს ჯგუფი			

ექსპერტული ინტერვიუები (KII)

კვლევის ფარგლებში დაგეგმილი ექსპერტული ინტერვიუების სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ: პოლიციელები, პროკურორები, მოსამართლეები და ბავშვთა განვითარების ფსიქოლოგები. თუმცა, კვლევის ფარგლებში სულ 6 ინტერვიუს ჩატარება მოხერხდა. კერძოდ, 2 ინტერვიუ ფსიქოლოგებთან, ხოლო 4 ინტერვიუ მოსამართლეებთან ჩატარდა.

* * *

ფოკუს ჯგუფებისთვის და ექსპერტული ინტერვიუებისთვის შემუშავდა ღია შეკითხვებისგან შედგენილი სადისკუსიო გეგმები/გზამკვლევები, რომლებიც შეიცავდა როგორც საერთო, ისე სპეციფიკურ შეკითხვებს სამიზნე ჯგუფების მიხედვით.

ინსტრუმენტების საბოლოო ვერსიები შეთანხმდა კვლევის დამკვეთ ორგანიზაციასთან - GCRT-თან.

ყველა ფოკუს ჯგუფი და ექსპერტული ინტერვიუ ჩატარდა დისტანციურად, ელექტრონული პლატფორმის ZOOM-ის გამოყენებით. აღნიშნული ფორმატით ფოკუს ჯგუფების ჩატარებას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ სხვადასხვა ტერიტორიაზე (ქალაქებსა და სოფლებში) მცხოვრები სამიზნე ჯგუფები ერთ სივრცეში მოხვდნენ, რითიც შესაძლებელი გახდა საკვლევი საკითხების შესახებ მრავალფეროვანი ინფორმაციის შეგროვება. ყველა ფოკუს ჯგუფის/ინტერვიუს ჩაწერა მოხდა მონაწილეებისგან სიტყვიერი თანხმობის მოპოვების შემდგომ. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა კონფიდენციალურობა დაცულია. კერძოდ, წარმოდგენილ ანალიტიკურ ანგარიშში არ არის მოცემული რესპონდენტების მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია (სახელი, გვარი, კონკრეტული მისამართები და ა.შ.).

ფოკუს ჯგუფები და ინტერვიუები ჩატარდა 2023 წლის ივნისიდან ნოემბრის შუალედში. ფოკუს ჯგუფები გაგრძელდა დაახლოებით 2 საათს და თითოეულში მონაწილეობა მიიღო 7-9 რესპონდენტმა.
მონაცემთა ანალიზი: ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი რამდენიმე საფეხურად განხორციელდა: პირველ ეტაპზე გაიშიფრა ჩანაწერები და მომზადდა ტრანსკრიპტები. შემდეგი ეტაპი მოიცავდა მონაცემების კოდირება/კატეგორიზაციას. ხოლო ანალიზის საბოლოო ეტაპზე მოხდა სტრუქტურირებული შინაარსის ლოკალური და ინკლუზიური ინტეგრაცია, რის საფუძველზეც მომზადდა ანალიტიკური ანგარიში.

ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲒᲜᲔᲑᲔᲑᲘ

რაოდენობრივი კვლევის ძირითადი მიგნებები

კრიმინალური სუბკულტურების შესახებ ინფორმირებულობა

კვლევის თანახმად, კრიმინალური სუბკულტურების შესახებ მოსახლეობის ცოდნა არაერთგვაროვანია. გამოკითხვის მიმდინარეობისას, შეთავაზებული განსაზღვრებებიდან, რესპონდენტთა მხოლოდ 14%-მა მიუთითა კრიმინალური სუბკულტურის ფენომენის მართებულ მნიშვნელობაზე („კრიმინალური სუბკულტურა გულისხმობს გარკვეული კრიმინალური ფასეულობების აღიარებას, გაზიარებას და კანონდარღვევას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა“). გამოკითხვაში მონაწილე პირთაგან ყველაზე მეტმა - 29%-მა - აღნიშნა, რომ ადამიანი კრიმინალური სუბკულტურის წევრი მხოლოდ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემდეგ ხდება; 23%-მა კი მიუთითა, რომ ნებისმიერი კანონდარღვევის განხორციელების შემდეგ ადამიანი იდენტიფიცირდება როგორც კრიმინალური სუბკულტურის წევრი. მონაცემების სტატისტიკური დამუშავება ანალოგიურ ტენდენციებს ავლენს რესპონდენტების ასაკის, დასახლების ტიპისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილშიც.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კრიმინალური სუბკულტურების შესახებ ინფორმირებული რესპონდენტების წილი კვლევაში გამოკითხულთა დაახლოებით

მეხუთედია (19%), არაინფორმირებულთა რაოდენობა კი 51%-ს უტოლდება. უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმირებულთა წილი უფრო მაღალია: ა) მამაკაცებში (21%) ვიდრე ქალებში (16%); ბ) 55-64 წლის (23%), 18-29 წლის (19.7%) და 30-54 წლის (19.2%) რესპონდენტებს შორის ვიდრე მოზარდებსა (12%) და 65+ ასაკის მოსახლეობაში (15%); გ) აღმოსავლეთ საქართველოში (20%) ვიდრე დასავლეთში (16%).

კრიმინალური სუბკულტურების შესახებ ინფორმაციის მიღების დომინანტურ წყაროებად რესპონდენტთა თითოეული სამიზნე ჯგუფის (სქესის, დასახლების ტიპის, ასაკის, გეოგრაფიული მდებარეობის დონეზე) მიერ ტელევიზია და სოციალური ქსელები დასახელდა. მოზარდები კრიმინალური სუბკულტურების შესახებ ინფორმაციას ყველაზე მეტად სოციალური ქსელებში ეძებენ (43%), მაშინ როდესაც 55-64 წლის (48%) და 65 წლის ან უფროსი ასაკის (50%) მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ყველაზე მოსახერხებელი საინფორმაციო რესურსი ტელევიზიაა. სოფლებში ტელევიზიის მეშვეობით ინფორმაციის მიღებაზე 41% მიუთითებს, რაც აღემატება თბილისისა (30%) და სხვა ქალაქების (35%) მაჩვენებლებს; სოციალურ ქსელებთან მიმართებით, ვითარება პირიქითაა: სოფლები - 26%, თბილისი - 28%, სხვა ქალაქები - 35%.

საცხოვრებელი გარემოს შეფასება

რესპონდენტთა 27%-მა მათ საცხოვრებელ გარემოში/უბანში კრიმინალის დონე შეაფასა როგორც „ძალიან მაღალი“ ან „მეტ-ნაკლებად მაღალი“. სხვადასხვა დემოგრაფიული მახასიათებლის ჭრილში მონაცემების სტატისტიკური დამუშავება შემდეგ ტენდენციებს ავლენს: რესპონდენტები, რომლებმაც კრიმინალის დონე შეაფასეს როგორც „ძალიან მაღალი“/“მეტ-ნაკლებად მაღალი“: 1. **ასაკობრივი კატეგორიების** მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: 15-17 წლის - 22.4%; 18-29 წლის - 32.3%; 30-54 წლის - 29.8%; 55-64 წლის - 24.7%; 65+ წლის - 19.1%. 2. განსაკუთრებით მძიმედ კრიმინოგენულ მდგომარეობას აფასებენ თბილისში (42%), სხვა ქალაქებთან (30%) და სოფლებთან შედარებით (15%); 3. აღმოსავლეთ საქართველოში (26%) კრიმინალის დონეს აფასებენ როგორც უფრო მაღალს ვიდრე დასავლეთ საქართველოში (16%).

რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (48%) აცხადებს, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში მათ საცხოვრებელ გარემოში კრიმინოგენული მდგომარეობის თვალსაზრისით ცვლილებები არ დაფიქსირებულა, კრიმინალის დონის ზრდის დინამიკაზე კი 16%-მა მიუთითა. კრიმინალის დონის მატებას უფრო მძაფრად აღიქვამენ („ძალიან გაიზარდა“/“მეტ-ნაკლებად გაიზარდა“): ა) ქალები (18%) ვიდრე მამაკაცები (13%); ბ) თბილისის მაცხოვრებლები (26%) ვიდრე სხვა ქალაქებისა (15%) და სოფლების მოსახლეობა (8%), გ) აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში დასახლებული ადამიანები (15%) ვიდრე დასავლეთში (7%).

პოლიციის ჩართულობა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების პრევენციაში/აღკვეთაში

რესპონდენტთა 24%-ის შეფასებით, პოლიცია პასიურად არის ჩართული სამართალდარღვევების აღკვეთისა და პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებში, 65% კი საპირისპირო მოსაზრებას აფიქსირებს. მათ შორის, რომლებმაც აღნიშნეს, რომ პოლიცია პასიურია/თითქმის არ მონაწილეობს საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველმყოფ აქტივობებში, ყველაზე მაღალია 30-54 წლამდე ასაკის რესპონდენტების (28%), თბილისში გამოკითხულთა (39%) და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის (20%) პროცენტული რაოდენობა. პოლიციის ამგვარი მუშაობა რესპონდენტების ყველაზე დიდმა ნაწილმა შემდეგი მიზეზებით ახსნა:

ადამიანური რესურსის ნაკლებობა (14.6%), არაკვალიფიციური კადრები პოლიციაში (14.5%) და ქვეყანაში არსებული შერჩევითი მართლმსაჯულება (15.4%). აღნიშნული ტენდენცია მეორდება რესპონდენტთა დასახლების ტიპისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დონეზეც.

იმ რესპონდენტთაგან, რომლებმაც მართლსაწინააღმდეგო ქმედებების პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებში პოლიციის აქტიურ მონაწილეობას გაუსვეს ხაზი, 55% ამგვარ შთაბეჭდილებას ხშირი პატრულირებით, 20% კი - მოსალოდნელ/შესაძლო კანონდარღვევებზე დროული რეაგირების შემთხვევებით ხსნის. როგორც თითოეული ასაკობრივი კატეგორიის (51%-59%-სშორისმერყეობს), ასევე, დასახლების ტიპისა (თბილისი - 52%; სხვა ქალაქები - 51%; სოფლები - 59%;) და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის (აღმოსავლეთი - 59%; დასავლეთი - 52.9%;) მიხედვით დიფერენცირებული მონაცემები აჩვენებს, რომ თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის ასეთი განწყობის მადეტერმინირებელი ფაქტორი სწორედ პოლიციის ხშირი პატრულირება აღმოჩნდა.

ე.წ. „ბირჟების“ გავლენა მოზარდების/ზრდასრულების ცხოვრების ასპექტებზე

რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილის შეფასებით, უბნებში არსებული „ბირჟები“ გავლენას ახდენს (ძალიან ახდენს ან უფრო ახდენს) როგორც ზრდასრულების, ასევე, არასრულწლოვნების ქცევითი ჩვევების განვითარებაზე/ჩამოყალიბებაზე თუ ცვლილებაზე (51%), მოზარდების ყოველდღიური ცხოვრების წესზე (50%), არაჯანსაღი სოციალური ქსელის (სამეგობრო/სანაცნობო წრის) შექმნაზე (50%) და ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე (49%). ამ გავლენებს სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებშიც აღიარებენ. ამასთან, ქალები, 30-54 წლამდე რესპონდენტები, თბილისის მაცხოვრებლები და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა უფრო მძაფრად აფასებს „ბირჟების“ გავლენას/ზემოქმედებას ზრდასრულებსა და მოზარდებზე ვიდრე სხვა სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლები. მაგალითად, მოზარდების ქცევით ჩვევებზე ძლიერი გავლენის მოხდენაზე აქცენტს აკეთებს მდედრობითი სქესის რესპონდენტთა 56%, 30-54 წლის მოსახლეობის 58%, თბილისის მაცხოვრებლების - 66% და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის 52%.

საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში დანაშაულებრივი ქმედების დაფიქსირების სიხშირე

სულ მცირე ან დაახლოებით ყოველი მეორე რესპონდენტის დაკვირვებით, მათ უშუალო საცხოვრებელ გარემოში არასდროს ან თითქმის არასდროს ხდება სხვადასხვა ხასიათის დანაშაულებრივი ქმედება. იმ დანაშაულებს შორის, რომლებიც მათ საცხოვრებელ ადგილას გარკვეული სიხშირით (ყოველდღიურად, კვირაში რამდენჯერმე, თვეში რამდენჯერმე ან კვარტალში რამდენჯერმე) ხდება, რესპონდენტებმა გამოყვეს: ოჯახში ძალადობა (40%), სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ჰომოფობიურ/ტრანსფობიურ ნიადაგზე (39.1%), მოზარდებს შორის დაპირისპირება (34.1%), ნარკოტიკულ საშუალებების შენახვა/მოხმარება (30.3%) და ფიზიკური ძალადობა (30.3%).

სხვადასხვა დემოგრაფიული მაჩვენებლის ჭრილში მონაცემები აჩვენებს, რომ თბილისში, სხვა ქალაქებთან და სოფლებთან შედარებით, დანაშაულის ჩადენის დაკვირვებადი შემთხვევები უფრო მაღალია.

მაგალითად, ნარკოტიკული საშუალებების ყოველდღიურ მოხმარებაზე მიუთითებს თბილისის მაცხოვრებლების თითქმის 16%, ხოლო სხვა ქალაქების მაცხოვრებელთა 3.2% და სოფლებში მაცხოვრებელთა 4% აღნიშნავს იმავეს. ასევე, თბილისში მაცხოვრებელთა დაახლოებით 15% მიუთითებს ისეთი სამართლებრივი დარღვევების ყოველდღიურობაზე, როგორებიცაა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ჰომოფობიურ/ტრანსფობიურ ნიადაგზე, ხულიგნობა და სხვ., მაშინ როდესაც სხვა ქალაქების და, აგრეთვე, სოფლების მაცხოვრებელთა 4%-მდე მიუთითებს იმავეზე. საინტერესოა, რომ სოფელი აღმოჩნდა ის გეოგრაფიული სივრცე, სადაც ყველაზე მაღალია ისეთ რესპონდენტთა წილი, რომელთა გამოცდილებაზე დაყრდნობით, ნარკოტიკული საშუალებების შენახვის (69%), მოხმარებისა (67%) და რეალიზების (72%) შემთხვევები „არასდროს/თითქმის არასდროს“ დაფიქსირებულა.

გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დონეზე საკითხის განხილვა აჩვენებს, რომ ზემოთ დასახელებული დანაშაულები ყოველდღიურად, კვირაში, თვეში და კვარტალში რამდენჯერმე უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოში ფიქსირდება ვიდრე დასავლეთში.

გამოკითხული მოსახლეობის 28% საცხოვრებელ სივრცეში, სულ მცირე, ერთი სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედებას შესწრებია. ასეთ დანაშაულებს შორის ყველაზე ხშირია - ფიზიკური ძალადობა, ნარკოტიკული საშუალებების შენახვა/მოხმარება, ქურდობა/ძარცვა და მოზარდებს შორის ფიზიკური გარჩევები. თბილისში ყველაზე ხშირია მოზარდებს/ზრდასრულებს შორის ფიზიკური გარჩევებისა და ფიზიკური ძალადობის შემთხვევები, მაშინ როდესაც ურბანული ტიპის სხვა დასახლებებში დომინანტური აღმოჩნდა ქურდობა/ძარცვა და ხულიგნობა. დანაშაულებრივი ქმედებების თვითმხილველ რესპონდენტთაგან ყოველ მესამეს სამართალდარღვევაზე არანაირი რეაქცია ჰქონია, 24% თავად შეეცადა სიტუაციის განმუხტვას, 18%-მა კი 112-ში დარეკა, რაც დანაშაულებრივი ქმედების თვითმხილველი ქალების დიდი ნაწილისთვის ოპტიმალურ გამოსავალს წარმოადგენს. რაც შეეხება დანაშაულის თვითმხილველ კაცებს, მათი 40% დაძაბულობაში თავად ერევა და ცდილობს სიტუაცია დაასტაბილუროს. დანაშაულებრივ ქმედებებზე რეაგირების არქონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში დაფიქსირდა (44%). ასეთთა წილი სხვა ქალაქებსა (29%) და სოფლებში (26%) გამოკითხულთა მეოთხედს მცირედით აღემატება.

პოლიციაში მუშაობის პრესტიჟულობის შეფასება

რესპონდენტთა თითქმის მეხუთედის (19%) შეფასებით, პოლიციაში დასაქმება „ძალზე არაპრესტიჟული“ ან „არაპრესტიჟულია“. აღნიშნულის საპირისპირო განწყობას აფიქსირებს გამოკითხულთა 39%. აღნიშნულ ორგანოში დასაქმების არაპრესტიჟულობაზე განსაკუთრებით კაცები (24%), საშუალო თაობის (30-54 წლის) რესპონდენტები (23%), ახალგაზრდები (20%) და თბილისის მაცხოვრებლები (33%) ამახვილებენ ყურადღებას. ამასთან, საქართველოს მოსახლეობის 40% მისი ოჯახის წევრის საპოლიციო სტრუქტურაში დასაქმების წინააღმდეგია. ოჯახის წევრების პოლიციაში დასაქმებას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებიან კაცები, თბილისის მაცხოვრებლები და სხვა ურბანული დასახლების წარმომადგენლები. წინააღმდეგობას რესპონდენტების 27% სიცოცხლისთვის საფრთხის/რისკის შემცველი ფუნქცია-მოვალეობების შესრულების ვალდებულებით, 23% კი, პოლიციის მიმართ საზოგადოებაში არსებული სკეპტიკური განწყობა-დამოკიდებულებით ხსნის.

კვლევამ აჩვენა, რომ პოლიციის მიერ უფლებამოსილების გადაჭარბების შემთხვევაში, რესპონდენტთა 19% შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართავს, 18% კი, კვლავ პოლიციას დაუკავშირდება. აღნიშნული ტენდენცია ნარჩუნდება რესპონდენტების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების ჭრილშიც.
რესპონდენტთა უმრავლესობა საკუთარ საცხოვრებელ გარემოში/უბანში თავს უსაფრთხოდ გრძნობს. საპირისპირო განცდის მქონეთა წილი 8%-ს უტოლდება. დაუცველობის შეგრძნება ყველაზე ნაკლებად 30-54 წლის ადამიანებს აქვთ, ყველაზე მეტად კი - 65+ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს, ამასთან, დაუცველობის წუხილი უფრო მეტად დედაქალაქისა (11%) და სხვა ურბანული დასახლებების (9%) მაცხოვრებლებს აქვთ ვიდრე სოფლის მოსახლეობას (4%).

მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის მახასიათებლები

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, არასრული საშუალო განათლების მქონე პირები (26%), 13-დან 19 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები (22%), მამრობითი სქესის ადამიანები (59%), უდედმამო ადამიანები (20%) და უმუშევრები (54%) უფრო მეტად არიან მიდრეკილნი დანაშაულის ჩადენისკენ. ამასთან, რესპონდენტების აზრით, როგორც ინდივიდის (46%), ისე ოჯახის (46%) ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა ზრდის დანაშაულის ჩადენის რისკს. აღნიშნული მოსაზრებები დომინანტურია რესპონდენტების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების ჭრილში. მაგალითად, ქალების 55% და კაცების 65% მიიჩნევს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისკენ უფრო მეტად მამრობითი სქესის ადამიანები არიან მიდრეკილნი. ყველა ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტთა, სულ მცირე, ნახევარი ან უმრავლესობა ფიქრობს, რომ უმუშევრებს უფრო მეტად აქვთ დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილება ვიდრე ამა თუ იმ ფორმით დასაქმებულებს.

ზემოთ თქმულთან ერთად, რესპონდენტების თანახმად, დანაშაულის ჩადენის პროვოცირებას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: მშობლების მხრიდან გამოხატული უყურადღებობა/მიშვებულობა - 16%, პირის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა (13%) და კანონთან წინააღმდეგობაში მყოფი პირების საახლობლო გარემოში ყოფნა (13%). აღნიშნული ფაქტორები დომინანტურია თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვის.

კვლევაში მონაწილე პირთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ისეთ დანაშაულებში, როგორებიცაა ქურდობა/ძარცვა (56%), კრიმინალური გარჩევები (53%), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (55%) და ფიზიკური ძალადობა (59%) - მოზარდები და ზრდასრულები თანაბრად მონაწილეობენ. რაც შეეხება ისეთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, როგორებიცაა ყაჩაღობა, ნარკოტიკული საშუალებების შენახვა/მოხმარება და რეალიზება, მკვლელობა და სექსუალური ტიპის დანაშაული - რესპონდენტებისთვის ისინი უფრო მეტად ასოცირდება ზრდასრულების ვიდრე მოზარდების მიერ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებთან.

კრიმინალური სუბკულტურების გავლენის შეფასება

რესპონდენტთა უმრავლესობის (საშუალოდ 58%) შეფასებით, ქვეყანაში არსებული კრიმინალური სუბკულტურები/რეალობა გავლენას ახდენს ადამიანების, განსაკუთრებით კი მოზარდების ცხოვრების წესზე, შეხედულებების ფორმირების პროცესზე, განათლების მიღებაზე, დასაქმებაზე, ქცევით ჩვევებზე, ცნობიერებაზე.

ამ ასპექტებზე კრიმინალური რეალობის გავლენას შედარებით მეტად გამოკვეთენ დასავლეთ საქართველოს მაცხოვრებლები. დასახლების ტიპის ჭრილში გამოიკვეთა, რომ დედაქალაქში მაცხოვრებლები, სხვა ქალაქებისა და სოფლების რესპონდენტებთან შედარებით, მეტად უსვამენ ხაზს ინდივიდთა დასაქმებასა (თბილისი - 63%; სხვა ქალაქი - 53%, სოფელი - 54%) და მათ ღირებულებით სისტემაზე (თბილისი - 65%, სხვა ქალაქი - 56%, სოფელი - 56%) კრიმინალური სუბკულტურების გავლენის ხარისხს. დამატებით, ხაზგასასმელია, რომ 15-17 წლის მოზარდები, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, უფრო მეტად მიუთითებენ ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე (განათლების მიღება, სოციალური ქსელების შექმნა, კრიმინალურ ჯგუფებში გაერთიანება, დანაშაულებრივი ქცევა) კრიმინალური რეალობის გავლენის არარსებობის შესახებ. თუმცა, ზოგადი ტენდენცია, რომ კრიმინალური რეალობის გავლენა არსებობს, თვით მოზარდების ჯგუფშიც შენარჩუნებულია.
რესპონდენტთა 29% მიიჩნევს, რომ **ბოლო 5 წლის განმავლობაში მოზარდებში კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილი გაზრდილია.** ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია საკითხის როგორც გეოგრაფიული არეალის (აღმოსავლეთ (თბილისის გარდა) (24%), დასავლეთ საქართველოში (28%)), ისე დასახლების ტიპის ჭრილში (თბილისი (35%), სხვა ქალაქები (26%), სოფელი (27%)) განხილვისას.

მოზარდების კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილზე, რესპონდენტთა აზრით, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს გარემო, რომელშიც მოზარდი იმყოფება. მშობლების მიერ უგულებელყოფა (70%), მშობლის მხრიდან ძალადობრივი აღზრდა (68%), ოჯახში კრიმინალური სუბკულტურის მიმღებლობა (70%) და საახლობლო წრეში კრიმინალური ავტორიტეტის ყოლა (66%) - პირველად სოციალურ ჯგუფთან დაკავშირებული ის ფაქტორებია, რომლებიც მოზარდის მხრიდან კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილს და შესაბამის ქცევასაც შეიძლება განაპირობებდეს. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი დატვირთვა ენიჭება კრიმინალური სუბკულტურის წევრობით მიღებულ შესაძლო სარგებელსაც, როგორებიცაა: ძალაუფლების მოპოვება (65%), უსაფრთხოების გარანტია (61%), პრივილეგიების მიღება (64%), პრესტიჟი (63%). ძირითადი ტენდენციები ყველა სოციალურ-დემოგრაფიულ ჭრილში განხილვისას შენარჩუნებულია და მკვეთრი განსხვავებები არ ფიქსირდება.

კონკრეტული სიტუაციების შეფასებისას რესპონდენტთა უმრავლესობაში ჯანსაღი მოქალაქეობრივი ქცევა იკვეთება, თუმცა ის წილიც მნიშვნელოვანია, ვინც საპირისპირო გადაწყვეტილებას მიიღებდა. მაგალითად, გამოკითხულთა საშუალოდ 65% იზიარებს შეხედულებას, რომ **ა) სასკოლო გარემოში მოზარდებს შორის დაპირისპირების შესახებ სკოლის ადმინისტრაციას შეატყობინებდა, ბ) სამეზობლოში პოტენციური კრიმინალის ფაქტს პოლიციას შეატყობინებდა,** თუმცა, საშუალოდ მეათედი მსგავსად არ მოიქცეოდა. 60%-ს აჭარბებს მათი წილიც, ვინც კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მოზარდის მიდრეკილებაზე ეჭვის შემთხვევაში, თავად მოზარდს ან მის ოჯახს გაესაუბრებოდა, თუმცა ხაზგასასმელია, რომ საშუალოდ მეათედი მსგავსი ნაბიჯის გადადგმისგან თავს შეიკავებდა. ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, შეუსაბამო პოზიციას უფრო მეტად დედაქალაქში მაცხოვრებლები აფიქსირებენ. მაგალითად, სამეზობლოში პოტენციური კრიმინალური ფაქტის პოლიციისათვის შეტყობინებას თბილისის მაცხოვრებელთა 17% არ იზიარებს, ამასთან საშუალოდ 13% კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მოზარდის მიდრეკილებაზე ეჭვის შემთხვევაში, არც მოზარდს და რაც ოჯახის წევრებს არ გაესაუბრებოდა. ყველაზე მკვეთრი სხვაობა ამ მხრივ სქესის ჭრილში ფიქსირდება - კაცები მეტად ავლენენ არარელევანტურ შეფასებებს, კონკრეტულად - მამაკაცების 12% სკოლაში მოზარდებს შორის დაპირისპირების შესახებ სკოლის ადმინისტრაციას არ შეატყობინებდა

(ანალოგიურად მოიქცეოდა გამოკითხული ქალების 3%), მეხუთედი (20%) კი, სამეზობლოში პოტენციური კრიმინალის ფაქტის შესახებ პოლიციას საქმის კურსში არ ჩააყენებდა (ქალების 8% მოიქცეოდა ასე).

საზოგადოებაში ანტიკრიმინალური ცნობიერების მნიშვნელოვან ხარვეზზე მიუთითებს გამოკითხვის ის შედეგი, რომ **ერთი მხრივ, რესპონდენტთა 16% მათ მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში პოლიციას არ შეატყობინებდა; მეორე მხრივ, საერთო შერჩევის 21% მსგავს შემთხვევაში სიტუაციის მოსაგვარებლად კრიმინალური სუბკულტურის წევრებს მიმართავდა.** მართალია, რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი ამ ნაბიჯებს არ გადადგამდა, თუმცა, დასახელებული წილი (ჯამში თითქმის 40%) საკმარისია იმისთვის, რომ ერთი მხრივ, პოლიციისადმი შესაძლო უნდობლობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, კრიმინალური სუბკულტურების სერიოზულ გავლენაზე ვიმსჯელოთ. ამას მოწმობს ისიც, რომ **თითქმის ყოველი მეხუთე რესპონდენტისთვის (18%) მისაღებია, თუ ადამიანი მის მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში ქურდული სამყაროს წევრებს მიმართავს.** ამასთან, მონაცემები გამოკვეთს, რომ კრიმინალური ავტორიტეტების მიმღებლობა დასავლეთ საქართველოში უფრო მაღალია, რადგან იქ გამოკითხულთა მეოთხედი მის მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში სწორედ კრიმინალური სუბკულტურის წევრებს ჩააყენებდა საქმის კურსში (აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის გარდა) ასე მოიქცეოდა 14%); ამავე ინდიკატორებზე დაყრდნობით, საქალაქო ტიპის დასახლებებში, სოფლებთან შედარებით, მეტად იკვეთება კრიმინალური სამყაროს გავლენა და მისი მიმღებლობა - საქალაქო ტიპის დასახლებებში (თბილისის ჩათვლით) რესპონდენტთა საშუალოდ მეხუთედისთვის მისაღებია, თუ ადამიანი, მის მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში, ქურდული სამყაროს წევრებს მიმართავს (სოფლებში მაჩვენებელი 14%-მდე მცირდება). ასაკის ჭრილში გამოიკვეთა, რომ 30-54 წლის რესპონდენტთა 21%-სთვის ჩაგვრის შემთხვევებში კრიმინალური სუბკულტურის წევრებისთვის მიმართვა მისაღებია, რაც სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია: 15-17 წლის - 15%, 18-29 წლის - 16%, 55-64 წლის - 16%, 65 წლის ან მეტის - 12%.

ქვეყანაში კრიმინალური სუბკულტურის გავლენასა და პრესტიჟს განსაკუთრებით გამოკვეთს რესპონდენტთა შემდეგი პოზიციები: **ა) სადაო საკითხები კრიმინალურ სუბკულტურასთან დაახლოებული პირის სასარგებლოდ სრულდება (23%), ბ) გარჩევაში კრიმინალური სუბკულტურების ჩარევა აუცილებელია (17%), გ) დავისას საბოლოო გადაწყვეტილება „ქურდს“ უნდა ეკუთვნოდეს (18%).** აღნიშნულ პოზიციებთან თანხმობით დასავლეთ საქართველოს რესპონდენტები მეტად გამოირჩევიან. ამასთან გამოიკვეთა, რომ გარჩევებში კრიმინალური ავტორიტეტების ჩარევის მომხრე ყველაზე მეტად 30-54 წლის რესპონდენტები არიან (21%), თუმცა, მსგავსი შეხედულება სხვა ასაკობრივ ჯგუფებშიც მეათედს აღემატება: 15-17 წლის - 13%, 18-29 წლის - 14%, 55-64 წლის - 16%, 65 წლის ან მეტის - 12%.

კრიმინალური მენტალიტეტის მიმღებლობის **ინდექსური ცვლადის** მიხედვით, ყოველ მეხუთე რესპონდენტს (21%) კრიმინალური მენტალიტეტი ახასიათებს, ანუ სადავო საკითხების გადაწყვეტისას უპირატესობას კრიმინალურ სუბკულტურებს ანიჭებს. გამოკითხულთა უმრავლესობა (66%) მათ მიმართ უნდობლობას გამოხატავს და გადაჭრის ფორმად სამართლებრივ გზას ირჩევს - უპირატესობას პოლიციის ინსტიტუტს ანიჭებს. დაახლოებით ყოველი მეათე რესპონდენტის შემთხვევაში კი კრიმინალური მენტალიტეტის მიმღებლობა კონტექსტუალურად ცვალებადია (13%).

ამასთან, გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა 25%, მათივე შეფასებით, კრიმინალურ გარემოში ცხოვრობს, სადაც მართლსაწინააღმდეგო ქმედებები ყოველდღიურად, ხშირად, ზოგჯერ ან იშვიათად ხდება. შესაბამისად, გამოკითხულთა 3/4 (75%) საკუთარ საცხოვრებელ გარემოს/უბანს/სოფელს, კრიმინალური თვალსაზრისით, მშვიდად აფასებს.

რეგრესიული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კრიმინალური მენტალიტეტის მიმართ მიმღებლობა მეტად აქვთ:
• დასავლეთ საქართველოს მაცხოვრებლებს;
• მათ, ვინც, პოლიციელის მიერ უფლებამოსილების დარღვევის შემთხვევაში ქურდულ სამყაროს მიმართავდა;
• იმ რესპონდენტებს, რომლებიც არ მიიჩნევენ, რომ მათ უბანში/საცხოვრებელ ადგილას კრიმინალური გარემოა;
• მათ, ვინც არ ისურვებდა, რომ მისი ოჯახის რომელიმე წევრი პოლიციის თანამშრომელი იყოს.
მეორე მხრივ, კრიმინალური მენტალიტეტის/სუბკულტურების მიმღებლობა დაბალია სასოფლო ტიპის დასახლებებში.

კვლევა აჩვენებს, რომ **სამეზობლოში ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმირებულობის შემთხვევაში** ორგვარი რეაგირება იკვეთება: 112-ზე დარეკვა (საშუალოდ 53%) და სიტუაციის საკუთარი ძალებით განმუხტვა (საშუალოდ 26%). ხაზგასასმელია ისიც, რომ მსგავს მდგომარეობაში საშუალოდ 4%-ს არანაირი რეაგირება არ ექნებოდა. სქესის ჭრილში საკითხის განხილვა გამოკვეთს, რომ კაცებში, ქალებთან შედარებით, შემცირებულია მათი წილი, ვინც მსგავს სიტუაციებში პოლიციას მიმართავდა (ოჯახში ძალადობის შემთხვევაში კაცების - 38% და ქალების - 62%; ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში, კაცების 41% და ქალების - 65%. პოლიციისადმი მიმართვით 15-17 წლის (საშუალოდ 60%) და 18-29 წლის (საშუალოდ 62%) ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლები გამოირჩევიან.

დასახელებულ შემთხვევებში (ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა) პოლიციაში განუცხადებლობის ძირითად მიზეზებად რესპონდენტები ასახელებენ შემდეგს: **ა) მსგავს შემთხვევაში არ მიმაჩნია საჭიროდ პოლიციის ჩარევა, თავად განმუხტავენ სიტუაციას; ბ) ვფიქრობ, რომ მსგავსი შემთხვევები ჩემი საქმე არ არის; გ) თავად მსხვერპლს არ სურს პოლიციის ჩარევა.**

ამასთან, აღსანიშნია ისიც, რომ რესპონდენტთა საშუალოდ 5% მსგავს სიტუაციებში 112-ზე პოლიციის მიმართ უნდობლობის გამო არ დარეკავდა. ისინი აცხადებენ, რომ ჯერ საკუთარი ძალებით შეეცდებიან სიტუაციის განმუხტვას და მხოლოდ წარუმატებლობის შემთხვევაში დარეკავენ 112-ზე.

იდენტური მდგომარეობაა **საკუთარ ოჯახში ძალადობის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაშიც** - რესპონდენტთა თითქმის თანაბარი ოდენობა მიუთითებს, რომ 112-ზე დარეკავდა (43%), ან თავად შეეცდებოდა სიტუაციის განმუხტვას (43%). პრობლემურია, რომ 13 რესპონდენტს არანირი რეაგირება არ ექნებოდა - არც პოლიციას ჩააყენებდა საქმის კურსში, არც თავად შეეცდებოდა პრობლემის მოგვარებას და არც მეზობლებს თხოვდა დახმარებას. თუკი ქალების უმრავლესობა (56%) საკუთარ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში 112-ზე დარეკავდა, კაცების შემთხვევაში სანიმუშო ქცევის მოდელად საკუთარი ძალებით სიტუაციის განმუხტვა გვევლინება (57%).

ამდენად, კაცი რესპონდენტებისთვის უფრო მიუღებელია მის ოჯახში მიმდინარე მოვლენების ოჯახის გარეთ, მით უმეტეს პოლიციასთან, განხილვა. პოლიციის ჩარევისგან თავის შეკავება, ძირითადად, სწორედ იმ მიზეზით ხდება, რომ ოჯახში ძალადობა სამართალდამცავების განსახილველი საკითხი არ არის, თავად განიმუხტება (55%).

მოზარდებზე კრიმინალური სუბკულტურების გავლენის ნეგატიურ შედეგებზე მსჯელობისას, როგორც ზოგად, ისე დამატებითი ჭრილების დონეზე, სამი დომინანტური კატეგორია გამოიკვეთა: ა) კრიმინალური სუბკულტურების წევრების მიმბაძველობა, რაც ჩაცმულობით, ლექსიკის, ქცევითი ჩვევებით, ღირებულებებით გამოიხატება (18%); ბ) მოზარდის განვითარებისთვის შეუსაბამო ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაში ყოფნა (16%); გ) კრიმინალურ გარჩევებში აქტიური ჩართულობა (15%).
მოზარდებზე კრიმინალური სუბკულტურების გავლენის შემცირების მხრივ, რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი პირველადი და მეორეული სოციალური ჯგუფების, ოჯახისა (95%) და სამეგობროს (93%) მნიშვნელოვან როლს გამოკვეთს. მთლიანობაში, პოზიტიური როლი აქვს სახელმწიფო სტრუქტურებსაც (პარლამენტი, სასამართლო, პროკურატურა), თუმცა, რესპონდენტთა საშუალოდ მეოთხედი მათ ჩართულობას არაეფექტიანად და უმნიშვნელოდ აფასებს. იდენტური მდგომარეობაა პენიტენციურ დაწესებულებაზე, როგორც გავლენის შემცირების მექანიზმზე, მსჯელობისას (17%). როგორც გამოკითხვა აჩვენებს, რესპონდენტებისთვის კრიმინალური სუბკულტურის გავლენის შემცირების მხრივ ეკლესიის (75%) როლი უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე - პოლიციის (68%). მეტიც, რესპონდენტთა მეათედზე მეტისთვის პოლიცია გავლენის შემცირების ინსტიტუტად არ განიხილება (12%). გარდა ამისა, მოზარდებზე კრიმინალური სუბკულტურების გავლენის შემცირების მხრივ, უფრო მეტად ეფექტიან აქტორად ფსიქოლოგი მიიჩნევა (74%) ვიდრე სოციალური მუშაკი (62%). მსგავსი ტენდენციები იკვეთება დამატებით ჭრილებში საკითხის განხილვისასაც - ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვნად სახელმწიფო სტრუქტურები (პარლამენტი, სასამართლო, პროკურატურა, პენიტენციური დაწესებულება) სახელდება.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ **რესპონდენტთა 4%-სთვის ინდივიდებს/ჯგუფებს შორის დაპირისპირების შემთხვევაში, კონფლიქტის მოსაგვარებლად კრიმინალური ავტორიტეტებისთვის მიმართვა უფრო მეტად აქტუალურია, ხოლო 10% მიიჩნევს, რომ მსგავს შემთხვევაში თანაბრად აქტუალურია სამართალდამცავებისა თუ კრიმინალური სუბკულტურის წევრების ჩართვა.** დასავლეთ საქართველოს რესპონდენტთა შორის (17.2%), აღმოსავლეთის რესპონდენტებთან შედარებით (5.1%), გასამმაგებულია მათი წილი, ვინც, კონფლიქტის გადაჭრის თვალსაზრისით, ორივე მხარეს თანაბრადმნიშვნელოვნად აფასებს. ამასთან, დასავლეთ საქართველოში გამოკითხულთა 5%-ზე მეტი უფრო აქტუალურად კრიმინალური ავტორიტეტისადმი მიმართვას განიხილავს (აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) - 1.1%). მართალია, დასახლების ტიპის ჭრილში დომინანტურია დაპირისპირების შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვა (თბილისი - 59.8%, სხვა ქალაქები - 49.6%, სოფელი - 52.4%), თუმცა, ხაზგასასმელია, რომ მსგავს სიტუაციაში კრიმინალური ავტორიტეტების ჩარევას თბილისში გამოკითხულთა უფრო მეტი წილი (6.7%) მიიჩნევს აქტუალურად ვიდრე სხვა ტიპის დასახლებებში გამოკითხულები (სხვა ქალაქები - 3.4%, სოფელი - 3.5%).

რეგრესიულმა მოდელმა გამოავლინა, რომ ქვეყანაში კრიმინალური მენტალიტეტის გავლენას მეტად გამოკვეთენ (ანუ, კონფლიქტის შემთხვევაში აქტუალურად კრიმინალური ავტორიტეტებისთვის მიმართვა მიაჩნიათ) ის პირები:

• ვისი აზრითაც, საქართველოში პოლიციის თანამშრომლობა არაპრესტიჟულია;
• ვინც მიიჩნევს, რომ მის უბანში/საცხოვრებელ ადგილას კრიმინალური გარემოა (სხვადასხვა ტიპის კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ხდება);
• ვინც არ ისურვებდა მისი ოჯახის რომელიმე წევრის პოლიციელად გახდომას;
• ვისი შეფასებითაც, ბოლო 5 წელში მოზარდებში კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილი გაიზარდა.

სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებლებს რაც შეეხება, ქვეყანაში კრიმინალური მენტალიტეტის გავლენას მეტად გამოკვეთენ:
• თბილისის გარდა, სხვა საქალაქო ტიპის დასახლების მაცხოვრებლები;
• კაცები.

პენიტენციურ დაწესებულებაში კრიმინალური სუბკულტურების გავლენის შეფასება

გამოკითხულთა უმრავლესობის შემთხვევაში, **არც თავად და არც მისი ოჯახის რომელიმე წევრს პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის გამოცდილება არ აქვს (95%).** მსგავსი გამოცდილების მქონე პირთა შეფასებით, **კრიმინალური სუბკულტურების გავლენა, როგორც პატიმრებზე (60%), ისე ციხის ადმინისტრაციაზე (38%) მაღალია.**

რესპონდენტთა მეოთხედს (24%) **პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილის მოტივების იდენტიფიცირება** გაუჭირდა, თუმცა, დასახელებულ კატეგორიებში შემდეგი მოტივაციები გამოიკვეთა: კრიმინალური სუბკულტურის წევრობით მიღებული პრესტიჟი (19%), სხვა პატიმრებისგან თავდაცვა (16%), კრიმინალური სუბკულტურის წევრებისგან ჩაგვრის, გარიყვის შემთხვევების პრევენცია (14%), სხვა პატიმრების დამორჩილების სურვილი (12%).

რაც შეეხება **პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურების გავლენის მაპროვოცირებელ ფაქტორებს,** გამოკითხულთა მესამედს ასეთი ფაქტორების დასახელება გაუჭირდა. თუმცა, დომინანტურ კატეგორიებად (10%-ზე მეტი) შემდეგი ფაქტორები განისაზღვრა: პენიტენციურ დაწესებულებებში წესრიგის დამყარება კრიმინალური სუბკულტურების მეშვეობით (18%), პენიტენციური დაწესებულების გარეთ არსებული ავტორიტეტული კრიმინალური სუბკულტურების მფარველობა (14%), კრიმინალური სუბკულტურების მიმართ ციხის ადმინისტრაციის შიში (12%). დამატებით ჭრილებში, ფაქტორების იდენტიფიცირების მხრივ, მკვეთრი განსხვავებები არ დაფიქსირებულა.

პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური ჯგუფების გავლენის შემცირების თვალსაზრისით, რესპონდენტთა უმრავლესობა ციხისადმინისტრაციის (55%), იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური პენიტენციური სამსახურის (53%), სახალხო დამცველის აპარატის (53%) მნიშვნელოვნებას გამოკვეთს. პოზიტიური შეფასებები მიემართება არასამთავრობო სექტორს (48%) და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სერვისებს (50%). თუმცა, ხაზგასასმელია, რომ თითქმის ყოველ მეხუთე რესპონდენტს ამ ინსტიტუტების როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა გაუჭირდა, ხოლო საშუალოდ 15%-მა ნეიტრალური პოზიცია დაიკავა. დასახლების ტიპის ჭრილში პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური დაჯგუფებების გავლენის შემცირების მხრივ, შედარებით ნაკლებმნიშვნელოვან აქტორებად არასამთავრობო სექტორი (თბილისი - 10%, სხვა ქალაქები - 9%, სოფელი

- 12%), რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სერვისები (თბილისი - 11%, სხვა ქალაქები - 7%, სოფელი - 6%) განიხილება.

თვისებრივი კვლევის ძირითადი მიგნებები

დანაშაულებრივი ქმედება და მისი გამომწვევი მიზეზები

ფოკუს ჯგუფებში რესპონდენტების/მონაწილეების მიერ დანაშაულებრივი ქმედებების მაპროვოცირებელ ფაქტორებად დასახელდა: ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, დემოგრაფიული და სოციალურ ფონთან დაკავშირებული ფაქტორები. პრაქტიკულად ყველა ექსპერტი ოჯახის არასახარბიელო ეკონომიკურ მდგომარეობას წამყვან ფაქტორად ასახელებს. მშობლების ენერგია, ძირითადად, შვილ(ებ)ის პირველადი საჭიროების საშუალებებით უზრუნველყოფას (კვება, ჩაცმა) ხმარდება, რის გამოც ფერხდება შვილებსა და მშობლებს შორის საჭირო კომუნიკაცია. ბავშვები იწყებენ სხვა ავტორიტეტების ძებნას, რომლებიც ხშირ შემთხვევაში კრიმინალურ სუბკულტურასთან დაახლოებული პირები არიან.

ეკონომიკური გაჭირვება მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია, თუმცა ბავშვებისთვის სხვადასხვა სიკეთეზე ადვილი ხელმისაწვდომობაც ამ რისკს ატარებს, რადგან ასეთი ბავშვები მიჩვეულნი არიან ყველაფრის მარტივად მიღებას და ამ გზაზე შეფერხება მათ ცნობიერებაში ნაპრალს (gap) აჩენს, რომლის ამოსავსებად კრიმინალურ გზას ირჩევენ.

მნიშვნელოვან როლს თამაშობს ძალაუფლებრივი გავლენები მოზარდებში: კრიმინალური მენტალიტეტის მქონე მოზარდები (15-დან 18-წლამდე, ან უფროსები), ხშირ შემთხვევაში აიძულებენ ბავშვებს (14 წლამდე), რომ ჩაიდინონ სხვადასხვა წვრილმანი დანაშაული, რასაც მოზარდები თანხმდებიან, რადგან ეშინიათ ბულინგის, დამცირებისა და უარყოფის.

გარდა ამისა, ექსპერტებმა ისაუბრეს იმაზეც, რომ ის ბავშვები, რომლებიც ოჯახებში ავტორიტარული სტილით იზრდებიან და ხშირად არიან აგრესიის ობიექტები, მიღებულ აგრესიას გადაიტანენ ხოლმე სხვებზე. ყურადსაღებია ისიც, რომ მშობლები ვერ ახერხებენ ბავშვს ჩამოუყალიბონ მყარი ღირებულებითი სისტემა. ეს რისკ-ფაქტორია, რადგან არამყარი ღირებულებითი სისტემის მქონე ბავშვებზე გავლენის მოხდენა კრიმინალურ ჯგუფებს უადვილდებათ.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა ნაწილი საუბრობს სკოლებში ე.წ. „ყოჩის“ ინსტიტუტის არსებობაზე, რომელიც გულისხმობს სხვა ბავშვებთან შედარებით დაწინაურებულ მდგომარეობაში ყოფნას და წარმოადგენს ერთგვარ ქცევით პატერნს სხვა ბავშვებისთვის. გამოკითხულთა ნაწილი ამბობს, რომ ბავშვები ცდილობენ „ყოჩობას“, რადგან ეს სხვა ბავშვებზე გავლენის მოხდენის საშუალებაა და გარკვეულწილად, უსაფრთხოების ჩარჩოც.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა შორის დანაშაულის ჩადენის განმაპირობებელ ფაქტორად გამოიკვეთა, აგრეთვე, მძიმე ოჯახური ინტერაქციების ფონი: ოჯახში მშობლებს შორის მუდმივი კონფლიქტი (ფიზიკური დაპირისპირების ჩათვლით) და მშობლების ალკოჰოლსა თუ სხვადასხვა ნარკოტიკულ ნივთიერებაზე დამოკიდებულება. ასეთი ოჯახის ბავშვები მშობლებისგან იღებენ ნეგატიურ როლურ მოდელს. გამოიკვეთა ისიც, რომ ოჯახის რომელიმე წევრის (მამა, ძმა, ბიძა და სხვ.)

კრიმინალური სუბკულტურის წევრობა და ციხეში ყოფნა, შესაძლოა, გახდეს ბავშვის კრიმინალური ცხოვრების წესით დაინტერესების ფაქტორი.

ექსპერტებმა, ასევე, ისაუბრეს ისეთ წამახალისებელ ფაქტორებზე მოზარდებში, როგორებიცაა: კრიმინალური დაჯგუფებების შესახებ არსებული პოზიტიური შინაარსის სტერეოტიპული განწყობები; თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სოციალური ქსელების ხშირი გამოყენება; დროის ნაყოფიერად გასატარებლად შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა; COVID-19-ის პანდემიის გავლენა; ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების სისტემატური მომხმარება; კანონის უზენაესობისა და ინსტიტუტების მიმართ არასაკმარისი ნდობა.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები აღნიშნავენ, რომ დანაშაულის ჩადენის რისკი განსაკუთრებით მაშინ იზრდება, როდესაც ზემოთ აღნიშნული ფაქტორები კომბინაციაშია და სინერგიული ეფექტი აქვს.

დანაშაულის ჩადენის რისკ-ჯგუფები

ფოკუს ჯგუფების მონაწილე დაინტერესებულ პირებში (Stakeholders) გამოიკვეთა მოსაზრება, რომ სქესი და ასაკი კორელაციაშია დანაშაულის ჩადენასთან: ბიჭები/მამაკაცები უფრო არიან მიდრეკილნი დანაშაულის ჩადენისკენ ვიდრე გოგონები/ქალები. რაც შეეხება ასაკობრივ კატეგორიას, აქ გამოიკვეთა 18 წლამდე არასრულწლოვნები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში სხვის დავალებებს ასრულებენ. ბოლო პერიოდში, იმატა 14 წლამდე ასაკის ბავშვების მიერ ჩადენილმა დანაშაულებმა.

კვლევის მონაწილეების აზრით, დანაშაულის ჩადენის რისკი მაღალია, აგრეთვე, სპეციფიკური ჯგუფებისთვის:

ა) ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის;
ბ) ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემის მქონე მოზარდებისთვის;
გ) ბავშვებისთვის, რომლებიც სახელმწიფო ზრუნვაში იმყოფებოდნენ (მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლი) და ხშირად იცვლიდნენ ზრუნვის დაწესებულებებსა თუ მიმღებ ოჯახებს. ასეთ ბავშვებს არ აქვთ სხვა ადამიანებთან სიახლოვის შეგრძნება და ვერ იღებენ მხარდაჭერას უფროსებისგან; ამიტომ, დანაკლისის ანაზღაურებას კრიმინალურ ჯგუფებში გაერთიანებით ცდილობენ.

ექსპერტების აზრით, კრიმინალური სუბკულტურის წევრობის მიმზიდველობას მოზარდებში სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს: ა) მოზარდები ხედავენ, რომ აღნიშნული ჯგუფი გავლენას ახდენს საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებზე (თვით პოლიტიკურ პროცესებზეც კი); ბ) კრიმინალური სუბკულტურის წევრები კონკრეტულ ადამიანებს ეხმარებიან სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. ამგვარად, მოზარდებში ჩნდება განცდა, რომ კრიმინალური სუბკულტურის წევრები არ მუშაობენ, მხოლოდ „მოსამართლის“ როლს ასრულებენ და ასე შოულობენ დიდძალ ფინანსებს.

ფსიქოლოგები (ბავშვთა განვითარების ფსიქოლოგი, სკოლის ფსიქოლოგი) მიუთითებენ, რომ გარდატეხის ასაკში მყოფ მოზარდებში იზრდება საზოგადოებაში/გარშემო მყოფთა შორის თავის დამკვიდრების და ძალაუფლების მოპოვების/ლიდერობის სურვილი. ხოლო, კრიმინალური აქტივობა მოზარდებს უჩენს ძალაუფლების მოპოვების შესაძლებლობას.

მნიშვნელოვანია უსაფრთხოების მოპოვების სურვილიც - ზოგიერთი ბავშვი თვლის, რომ კრიმინალურ ჯგუფებთან სიახლოვით მას ნაკლებად დაჩაგრავენ/შეაწუხებენ.

კვლევაში მონაწილე ფსიქოლოგების აზრით, მოზარდების ნაწილში კრიმინალური სამყაროს წევრები ასოცირებულნი არიან უსამართლობასთან ბრძოლასა და თავისუფლებასთან. ასეთი წარმოდგენების შექმნას ხელს უწყობს სხვადასხვა ისტორიული თუ ლიტერატურული პერსონაჟი, რომელიც უპირისპირდება იმდროინდელ პოლიტიკურ რეჟიმს (არსენა მარაბდელი, კაკო ყაჩაღი, რობინ ჰუდი, ხარება და გოგია).

ექსპერტების აზრით, ქვეყანაში კრიმინალური სუბკულტურის მიმართ ადამიანების ლოიალობა შესაძლოა განაპირობოს ხელისუფლების პოლიტიკამ/მმართველობის სტილმა. როდესაც ქვეყანაში ძირითადი ინსტიტუციები (მაგ. პოლიცია, სასამართლო და სხვ.) დეზორგანიზებულია და ვერ ახერხებს ეფექტიანად გადაწყვიტოს მოქალაქეების პრობლემები, ადამიანები ეძებენ ალტერნატიულ საშუალებებს ამ პრობლემების გადასაწყვეტად. ასეთ ალტერნატიულ გზას წარმოადგენს კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლებთან დაკავშირება დასახმარებლად. მეტიც: როდესაც სახელმწიფო სტრუქტურები, ერთი მხრივ, უუნაროა პრობლემების მოსაგვარებლად, ხოლო, მეორე მხრივ, ზედმეტად რეპრესიულია კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების მიმართ (ვისაც პრობლემების მოგვარება ხელეწიფება), მოსალოდნელია, მოსახლეობას გაუჩნდეს თანაგრძნობა ამ ჯგუფის მიმართ.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ქვეყანაში არსებული კრიმინალური სუბკულტურა მიმზიდველი შეიძლება გახდეს რეპრეზენტაციული (ვიზუალური, ვერბალური და სხვ.) გამორჩეულობითაც (ჩაცმის სტილი, ლაპარაკის მანერა, „ბირჟავიკობით“ მოპოვებული საყოველთაო ნაცნობობა და სხვ.).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, კრიმინალური სუბკულტურა როლურ მოდელებს ქმნის ახალგაზრდებისთვის. მოზარდებში კრიმინალური სამყაროს მიმართ ხიბლი, უკვე ზრდასრულ ასაკში, მათ გარშემო კრავს კრიმინალური მენტალიტეტის მატარებელი ადამიანების წრეს. ეს წრე კონფლიქტში მოდის საზოგადოების სხვა ჯგუფებთან, რადგან ასოცირდება დანაშაულთან, ციხესთან და ბევრ სხვა დევიაციასთან. ეს ძალზე ართულებს კრიმინალური გამოცდილების მქონე ადამიანისთვის „მოჯადოებული“ წრის გარღვევას („განჯადოებას“), რაც მიზნობრივი სერვისების მიწოდების აუცილებლობაზე მიუთითებს.

კრიმინალური სუბკულტურა როგორც ტენდენცია

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე პირების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ბოლო წლებში სულ უფრო ნაკლები ახალგაზრდა არის დაინტერესებული კრიმინალური სამყაროს წევრობით. მაგალითად, სკოლის მასწავლებლები და მანდატურები ამბობენ, რომ კრიმინალური აქტივობა ბავშვებისთვის სულ უფრო ნაკლებად საინტერესო ხდება. დღეს მოზარდების დიდ ნაწილს აქვს სხვადასხვა ინტერესი და მათი დაკმაყოფილების საშუალებები (მაგალითად, კომპიუტერული თამაშები, სპორტი და სხვ.), რომლებიც აღარ არის დაკავშირებული კრიმინალურ სამყაროსთან იმ დოზით, როგორც ეს ადრე იყო. დასახელდა, აგრეთვე, სახელმწიფოს, როგორც კრიმინალურ წრეებთან მებრძოლის როლიც და ის მკაცრი კანონმდებლობა, რომელიც კრიმინალური სუბკულტურის წევრების მიმართ მოქმედებს ქვეყანაში.

მეორე ნაწილის დაკვირვებით, ბოლო წლებში კრიმინალური საქმიანობისადმი მოზარდების დაინტერესებამ წინა წლებთან შედარებით მოიმატა. ეს დაკავშირებულია სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ ნდობის დონის შემცირებასთან. აგრეთვე, ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ ბოლო წლებში მმართველ პოლიტიკურ ძალასა და კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლებს შორის არსებობს გარკვეული თანამშრომლობა, რომელიც ყველაზე მეტად „ძველი ბიჭების“ საარჩევნო პროცესებში აქტიურ ჩართვაში გამოიხატება. გარდა ამისა, გახშირდა ისეთი შემთხვევები, როდესაც საქართველოს საზღვრებს მიღმა მყოფი გავლენიანი კრიმინალური ავტორიტეტები თავიანთი მიზნებისთვის იყენებენ კრიმინალური სუბკულტურის წევრებს, როგორც ადგილობრივ „აგენტებს“, რომლებსაც გარკვეულ დავალებებს აძლევენ და თავიანთ მოკავშირედ განიხილავენ. აგენტებად ისინი შეარჩევენ მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს (ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლები და სხვ.). არასრულწლოვანთა შორის ყველაზე გავრცელებულია ქურდობა/ხულიგნობა. ასეთი არასრულწლოვნების უკან კარგად ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფები დგანან, რომლებიც არასრულწლოვნებს აძლევენ მითითებებს და სხვადასხვა კრიმინალურ პრაქტიკაში რთავენ.

მოზარდები კრიმინალური სუბკულტურის მქონე ჯგუფებში დამკვიდრებას ჯგუფში არსებული წესებით ცდილობენ. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია კრიმინალური ქმედებების ერთობლივად განხორციელება.

მოზარდებზე კრიმინალური სუბკულტურის გავლენა სხვადასხვა ხარისხისაა და უმეტესწილად ვლინდება ისეთ ინდიკატორებში, როგორებიცაა ლექსიკა, ჩაცმულობა და ა.შ. ბოლო წლებში მომრავლებულია კრიმინალური ცნობიერების შემდეგი გამოვლინებები: კიბერბულინგი, აგრეთვე, მოზარდების ინტერესის ზრდა მემარჯვენე რადიკალური დაჯგუფებების მიმართ, რომელთა სამიზნეები ეთნიკური უმცირესობები და ქვიარ თემის წევრები არიან.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ 1990-იან წლებთან შედარებით, კრიმინალური სუბკულტურის გავლენა არსებითად შემცირებულია, მაგრამ ბოლო წლების ვითარების შედარებისას თვალსაჩინოა, რომ კრიმინალური ცნობიერების მიმართ ინტერესი მოზარდებში გაზრდილია.

მანდატურის სამსახურის თანამშრომლები და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები დადებით ცვლილებაზე ამახვილებენ ყურადღებას და აღნიშნავენ, რომ ახლანდელი მოზარდები მოტივირებულები არიან მიიღონ განათლება და შეძლონ დასაქმება საკუთარი შემოსავლის გაჩენის მიზნით, რაც გაზრდის მათი დამოუკიდებლობის ხარისხს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტების გამოცდილება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტები მიუთითებენ, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებისთვის სხვადასხვა სერვისის გაწევის გამოცდილება აქვთ, თუმცა სერვისები, როგორც წესი, „მიბმულია“ ამა თუ იმ პროექტზე და აქვს ასაკობრივი შეზღუდვაც. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, 14-წლამდე ბავშვების მიმართ ეფექტიანი სერვისების მწვავე დეფიციატია ქვეყანაში. არსებობს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი, რომელიც

კრიმინალურ აქტივობებში ჩართულ ბავშვებს აწვდის სერვისს, თუმცა ამ ცენტრის საქმიანობას ნაკლებად ეფექტიანად აფასებენ რესპონდენტები. სერვისები ძირითადად უკავშირდება იურიდიულ კონსულტაციას. სოციალური სერვისების კუთხით, არასამთავრობო სექტორი ახორციელებს მიუსაფარ ბავშვთა დახმარების პროგრამას, თუმცა აღნიშნული პროგრამა არ არის გრძელვადიანი და მხოლოდ 24 საათის განმავლობაში მიეწოდება დახმარება ბენეფიციარს.

ექსპერტები საუბრობენ ბოლო წლებში იურიდიული დახმარების დაბალეფექტიანობაზე, ვინაიდან სულ უფრო რთული ხდება სერვისის მიმღებთა დარწმუნება, რომ გადადგან იურიდიული თვალსაზრისით სწორი ნაბიჯები, რაც მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის შემსუბუქებას შეუწყობს ხელს. ამის მიზეზი ისაა, რომ ბენეფიციარებს დაკარგული აქვთ ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. მათ აქვთ განცდა, რომ არ მოექცევიან სამართლიანად. ამდენად, რთულდება კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის დაყოლიება საგამოძიებო სამსახურებთან თანამშრომლობაზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კრიმინალური საქმიანობით დაკავებული პირებისთვის სამართალდამცავ სტრუქტურებთან თანამშრომლობა მიუღებლად ითვლება, რაც კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში შემდეგი მიმართულებებით: ა) სამართლებრივი რეგულაციები და ნიუანსები; ბ) არასრულწლოვანთა ქმედებების ფარული მნიშვნელობების (საზრისების) გაგება; გ) არასრულწლოვანთა განვითარებისა და ემოციური თავისებურებების შესახებ ინფორმაცია; დ) დანაშაულებრივი ქმედებების მონაწილე არასრულწლოვნების ნდობის მოპოვებასთან დაკავშირებული ტექნიკები.

როგორც ირკვევა, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკების მიერ მიწოდებული სერვისები მრავალფეროვანია და მოიცავს:
ა) სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდებას; ბ) არტ თერაპიას; გ) სხვადასხვა უნივერსიტეტის ზოგად კურსებში მცირე ვადით ჩართვის შესაძლებლობას; დ) მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობას; ე) სხვადასხვა ქარხანაში თუ საწარმოში ვიზიტს და იქ არსებული სამუშაო გარემოს გაცნობას; ვ) მუზეუმებში ვიზიტებს; ზ) კინოსა და თეატრში ვიზიტებს; თ) ფოტოგრაფიის კურსებს.

სოციალური მუშაკების შეფასებით, მათ მიერ მიწოდებული სერვისები, უმეტეს შემთხვევაში ეფექტიანია, თუმცა საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას. მიწოდებული სერვისების მთავარი ნაკლი ისაა, რომ არ ხდება ბენეფიციარების საჭიროების მიხედვით სერვისების მიზნობრივი დიფერენცირება. ეს ნიშნავს, რომ არსებული რესურსები არ არის მორგებული მოზარდების საჭიროებებს.

სოციალურმა მუშაკებმა აღნიშნეს, რომ რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში უჭირთ პირობით მსჯავრდებულებთან ჯგუფური შეხვედრების ორგანიზება, მათი შეკრების სირთულის გამო, რაც სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული: მატერიალური, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემებით და ა.შ. ამიტომ, სოციალურ მუშაკებს ხშირად უწევთ სერვისის ინდივიდუალურად მიწოდება.

სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში გაიარეს მოსამართლეებმაც. სწავლება შედგებოდა როგორც სამართლებრივი, ისე ფსიქოლოგიური ნაწილებისგან.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალური ორდღიანი კურსი ყველა მოსამართლეს აქვს გავლილი. მოსამართლეების შეფასებით, ტრენინგი ხანმოკლეა და ამიტომ სათანადო ცოდნით და უნარებით ვერ აღჭურვავს მოსამართლეებს. ამასთანავე, არ ხდება მოსამართლეების წინასწარი შერჩევა. ეს იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც მოზარდებთან ურთიერთობა გარკვეული საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების ფლობას მოითხოვს, რომელიც ყველა მოსამართლეს არ აქვს. ტრენინგების დასრულების შემდეგ, ტესტირება და გამოკითხვა არ ტარდება, შესაბამისად, უცნობია ტრენინგის გავლის შედეგად რა ცოდნა მიიღეს მოსამართლეებმა.

კრიმინალური სუბკულტურისა და ცნობიერების გამოვლინება და პრევენცია სკოლებში

სკოლებში კრიმინალური მენტალიტეტის მქონე არასრულწლოვნები შიშის დანერგვით მოიპოვებენ ავტორიტეტს და რიდს სკოლის დანარჩენ მოსწავლეებში. კრიმინალური მენტალიტეტის მქონე მოსწავლეები გამორჩეულები არიან გამბედაობითა და უხეშობით. მათი ქცევები ხშირად გამოხატულია დაწესებული ნორმების უგულებელყოფაში.

სკოლის ფსიქოლოგების, მასწავლებლებისა და მანდატურების შეფასებით, კრიმინალური მენტალიტეტი უფრო მეტად გავრცელებულია შუა კლასების (7-9) მოსწავლეებში და ნაკლებად მაღალ (10-12) კლასებში. მაღალ კლასებში მოსწავლეების მოტივაციები და სამომავლო მიზნები უფრო მეტად ჩამოყალიბებულია. ამას გარდა, უფროსკლასელებს უკეთ აქვთ გააზრებული კრიმინალური ქმედებების მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები.

სკოლებში მოსწავლეების მხრიდან კრიმინალური სუბკულტურის ცნობიერება ვლინდება შემდეგ ქმედებებში: ფსიქოლოგიურ ბულინგში (მათ შორის კიბერბულინგი, გარიყვა, სიტყვიერი შეურაცხყოფა) და ფიზიკურ ძალადობაში. ასევე, ისეთ კრიმინალურ ქმედებებში, როგორებიცაა ფულის გამოძალვა (ძირითადად, უმცროსკლასელებისგან უფროსკლასელების მხრიდან) და ქურდობა.

სკოლაში ე.წ. "ბულერები" გამოირჩევიან აქტიური ქმედებებით, არიან აგრესიულები, უჭირთ ემოციების მართვა და აქვთ დაბალი აკადემიური მოსწრება. ჩაგრული მოსწავლეებისთვის დამახასიათებელია ჩაკეტილობა, გარიყულობა, სამეგობრო წრის არქონა და მორიდებულობა. თუმცა, როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, მჩაგვრელ და ჩაგრულ მოზარდებს ერთი საერთო მახასიათებელი აქვთ - დაბალი თვითშეფასება.

როდესაც მასწავლებლები მოსწავლეებში ხედავენ კრიმინალური ქმედებებისკენ მიდრეკილებას, პირველ რიგში საქმის კურსში აყენებენ კლასის დამრიგებელს. კლასის დამრიგებელი, ინფორმაციის მოძიების შემდგომ, ინფორმაციას აწვდის მშობელს და დირექტორს. დირექტორი კი საჭიროების მიხედვით მოქმედებს და მშობლის ჩართულობით, მოსწავლეს ამისამართებს სოციალურ მუშაკთან და/ან ფსიქოლოგთან. შესაძლოა, აუცილებელი გახდეს მანდატურის ჩართულობაც. გადამისამართებისას მნიშვნელოვანია სიფრთხილის გამოჩენა, რომ დაცული იყოს მოსწავლის კონფიდენციალურობა და გავლენა არ იქონიოს სასწავლო პროცესზე.

სკოლებში დანაშაულის პრევენციული ღონისძიებები გულისხმობს როგორც მოსწავლეებთან პირისპირ შეხვედრებს და მეგობრულ საუბრებს სასკოლო გარემოში, ისე სემინარების ჩატარებას კრიმინალური ქმედებების უარყოფითი შედეგების შესახებ.

ფსიქოლოგებისა და მანდატურების აზრით, მშობლები/მზრუნველები საჭიროებენ ცნობიერების ამაღლებას კრიმინალური მენტალიტეტის შესახებ. ასევე, საჭიროებენ მეტი ინფორმაციის ფლობას ბავშვთა ფსიქოლოგიის შესახებ.

მანდატურის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, მათ უფლებას, რომ მშობლის ნებართვის გარეშე განახორციელონ ბავშვის გადამისამართება (რეფერალი) ფსიქოლოგთან, არ იყენებენ. ამის მიზეზი ისაა, რომ მშობლის დამოკიდებულება აღნიშნული გადაწყვეტილების მიმართ უარყოფითია, რის გამოც პროცესში ფსიქოლოგის ჩართვა ჭიანურდება.

კრიმინალური სუბკულტურა პენიტენციურ სისტემაში

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ კრიმინალური მენტალიტეტის მქონე არასრულწლოვნებისთვის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხვედრა მიმზიდველია. კრიმინალური სუბკულტურის გავლენის მქონე მოზარდების ნაწილს ჰგონია, რომ დევიანტური ქცევის ჩადენის გარეშე, სამართალს ვერ იპოვიან, ხოლო საპატიმროში მოხვედრის გარეშე ვერც კრიმინალური სუბკულტურის სრულფასოვანი წევრები გახდებიან.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტების ინფორმაციით, კრიმინალური სუბკულტურის გავლენები პენიტენციურ დაწესებულებებში (მათ შორის, არასრულწლოვანთა დაწესებულებებში) იმატებს. კრიმინალური სუბკულტურის შენარჩუნებას ხელს უწყობს, ასევე, დახურული ინსტიტუცია და პატიმრებისა და მათი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მოწყვლადობა.

ნებისმიერმა მოზარდმა, იმის მიუხედავად, იზიარებს თუ არა კრიმინალური მენტალიტეტის წესებს, საპატიმროში ყოფნისას აუცილებელია აღიაროს კრიმინალური ავტორიტეტების მიერ დადგენილი წესები. ადმინისტრაცია, ძირითადად, ირჩევს ჩაურევლობის პოზიციას, რაც ახალისებს საპატიმროებში კრიმინალური მენტალიტეტის დომინაციას და კრიმინალური ქმედებების რაოდენობის ზრდას.

სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

მართლმსაჯულების და არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს შეფასება

კვლევაში მონაწილე რესპონდენტები (განსაკუთრებით მოსამართლეები, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები და ექსპერტები) დადებითად აფასებენ არსებულ კანონმდებლობას. კერძოდ, 2016 წელს მიღებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს, რომელიც რესპონდენტების მიერ შეფასდა პროგრესულ კანონად.

თუმცა, რესპონდენტებმა ისაუბრეს არსებული ხარვეზების შესახებაც, რომლებიც მათი აზრით, გამოსასწორებელია. კერძოდ, მოსამართლეებისთვის არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებაში ბავშვების მდგომარეობის შესახებ, რაც დაუშვებელია.

ასევე, ექსპერტები, რომლებიც იურიდიულ მომსახურებას უწევენ არასრულწლოვნებს, აღნიშნავენ, რომ მთავარ პრობლემას წარმოადგენს მოზარდების მხრიდან მართლმსაჯულების სისტემის მიმართ უნდობლობა, სოციალური მუშაკის ხშირი ცვლილება, ჩართული აქტორების (მოსამართლე, პროკურორი და ა.შ.) ბავშვთან ურთიერთობის გამოცდილების არქონა და ა.შ.

ექსპერტები დადებითად აფასებენ პრობაციის სისტემაში ბავშვის საჭიროებების შეფასების სისტემის არსებობას. თუმცა, სისტემა 10-12 მუნიციპალიტეტში მოქმედებს და შესაბამისად, დანარჩენი მუნიციპალიტეტების ბავშვები ყურადღების მიღმა რჩებიან. აგრეთვე, ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ სპეციალისტების სიმცირეზე რეგიონებში, როგორებიცაა, მაგალითად, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები. შესაბამისად, მოზარდებს არასრულფასოვნად, ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში, საერთოდ არ მიეწოდებათ ფსიქო-სოციალური, სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო სერვისები.

რაც შეეხება სასამართლო პროცესზე ბავშვების უფლებრივ მდგომარეობას, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ არასრულწლოვნებისთვის სტრესულია დაზარალებულის სტატუსით მოწმის სახით როცა იკითხებიან. ამიტომ, მნიშვნელოვანია ისეთი სისტემის შექმნა, სადაც ბავშვები მაქსიმალურად კომფორტულ გარემოში მისცემენ ჩვენებას. მოსამართლეების შეფასებით, მზრუნველობამოკლებული ბავშვების საპროცესო წარმომადგენლის ჩართულობა უმეტეს შემთხვევაში არის ფორმალური, რაც გამოსასწორებელია.

მოსამართლეებთან ჩატარებულ ინტერვიუებში გამოიკვეთა მოსაზრება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით განსაზღვრული სანქციების გადახედვის საჭიროების შესახებ. მათი შეფასებით, მოქმედი სანქციები ნაკლებად ეფექტიანია და უმჯობესია, მეტი ყურადღება გამახვილდეს დანაშაულის ჩადენის მიზეზებზე. მოსამართლეები დადებითად აფასებენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდგომ შინაპატიმრობის აქტიურად გამოყენებას. რესპონდენტების აზრით, ისეთი პრევენციული პროგრამების ამოქმედებაა საჭირო, რომლებიც არასრულწლოვანს სასჯელის მოხდის შემდეგ დაეხმარება დაბრკოლებების გარეშე ცხოვრების გაგრძელებაში. კერძოდ, განათლების მიღებასა და დასაქმებაში.

ხარისხობრივი კვლევის შედეგები

1. კრიმინალური სუბკულტურების შესახებ ინფორმირებულობა

კვლევის **„კრიმინალური მენტალიტეტისა და საზოგადოებაზე მისი გავლენის შესწავლა“** ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის საწყის ეტაპზე გაირკვა, თუ რა ცოდნას ფლობს მოსახლეობა კრიმინალური სუბკულტურების შესახებ და როგორია მათი ინფორმირებულობის დონე აღნიშნულ ფენომენთან მიმართებით.

გამოკითხული მოსახლეობის მეოთხედზე მეტი ნაწილისთვის კრიმინალური სუბკულტურა მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულების (ქურდობა, ყაჩაღობა, მკვლელობა და ა.შ.) ჩადენასთან ასოცირდება, 23.3% კი თვლის, რომ ნებისმიერი კანონდარღვევის განხორციელების შემდეგ ადამიანი კრიმინალური სუბკულტურის წევრად იდენტიფიცირდება.

გარდა აღნიშნულისა, საზოგადოებაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ასეთი სუბკულტურის არსებობისთვის უპირატესი განმსაზღვრელი არის კრიმინალური ფასეულობების აღიარება და გაზიარება და არა, კონკრეტულად, კანონდარღვევის ტიპი და სიმძიმე (14.5%). საგულისხმოა, რომ ეს უკანასკნელი დებულება სწორად/ ჭეშმარიტად ასახავს კრიმინალური სუბკულტურის რეალურ დეფინიციას და მის საკვანძო მნიშვნელობას, თუმცა, ფაქტია, რომ ჭეშმარიტი მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების მცირე ნაწილი ფლობს ინფორმაციას. რაც შეეხება წარმოდგენას, რომ კრიმინალურ სუბკულტურაში მხოლოდ ე.წ. „კანონიერი ქურდები“ და კანონიერი ქურდობის გზაზე შემდგარი ადამიანები მოიაზრება - რესპონდენტთა მხოლოდ 12.1%-ის მიერ არის გაზიარებული (იხ. დიაგრამა #).

დიაგრამა #1.1



სქესის ჭრილში საკითხის გაანალიზება აჩვენებს, რომ ქალების თანაბარი რაოდენობისთვის კრიმინალური სუბკულტურის ქვეშ ორი ძირითადი დაშვება მოიაზრება: 1. ნებისმიერი კანონდარღვევის ჩადენა ადამიანს კრიმინალური სუბკულტურის წევრად აქცევს (27%); 2. ადამიანი კრიმინალური სუბკულტურის წევრი ხდება მხოლოდ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში (27.3%). ამისგან განსხვავებით, მამრობითი სქესის წარმომადგენელ იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება კრიმინალური სუბკულტურის წევრობის წინაპირობაა გამოკითხულთა მეხუთედზე ნაკლებია(19%),ხოლოისეთკაცთაწილიკვლევაში,რომლებიცაცხადებენ,რომჯგუფისადმი დადასტურებული მიკუთვნებულობისთვის სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის ჩადენაა საჭირო 30%-ს უტოლდება. აღსანიშნია, რომ ქალი და კაცი რესპონდენტების პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც ფიქრობენ, რომ **„კრიმინალური სუბკულტურა გარკვეული კრიმინალური ფასეულობების აღიარებას, გაზიარებას გულისხმობს და კანონდარღვევას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა“** (ჭეშმარიტი დებულება), ორივე სამიზნე ჯგუფის შემთხვევაში არც თუ ისე მაღალია: ქალები - 12.8%; კაცები - 16.5%; აქვე, საინტერესოა ისიც, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს (22.9%) უფრო მეტად გაუჭირდათ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ვიდრე მამაკაცებს (17.9%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=144.696$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #1.2).

დიაგრამა #1.2



ასაკობრივი ჯგუფების მიხედვთ გადანაწილებული მონაცემების გათვალისწინებით, თითოეული ასაკობრივი კატეგორიის, გარდა 15-17 წლის სეგმენტისა (23.5%), წარმომადგენელი რესპონდენტების დიდი ნაწილის აზრით - კრიმინალური სუბკულტურის წევრი ადამიანი ხდება მხოლოდ სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში (ქურდობა, ყაჩაღობა, მკვლელობა და ა.შ.) (18-29 წლის - 30.8%; 30-54 წლის - 27.2%; 55-64 წლის - 28%; 65+ წლის - 31.7%); მაშინ, როდესაც მოზარდთაგან ყველაზე მეტის - 25.9%-ის შეფასებით, ნებისმიერი კანონდარღვევის ჩადენა ადამიანს კრიმინალური სუბკულტურის წევრად აქცევს. აღსანიშნია, რომ მართებულ განსაზღვრებას იმის შესახებ, თუ რა იგულისხმება კრიმინალური სუბკულტურის ქვეშ უფრო მეტად 18-29 წლის (16.5%) და 30-54 წლის (15.8%) რესპონდენტები აფიქსირებენ ვიდრე მოზარდები (9.4%), 55-64 (12.5%) და 65+ (12.2%) ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები **("კრიმინალური სუბკულტურა გულისხმობს გარკვეული კრიმინალური ფასეულობების აღიარებას, გაზიარებას და კანონდარღვევას არ აქვს მნიშვნელობა").** აღნიშნულ საკითხთან მიმართებით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება უფრო მეტად 15-17 წლის (31.8%) და 65 წლის ან მეტი ასაკის (29%) რესპონდენტებს გაუჭირდათ. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=54.874$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #1.3).

დიაგრამა #1.3



როგორც თბილისის, ასევე, სხვა ქალაქებისა და სოფლების მაცხოვრებლების ყველაზე დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ კრიმინალური სუბკულტურის წევრობას სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის ჩადენა განაპირობებს, იქნება ეს მკვლელობა, ყაჩაღობა თუ სხვა (ასეთთა რაოდენობა 26%-30% შორის მერყეობს). მეორე დომინანტურ მოსაზრებად კი დაფიქსირდა, რომ ნებისმიერი სამართალდარღვევა ადამიანს კრიმინალური სუბკულტურის წევრად აქცევს (თბილისი - 21.7%; სხვა ქალაქები - 24.9%; სოფელი - 23.4%). მართებულ ფაქტს, რომ კრიმინალური სუბკულტურა გარკვეული კრიმინალური ღირებულებების აღიარებას, გაზიარებას გულისხმობს და კანონდარღვევას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს - თბილისში გამოკითხულთა მეხუთედზე მეტი აფიქსირებს, მაშინ როდესაც ასეთთა წილი სხვა ქალაქებში 11.3%-ს, სოფლებში კი 11.4%-ს არ აღემატება. ისეთ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები, რომელთაც საკუთარი მოსაზრების გამოხატვა გაუჭირდათ დედაქალაქსა და სოფლებში გამოკითხულთა მეხუთედს აჭარბებს, სხვა ქალაქებში კი 17.7%-ის ტოლია (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=55.100$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #1.4).

დიაგრამა#1.4



გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში საკითხის დამუშავების თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილის (23.4%) გადმოსახედიდან ნებისმიერი კანონდარღვევის ჩადენის შემდეგ, ადამიანს კრიმინალური სუბკულტურის წევრის სტატუსი მიეწერება. დასავლეთ საქართველოში გამოკითხული მოსახლეობის ყველაზე დიდ ნაწილს კი მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის ჩადენის გარეშე ადამიანი კრიმინალური სუბკულტურის წევრი ვერ გახდება (38.5%). იმის შესახებ, თუ რა შინაარსობრივი მნიშვნელობის მატარებელია „კრიმინალური სუბკულტურა“ - მართებულ განსაზღვრებას აღმოსავლეთში გამოკითხულთა უფრო დიდი ნაწილი - 16.2% ემხრობა ვიდრე დასავლეთში - 6.7%. საინტერესოა ისიც, რომ დასავლეთის რეგიონებში გამოკითხულთა 15.7%-სთვის კრიმინალური სუბკულტურა ისეთ ჯგუფებთან ასოცირდება, რომლებიც კანონიერი ქურდებისგან და/ან კანონიერი ქურდობის გზაზე შემდგარ პიროვნებებისგან არის დაკომპლექტებული. ამავე დეფინიციას ემხრობა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის 10.3%. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=144.696$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #1.5).

დიაგრამა#1.5



ვინაიდან, რესპონდენტებს, შესაძლოა, არ სცოდნოდათ ტერმინის „კრიმინალური სუბკულტურა“ ზუსტი განსაზღვრება, მეტი სიცხადისთვის, გამოკითხვის მიმდინარეობისას მათ განემარტათ[1], თუ რას გულისხმობს აღნიშნული და რა ძირითადი ასპექტები ერთიანდება მასში. დეფინიციის მოსმენის/გააზრების შემდეგ,

კვლევაში მონაწილე პირებმა 5 ქულიან სკალაზე, რომელზეც ქულა 1 რადიკალურად ნეგატიურ (საერთოდ არ ვარ ინფორმირებული), ქულა 5 კი უკიდურესად დადებით (ძალზე ინფორმირებული) პოზიციებს გამოხატავდა,
შეაფასეს, თუ როგორია საქართველოში არსებული კრიმინალური სუბკულტურების შესახებ მათი ინფორმირებულობის დონე. როგორც აღმოჩნდა, ყოველი მეორე რესპონდენტი (ჯამში) ან საერთოდ არ არის ინფორმირებული (21.8%), ან უფრო არაინფორმირებულია (29.5%).

რაც შეეხება ინფორმირებული მოსახლეობის წილს კვლევაში ჯამში 18.7%-ს არ აღემატება („უფრო ინფორმირებული ვიდრე არაინფორმირებული/ძალზე ინფორმირებული“) (იხ. დიაგრამა #1.6).

დიაგრამა #1.6



1. *„კრიმინალურ სუბკულტურებს ახასიათებთ პრაქტიკული მიზნებისთვის განხორციელებული დანაშაულები, როგორებიცაა, მაგალითად, ქურდობა, ყაჩაღობა, მკვლელობა. ეს სუბკულტურები, ძირითადად, ვითარდება ისეთ გარემოში, სადაც დანაშაულის გავრცელების ხარისხი მაღალია. კრიმინალურ სუბკულტურებს აყალიბებს უკვე არსებული კრიმინალური გამოცდილება, სადაც მატერიალური და სოციალური წარმატების მოპოვების ერთ-ერთი გზა კრიმინალურ ქმედებაზე გადის. ამ გზის წარმატებით გავლა კი გამოცდილ კრიმინალებთან დაახლოებითა და მათი წესების აღიარებით არის შესაძლებელი. ამრიგად, კრიმინალური სუბკულტურა გულისხმობს*

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ქალი რესპონდენტების უმრავლესობა, კრიმინალური სუბკულტურის შესახებ საკუთარი ინფორმირებულობის დონეს შეფასების ნეგატიურ ველში ათავსებს („საერთოდ არ ვარ ინფორმირებული“/“უფრო არ ვარ ინფორმირებული ვიდრე კი“ – 57%). მამაკაცებს შორის ასეთთა წილი 45%-ს უტოლდება. ამ უკანასკნელთა შემთხვევაში ძალზე ან უფრო მეტად ინფორმირებულთა რაოდენობა 21.4%-ს შეადგენს, რასაც 5%-ით ჩამოუვარდება ანალოგიური განწყობის მქონე მდედრობითი სქესის წარმომადგენელი რესპონდენტების წილი. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=40.938$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #1.7).

დიაგრამა #1.7



ასაკის ჭრილში საკითხის გაანალიზებით ვლინდება, რომ კრიმინალური სუბკულტურის შესახებ ინფორმირებულობის მაჩვენებლები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განსხვავებულია. კერძოდ, არაინფორმირებულთა შორის ყველაზე მაღალი პროცენტული წილით მოზარდები (65.1%) და 65 წლის და მეტი ასაკის (62.3%) რესპონდენტები არიან წარმოდგენილნი. ამასთან, 15-17 წლის ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელთა მხოლოდ 11.6% აიდენტიფიცირებს საკუთარ თავს ძალზე ან უფრო მეტად ინფორმირებულად, მაშინ როდესაც ასეთთა წილი უფროსი ასაკის რესპონდენტთა სეგმენტებში შედარებით მაღალია: 18-29 წლის – 19.7%; 30-54 წლის - 19.1%; 55-64 წლის - 22.7%; 65+ წლის - 14.2%; (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=60.673$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #1.8).

დიაგრამა #1.8



რესპონდენტების ინფორმირებულობის დონე განსხვავებულია მათი დასახლების ტიპის მიხედვით. მაგალითად, გამოკითხულთა შორის სოფლის (55.1%) და ქალაქის (თბილისის გარდა) (54.1%) მოსახლეობის უმრავლესობა კრიმინალური სუბკულტურების შესახებ საკუთარი ინფორმირებულობის დონის შესაფასებლად სკალის ნეგატიურ ნიშნულებს იყენებს, მაშინ როდესაც თბილისში გამოკითხულთა შორის ანალოგიური განწყობა რესპონდენტთა 44.2%-ს აქვს. საკითხთან მიმართებით ძალზე ან უფრო მეტად ინფორმირებულთა შორის შედარებით მაღალია თბილისის (20.4%) და სხვა ქალაქების (19.5%) მოსახლეობის რაოდენობა. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=37.535$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #1.9).

დიაგრამა #1.9



გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში საკითხის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნაწილის მოსახლეობის უმრავლესობა (თითქმის თანაბარი რაოდენობა) არაინფორმირებული ან ნაკლებად ინფორმირებულია. კრიმინალური სუბკულტურების შესახებ საკუთარი ცოდნის დონის შესაფასებლად სკალის ნეიტრალურ ნიშნულს იყენებს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის 30.7%, მაშინ როდესაც ასეთთა რაოდენობა აღმოსავლეთში 22%-ს არ აღემატება.ამუკანაკნელთაშემთხვევაშიგამოკითხულთამეხუთედიინფორმირებულობაზე (ძალზე/უფრო მეტად) მიუთითებს, დასავლეთში კი მსგავს თვითშეფასებას მხოლოდ 15.9% გამოხატავს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=37.535$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #1.10).

დიაგრამა #1.10



რესპონდენტებისთვის, რომლებიც კრიმინალური სუბკულტურების საკვანძო მახასიათებლების შესახებ მინიმალურ ცოდნას მაინც ფლობენ, ინფორმაციის მიღების დომინანტური წყაროები ტელევიზია (35.4%) და სოციალური ქსელები (Facebook, Twitter, ინსტაგრამი, ტიკ-ტოკი, სხვ. – 29.1%) აღმოჩნდა. ასეთად ნაცნობები/მეგობრები/ოჯახის წევრები მხოლოდ 16.6%-მა დაასახელა, ხოლო უბანი/სამეზობლო 11.4%-მა (იხ. დიაგრამა #1.11).

დიაგრამა #1.11



კრიმინალური სუბკულტურების შესახებ ინფორმაციის მიღების დომინანტური წყაროები, როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი სქესის წარმომადგენლებისთვის ტელევიზია და სოციალური ქსელები აღმოჩნდა. ამასთან, მამაკაცების ჯგუფში საკითხის შესახებ ცოდნის მიღება უფრო ტენდენციური ნაცნობებისგან, ოჯახის წევრებისგან/ მეგობრებისგან (კაცები - 19.5%; ქალები - 13.8%) და უბანი/სამეზობლოსგან (კაცები - 14.7%; ქალები - 8.2%) აღმოჩნდა. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=110.347$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #1.12).

დიაგრამა #1.12



ასაკის ჭრილში საკითხის დამუშავება ცხადყოფს, რომ მოზარდები კრიმინალური სუბკულტურების შესახებ ინფორმაციას ყველაზე მეტად სოციალური ქსელებიდან იღებენ (42.5%), მაშინ როდესაც 55-64 წლის (47.5%) და 65 წლის ან უფროსი ასაკის (49.9%) მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ყველაზე მოსახერხებელი საინფორმაციო რესურსი ტელევიზია აღმოჩნდა. 30-54 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში შემავალ რესპონდენტთა შორის სულ მცირე ყოველი მესამე ტელევიზიას (35%) და სოციალურ ქსელებს (33.3%) ასახელებს. ეს უკანასკნელი აღმოჩნდა დომინანტური ახალგაზრდებისთვისაც (18-29 წლის - 36.6%). ნაცნობებისგან/მეგობრებისგან/ოჯახის წევრებისგან ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით 18-29 (20%) და 65+ წლის (20.4%) რესპონდენტები გამოირჩევიან, ხოლო მათი წილი, რომლებმაც ასეთ წყაროდ უბანი/სამეზობლო დაასახელეს თითოეული ასაკობრივი კატეგორიის შემთხვევაში 9.7%-14.9%-ს შორის მერყეობს. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=480.023$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #1.1). ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, მიუთითეთ კრიმინალური სუბკულტურების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები?

ცხრილი #1.1

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, მიუთითეთ კრიმინალური სუბკულტურების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები? (ასაკის ჭრილში)	15-17 წლის (N=382)	18-29 წლის (N=388)	30-54 წლის (N=397)	55-64 წლის (N=741)	65+ წლის (N=260)
	%				
ტელევიზია	23	22.5	35	47.5	45.8
რადიო	-	0.1	-	0.9	0.7
ბეჭდური მედია	0.2	0.5	0.8	1.3	1.5
სოციალური ქსელები (Facebook, Twitter, ინსტაგრამი, ტიკ-ტოკი, სხვ.)	42.5	36.6	33.3	15.2	20.3
საინფორმაციო არხების ონლაინ გამოცემები	4.4	5.1	2.9	1.8	2.1
ოფიციალური პირების მიერ გაკეთებული განცხადებები	2.2	2.5	2.7	2.4	2.5
ნაცნობები / მეგობრები / ოჯახის წევრები	17.4	20	14.5	17.1	14.6
უბანი, სამეზობლო	9.7	12.1	10.1	13.1	11.7
სხვა	0.2	0.1	0.6	0.3	0.4
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	0.3	0.5	-	0.4	0.3

კრიმინალური სუბკულტურის შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროები, როგორცთბილისის, ასევე, სხვა ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობისთვის ტელევიზია და სოციალური ქსელები აღმოჩნდა. თუმცა, მაშინ როდესაც თბილისსა და სხვა ქალაქებში მოსახლეობის თითქმის თანაბარი რაოდენობა იყენებს დასახელებულ წყაროებს, სოფლებში ტელევიზიის მეშვეობით ინფორმაციის მიღებაზე 40.6% მიუთითებს (თბილისი - 30%; სხვა ქალაქები - 35.3%;), ხოლო სოციალური ქსელებზე 25.9% (თბილისი - 28.2%; სხვა ქალაქები - 34.7%;). აქვე, საინტერესოა, რომ ნაცნობები/ოჯახის წევრები/ მეგობრები, როგორც კრიმინალური სუბკულტურის შესახებ ინფორმაციის მიღების წყარო - ყველაზე აქტუალური თბილისის მაცხოვრებლებისთვის აღმოჩნდა (თბილისი - 19.1%; სხვა ქალაქები - 13.6%; სოფელი - 16.4%;). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=133.343$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #1.13).

დიაგრამა #1.13



გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დონეზე რაოდენობრივი მონაცემების გადანაწილება აჩვენებს, რომ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა კრიმინალური სუბკულტურების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ძირითადად ტელევიზიასა და სოციალურ ქსელებს იყენებს, თუმცა, საგულისხმოა, რომ ასეთთა წილი, ორივე წყაროს შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოში უფრო მაღალია:

- დასავლეთ საქართველო: ტელევიზია - 41.4%; სოციალური ქსელები - 32.5%;
- აღმოსავლეთ საქართველო: ტელევიზია - 35.2%; სოციალური ქსელები - 26.5%;

ნაცნობებისგან/ოჯახის წევრებისგან/მეგობრებისგან (17.2%) და უბნის/სამეზობლოსგან (12.7%) ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობებს უპირატესობას უფრო მეტად აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ანიჭებს, ვიდრე დასავლეთის. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=141.976$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #1.14).

დიაგრამა #1.14



2. საცხოვრებელი გარემოს შეფასება

გამოკითხვის ფარგლებში, რესპონდენტებმა განსაზღვრეს, თუ როგორია კრიმინალის დონე მათ საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში. კვლევის შედეგად მიღებულ რაოდენობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ისეთთა წილი, რომლებიც კრიმინალის დონეს, როგორც ძალიან მაღალს ან მეტ-ნაკლებად მაღალს აიდენტიფიცირებენ, ჯამში 27.4%-ს უტოლდება. თუმცა, გამოკითხულთა უფრო დიდი ნაწილი საპირისპირო შეფასებას ავლენს და აცხადებს, რომ კრიმინალის დონე ძალიან დაბალი (25.4%) ან მეტ-ნაკლებად დაბალია (35.8%). კვლევაში მონაწილე პირთაგან მხოლოდ 7% აღნიშნავს, რომ მათ საცხოვრებელ გარემოში კრიმინალური ქმედებები საერთოდ არ ხდება (იხ. დიაგრამა #).

დიაგრამა #2.1



რესპონდენტთა ასაკის დონეზე საკითხის გაანალიზება აჩვენებს, რომ საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში კრიმინალის მაჩვენებელს ხაზს ყველაზე მეტად 18-29 და 30-54 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები უსვამენ, რასაც საგრძნობლად ჩამორჩება ანალოგიური განწყობის მქონე მოზარდებისა და ახალგაზრდების წილი („ძალიან მაღალი“/“მეტ-ნაკლებად მაღალი“: 15-17 წლის - 22.4%; 18-29 წლის - 32.3%; 30-54 წლის - 29.8%; 55-64 წლის - 24.7%; 65+ წლის - 19.1%;). რაც შეეხება იმ რესპონდენტთა გადანაწილებას, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ საცხოვრებელ გარემოში კრიმინალის დონე „ძალიან დაბალია“/“მეტ-ნაკლებად დაბალია“, სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ ხუთივე ასაკობრივი სეგმენტის წარმომადგენელთაგან უმრავლესობის შეფასებით არასახარბიელო კრიმინოგენული მდგომარეობა არ ფიქსირდება (15-17 წლის - 63.5%; 18-29 წლის - 57%; 30-54 წლის - 60.6%; 55-64 წლის - 61.9%; 65+ წლის - 67%). აღსანიშნია ისიც, რომ ისეთ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები, რომელთა დაკვირვებით მათ საცხოვრებელ გარემოში კრიმინალური ქმედება საერთოდ არ ხდება, თითოეული ჯგუფის შემთხვევაში 9%-ს არ აღემატება. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=51.103$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.2).

დიაგრამა #2.2



საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში კრიმინალის დონის შეფასება ცხადყოფს, რომ განსაკუთრებით მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობა თბილისში ფიქსირდება. კერძოდ, დედაქალაქში გამოკითხულთა 42% აცხადებს, რომ კრიმინალის დონე „ძალიან მაღალია“/“მეტ-ნაკლებად მაღალია“, მაშინ როდესაც ასეთთა წილი სხვა ქალაქებში 29.6%-ს უტოლდება, რურალური ტიპის დასახლებებში კი 14.6%-ს. მათ შორის, რომლებმაც აღნიშნეს, რომ კანონდარღვევები საერთოდ არ ფიქსირდება, გამორჩეულია სოფლის მოსახლეობის წილი (15.8%). ანალოგიური შეფასება თბილისსა და სხვა ქალაქებში 2%-ზე დაბალია. რაც შეეხება შეფასების სკალის დადებითი ნიშნულების გამოყენების მაჩვენებელს („ძალიან დაბალია“/“მეტ-ნაკლებად დაბალია“), რაოდენობრივი მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა: თბილისი - 54.3%; სხვა ქალაქები - 63%; სოფელი - 65.2%; (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=272.665$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.3).

დიაგრამა #2.3



გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით კრიმინალის „ძალიან მაღალ“/“მეტ-ნაკლებად მაღალ“ დონეზე უფრო მეტად აღმოსავლეთ საქართველოში მიუთითებენ (26.1%) ვიდრე დასავლეთში (15.6%). ამასთან, დასავლეთ საქართველოში გამოკითხულთა 15.9% აცხადებს, რომ მათ საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში კრიმინალური ქმედებები საერთოდ არ ფიქსირდება. ორივე გეოგრაფიულ სივრცეში თითქმის თანაბარია ისეთთა წილი, რომლებიც კრიმინალის „ძალიან დაბალ“/“მეტ-ნაკლებად დაბალ“ დონეზე მიუთითებენ (აღმოსავლეთ საქართველო - 65.2%; დასავლეთ საქართველო - 63.4%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=249.096$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.4).

დიაგრამა #2.4



რაც შეეხება, ბოლო 2 წლის განმავლობაში, კრიმინოგენული მდგომარეობის ცვლილების ტენდენციებს, გამოკითხულთა 47.6%-ის დაკვირვებით ამ კუთხით მათ საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში არაფერი შეცვლილა. მსგავსი ნეგატიური ფაქტების/ ხდომილებების ზრდის დინამიკაზე მიუთითებს რესპონდენტთა 15.6%, ხოლო კრიმინალის დონის შემცირების პროცესს ხაზი გაუსვა გამოკითხული მოსახლეობის 21%-მა (ძალზე შემცირდა - 15%; მეტ-ნაკლებად შემცირდა - 16%) (იხ. დიაგრამა #2.5).

დიაგრამა #2.5



რესპონდენტთა სქესის ჭრილში, მათ საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში, ბოლო 2 წლის განმავლობაში კრიმინალის დონის ცვლილების დინამიკის შეფასება აჩვენებს, რომ მამრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო მეტად უსვამენ ხაზს კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესებას (18.3%), ვიდრე ქალები (12.7%) (კრიმინალის დონე „ძალიან გაიზარდა"/"მეტ-ნაკლებად გაიზარდა"). ამასთან, ყოველი მესამე ქალი (35.1%) რესპონდენტი დასძენს, რომ კრიმინალის დონე „ძალზე შემცირდა"/"მეტ-ნაკლებად შემცირდა", ანალოგიურ შეფასებას აფიქსირებს კაცების 27.6%. რაც შეეხება ისეთ რესპონდენტთა გადანაწილებას, რომლებიც აცხადებენ, რომ კრიმინალის დონე ბოლო 2 წლის განმავლობაში საერთოდ არ შეცვლილა, 48.1% მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო 46.9% მდედრობითის (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=22.368$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.6).

დიაგრამა #2.6



გარდა ზემოთ თქმულისა, კრიმინალის დონის ზრდაზე მიუთითებს 30-54 წლის რესპონდენტთა თითქმის მეხუთედი ნაწილი და 18-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა 17.3%. ანალოგიური შეფასება დააფიქსირა მოზარდთა (8.2%) და 65+ ასაკის (7.9%) რესპონდენტთა თითქმის თანაბარმა რაოდენობამ, 55-64 წლის მოსახლეობის შემთხვევაში კი 14.3%-ს გაუტოლდა. მათ შორის, რომლებიც ფიქრობენ, რომ კრიმინოგენული კუთხით, ბოლო 2 წლის განმავლობაში მათ საცხოვრებელ გარემოში არაფერი შეცვლილა, შედარებით დაბალია მოზარდთა წილი (38.8%). ამასთან, ამ უკანასკნელთა 38.8% კრიმინალის დონის „ძალზე შემცირებაზე"/"მეტ-ნაკლებად შემცირებაზე" მიუთითებს, რასაც მცირედით ჩამორჩება იგივე განწყობის მქონე 65+ წლის ასაკის ადამიანთა წილი (37.6%) (18.29 წლის - 27.8%; 30-54 წლის - 28.7%; 55-64 წლის - 33.3%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=69.442$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #2.1).

ცხრილი #2.1

თქვენი შეფასებით, ბოლო 2 წლის განმავლობაში თქვენს საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში როგორ შეიცვალა კრიმინალის დონე? **(ასაკის ჭრილში)**	15-17 წლის (N=382)	18-29 წლის (N=388)	30-54 წლის (N=397)	55-64 წლის (N=381)	65+ წლის (N=360)
	%				
ძალზე შემცირდა	18.8	14.5	11.3	17.8	21.8
მეტ-ნაკლებად შემცირდა	20	13.3	17.4	15.6	15.8
საერთოდ არ შეცვლილა	38.8	49.3	48.2	46.7	47.2
მეტ-ნაკლებად გაიზარდა	7.1	15.8	16.6	13.1	6.6
ძალიან გაიზარდა	1.2	1.5	2.4	1.2	1.3
უარი პასუხზე	-	0.3	0.5	-	1
არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	14.1	5.5	3.6	5.6	6.3

დედაქალაქში გამოკითხული მოსახლეობის მეოთხედზე მეტის შეფასებით, მათ საცხოვრებელ გარემოში ბოლო ორი წლის განმავლობაში კრიმინალის დონე გაიზარდა („ძალიან გაიზარდა“/“მეტ-ნაკლებად გაიზარდა“ – 26.2%). ასეთივე განწყობა სხვა ქალაქებისა (15.3%) და სოფლების (7.7%) მაცხოვრებლებს შორის შედარებით დაბალია. რურალურ და ურბანულ (თბილისის გარდა) დასახლებებში გამოკითხულთაგან ყოველ მესამე რესპონდენტზე მეტი კრიმინალის დონის შემცირებაზე საუბრობს (თბილისი - 16.5%). მათ შორის, რომლებმაც ამ კუთხით ნულოვან ცვლილებაზე მიუთითეს თვალსაჩინოდ მაღალია თბილისის მოსახლეობის წილი (52.4%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=168.063$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.7).

დიაგრამა #2.7



აღმოსავლეთ საქართველოში (14.7%), დასავლეთთან შედარებით (2.7%), ორჯერ მაღალია ისეთ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც აცხადებენ, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში მათ საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში კრიმინალის დონე ძალიან ან მეტ-ნაკლებად გაიზარდა. ასევე, დასავლეთ საქართველოში რესპონდენტთა უმრავლესობა აცხადებს რომ კრიმინოგენული სიტუაცია არ შეცვლილა, აღმოსავლეთში კი ასეთთა რაოდენობა 35.1%-ს არ აღემატება. იმ რესპონდენტთა პროცენტულ მაჩვენებლებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ კრიმინალის დონე „ძალზე შემცირდა“/“მეტ-ნაკლებად შემცირდა“ - 45.4% აღმოსავლეთ საქართველოს მაცხოვრებელია, ხოლო 30.4% დასავლეთის (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=222.913$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.8).

დიაგრამა #2.8



რესპონდენტებმა შეაფასეს, თუ **რამდენად აქტიურად ან პასიურად არის პოლიცია ჩართული მათ საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში მართლსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილებაში.** სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, გამოკითხულთაგან 24% მიიჩნევს, რომ აღნიშნული უწყების მონაწილეობა კანონდარღვევების პრევენციის კუთხით პასიურია („თითქმის არ არის ჩართული“/“უფრო პასიურად არის ჩართული ვიდრე აქტიურად“), რასაც დაახლოებით 2.5-ჯერ აღემატება საპირისპირო განწყობის მქონე რესპონდენტთა წილი („ძალზე აქტიურად არის ჩართული“/“უფრო აქტიურად არის ჩართული ვიდრე პასიურად“ - 65.3%) (იხ. დიაგრამა #2.9).

დიაგრამა #2.9



მართლსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების პროცესში პოლიციის ჩართულობის/მონაწილეობის ინტენსივობის შეფასების თვალსაზრისით მსგავსია მოზარდების, ახალგაზრდების და 55-64 წლის ისეთი რესპონდენტების პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სამართალდამცავი ორგანო „თითქმის არ არის ჩართული"/"უფრო პასიურად არის ჩართული ვიდრე აქტიურად" (თითოეული ჯგუფისთვის გამოკითხულთა დაახლოებით მეხუთედს შეადგენს), რასაც რამდენადმე აღემატება ანალოგიური განწყობის მქონე 30-54 წლის რესპონდენტების წილი (28.1%) და მცირედით ჩამორჩება 65+ წლოვანების რესპოდენტთა რაოდენობა (19.2%). აქვე საინტერესოა, რომ ხუთივე სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელთა გამოკვეთილი უმრავლესობა პოლიციის ჩართულობას „ძალზე აქტიურად"/"უფრო აქტიურად ვიდრე პასიურად" აფასებს. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=36.119$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.10).

დიაგრამა #2.10



კანონდარღვევების პრევენციისკენ მიმართული ინტერვენციების განხორციელების პროცესში პოლიციის ჩართულობის დაბალ ინტენსივობაზე მიუთითებს თბილისის მოსახლეობის საკმაოდ მაღალი ნაწილი (39.3%), რასაც სულ მცირე ორჯერ ჩამორჩება ანალოგიური პოზიციის მქონე რესპონდენტთა წილი სხვა ქალაქებსა (17.6%) და სოფლებში (16.5%). საგულისხმოა, რომ ურბანული (თბილისის გარდა) და რურალური დასახლებების წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობა პოლიციის მონაწილეობას „ძალზე აქტიურად"/"უფრო აქტიურად ვიდრე პასიურად" აფასებს, მაშინ როდესაც ასეთთა წილი თბილისის მოსახლეობას შორის 43.3%-ია. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=210.378$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.11).

დიაგრამა #2.11



გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში საკითხის დამუშავება ცხადყოფს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა უფრო მეტად განიცდის იმედგაცრუებას პოლიციის საქმიანობის ეფექტიანობის თვალსაზრისით ვიდრე დასავლეთის. კერძოდ, აღმოსავლეთში გამოკითხულთა მეხუთედს მიაჩნია, რომ პოლიცია „თითქმის არ არის ჩართული, უფრო პასიურად არის ჩართული ვიდრე აქტიურად“ მართლსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების პროცესში, მაშინ როდესაც ასეთთა წილი დასავლეთ საქართველოში გამოკითხულთა შორის 13.9%-ია. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის 79.6% პოლიციის მონაწილეობას აფასებს, როგორც ძალზე აქტიურს ან უფრო აქტიურს ვიდრე პასიურს (აღმოსავლეთი - 70.8%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=239.292$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.12).

დიაგრამა #2.12



რესპონდენტებმა, რომლებმაც პოლიციის თითქმის ნულოვან ან პასიურ ჩართულობას გაუსვეს ხაზი, დაასახელეს ამგვარი **მიდგომის/დამოკიდებულებების გამომწვევი ფაქტორები.** დასახელებულ მიზეზებს შორის გამოიკვეთა: ადამიანური რესურსის ნაკლებობა (14.6%), არაკვალიფიციური კადრები პოლიციაში (14.5%) და ქვეყანაში არსებული შერჩევითი მართლმსაჯულება (15.4%). დაახლოებით ორჯერ ნაკლები რესპონდენტი ფიქრობს, რომ პოლიციის ჩართულობის დაბალი დონე პოლიციაზე კრიმინალური სუბკულტურების გავლენით (8.8%), საახლობლო გარემოში

რესპონდენტებმა, დასახელებულ მიზეზებს შორის გამოიკვეთა: ადამიანური რესურსის ნაკლებობა (14.6%), არაკვალიფიციური კადრები პოლიციაში (14.5%) და ქვეყანაში არსებული შერჩევითი მართლმსაჯულება (15.4%). დაახლოებით ორჯერ ნაკლები რესპონდენტი ფიქრობს, რომ პოლიციის ჩართულობის დაბალი დონე პოლიციაზე კრიმინალური სუბკულტურების გავლენით (8.8%), საახლობლო გარემოში კრიმინალური სუბკულტურის წევრის ყოლით (8.1%) ან აღნიშნულ დანაშაულებრივ ჯგუფებთან პოლიციის თანამშრომლობით (7.1%) არის გამოწვეული (იხ. დიაგრამა #2.13).

დიაგრამა #2.13



მართლსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების პროცესში პოლიციის დაბალი ინტენსივობით ჩართულობის („თითქმის არ არის ჩართული“/“უფრო პასიურად არის ჩართული ვიდრე აქტიურად“) განმაპირობებელ დომინანტურ ფაქტორად თბილისის მოსახლეობის (19.3%) მიერ ქვეყანაში არსებული შერჩევითი მართლმსაჯულება (სხვა ქალაქები - 14.3%; სოფლები - 7.5%), ხოლო სხვა ქალაქებში გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილის (17.6%) მიერ ადამიანური რესურსის ნაკლებობა სახელდება (თბილისი - 15.7%; სოფლები - 9.5%). რაც შეეხება სოფლებში არსებულ განწყობებს, გამოკითხულთა 14.3% თვლის, რომ აღნიშნულ ფაქტს პოლიციაში არაკვალიფიციური კადრების დასაქმება განაპირობებს (თბილისი - 14.7%; სოფლები - 14.3%). პოლიციაზე კრიმინალური სუბკულტურის გავლენა, როგორც პოლიციის პასიური ჩართულობის მადეტერმინირებელი ფაქტორი საკვანძო მნიშვნელობის აღმოჩნდა თბილისსა და სხვა ქალაქებში გამოკითხული მოსახლეობის ერთი ათეული პროცენტისთვის, მაშინ როდესაც სოფლებში ასეთი განწყობის მქონეთა წილი მხოლოდ 1.8%-ია. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობას გაუჭირდა - 38.5%, რასაც რამდენადმე ჩამორჩება იდენტური პასუხის მქონე რესპონდენტთა რაოდენობა თბილისსა (18.4%) და სხვა ქალაქებში (21.7%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=115.736$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.14).

დიაგრამა #2.14



გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, მართლსაწინააღმდეგო ქმედებების პრევენციისკენ მიმართული ქმედებების განხორციელების პროცესში პოლიციის პასიური ჩართულობის განმაპირობებელი დომინანტური ფაქტორები, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისთვის არაკვალიფიციური პოლიციელები, ადამიანური რესურსის ნაკლებობა და ქვეყანაში არსებული შერჩევითი მართლმსაჯულება აღმოჩნდა. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის 27.4% (ჯამში) რამდენიმე სხვა მიზეზსაც ასახელებს, კერძოდ ხშირი პატრულირების არარსებობა, საზოგადოებისა და პოლიციის მიმართ არსებული უნდობლობა და ა.შ. გარდა აღნიშნულისა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს გაუჭირდა დაესახელებინა ზემოაღნიშნული მიზეზებიდან რომელიმე (აღმოსავლეთი - 35.7%; დასავლეთი - 22.7%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=149.223$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.15).

დიაგრამა #2.15



იმ რესპონდენტთაგან, რომლებმაც აღნიშნეს, რომ პოლიცია აქტიურად არის ჩართული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებაში, უმრავლესობა (54.8%) აღნიშნავს, რომ სამართალდამცავი უწყების ინტენსიური ჩართულობა ხშირი პატრულირებით გამოიხატება, მეხუთედი ნაწილი კი, აღნიშნულ ფაქტს მოსალოდნელ/შესაძლო კანონდარღვევებზე დროული რეაგირების შემთხვევებით ხსნის (20%). კვლევის შედეგების გათვალისწინებით, მართლსაწინააღმდეგო საკითხებთან მიმართებით პოლიციის კომუნიკაცია ზრდასრულ მოსახლეობასთან ან მოზარდებთან, რაც დანაშაულებრივი ქმედებების თავიდან აცილების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს, ძალზე იშვიათია. კერძოდ, აღნიშნულ ორ ჯგუფთან კომუნიკაციაზე გამოკითხულთაგან ჯამში მხოლოდ 18.5%-მა მიუთითა (ზრდასრულ მოსახლეობასთან -10.7%; მოზარდებთან -7.8%) (იხ. დიაგრამა #2.16)

დიაგრამა #2.16



საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში პოლიციის აქტიური ჩართულობა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების მხრივ რესპონდენტთა ხუთივე ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელთა უმრავლესობის აზრით, ხშირი პატრულირებით ვლინდება (50.7%-59.1%-ს შორის მერყეობს). მეორე მნიშვნელოვან გამოხატულებად კი მოსალოდნელ/შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე დროული რეაგირება დასახელდა (15-17 წლის - 16.4%; 18-29 წლის - 18.1%; 30-54 წლის - 21%; 55-64 წლის - 21.3%; 65+ წლის - 19.4). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=56.029$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #2.2).

ცხრილი #2.2

გთხოვთ, მიუთითოთ, კონკრეტულად რაში გამოიხატება თქვენს საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში პოლიციის აქტიური ჩართულობა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების მხრივ? (სასკის ჭრილში)	15-17 წლის (N=262)	18-29 წლის (N=250)	30-54 წლის (N=251)	55-64 წლის (N=260)	65+ წლის (N=243)
	%				
ხშირი პატრულირება	58.3	55.8	50.7	58.3	59.1
მოსალოდნელ/შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე დროული რეაგირება	16.4	18.1	21	21.3	19.4
ზრდასრულ მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაცია	8	9.4	12.5	8.8	10.2
მოზარდებთან კომუნიკაცია მართლსაწინააღმდეგო საკითხებთან დაკავშირებით	6.7	6.9	9	7.5	6.7
ახალგაზრდების გაჩერება, ფოტოების გადაღება, ა.შ.	9.5	6.8	4.9	3.3	1.5
სხვა (იშვიათად დადის პატრული)	-	-	0.3	-	-
უარი პასუხზე	0.2	0.9		-	0.5
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	0.8	2.2	1.5	0.8	2.5

დასახლების ტიპის დონეზე მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ, როგორც თბილისში, ისე სხვა ქალაქებსა და სოფლებში გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა, მართლსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილებაზე ზრუნვის თვალსაზრისით, პირველირიგისგამოხატულებადხშირპატრულირებასასახელებს,რაცკვლევისშედეგების გათვალისწინებით, ყველაზე გავრცელებული პრაქტიკა სასოფლო დასახლებებისთვის აღმოჩნდა (თბილისი - 51.5%; სხვა ქალაქები - 51%; სოფლები - 58.9%;). მეორე გამოკვეთილ მიზეზად მოსალოდნელ/შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე დროული რეაგირება დასახელდა თბილისისა და სხვა ქალაქების მოსახლეობის თანაბარი ნაწილის (20.8%) და სოფლის მოსახლეობის თითქმის მეხუთედის მიერ. თოთოეულ სამიზნე ლოკაციაზე შედარებით მცირეა ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებმაც მართლსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების პროცესში პოლიციის აქტიური ჩართულობის გამოხატულებად ზრდასრულებთან და მოზარდებთან ხშირი კომუნიკაცია და ახალგაზრდების გაჩერება/ფოტოების გადაღება და ა.შ. დაასახელეს. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=47.852$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.17).

დიაგრამა #2.17



გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით მონაცემების გადანაწილება აჩვენებს, რომ როგორც აღმოსავლეთ (58.9%), ასევე, დასავლეთ (52.9%) საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის პოლიციის აქტიურობა ხშირი პატრულირებით განისაზღვრება. ასევე, ორივეგან მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა მოსალოდნელ კანონდარღვევებზე დროული რეაგირების შესაძლებლობა/უნარი (დასავლეთი - 21.9%; აღმოსავლეთი - 17.3%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=83.375$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.18).

დიაგრამა 2.18



კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა შეაფასეს, თუ **რა გავლენას ახდენს ე.წ. „ბირჟები“, როგორც ზოგადად, საზოგადოების, ისე კონკრეტულად მოზარდთა ჯგუფების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე,** იქნება ეს მათი ცხოვრების წესი, ღირებულებათა სისტემა, დანაშაულებრივი ქცევის განხორციელების პროვოცირება, სამოქალაქო ცნობიერება თუ სხვა. როგორც აღმოჩნდა, ყოველი მეორე რესპონდენტის შეფასებით საზოგადოების, როგორც ზრდასრულების, ისე არასრულწლოვნების, ქცევითი ჩვევების განვითარებაზე/ ჩამოყალიბებაზე თუ ცვლილებაზე „ძალიან ახდენს გავლენას“/“უფრო ახდენს გავლენას, ვიდრე არა“ უბნებში არსებული „ბირჟები“ (51.1%). გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი ანალოგიურ შეფასებას გამოხატავს ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორებიცაა: მოზარდების ყოველდღიური ცხოვრების წესსა (49.8%) და არაჯანსაღი სოციალური ქსელის (სამეგობრო/სანაცნობო წრის) შექმნაზე (49.6%) მავნე შინაარსის მქონე უბნის თავყრილობების ნეგატიური ეფექტი. აქვე, რესპონდენტთა 48.9%-ის მოსაზრებით აღნიშნული ფენომენი გავლენას ახდენს ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზეც.

40%-45%-ს შორის მერყეობს ისეთთა წილი, რომლებიც თვლიან რომ ბირჟები „ძლიან ახდენს გავლენას“/“უფრო ახდენს გავლენას, ვიდრე არა“ ისეთ ასპექტებზე, როგორებიცაა:

- ზრდასრულების ყოველდღიური ცხოვრების წესი - 43.1%;
- კრიმინალურ სუბკულტურაში გაერთიანების სურვილი - 42.4%;
- სამოქალაქო ცნობიერება - 43.6%;
- საზოგადოებაში ალტერნატიული სამართლის სისტემის არსებობა - 40.9%;

რაც შეეხება იმ რესპონდენტთა წილს კვლევაში, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩამოთვლილ საკითხებზე უბნის „ბირჟები“ „საერთოდ არ ახდენს გავლენას“/“უფრო არ ახდენს გავლენას, ვიდრე ახდენს“ 22.5%-30.9%-ს შორის მერყეობს (იხ. ცხრილი #2.3).

ცხრილი #2.3

თქვენი აზრით, უბნებში არსებული ბირჟები რამდენად ახდენს გავლენას.... (N=1908)	საერთოდ არ ახდენს გავლენას	უფრო არ ახდენს გავლენას, ვიდრე ახდენს	თანაბრად	უფრო ახდენს გავლენას, ვიდრე არ ახდენს	ძლიერ ახდენს გავლენას	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
	%						
ზრდასრულების ყოველდღიური ცხოვრების წესზე	14.8	16.1	21.3	22.6	20.5	0.8	3.9
მოზარდების ყოველდღიური ცხოვრების წესზე	11.2	13.9	20.7	27.8	22	0.8	3.6
არაჯანსაღი სოციალური ქსელის (სამეგობრო/სანაცნობო წრის) შექმნაზე	12.4	11.7	19.2	27.4	22.2	0.9	6.2
ქცევით ჩვევებზე	11.2	11.3	20.8	27.7	23.3	1	4.7
ღირებულებათა სისტემაზე	11.8	10.9	21	27.4	21.4	1	6.4
კრიმინალურ სუბკულტურებში გაერთიანების სურვილზე	14.2	14.5	19.3	24.8	17.6	1.3	8.3
მოზარდებში დანაშაულებრივ ქცევაზე	13.1	14.7	20.1	25.8	19.3	0.7	6.2
სამოქალაქო ცნობიერებაზე	12.4	11.4	23.3	24.6	19	1.5	7.7
საზოგადოებაში ალტერნატიული „სამართლის“ სისტემის არსებობაზე	13.5	11	20.1	23.5	17.3	1.4	13.2

ზრდასრულების/მოზარდების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე უბნებში არსებული ე.წ. „ბირჟების“ გავლენის ხარისხს, როგორც „ძლიერს“/“უფრო მეტად ძლიერს, ვიდრე არა“ ქალი რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილი აფასებს ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლები. კერძოდ, ქალების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფენომენის გავლენა მოზარდების ყოველდღიური ცხოვრების წესზე (53.8%), არაჯანსაღი სოციალური ქსელის შექმნაზე (54.7%), ქცევით ჩვევებზე (55.6%), ღირებულებათა სისტემასა (53.1%) და მოზარდებში დანაშაულებრივი ქცევის (50.7%) პროვოცირებაზე „ძლიერ“/“უფრო მეტად ძლიერ, ვიდრე არა“ ზემოქმედებს. ჩამოთვლილ ასპექტებთან მიმართებით ანალოგიური შეფასების მქონე კაცების წილი კვლევაში 38.5%-დან 45.9%-მდე მერყეობს.

ამასთან, 44.4%-48.3%-ს შორის ვარირებს მდედრობითი სქესის წარმომადგენელი ისეთი რესპონდენტების წილი, რომლებიც თვლიან რომ „ბირჟები“ ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად, ასევე, გავლენას ახდენს ზრდასრულების ყოველდღიური ცხოვრების წესზე, კრიმინალურ სუბკულტურებში გაერთიანების სურვილზე, სამოქალაქო ცნობიერებასა და საზოგადოებაში ალტერნატიული სამართლის სისტემის არსებობაზე. ამ უკანასკნელ მოსაზრებებთან მიმართებით ანალოგიური პოზიციების მქონე მამაკაცების რაოდენობა 36.8%-დან 38.7%-მდე იცვლება. აქვე, აღსანიშნია რომ, ქალების მსგავსად, კაცების უმეტესობა (45.9%) განსაკუთრებულ ყურადღებას ქცევით ჩვევების ფორმირების პროცესზე ბირჟების ნეგატიურ გავლენაზე ამახვილებს ყურადღებას. ყველაზე ნაკლებ პრობლემური კი ბირჟების გავლენით ალტერნატიული სამართლის სისტემის შექმნა აღმოჩნდა ორივე სამიზნე ჯგუფისთვის (ქალები - 44.4%; კაცები - 36.8%). აღწერილ მონაცემებზე დაყრდნობით თვალსაჩინოა, რომ მამაკაცებს შორის რამდენადმე მაღალია ისეთთა რაოდენობა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ასპექტებზე ბირჟები „საერთოდ არ ახდენს გავლენას“/“უფრო არ ახდენს გავლენას ვიდრე კი“ (26.5%-36.1%-შორის მერყეობს). ასეთი განწყობის მქონე ქალი რესპონდენტების წილი თითოეულ მოსაზრებასთან მიმართებით 19%-26.2% შორის მერყეობს (იხ. ცხრილი #2.4).

ცხრილი #2.4

თქვენი აზრით, უბნებში არსებული ბირჟები რამდენად ახდენს გავლენას.... **(სქესის ჭრილში - ქალი: N=1048; კაცი: N=860;)**		**საერთოდ არ ახდენს გავლენას**	**უფრო არ ახდენს გავლენას, ვიდრე ახდენს**	**თანაბრად**	**უფრო ახდენს გავლენას, ვიდრე არ ახდენს**	**ძლიერ ახდენს გავლენას**	**უარი პასუხზე**	**არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა**
		%						
ზრდასრულების ყოველდღიური ცხოვრების წესზე (χ^2=40. 512; p<0.05)	ქალი	11.4	14.8	19.9	26.1	21.9	1.1	4.7
	კაცი	18.6	17.5	22.9	18.4	19	0.6	2.9
მოზარდების ყოველდღიური ცხოვრების წესზე (χ^2=28.143; p<0.05)	ქალი	8.8	12.4	19.7	29.4	24.4	1	4.3
	კაცი	13.9	15.7	21.8	26	19.3	0.6	2.7
არაჯანსაღი სოციალური ქსელის (სამეგობრო/სანაცნობო წრის) შექმნაზე (χ^2=45.160; p<0.05)	ქალი	9.3	9.3	18.4	30.6	24.2	1.2	7.1
	კაცი	16	14.5	20.1	23.7	19.9	0.6	5.2
ქცევით ჩვევებზე (χ^2=38.123; p<0.05)	ქალი	8.4	10.5	18.7	31.5	24.1	1.3	5.5
	კაცი	14.3	12.2	23.3	23.4	22.5	0.6	3.7
ღირებულებათა სისტემაზე (χ^2=41.738; p<0.05)	ქალი	9.2	8.8	19.8	29.2	23.8	1.7	7.4
	კაცი	14.8	13.2	22.4	25.3	18.7	0.3	5.3
კრიმინალურ სუბკულტურებში გაერთიანების სურვილზე (χ^2=35.537; p<0.05)	ქალი	10.9	12.5	19.8	26.3	19.3	1.5	9.7
	კაცი	18.1	16.9	18.7	23	15.6	1	6.7
მოზარდებში დანაშაულებრივ ქცევაზე (χ^2=54.498; p<0.05)	ქალი	9.6	12.2	19.4	30.3	20.4	0.9	7.3
	კაცი	17.2	17.7	21	20.5	18	0.6	5.1
სამოქალაქო ცნობიერებაზე (χ^2=36.554; p<0.05)	ქალი	9.4	10.4	22.5	29	19.3	1.3	8.1
	კაცი	15.8	12.5	24.3	19.6	18.8	1.8	7.3
საზოგადოებაში ალტერნატიული „სამართლის“ სისტემის არსებობაზე (χ^2=37.676; p<0.05)	ქალი	10.3	9.2	20	25.9	18.4	2	14.1
	კაცი	17.3	13	20.2	20.8	16	0.7	12

ზრდასრულების/მოზარდების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე უბნებში არსებული ბირჟების გავლენის შეფასებისას, სკალის ნეგატიური შინაარსის მქონე ნიშნულები („ძლიერ გავლენას ახდენს“/“უფრო ახდენს გავლენას, ვიდრე არა“) ყველაზე მეტად 30-54 წლის რესპონდენტებმა გამოიყენეს თითოეულ დებულებასთან მიმართებით (მათი წილი 44.6%-58%-ს შორის მერყეობს), ყველაზე ნაკლებად კი მოზარდებმა (31.4%-40%). 30-54 წლის რესპონდენტთა შორის უმრავლესობა - 58% ფიქრობს, რომ ბირჟების გავლენით მნიშვნელოვნად იცვლება საზოგადოების წევრების ქცევითი ჩვევები, ყველაზე ნაკლებ - 44.6%-ს კი მიაჩნია რომ აღნიშნული ფენომენი ალტერნატიული სამართლის სისტემის არსებობას ახალისებს. 15-17 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა ყველაზე დიდი ნაწილის (40%) აზრით, მსგავსად 30-54 წლის მოსახლეობისა, ბირჟები გავლენას ახდენს მოსახლეობის ქცევით ჩვევებზე. დასახელებული ჯგუფებისგან განსხვავებით, მსგავსია ანალოგიური განწყობის მქონე 18-29 წლის და 55-64 წლის ასაკობრივი კატეგორიების წარმომადგენელთა შეფასებები. კერძოდ, ამ უკანასკნელ ორ ჯგუფში თითოეულ დებულებასთან მიმართებით იდენტური პოზიციების მქონე რესპონდენტთა რაოდენობებს შორის სხვაობა 4%-ს არ აღემატება. რაც შეეხება 65+ ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტებს, მათგან ყველაზე მეტმა - 42.1% განაცხადა, რომ ბირჟები „ძლიერ გავლენას ახდენს“/“უფრო მეტად ახდენს გავლენას, ვიდრე არა“ საზოგადოების ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე/ფორმაციაზე. საკითხთან მიმართებით პოზიტიურ შეფასებებს ყველაზე მეტად მოზარდები აფიქსირებენ („საერთოდ არ ახდენს გავლენას“/“უფრო არ ახდენს გავლენას, ვიდრე კი“) (იხ. ცხრილი #2.5).

ცხრილი #2.5

თქვენი აზრით, უბნებში არსებული ბირჟები რამდენად ახდენს გავლენას.... **(ასაკის ჭრილში - 15-17 წლის: N=382; 18-29 წლის: N=388; 30-54 წლის: N=397; 55-64 წლის: N=381; 65+ წლის: N=360)**		**საერთოდ არ ახდენს გავლენას**	**უფრო არ ახდენს გავლენას, ვიდრე ახდენს**	**თანაბრად**	**უფრო ახდენს გავლენას, ვიდრე არ ახდენს**	**ძალიან ახდენს გავლენა**	**უარი პასუხზე**	**არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა**
		%						
ზრდასრულების ყოველდღიური ცხოვრების წესზე (χ^2=78.187; p<0.05)	15-17 წლის	18.6	16.3	22.1	12.8	18.6	1.2	10.5
	18-29 წლის	15	16.8	23.3	18.5	19.5	1.3	5.8
	30-54 წლის	13.4	14.3	19.4	28.6	22.3	0.5	1.5
	55-64 წლის	15.9	17.8	21.2	19.3	22.7	0.6	2.5
	65+ წლის	15.8	18.5	23.4	18.2	15.2	1.3	7.6
მოზარდების ყოველდღიური ცხოვრების წესზე (χ^2=59.067; p<0.05)	15-17 წლის	15.1	18.6	19.8	19.8	17.4	1.2	8.1
	18-29 წლის	11	12.5	21.4	27.2	21.4	1.2	5.2
	30-54 წლის	9.8	12.4	20.4	30.5	24.7	0.5	1.8
	55-64 წლის	13.2	15	20.7	27	22.3	0.6	1.3
	65+ წლის	11.9	17.5	20.9	24.5	16.9	0.7	7.6
არაჯანსაღი სოციალური ქსელის (სამეგობრო/სანაცნობო წრის) შექმნაზე (χ^2=71.627; p<0.05)	15-17 წლის	15.1	18.6	18.6	20.9	17.4	1.2	8.1
	18-29 წლის	10.2	11.9	23.1	27.1	20.6	1.2	5.7
	30-54 წლის	13.4	9.1	17.9	29.1	25.9	0.5	4
	55-64 წლის	12.2	13.1	19.7	26.9	22.5	0.6	5
	65+ წლის	12.2	14.9	16.8	25.4	15.5	1.7	13.5
ქცევით ჩვევებზე (χ^2=68.230; p<0.05)	15-17 წლის	15.3	16.5	20	20	20	1.2	7.1
	18-29 წლის	8.5	9.8	26.8	24	23.5	1.5	6
	30-54 წლის	11.3	9.6	17.6	32.4	25.6	0.8	2.8
	55-64 წლის	11.9	13.4	21.9	25.6	23.8	0.6	2.8
	65+ წლის	12.6	14.6	20.5	24.5	17.5	1.3	8.9
ღირებულებათა სისტემაზე (χ^2=64.074; p<0.05)	15-17 წლის	15.1	16.3	17.4	18.6	18.6	1.2	12.8

თქვენი აზრით, უბნებში არსებული ბირჟები რამდენად ახდენს გავლენას.... **(ასაკის ჭრილში - 15-17 წლის: N=382; 18-29 წლის: N=388; 30-54 წლის: N=397; 55-64 წლის: N=381; 65+ წლის: N=360)**		**საერთოდ არ ახდენს გავლენას**	**უფრო არ ახდენს გავლენას, ვიდრე ახდენს**	**თანაბრად**	**უფრო ახდენს გავლენას, ვიდრე არ ახდენს**	**ძლიერ ახდენს გავლენას**	**უარი პასუხზე**	**არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა**
		%						
	18-29 წლის	10.7	10.5	22.9	24.7	21.9	2	7.2
	30-54 წლის	12.3	8.5	19.9	31	23.7	0.5	4.1
	55-64 წლის	10.9	12.5	21.2	28.3	21.5	0.9	4.7
	65+ წლის	11.9	14.2	22.1	23.1	15.5	1.3	11.9
კრიმინალურ სუბკულტურებში გაერთიანების სურვილზე (χ^2=39.810; p<0.05)	15-17 წლის	18.8	16.5	17.6	17.6	14.1	1.2	14.1
	18-29 წლის	13.2	11.7	22.9	25.4	16.2	1.7	8.7
	30-54 წლის	14.8	14.2	18.3	26.3	19.8	1.3	5.4
	55-64 წლის	13.4	15	19.3	24.9	17.4	0.9	9
	65+ წლის	14.2	17.9	17.5	21.9	14.6	1	12.9
მოზარდებში დანაშაულებრივ ქცევაზე (χ^2=48.900; p<0.05)	15-17 წლის	18.8	16.5	18.8	18.8	16.5	1.2	9.4
	18-29 წლის	12.3	12.8	22.8	24	19.3	1.5	7.5
	30-54 წლის	13.6	12.8	20.5	28.7	19.9	0.5	4
	55-64 წლის	12.5	16.9	19.4	25.6	20.6	0.3	4.7
	65+ წლის	11.9	19.9	16.9	22.2	17.5	0.7	10.9
სამოქალაქო ცნობიერებაზე (χ^2=48.117; p<0.05)	15-17 წლის	14	14	23.3	18.6	14	1.2	15.1
	18-29 წლის	10.5	11.3	25.8	25	17.8	2	7.8
	30-54 წლის	13.2	9	23.2	26.6	20.9	1.9	5.3
	55-64 წლის	12.8	13.4	22.5	24.1	19.7	0.9	6.6
	65+ წლის	12	15	21.3	21.3	16.3	1	13.3
საზოგადოებაში ალტერნატიული „სამართლის“ სისტემის არსებობაზე (χ^2=41.571; p<0.05)	15-17 წლის	15.1	12.8	17.4	19.8	14	1.2	19.8
	18-29 წლის	13.4	8	23.4	24.4	15.2	1.7	13.9
	30-54 წლის	14.2	9.7	19.8	24.5	20.1	1.1	10.6

თქვენი აზრით, უბნებში არსებული ბირჟები რამდენად ახდენს გავლენას.... **(ასაკის ჭრილში - 15-17 წლის: N=382; 18-29 წლის: N=388; 30-54 წლის: N=397; 55-64 წლის: N=381; 65+ წლის: N=360)**		**საერთოდ არ ახდენს გავლენას**	**უფრო არ ახდენს გავლენას, ვიდრე ახდენს**	**თანაბრად**	**უფრო ახდენს გავლენას, ვიდრე არ ახდენს**	**ძლიერ ახდენს გავლენას**	**უარი პასუხზე**	**არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა**
		%						
	55-64 წლის	12.8	15	18.4	23.1	17.8	0.9	11.9
	65+ წლის	12.2	13.5	18.8	21.4	13.5	2	18.8

დასახლების ტიპის დონეზე საკითხის გაანალიზება აჩვენებს, რომ ბირჟების გავლენას საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა განზომილებაზე ყველაზე მძაფრად თბილისის მოსახლეობა აღიქვამს, რაც მათ შეფასებებში გამოიხატება. კერძოდ:

- დედაქალაქში გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა მიუთითებს, რომ უბნის თავყრილობები „ძლიერ გავლენას ახდენს“/“უფრო ახდენს გავლენას, ვიდრე არა“ მოზარდების ცხოვრების წესზე (62.4%), არაჯანსაღი სოციალური ქსელის შექმნაზე (61.4%), ქცევით ჩვევებსა (65.7%) და ღირებულებათა სისტემაზე (62.2%). ჩამოთვლილ ასპექტებთან მიმართებით ანალოგიურ შეფასებას ავლენს სხვა ქალაქებში გამოკითხულთაგან ყოველი მეორე რესპონდენტი, ხოლო სოფლებში ასეთთა წილი 36.3%-დან 39.6%-მდე მერყეობს;
- თბილისის მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, გარდა ზემოთქმულისა, ბირჟები გავლენას ახდენს კრიმინალურ სუბკულტურებში გაერთიანების სურვილზე (56.1%), მოზარდების დანაშაულებრივ ქცევაზე (58.4%), სამოქალაქო ცნობიერებასა (53.4%) და საზოგადოებაში ალტერნატიული სამართლის სისტემის არსებობაზე (54.5%). დასახელებულ საკითხებთან მიმართებით, თბილისის მოსახლეობის მსგავსი პოზიციების მქონე რესპონდენტთა წილი სხვა ქალაქებში 43%-48.4%-ს შორის მერყეობს, ხოლო სოფლებში ყოველ მესამე რესპონდენტს არ აღემატება (28.9%-32.8%).
- ზრდასრულების ცხოვრების წესზე ბირჟების გავლენის შეფასებისას თბილისის მოსახლეობის 49.3%-მა სკალის ნეგატიური მნიშვნელობის მქონე პოზიციები გამოიყენა, რასაც მცირედით აღემატება ანალოგიური განწყობის მქონე სხვა ქალაქების მოსახლეობის წილი (51.8%), თუმცა, მნიშვნელოვნად ჩამორჩება სოფლებში გამოკითხულთა რაოდენობა (32.4%). (იხ. ცხრილი #2.6).

ცხრილი #2.6

თქვენი აზრით, უბნებში არსებული ბირჟები რამდენად ახდენს გავლენას.... **(დასახლების ტიპის ჭრილი - თბილისი: N=567; სხვა ქალაქები: N=534; სოფელი: N=807)**		**საერთოდ არ ახდენს გავლენას**	**უფრო არ ახდენს გავლენას, ვიდრე ახდენს**	**თანაბრად**	**უფრო ახდენს გავლენა, ვიდრე არ ახდენს**	**ძალიერ ახდენს გავლენას**	**უარი პასუხზე**	**არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა**
		%						
ზრდასრულების ყოველდღიური ცხოვრების წესზე (χ^2=135.993; p<0.05)	თბილისი	10.8	13.2	25	25.8	23.5	0.2	1.5
	სხვა ქალაქები	9.5	14.6	20.8	31.4	20.4	0.8	2.6
	სოფელი	21.4	19.5	18.8	14.1	18.3	1.3	6.5
მოზარდების ყოველდღიური ცხოვრების წესზე (χ^2=137.302; p<0.05)	თბილისი	5.9	10.2	19.7	33.4	28.9	-	1.8
	სხვა ქალაქები	7.4	13	23.4	31.9	20.8	0.9	2.5
	სოფელი	17.9	17.3	19.5	20.8	17.6	1.2	5.8
არაჯანსაღი სოციალური ქსელის (სამეგობრო/სანაცნობო წრის) შექმნაზე (χ^2=152.056; p<0.05)	თბილისი	8.9	5.4	21.4	33.9	27.4	0.2	2.8
	სხვა ქალაქები	8.3	12.1	18.9	33.8	20.6	0.9	5.5
	სოფელი	18	16.3	17.7	18	19.4	1.4	9.2
ქცევით ჩვევებზე (χ^2=143.602; p<0.05)	თბილისი	5.5	7.5	19.2	35.3	30.3	0.2	2
	სხვა ქალაქები	7.9	11.2	24.2	30.2	21	0.9	4.5
	სოფელი	17.8	14.4	19.9	20	19.6	1.5	6.8
ღირებულებათა სისტემაზე (χ^2=134.432; p<0.05)	თბილისი	7.5	6.8	20.2	36	26.2	0.2	3.2
	სხვა ქალაქები	8.3	10.4	21.7	31.5	20.6	1.1	6.4
	სოფელი	17.6	14.4	21.2	18.1	18.2	1.7	9
კრიმინალურ სუბკულტურებში გაერთიანების სურვილზე (χ^2=143.138; p<0.05)	თბილისი	9.2	9.5	20	33.4	22.7	0.8	4.3
	სხვა ქალაქები	10.6	15.5	19.5	29.7	15.1	1.1	8.5
	სოფელი	20.5	17.7	18.6	14.8	15.4	1.7	11.3
მოზარდებში დანაშაულებრივ ქცევაზე (χ^2=169.666; p<0.05)	თბილისი	7.8	10.4	20.7	36.1	22.4	0.2	2.5
	სხვა ქალაქები	8.5	13	23.1	29.3	18.9	1.1	6
	სოფელი	20.3	19.3	17.6	15.5	17.1	0.9	9.2
სამოქალაქო ცნობიერებაზე (χ^2=125.100; p<0.05)	თბილისი	8.3	7.2	24.5	31.3	22.1	1.8	4.8
	სხვა ქალაქები	8.9	9.3	25.7	29.5	18.9	0.8	7
	სოფელი	18.1	16	20.8	16.2	16.7	1.8	10.5
საზოგადოებაში ალტერნატიული „სამართლის“ სისტემის არსებობაზე (χ^2=140.341; p<0.05)	თბილისი	8.7	7.8	19.3	31.7	22.8	0.8	8.8
	სხვა ქალაქები	10.4	9.1	23.8	27.7	15.3	1.1	12.6
	სოფელი	19.4	14.8	18.2	14.4	14.5	1.9	16.8

გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით საკითხის გაანალიზება აჩვენებს, რომ დასავლეთ საქართველოში გამოკითხულთა უფრო დიდი ნაწილის გადმოსახედიდან ბირჟები ნეგატიურ გავლენას ახდენს სოციუმის წევრების ცხოვრებაზე სხვადასხვა მიმართულებით ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს (თბილისის გარდა) მოსახლეობის შეფასებით. კერძოდ, მაშინ როდესაც დასავლეთის მოსახლეობის უმრავლესობა აცხადებს, რომ ბირჟები „ძლიერ გავლენას ახდენს“/“უფრო ახდენს გავლენას ვიდრე არა“ მოზარდების ცხოვრების წესზე (52.8%), არაჯანსაღი სოციალური ქსელის შექმნაზე (53.7%), ქცევით ჩვევებსა (52.4%) და ღირებულებათა სისტემაზე (50.2%), ანალოგიური პოზიციების მქონე რესპონდენტთა წილი აღმოსავლეთ საქართველოში გამოკითხულთა შორის 34.2%-დან 36%-მდე ვარირებს. სხვა დებულებებთან მიმართებით ანალოგიური განწყობების მქონე რესპონდენტების წილი დასავლეთ საქართველოში 40%-48.7%-ს შორის თავსდება, ხოლო აღმოსავლეთში 28.2%-სა და 34%-ს შორის მერყეობს. აქვე, აღსანიშნია, რომ ისეთ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც აცხადებენ, რომ ბირჟებს „საერთოდ არ აქვს გავლენა“/“უფრო არ აქვს გავლენა ვიდრე კი“ საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა განზომილებაზე, აღმოსავლეთ საქართველოში გამოკითხულთა შემთხვევაში სულ მცირე ყოველ მესამე რესპონდენტს უტოლდება, ხოლო დასავლეთში 28.7%-ს არ აღემატება (იხ. ცხრილი #2.7)

ცხრილი #2.7

თქვენი აზრით, უბნებში არსებული ბირჟები რამდენად ახდენს გავლენას.... **(გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში - აღმოსავლეთ საქართველო: N=642; დასავლეთ საქართველო: N=699)**		**საერთოდ არ ახდენს გავლენას**	**უფრო არ ახდენს გავლენას, ვიდრე ახდენს**	**თანაბრად**	**უფრო ახდენს გავლენას, ვიდრე არ ახდენს**	**ძალიერ ახდენს გავლენას**	**უარი პასუხზე**	**არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა**
		%						
ზრდასრულების ყოველდღიური ცხოვრების წესზე (χ^2=106.770; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	18.7	20.9	19.2	22.2	11.9	0.5	6.7
	დასავლეთ საქართველო	14.4	14.3	20.1	20	26.3	1.7	3.3
მოზარდების ყოველდღიური ცხოვრების წესზე (χ^2=28.143; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	15.9	20.8	21.9	22.5	12.5	0.5	5.9
	დასავლეთ საქართველო	11.4	10.8	20.3	27.8	25	1.8	3
არაჯანსაღი სოციალური ქსელის (სამეგობრო/სანაცნობო წრის) შექმნაზე (χ^2=154.321; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	18.7	20.9	19.2	22.2	11.9	0.5	6.7
	დასავლეთ საქართველო	14.4	14.3	20.1	20	26.3	1.7	3.3
ქცევით ჩვევებზე (χ^2=149.174; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	15.9	20.8	21.9	22.5	12.5	0.5	5.9
	დასავლეთ საქართველო	11.4	10.8	20.3	27.8	25	1.8	3
ღირებულებათა სისტემაზე (χ^2=138.890; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	18.3	17.9	19.5	19.2	15	0.6	9.5
	დასავლეთ საქართველო	10	11.4	16.9	29.3	24.4	1.8	6.1
კრიმინალურ სუბკულტურებში გაერთიანების სურვილზე (χ^2=132.955; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	16.5	17.1	22.4	21.0	15	0.8	7.2
	დასავლეთ საქართველო	11.1	9.1	20.8	27.2	25.1	1.9	4.6
მოზარდებში დანაშაულებრივ ქცევაზე (χ^2=152.811; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	16.7	15.7	21.7	21.7	13.2	0.8	10.3
	დასავლეთ საქართველო	11.1	9.7	21.1	25.3	24.9	2.1	5.7
სამოქალაქო ცნობიერებაზე (χ^2=122.288; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	17.9	20.7	19.5	18.3	10	1.4	12.2
	დასავლეთ საქართველო	15.1	13	18.4	23.4	20.2	1.6	8.1
საზოგადოებაში ალტერნატიული „სამართლის“ სისტემის არსებობაზე (χ^2=108.973; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	17.6	20.3	21.4	17.2	12.9	0.3	10.3
	დასავლეთ საქართველო	13.5	13.5	18.4	24.7	22.8	1.6	5.5

გარდა განხილული საკითხებისა, კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა შეაფასეს მათ საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში სხვადასხვა დანაშაულებრივი ფაქტის დაფიქსირების სიხშირე. აღსანიშნია, რომ გარდა ოჯახში ძალადობის შემთხვევებისა (43.9% - არასდროს/თითქმის არასდროს), სულ მცირე ყოველი მეორე რესპონდენტის დაკვირვებით, მათ საცხოვრებელ გარემოში არასდროს ან თითქმის არასდროს ხდება სხვა ხასიათის დანაშაულებრივი ქმედებები. მაგალითად:

- გამოკითხულთა შორის 67.8%-ის დაკვირვებით, მათ საცხოვრებელ უბანში/ გარემოში "არასდროს"/"თითქმის არასდროს" დაფიქსირებულა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ფაქტები. 69.3%-ს უტოლდება ისეთთა წილი, რომლებიც სიხშირის შეფასების სკალის ანალოგიურ ნიშნულებს იყენებენ ყაჩაღობის პერიოდულობის შესაფასებლად. ამასთან, 61-65%-მდეა იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ქურდობის/ძარცვის, მკვლელობის, ვანდალიზმის (სხვისი საკუთრების დაზიანება) განხორციელების იგივე სიხშირეზე მიუთითებენ ("არასდროს"/"თითქმის არასდროს").
- 51%-60%-ს შორის მერყეობს ისეთთა პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც აცხადებენ, რომ ნარკოტიკული საშუალებების შენახვისა და რეალიზების, ხულიგნობის, სექსუალური ტიპის დანაშაულის, ფიზიკური ძალადობის, მოზარდებს შორის კრიმინალური გარჩევების, ბავშვთა მიმართ ძალადობის და მოზარდებს შორის დაპირისპირების შემთხვევები არასდროს ან თითქმის არასდროს ხდება.

იმ დანაშაულებს შორის, რომლებიც მათ საცხოვრებელ ადგილას გარკვეული სიხშირით (ყოველდღიურად, კვირაში რამდენჯერმე, თვეში რამდენჯერმე ან კვარტალში რამდენჯერმე) ხდება, რესპონდენტებმა გამოყვეს: ოჯახში ძალადობა (40%), სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ჰომოფობიურ/ტრანსფობიურ ნიადაგზე (39.1%), მოზარდებს შორის დაპირისპირება (34.1), ნარკოტიკულ საშუალებების შენახვა/მოხმარება (30.3%) და ფიზიკური ძალადობა (30.3%). ამასთან, იმ რესპონდენტთა წილი კვლევაში, რომლებიც აცხადებენ, რომ ესა თუ ის დანაშაულებრივი ქმედება მათ საცხოვრებელ გარემოში ყოველდღიურად ხდება, ვარირებს 1.6%-დან 7-5%-მდე (იხ. ცხრილი #2.8)

ცხრილი #2.8

რამდენად ხშირად ხდება თქვენს საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში...	ყოველდღიურად	ხშირად (კვირაში რამდენჯერმე)	ზოგჯერ (თვეში რამდენჯერმე)	იშვიათად (კვარტალში რამდენჯერმე)	თითქმის არასდროს	არასდროს	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
	%							
ქურდობა / ძარცვა	5.4	5	8.4	15.2	32.3	29.1	0.4	4.1
ყაჩაღობა	5.8	3	6.6	9.4	31.8	37.5	0.5	5.4
ნარკოტიკული საშუალებების შენახვა	6	5.2	5.7	8.6	19.4	32.4	1	21.7
ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება	7.5	6.4	7.6	8.8	20	29.6	1.2	18.9
ნარკოტიკული საშუალებების რეალიზება	5.9	4.3	5.2	6.5	18.5	33.9	1.6	24.1
ხულიგნობა	6.2	4.6	9.7	13.2	27.9	31.3	1	6.1
მკვლელობა	5.7	6.5	14.8	31.6	32.3	1.3	7.8	5.7
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	6.7	1.8	4.7	10.1	23.6	44.2	0.7	8.2
სექსუალური ტიპის დანაშაული	1.6	4.2	6	13.6	28.9	32	1.2	12.6
ფიზიკური ძალადობა	5.9	3.1	7.8	13.2	25	35.8	0.6	8.6
ზრდასრულ პირთა შორის კრიმინალური გარჩევები	6	4	7.8	11	23.8	36.7	1	9.7
მოზარდებს შორის კრიმინალური გარჩევები	5.9	4.4	7.8	11.1	25.1	35.2	0.8	9.6
ოჯახში ძალადობა	6.2	5.1	12.7	16.1	22.7	21.2	0.8	15.1
ბავშვის მიმართ ძალადობა	7	3.8	6.6	9.4	23.2	35.6	0.8	13.6
მოზარდებს შორის დაპირისპირება	6.3	5.1	9.2	13.4	25.5	33.2	0.8	6.5
ლგბტ პირების მიმართ აგრესიის გამოვლენა	7	2.9	6.1	4.8	18.3	42.6	1.2	17.1
ვანდალიზმი, სხვისი საკუთრების დაზიანება	6.3	4.3	5.1	8.2	23.9	41.1	0.8	10.3

რესპონდენტების საცხოვრებელ გარემოში/უბანში სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის სიხშირის შეფასების სტატისტიკური ანალიზით გამოვლენილი ტენდენციების თანახმად:

- თბილისში, სხვა ქალაქებთან და სოფლებთან შედარებით, მაღალია ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ქურდობის/ძარცვის, ყაჩაღობის, ხულიგნობისა და ვანდალიზმის ფაქტები ყოველდღიურად, კვირაში ან თვეში რამდენჯერმე ფიქსირდება. აღსანიშნია, რომ მკვლელობასთან მიმართებით არცერთ რესპონდენტს მიუთითებია აღნიშნული დანაშაულის ყოველდღიურად დაფიქსირების ფაქტზე. იმ რესპონდენტთა შორის, რომლებმაც ქურდობის/ძარცვის და ვანდალიზმის ფაქტების კვარტალში რამდენჯერმე დაფიქსირებაზე მიუთითეს, ყველაზე მაღალია ურბანული დასახლებების (თბილისის გარდა) მოსახლეობის წილი - 20.4%; ყაჩაღობის (14.7%),

ხულიგნობისა (14%) და მკვლელობის (17.7%) ასეთ შემთხვევათა პროცენტული მაჩვენებელი დედაქალაქში ჭარბობს. ჩამოთვლილი დანაშაულების "არასდროს"/"თითქმის არასდროს" დაფიქსირებაზე კი უფრო მეტად სოფლის მაცხოვრებლები მიუთითებენ ვიდრე თბილისისა და სხვა ქალაქების.

• ნარკოტიკული საშუალებების შენახვა/მოხმარება/რეალიზების ფაქტების ყოველდღიურ, კვირაში რამდენჯერმე და თვეში რამდენჯერმე აღმოჩენის შემთხვევებზე ყველაზე მეტად თბილისის მოსახლეობა საუბრობს. მაგალითად, დედაქალაქში გამოკითხულთა 12.2% აცხადებს, რომ ყოველდღიურად ფიქსირდება ნარკოტიკული საშუალებების შენახვის შემთხვევები, მაშინ როდესაც იგივე დანაშაულის იმავე სიხშირით დაფიქსირებაზე სხვა ქალაქების მოსახლეობის მხოლოდ 3% და სოფელში გამოკითხულთა 3.2% მიუთითებს **(კვირაში რამდენჯერმე:** თბილისი - 13.5; სხვა ქალაქები - 1.1; სოფლები - 1.5; **თვეში რამდენჯერმე:** თბილისი - 11%; სხვა ქალაქები - 4.7%; სოფელი - 2.2%;). ამასთან, დედაქალაქის მოსახლეობის 15.8% ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების, ხოლო 12.2% რეალიზების ყოველდღიურ ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას. იმ რესპონდენტებს შორის, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ჩამოთვლილი დანაშაულები კვარტალში რამდენჯერმე ხდება, ყველაზე მაღალია ურბანული დასახლების მაცხოვრებლების წილი. ამასთან, საინტერესოა, რომ კვლევის შედეგების თანახმად, სოფელი აღმოჩნდა ის გეოგრაფიული სივრცე, სადაც ყველაზე მაღალია ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ ნარკოტიკული საშუალებების შენახვის (68.8%), მოხმარებისა (67.3%) და რეალიზების (71.7%) შემთხვევები "არასდროს"/"თითქმის არასდროს" ფიქსირდება.

• კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ისეთი დანაშაულების დაფიქსირების შემთხვევები, როგორებიცაა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, სექსუალური ტიპის დანაშაული, ფიზიკური ძალადობა, ოჯახში ძალადობა, ბავშვის მიმართ ძალადობა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ჰომოფობიურ/ტრანსფობიურ ნიადაგზე ყოველდღიურად, კვირაში რამდენჯერმე ან თვეში რამდენჯერმე უფრო მეტად დედაქალაქში ფიქსირდება ვიდრე სხვა ქალაქებსა და სოფლებში. მაგალითად, ფიზიკური ძალადობის ფაქტები თბილისში გამოკითხულთა 11.7%-ის შეფასებით ყოველდღიურია, ხოლო 15.9% ამბობს, რომ თვეში რამდენჯერმე ვლინდება; ასევე, დედაქალაქში გამოკითხულთა 13% ოჯახში ძალადობის ყოველდღიურ შემთხვევებზე მიუთითებს, თითქმის მეხუთედი კი აღნიშნული დანაშაულის თვეში რამდენიმე შემთხვევაზე. იმ რესპონდენტთა შორის, რომლებიც ამბობენ, რომ ასეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედებები კვარტალში რამდენჯერმე ხდება ყველაზე მაღალი საქალაქო ტიპის დასახლებებშია (თბილისის გამოკლებით). მაგალითად, თბილისისა და სხვა ქალაქების მოსახლეობის მეხუთედზე მცირედით მეტი მიუთითებს, რომ სექსუალური ტიპის დანაშაული მათ საცხოვრებელ უბანში კვარტალში რამდენჯერმე ხდება. ფიზიკური ძალადობის იმავე სიხშირით დაფიქსირებაზე კი ურბანული ტიპის დასახლებების მაცხოვრებელთა 18%, თბილისის მოსახლეობის 15.2% და სოფელში გამოკითხულთა 8.6% საუბრობს. მსგავსად ზემოთ განხილული სხვა დანაშაულებისა, ყველაზე მეტად სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი აცხადებს, რომ მათ საცხოვრებელ გარემოში ისეთი სამართალდარღვევები, რომლებიც რაიმე სახის ძალადობად შეიძლება გადაკვალიფიცირდეს - „თითქმის არასდროს"/"არასდროს არ ფიქსირდება".

• ზრდასრულებს/მოზარდებს შორის კრიმინალურ გარჩევებს და მოზარდებს შორის დაპირისპირების შემთხვევების დაფიქსირების ინტენსივობას რაც შეეხება, ზემოთ აღწერილი სამართალდარღვევების მსგავსი ტენდენციები ვლინდება. კერძოდ, ამ უკანასკნელი სამი დანაშაულის ყოველდღიურად, კვირაში რამდენჯერმე ან თვეში რამდენჯერმე დაფიქსირების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დედაქალაქში გამოვლინდა.

კვარტალში რამდენჯერმე კი სხვა ქალაქებში (თბილისის გარდა) ახორციელებენ დამნაშავე სუბიექტები. იმ რესპონდენტთა შორის კი, რომლებიც აცხადებენ, რომ ასეთი კანონდარღვევები „არასდროს“/“თითქმის არასდროს ხდება“ ყველაზე მაღალი პროცენტული წილით სოფლის მოსახლეობა გამოირჩევა (იხ. ცხრილი #2.9)

ცხრილი 2.9

რამდენად ხშირად ხდება თქვენს საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში... **(დასახლების ტიპის ჭრილში - თბილისი: N=567; სხვა ქალაქები: N=534; სოფელი - N=807;)**		ყოველდღიურად	ხშირად (კვირაში რამდენჯერმე)	ზოგჯერ (თვეში რამდენჯერმე)	იშვიათად (კვარტალში რამდენჯერმე)	თითქმის არასდროს	არასდროს	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
		%							
ქურდობა / ძარცვა (χ^2=383.939; p<0.05)	თბილისი	11.2	12.4	16.5	17.4	20.9	16	0.3	5.3
	სხვა ქალაქები	2.8	1.7	5.3	20.4	41.2	23.3	0.8	4.5
	სოფელი	2.6	1.7	4.4	10	35	43.3	0.1	3
ყაჩაღობა (χ^2=287.600; p<0.05)	თბილისი	12.7	6.8	9.5	14.7	25.7	22.4	0.5	7.7
	სხვა ქალაქები	2.8	1.1	8.7	9.6	39.1	32.6	0.6	5.5
	სოფელი	2.6	1.3	2.8	5.3	31.4	52.6	0.4	3.7
ნარკოტიკული საშუალებების შენახვა (χ^2=378.844; p<0.05)	თბილისი	12.2	13.5	11	9.9	12	17.6	0.3	23.4
	სხვა ქალაქები	3	1.1	4.7	11.7	25	27.1	1.1	26.1
	სოფელი	3.2	1.5	2.2	5.6	21.3	47.5	1.3	17.3
ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება (χ^2=409.335; p<0.05)	თბილისი	15.8	14.7	13.7	9.7	12.7	14.2	0.7	18.7
	სხვა ქალაქები	3.2	1.5	6.8	12.7	25.9	23.8	1.3	24.8
	სოფელი	4.0	3.2	3.5	5.5	21.7	45.6	1.4	15.1
ნარკოტიკული საშუალებების რეალიზება (χ^2=378.844; p<0.05)	თბილისი	12.2	11.5	9.5	7.2	13.9	16.4	1	28.4
	სხვა ქალაქები	3.2	1.3	5.5	9.6	20.5	28.6	1.9	29.4
	სოფელი	2.8	0.9	1.7	3.7	20.8	50.9	1.9	17.3
ხულიგნობა (χ^2=422.609; p<0.05)	თბილისი	13.8	9.7	18.5	14	21.3	15.5	1.5	5.7
	სხვა ქალაქები	2.6	2.3	7.7	21.7	34.9	22.6	0.8	7.4
	სოფელი	2.8	2.2	4.2	6.8	28.1	49.4	0.8	5.7
მკვლელობა (χ^2=829.583; p<0.05)	თბილისი	-	13.4	12.2	17.7	35.1	8.4	2.2	11
	სხვა ქალაქები	-	5.3	4.5	28.3	44	9.4	1.3	7.2
	სოფელი	-	0.3	3.3	3.5	20.4	66.2	0.6	5.8
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (χ^2=325.286; p<0.05)	თბილისი	14.4	4	10	12	21.7	27.2	1.2	9.5
	სხვა ქალაქები	3.4	1.3	4.5	14.7	28.5	36.1	0.9	10.4
	სოფელი	3.1	0.4	0.6	5.5	21.8	62.7	0.3	5.6
სექსუალური ტიპის დანაშაული (χ^2=910.056; p<0.05)	თბილისი	4	8.3	12	21	34.4	3.8	1	15.4
	სხვა ქალაქები	1.1	2.6	6	21.7	39.3	9.8	1.5	17.8
	სოფელი	-	2.2	1.3	2.4	17.6	68.6	1	6.9
ფიზიკური ძალადობა (χ^2=282.509; p<0.05)	თბილისი	11.7	6.5	15.9	15.2	18	22.9	0.7	9.2
	სხვა ქალაქები	3.8	1.7	6.8	18	29.7	29.5	0.8	9.8
	სოფელი	2.9	1.4	2.4	8.6	27.1	49.9	0.5	7.2
	თბილისი	12.2	9	16.6	12.7	17.9	20.2	1.2	10.2

რამდენად ხშირად ხდება თქვენს საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში... **(დასახლების ტიპის ჭრილში - თბილისი: N=567; სხვა ქალაქები: N=534; სოფელი - N=807;)**		ყოველდღიურად	ხშირად (კვირაში რამდენჯერმე)	ზოგჯერ (თვეში რამდენჯერმე)	იშვიათად (კვარტალში რამდენჯერმე)	თითქმის არასდროს	არასდროს	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
		%							
ზრდასრულ პირთა შორის კრიმინალური გარჩევები (χ^2=398.333; p<0.05)	სხვა ქალაქები	3.4	2.6	6.6	17.1	27.3	28.8	1.5	12.6
	სოფელი	2.9	1	1.9	5.6	26	54.7	0.4	7.3
მოზარდებს შორის კრიმინალური გარჩევები (χ^2=379.014; p<0.05)	თბილისი	12	9.8	15	13.4	21.7	19.4	0.5	8.2
	სხვა ქალაქები	3.4	3	8.3	15.7	27.8	25.9	1.1	14.6
	სოფელი	3	1.2	1.8	6.2	25.9	53.8	0.8	7.4
ოჯახში ძალადობა (χ^2=325.862; p<0.05)	თბილისი	13	8.7	19.4	17.2	15.4	8.7	1.2	16.5
	სხვა ქალაქები	3.4	3	12.7	21.7	26.8	13	0.4	18.9
	სოფელი	3	3.9	7.7	11.4	25.4	36.5	0.8	11.4
ბავშვის მიმართ ძალადობა (χ^2=185.655; p<0.05)	თბილისი	15.2	3.5	9.7	7.9	21.4	26.3	1.2	14.9
	სხვა ქალაქები	3.4	1.5	5.9	10.8	25.7	31.9	1.1	19.7
	სოფელი	3.1	5.4	4.7	9.9	22.7	45.3	0.4	8.6
მოზარდებს შორის დაპირისპირება (χ^2=391.232; p<0.05)	თბილისი	12.3	12.5	17.7	13.2	17.7	20	1.2	5.5
	სხვა ქალაქები	4	2.5	7.6	21.4	30.1	24.8	0.9	8.9
	სოფელი	3.2	1.3	3.9	8.2	28.5	49	0.3	5.6
ლგბტ პირების მიმართ აგრესიის გამოვლენა (χ^2=371.234; p<0.05)	თბილისი	14.5	7.5	13	6	16.2	24	1.3	17.4
	სხვა ქალაქები	4.2	1.3	5.9	6.4	22.7	36	1.1	22.3
	სოფელი	3.1	0.5	0.9	2.7	16.9	61.5	1.2	13.3
ვანდალიზმი, სხვისი საკუთრების დაზიანება (χ^2=378.844; p<0.05)	თბილისი	13	10.7	9.9	10.4	21.6	21.4	0.7	12.4
	სხვა ქალაქები	3.4	2.1	5.7	13.4	28.4	33.1	1.1	12.9
	სოფელი	3.2	0.8	1.2	2.9	22.7	61.6	0.6	7

გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დონეზე საკითხის განხილვა აჩვენებს, რომ ზემოთ დასახელებული დანაშაულები ყოველდღიურად, კვირაში, თვეში და კვარტალში რამდენჯერმე უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოში ფიქსირდება ვიდრე დასავლეთში. მაგალითად, „ყოველდღიურად“/“კვირაში რამდენჯერმე“/“თვეში რამდენჯერმე“/“კვარტალში რამდენჯერმე“ დანაშაულების ჩადენის სიხშირის კუთხით შემდეგი განსხვავებები ვლინდება:

- ქურდობა/ძარცვა: აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) - 31.4%; დასავლეთ საქართველო - 15.4%;
- ყაჩაღობა: აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) - 26.2%; დასავლეთ საქართველო - 6.4%;
- ნარკოტიკული საშუალებების შენახვა: აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 22.3%; დასავლეთ საქართველო - 9.3%;
- ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება: აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 25.1%; დასავლეთ საქართველო - 14.1%;
- ნარკოტიკული საშუალებების რეალიზება: აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 19.3%; დასავლეთ საქართველო - 7.5%;

- ხულიგნობა: აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 33.1%; დასავლეთ საქართველო - 14.1%;
- მკვლელობა: აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 26%; დასავლეთ საქართველო - 13.5%;
- ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება: აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 25.9%; დასავლეთ საქართველო - 5.4%;
- სექსუალური ტიპის დანაშაული: აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 22.3%; დასავლეთ საქართველო - 10.6%;
- ფიზიკური ძალადობა: აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 33.1%; დასავლეთ საქართველო - 10.2%;
- ზრდასრულ პირთა შორის კრიმინალური გარჩევები: აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 29.6%; დასავლეთ საქართველო - 8.6%;
- ოჯახში ძალადობა: აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 37.9%; დასავლეთ საქართველო - 26.1%;
- ბავშვთა მიმართ ძალადობა: აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 30.7%; დასავლეთ საქართველო - 14.4%;
- მოზარდებს შორის დაპირისპირება: აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 35.3%; დასავლეთ საქართველო - 13.4%;
- სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ჰომოფობიურ/ტრანსფობიურ ნიადაგზე: აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 18.9%; დასავლეთ საქართველო - 4.5%;
- ვანდალიზმი, სხვისი საკუთრების დაზიანება: აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 23.4%; დასავლეთ საქართველო - 6.3%;

გამონაკლისი აღმოჩნდა „მოზარდებს შორის კრიმინალური გარჩევების“ შემთხვევები. ეს უკანასკნელი დანაშაული დასავლეთ საქართველოში უფრო ხშირია ვიდრე აღმოსავლეთში. კერძოდ, მაშინ როდესაც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის 30.7% ამბობს, რომ ასეთი კანონდარღვევა „ყოველდღიურად+კვირაში რამდენჯერმე+თვეში რამდენჯერმე+კვარტალში რამდენჯერმე“ ფიქსირდება, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში იგივე ინტენსივობაზე მოსახლეობის მხოლოდ 8.8% მიუთითებს. ამასთან, აღმოსავლეთში შედარებით მაღალია მათი რაოდენობა, რომლებიც ამბობენ, რომ ეს კონკრეტული დანაშაული „არასდროს“/“თითქმის არასდროს ხდება“. აქვე, ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც დანარჩენ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებთან მიმართებით აცხადებენ, რომ მათ საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში “არასდროს”/”თითქმის არასდროს” ფიქსირდება, თვალსაჩინოდ მაღალია დასავლეთ საქართველოში (იხ. ცხრილი #2.10)

ცხრილი #2.10

რამდენად ხშირად ხდება თქვენს საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში... **(გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში - აღმოსავლეთ საქართველო - N=642; დასავლეთ საქართველო - N=699;)**		**ყოველდღიურად**	**ხშირად (კვირაში რამდენჯერმე)**	**ზოგჯერ (თვეში რამდენჯერმე)**	**იშვიათად (კვარტალში რამდენჯერმე)**	**თითქმის არასდროს**	**არასდროს**	**უარი პასუხზე**	**არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა**
		%							
ქურდობა / ძარცვა (χ^2=451.607; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	5.3	2	7.2	16.9	44.4	20.8	-	3.4
	დასავლეთ საქართველო	0.1	1.3	2.4	11.5	31.2	48.9	0.7	3.7
ყაჩაღობა (χ^2=414.999; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	5.3	1.7	8.6	10.6	43.0	26.6	0.5	3.7
	დასავლეთ საქართველო	0.1	0.7	1.9	3.6	26.3	61.7	0.4	5.1
ნარკოტიკული საშუალებების შენახვა (χ^2=430.697; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	6.1	2	3.9	10.3	28	25.8	0.9	23
	დასავლეთ საქართველო	0.3	0.6	2.6	5.9	17.9	52.3	1.7	18.9
ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება (χ^2=389.869; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	7.3	3	6.2	8.6	25.5	26.6	1.4	21.3
	დასავლეთ საქართველო	0.1	2.2	3.6	8.1	21.4	46.4	1.5	16.6
ნარკოტიკული საშუალებების რეალიზება (χ^2=430.825; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	5.9	0.9	4	8.4	26.5	27.4	2	24.8
	დასავლეთ საქართველო	0.1	1	2.4	3.9	15.1	55.8	1.8	19.8
ხულიგნობა (χ^2=402.595; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	5.4	2.6	8.6	16.5	34.2	25.3	0.6	6.7
	დასავლეთ საქართველო	0.1	1.9	2.7	9.3	27.6	51.3	1	6
მკვლელობა (χ^2=399.725; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	-	3.1	6.8	16	35.6	32	0.6	3.1
	დასავლეთ საქართველო	-	1.5	0.9	11.1	24.6	54	1	1.5
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (χ^2=376.492; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	5.9	0.8	3.6	15.6	30.6	37.1	0.2	6.2
	დასავლეთ საქართველო	0.6	0.7	0.9	3.1	18.7	66.3	0.9	8.7

რამდენად ხშირად ხდება თქვენს საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში... **(გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში - აღმოსავლეთ საქართველო - N=642; დასავლეთ საქართველო - N=699;)**		**ყოველდღიურად**	**ხშირად (კვირაში რამდენჯერმე)**	**ზოგჯერ (თვეში რამდენჯერმე)**	**იშვიათად (კვარტალში რამდენჯერმე)**	**თითქმის არასდროს**	**არასდროს**	**უარი პასუხზე**	**არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა**
		%							
სექსუალური ტიპის დანაშაული (χ^2=484.431; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	0.8	4	5.3	12.1	31.6	32.4	0.8	12.9
	დასავლეთ საქართველო	0.1	0.7	1.3	8.4	21.3	56.7	1.6	9.7
ფიზიკური ძალადობა (χ^2=405.978; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	5.8	2	5.9	19.3	33.7	24.2	0.2	8.9
	დასავლეთ საქართველო	0.7	1.2	2.5	5.7	22.9	58.4	1	7.5
ზრდასრულ პირთა შორის კრიმინალური გარჩევები (χ^2=431.354; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	5.8	2.6	5.1	16	30.4	28.8	0.5	10.7
	დასავლეთ საქართველო	0.6	0.8	2.6	4.7	22.8	59.3	1.2	8.1
მოზარდებს შორის კრიმინალური გარჩევები (χ^2=402.563; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	0.6	1.2	2.3	4.7	22.8	57.5	0.9	10.1
	დასავლეთ საქართველო	5.8	2.7	6.6	15.6	30.8	26.9	1.1	10.6
ოჯახში ძალადობა (χ^2=339.607; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	5.6	3.4	9	19.8	32.6	15.3	0.5	13.9
	დასავლეთ საქართველო	0.6	3.6	10.4	11.6	19.7	38.3	0.9	15
ბავშვის მიმართ ძალადობა (χ^2=313.883; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	5.8	3.7	5.9	15.3	31.3	22.4	0.6	15
	დასავლეთ საქართველო	0.6	3.9	4.5	5.4	16.9	56.7	0.7	11.2
მოზარდებს შორის დაპირისპირება (χ^2=461.340; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	6.2	2.3	7.6	19	33.9	22.2	0.3	8.4
	დასავლეთ საქართველო	0.8	1.2	3.2	8.3	24.6	55.7	0.8	5.6
ლგბტ პირების მიმართ აგრესიის გამოვლენა (χ^2=406.075; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	6.2	0.9	4.4	7.3	25.1	36.8	0.9	18.3
	დასავლეთ საქართველო	0.9	0.7	1.5	1.3	13.6	64.9	1.2	15.7
ვანდალიზმი, სხვისი საკუთრების დაზიანება (χ^2=402.899; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა)	5.9	1.7	3.7	12	30.3	36.7	0.6	9
	დასავლეთ საქართველო	0.6	0.9	2.2	2.5	19.9	63	1.2	9.6

კვლევის შედეგად მოპოვებული რაოდენობრივი ინფორმაცია ცხადყოფს, რომ გამოკითხული მოსახლეობის 28.4% (N=330) საცხოვრებელ სივრცეში სულ მცირე ერთი სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედებას შესწრებია, ასეთ დანაშაულებს შორის ყველაზე ხშირია - ფიზიკური ძალადობა (4.5%), ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება (4%), ქურდობა/ძარცვა (3.8%) და მოზარდებს შორის ფიზიკური გარჩევები (3.8%). ამასთან, რესპონდენტთა თითქმის თანაბარი რაოდენობა მიუთითებს ისეთი დანაშაულებრივი ქმედებების დაფიქსირების პრაქტიკაზე, როგორებიცაა ხულიგნობა და ზრდასრულ პირებს შორის კრიმინალური გარჩევები. ამისგან განსხვავებით, გამოკითხვაში მონაწილე პირთა 70.6% საპირისპირო გამოცდილებაზე აკეთებს აქცენტს (არცერთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას არ შესწრებია) (იხ. დიაგრამა #2.19).

დიაგრამა #2.19



კვლევის შედეგების თანახმად, ქალებისა (71.1%) და კაცების (68.9%) დიდი ნაწილი, მათ საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში რომელიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედებას არ შესწრებია. ორივე სამიზნე ჯგუფში მცირეა საპირისპირო გამოცდილების მქონე რესპონდენტების წილი. კერძოდ, მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა შემთხვევაში ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებმაც სისხლის სამართლის მძიმე თუ შედარებით მსუბუქ დანაშაულებზე მიუთითეს ჯამში 26.5%-ს უტოლდება, მამაკაცებს შორის კი ასეთთა პროცენტული წილი 30.6%-ს უტოლდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=36.137$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.20).

დიაგრამა #2.20



ასაკობრივი ჯგუფების ჭრილში საკითხის დამუშავება აჩვენებს, რომ 65+ (85.5%) და 55-64 (82.2%) წლის ასაკობრივი კატეგორიების წარმომადგენელ რესპონდენტებს შორის ყველაზე მაღალია ისეთთა წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ მათი თანდასწრებით მართლსაწინააღმდეგო ქმედებები არ დაფიქსირებულა. ანალოგიურ გამოცდილებაზე მიუთითებს მოზარდთა 72.2%, ახალგაზრდების 67.6% და 30-54 წლის მოსახლეობის 62.7%. საპირისპირო გამოცდილების მქონე მოზარდებისა და ახალგაზრდების შემთხვევაში, დანაშაულის დომინანტურ ტიპებად ფიზიკური ძალადობა და მოზარდებს

შორის კრიმინალური გარჩევები დასახელდა, 30-54 წლის რესპონდენტებთან კი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება და ხულიგნობა. რაც შეეხება 55-64 და უფროსი ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლებს, მათგან ძალზე მცირე ნაწილი საუბრობს მათი თანდასწრებით რომელიმე დანაშაულის განხორციელების ფაქტზე (თითოეული დანაშაულის შემთხვევაში ასეთთა წილი 3.6%-ს არ აღემატება) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=190.397$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #2.11).

ცხრილი #2.11

შესწრებიხართ თუ არა თქვენს საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედებას? (ასაკის ჭრილში)	15-17 წლის (N=382)	18-29 წლის (N=388)	30-54 წლის (N=397)	55-64 წლის (N=741)	65 + წლის
	%				
ქურდობა / ძარცვა	3.3	3.5	4.9	3.6	1.5
ყაჩაღობა	1.6	1.3	2.4	0.9	1
ნარკოტიკული საშუალებების შენახვა	0.9	1.4	1.2	0.5	1.4
ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება	1.6	3.8	5.6	1.5	3.2
ნარკოტიკული საშუალებების რეალიზება	1.2	0.7	1.4	0.2	0.6
ხულიგნობა	3.2	2.5	5.4	2	1.8
მკვლელობა	-	0.9	0.8	0.5	0.3
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	0.2	0.6	1.6	0.5	-
სექსუალური ტიპის დანაშაული	-	0.2	0.2	-	-
ფიზიკური ძალადობა	5.7	7.1	4.9	2.6	1.4
ზრდასრულ პირთა შორის კრიმინალური გარჩევები	2.6	4.7	3.6	1.7	0.8
მოზარდებს შორის კრიმინალური გარჩევები	6.2	5.1	4.4	2.5	1.1
არცერთს არ შევსწრებივარ	72.2	67.6	62.7	82.2	85.5
უარი პასუხზე	0.5	0.5	-	0.2	-
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	0.7	0.2	0.8	1.2	1.5

კვლევა აჩვენებს, რომ სოფლებში (83.1%), თბილისსა (60.6%) და სხვა ქალაქებთან (65.7%) შედარებით, გაცილებით მაღალია ისეთ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც აცხადებენ, რომ დანაშაულებრივი ფაქტის თვითმხილველნი არ გამხდარან. განსხვავებული პრაქტიკის მქონე რესპონდენტების დასახლების არეალებში შემდეგი ტენდენციები ვლინდება: თბილისში ყველაზე ხშირია მოზარდებს შორის ფიზიკური გარჩევების, ზრდასრულებს შორის ფიზიკური გარჩევებისა და ფიზიკური ძალადობის შემთხვევები, მაშინ როდესაც ურბანული ტიპის სხვა დასახლებებში დომინანტური ქურდობა/ძარცვა და ხულიგნობა აღმოჩნდა. რაც შეეხება სასოფლო დასახლებებს, იმ რესპონდენტთა წილი, რომლებმაც რომელიმე ერთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე მიუთითეს 3,4%-ს არ აღემატება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=471.875$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #2.12).

ცხრილი #2.12

შესწრებიხართ თუ არა თქვენს საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედებას? (დასახლების ტიპის ჭრილში)	თბილისი (N=567)	სხვა ქალაქები (N=534)	სოფელი (N=807)
	%		
ქურდობა / ძარცვა	1.5	7.1	3.3
ყაჩაღობა	0.2	4.2	1.2
ნარკოტიკული საშუალებების შენახვა	2.5	0.2	0.7
ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება	5.1	4.4	2.8
ნარკოტიკული საშუალებების რეალიზება	1.3	1.4	0.3
ხულიგნობა	2	7.7	2
მკვლელობა	-	2.1	0.1
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	1.5	1.2	0.2
სექსუალური ტიპის დანაშაული	-	0.5	-
ფიზიკური ძალადობა	8.2	1.7	3.4
ზრდასრულ პირთა შორის კრიმინალური გარჩევები	7.7	0.7	0.9
მოზარდებს შორის კრიმინალური გარჩევები	8.8	2.2	0.7
არცერთს არ შევსწრებივარ	60.6	65.7	83.1
უარი პასუხზე	-	0.2	0.3
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	0.8	0.7	1

გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დონეზე საკითხის ანალიზი ცხადყოფს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გავრცელების დიაპაზონი უფრო მასშტაბურია ვიდრე დასავლეთში. აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მაშინ როდესაც დასავლეთ საქართველოში რესპონდენტთა 85.5% დანაშაულებრივ ქმედებებს არ შესწრებია, ქვეყნის მეორე მხარეში ანალოგიური გამოცდილების მქონე რესპონდენტთა წილი დაახლოებით 19%-ით დაბალია. აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე გავრცელებული დანაშაული ქურდობა/ძარცვა აღმოჩნდა (6.4%), დასავლეთში კი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება (4%). აქვე, საგულისხმოა ისიც, რომ ამ უკანასკნელ გეოგრაფიულ არეალში გამოკითხულ იმ რესპონდენტთა წილს, რომლებმაც რომელიმე ერთი დანაშაული დაასახელეს (14.2%), ორჯერ აღემატება ასეთი გამოცდილების მქონე მოსახლეობის რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=468.009$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.21).

დიაგრამა #2.21



კვლევისთვისსაინტერესოიყოიმისგაგება,**თურახერხებს/გზებსმიმართარესპონდენტთა იმ ნაწილმა, რომლებიც დანაშაულებრივ ქმედებას შეესწრნენ, აღნიშნული ფაქტის აღსაკვეთად.** როგორც აღმოჩნდა, მათგან ყოველ მესამეს (34.8%) არანაირი რეაგირება არ ჰქონია, 23.8% კი თავად შეეცადა სიტუაციის განმუხტვას. 18.2%-ის საპასუხო რეაქცია 112-ში განხორციელებული ზარით გამოიხატა, 12.8%-მა კი გარშემომყოფებს სთხოვა დახმარება (იხ. დიაგრამა #2.22).

დიაგრამა #2.22



იმ მდედრობითი და მამრობითი სქესის რესპონდენტთა შორის, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ამა თუ იმ დანაშაულებრივი ქმედების თვითმხილველნი გამხდარან, დაასახელეს მართლსაწინააღმდეგო ფაქტზე რეაგირების ფორმა. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, მსგავსი ტიპის მოვლენებთან მიმართებით გულგრილი დამოკიდებულების მაჩვენებელი ქალების შემთხვევაში უფრო მაღალია ვიდრე მამაკაცების. კერძოდ, მდედრობითი სქესის რესპონდენტების 40.1%-მა აღნიშნა, რომ არანაირი რეაგირება არ ჰქონია, მაშინ როდესაც ასეთთა წილი კაცების შემთხვევაში 29.5%-ს არ აღემატება. საპირისპირო პრაქტიკის მქონე რესპონდენტთა ქცევა განსხვავებული აღმოჩნდა ამ ორ სამიზნე ჯგუფში. კერძოდ, ქალების ყველაზე დიდი ნაწილისთვის ოპტიმალური გამოსავალი 112-ის დახმარების გამოძახება აღმოჩნდა, რაც კაცების მხოლოდ 8.1%-ისთვის აღმოჩნდა აქტუალური, ამ უკანასკნელთათვის დომინანტურ გამოსავლად სიტუაციის საკუთარი ძალებით განმუხტვა დასახელდა (39.2%), რაც ქალების მხოლოდ 8%-სთვის აღმოჩნდა მიღებული პრაქტიკა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=91.541$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.23).

დიაგრამა #2.23



კვლევის შედეგების გათვალისწინებით, დანაშაულებრივ ქმედებებზე რეაგირების არქონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში დაფიქსირდა (43.8%). ასეთთა წილი სხვა ქალაქებსა (29.4%) და სოფლებში (26%) გამოკითხულთა მეოთხედს მცირედით აღემატება. აღსანიშნია, რომ თბილისსა (29.1%) და სოფლებში (28.6%) იმ რესპონდენტთათვის, რომლებმაც მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე რეაქცია გამოხატეს და უყურადღებოდ არ დატოვეს, პირველი რიგის ოპტიმალურ გამოსავალი სიტუაციის საკუთარი ძალებით განმუხტვა აღმოჩნდა. ასეთი მიდგომის გამოყენების პრაქტიკას სხვა ქალაქებში გამოკითხული მოსახლეობის მხოლოდ 11.9%-მა გაუსვა ხაზი. ურბანული ტიპის დასახლებებში (თბილისის გარდა) კანონდარღვევის აღკვეთისკენ მიმართულ ყველაზე გავრცელებულ გადაწყვეტილებად/ქცევად 112-ის დახმარების გამოძახება იდენტიფიცირდა, რისთვისაც სოფლის მოსახლეობის 27.6% და თბილისში გამოკითხულთა მხოლოდ 6.7%-ს მიუმართავს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=66.504$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.24).

დიაგრამა #2.24



მართლსაწინააღმდეგო ქმედების დაფიქსირების შემთხვევაში, მასზე რეაგირების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია აღმოსავლეთ საქართველოში (35.6% - „არანაირი რეაგირება არ მქონია “), რასაც 2.5-ჯერ ჩამოუვარდება ანალოგიური პრაქტიკის მქონე რესპონდენტთა წილი დასავლეთ საქართველოში. მიუხედავად აღნიშნული განსხვავებისა, როგორც აღმოსავლეთში (20.7%), ისე დასავლეთში (38.2%) გამოკითხული მოსახლეობის იმ სეგმენტის გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომლებიც დანაშაულებრივ ფაქტებს არ ტოვებენ რეაგირების გარეშე, ყველაზე გავრცელებული გამოსავალი 112-ში ზარის განხორციელება და სამართალდამცავების გამოძახება აღმოჩნდა. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში კი არაფორმალური გზების/მეთოდების გამოყენების პრაქტიკაც დაფიქსირდა. კერძოდ, მდგომარეობის საკუთარი ძალებით განმუხტვა (აღმოსავლეთი - 18.8%; დასავლეთი - 20.4%) და გარშემომყოფებისთვის დახმარების თხოვნა (აღმოსავლეთი - 11.8%; დასავლეთი - 16.3%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=83.065$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.25).

დიაგრამა #2.25



კვლევაში მონაწილე პირთა 19%-ის შეფასებით, **საპოლიციო უწყებაში** დასაქმება საქართველოში „ძალზე არაპრესტიჟულია“/“არაპრესტიჟულია“. აღნიშნულის საპირისპირო განწყობას აფიქსირებს გამოკითხულთა 38.7% („ძალზე პრესტიჟული“/“პრესტიჟული“), 36.7% კი მოცემული საკითხის შესაფასებლად სკალის ნეიტრალურ ნიშნულს იყენებს („თანაბრად არაპრესტიჟულიც და პრესტიჟულიც) (იხ. დიაგრამა #2.26).

დიაგრამა #2.26



კვლევის შედეგების სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ მამაკაცები (23.7%) უფრო მეტად მიიჩნევენ საპოლიციო უწყების თანამშრომლად მუშაობას არაპრესტიჟულად ვიდრე ქალები (15.1%) („ძალზე არაპრესტიჟული“/“არაპრესტიჟული“). ორივე სამიზნე ჯგუფში, რესპონდენტთა მესამედი ნაწილი აღნიშნულ საკითხს სკალის ნეიტრალური ნიშნულით („თანაბრად - პრესტიჟულიც და არაპრესტიჟულიც“) აფასებს. ამასთან, ყოველი მესამე მამაკაცი კი მის პრესტიჟულობას უსვამს ხაზს, რასაც 8%-ით აღემატება ანალოგიური განწყობის მქონე ქალი რესპონდენტების წილი. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=38.552$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.27).

დიაგრამა #2.27



საპოლიციო უწყების თანამშრომლად მუშაობა „ძალზე არაპრესტიჟული“/“არაპრესტიჟული“ ყველაზე მეტად ახალგაზრდებისთვის (20.4%) და 30-54 წლამდე (22.8%) პირებისთვის აღმოჩნდა. ამასთან, მოცემული საკითხი შეფასების სკალის ნეგატიურ ველში მოაქცია მოზარდთა 17.6%-მა. რაც შეეხება საპირისპირო განწყობებს, 55-64 წლამდე (50.3%) და 65+ (56.2%) რესპონდენტთა შორის ყველაზე მაღალია ისეთთა წილი, რომლებიც პოლიციაში დასაქმებას პოზიტიურ კონტექსტში განიხილავენ და მას, როგორც „ძალზე პრესტიჟულ“/“პრესტიჟულ“ სამუშაო პოზიციად ახასიათებენ. ამგვარი დამოკიდებულების მქონე 15-17 წლის მოსახლეობა კვლევაში 41.2%-ით არის წარმოდგენილი. 18-29 და 30-54 წლის ასაკობრივი ჯგუფების რესპონდენტთა შორის კი იდენტური განწყობის მატარებელი ყოველი მესამე რესპონდენტია (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=69.885$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამები: #2.28).

დიაგრამა #2.28



პოლიციელად ყოფნა არასასურველი პოზიცია ყველაზე მეტად თბილისში გამოკითხულთათვისაღმოჩნდა(33.2%),ყველაზენაკლებადკი,სოფლისმოსახლეობისთვის (11.4%). ამ უკანაკნელთა 48.7%-სთვის პოლიციელობა „ძალზე პრესტიჟული“/“პრესტიჟული“ თანამდებობაა, რასაც თბილისში 2-ჯერ ნაკლები რესპონდენტი მიუთითებს, სხვა ქალაქებში კი ასეთთა წილი 40.9%-ს უტოლდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=188.189$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.29).

დიაგრამა # 2.29



საქართველოს ორივე ნაწილში თითქმის თანაბარია ისეთ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც პოლიციელობას არაპრესტიჟულ ან პრესტიჟულ თანამდებობად განიხილავენ. ამასთან, ყოველი მესამე რესპონდენტისთვის, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, პოლიციელობა თანაბრად პრესტიჟული და არაპრესტიჟული საქმიანობა აღმოჩნდა. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=178.072$ $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.30).

დიაგრამა #2.30



გამოკითხული მოსახლეობის 40.1% წინააღმდეგია, რომ მისი ოჯახის წევრი საპოლიციო სტრუქტურაში დასაქმდეს, 47.6% კი აღნიშნულ პერსპექტივასთან მიმართებით პოზიტიურ განწყობას გამოხატავს (ისურვებდა, რომ ოჯახის წევრი პოლიციის თანამშრომელი იყოს) (იხ. დიაგრამა #2.31).

დიაგრამა #2.31



რესპონდენტების სქესის, ასაკის, დასახლების ტიპისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დონეზე საკითხის - **„ისურვებდით თუ არა, რომ თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი იყოს პოლიციის თანამშრომელი“** სტატისტიკური ანალიზი შემდეგ ტენდენციებს ავლენს:

- მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა მესამედი ნაწილი, ოჯახის წევრის საპოლიციო უწყებაში დასაქმების წინააღმდეგია. ანალოგიური განწყობის მქონე მამაკაცების პროცენტული მაჩვენებელი რამდენადმე მაღალია - 45.5%. ამასთან, ყოველი მეორე ქალი რესპონდენტი გამოხატავს სურვილს, რომ მისი ოჯახის წევრი პოლიციაში დასაქმდეს მაშინ, როდესაც ასეთთა წილი კაცების შემთხვევაში 41.7%-ს არ აღემატება.
- თბილისსა (47.8%) და სხვა ურბანულ დასახლებებში (42.9%) გამოკითხულ რესპონდენტთა შორის თითქმის თანაბარია ისეთთა რაოდენობა, რომლებიც ოჯახის წევრის პოლიციაში დასაქმებას ნეგატიურ კონტექსტში განიხილავენ. ამისგან განსხვავებით, სოფლების მაცხოვრებელთაგან ყოველი მეორე საპირისპირო პოზიციას აფიქსირებს (54.6%).
- აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში თითქმის თანაბარია იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები, რომელთაც სურთ ან არ სურთ, რომ მათი ოჯახის წევრი პოლიციელი გახდეს (იხ. ცხრილი #2.12).

ცხრილი #2.12

ისურვებდით თუ არა, რომ თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი იყოს პოლიციის თანამშრომელი? (სქესის ჭრილში)		**დიახ, ვისურვებდი**	**არა, არ ვისურვებდი**	**უარი პასუხზე**	**არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა**
		%			
სქესის ჭრილში (χ^2=21.106; p<0.05)	ქალი (N=1048)	52.8	35.4	1	10.9
	კაცი (N=860)	41.7	45.5	0.4	12.4
დასახლების ტიპის ჭრილში (χ^2=45.235; p<0.05)	თბილისი (N=567)	42.7	47.8	0.2	9.3
	სხვა ქალაქები (N=534)	42.7	42.9	1.1	13.2
	სოფელი (N=807)	54.6	32.1	1.2	12.2
გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში (χ^2=29.149; p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	52	34.7	0.9	12.3
	დასავლეთ საქართველო (N=699)	47.6	38.2	1.3	12.9

იმ რესპონდენტთაგან, რომლებიც პოლიციის უწყებაში მათი ოჯახის წევრის დასაქმებას არ ემხრობიან, 26.7% აცხადებს, რომ ეს სამუშაო პოზიცია სიცოცხლისთვის საფრთხის/რისკის შემცველ ფუნქცია-მოვალეობებს მოიცავს. 23.5% ასეთი განწყობის განმაპირობებელ ფაქტორად პოლიციის მიმართ საზოგადოებაში არსებულ სკეპტიკურ განწყობებს/დამოკიდებულებს ასახელებს, 22.7%-სთვის კი პოლიციელობა მძიმე სამუშაო რეჟიმთან ასოცირდება. პოლიციაში მუშაობის არაპრესტიჟულობას ხაზს უსვამს რესპონდენტთა 23.5%. აღსანიშნია, რომ სამართალდამცავი უწყების სამუშაო პოზიციაზე დასაქმებასთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივი განწყობები რესპონდენტთა მხოლოდ 8%-ში დაბალი ანაზღაურების გამო დაფიქსირდა (იხ. დიაგრამა #2.32).

დიაგრამა #2.32



მდედრობითი და მამრობითი სქესის იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც მათი ოჯახის წევრის პოლიციაში დასაქმებასთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება გამოხატეს, მოიყვანეს ის არგუმენტები, რომლებიც მათ ამგვარ პოზიციას მეტ-ნაკლებად ხსნის. კერძოდ, ორივე სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელთათვის ა) პოლიციელობა სიცოცხლისთვის სარისკო საქმიანობად იდენტიფიცირდება (ქალები - 28.4%; კაცები -25.3%), ბ) პოლიციელებს მძიმე სამუშაო რეჟიმი აქვთ (ქალები - 25.8%; კაცები -20%), გ) პოლიციელობა არასასურველი პროფესიაა, რადგან აღნიშნული უწყების მიმართ მოსახლეობას ნდობა დაკარგული აქვს (ქალები - 22.4%; კაცები - 22.7%). გარდა ჩამოთვლილისა, მამაკაცი რესპონდენტებისთვის პრიორიტეტული, აღნიშნული პროფესიის პრესტიჟულობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში გავრცელებული განწყობები და დამოკიდებულებები აღმოჩნდა. კერძოდ, კაცების 18.3%-ს სწორედ იმის გამო არ სურს ოჯახის წევრის პოლიციაში დასაქმება, რომ ეს პროფესია პრესტიჟული აღარ არის. აღნიშნული მოსაზრება ქალ რესპონდენტებში ნაკლებად მნიშვნელობს (9.6%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2= 36.086$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.33).

დიაგრამა #2.33



დასახლების ტიპის დონეზე საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ თბილისის მოსახლეობის იმ სეგმენტის ყველაზე დიდი ნაწილი - 27.9%, რომლებსაც მათი ოჯახის წევრის საპოლიციო სტრუქტურაში დასაქმება არ სურთ, ასეთ დამოკიდებულებას საზოგადოებაში პოლიციის მიმართ არსებული სკეპტიკური განწყობებით/უნდობლობით ხსნის, 24.9% კი სიცოცხლისთვის სარისკო სამუშაოს შესრულების ვალდებულებით. სხვა ურბანული დასახლებების მოსახლეობის შემთხვევაში ანალოგიური განწყობის მადეტერმინირებელი პირველი რიგის მიზეზად პოლიციელის მძიმე სამუშაო რეჟიმი გამოიკვეთა (28.1%), მეორე რიგის მიზეზად კი სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი მოვალეობები (24.4%) და პოლიციის მიმართ დაკარგული ნდობა (23.1%) დასახელდა. აღწერილისგან განსხვავებით, სოფლის მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილისთვის ყველაზე მეტად პრობლემური პოლიციელის ისეთი ფუნქცია-მოვალეობებია, რომლებიც მისი სიცოცხლისთვის სარისკო სამუშაოს შესრულებას მოითხოვს (31.1%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2= 66.465$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.34).

დიაგრამა #2.34



დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისთვის თითქმის თანაბარმნიშვნელოვან მიზეზებს წარმოადგენს პოლიციელის მძიმე სამუშაო რეჟიმი (28.7%) და სიცოცხლისთვის სარისკო ფუნქცია-მოვალეობები (28.3%). აღსანიშნია, რომ დასახელებული ორი ფაქტორი გამოიკვეთა აღმოსავლეთ საქართველოშიც. ამასთან, საგულისხმოა, რომ ქვეყნის ორივე არეალის მოსახლეობის მეხუთედი ნაწილი საკუთარი განწყობის (არ სურთ ოჯახის წევრის პოლიციელობა) მადეტერმინირებელ ცვლადად საპოლიციო სტრუქტურის მიმართ უნდობლობას ასახელებს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2= 62.944$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.35).

დიაგრამა #2.35



გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტების თითქმის მეხუთედმა აღნიშნა, რომ პოლიციის მიერ მათთან მიმართებით უფლებამოსილების გადაჭარბების შემთხვევაში, ისინი შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართავენ (19.1%), 17.8% კი დახმარებისთვის კვლავ პოლიციას დაუკავშირდება. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, გამოკითხულთა ნაწილი დამხმარე სტრუქტურებად სასამართლოს (14.7%) და ადვოკატს (15.1%) ასახელებს. 8.7%-ს არ აღემატება მათი წილი, რომლებმაც ასეთ ინსტიტუციად საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი დაასახელეს (იხ. დიაგრამა #2.36).

დიაგრამა #2.36



სქესის ჭრილში საკითხის გაანალიზება აჩვენებს, რომ პოლიციის მიერ უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევაში ქალების თითქმის მეხუთედი ნაწილი ან ისევ პოლიციას (18.9%) მიმართავს ან შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას (18.2%). ეს უკანასკნელი მამაკაცთა 20.1%-ისთვის აღმოჩნდა პრიორიტეტული. ამასთან, კაცების თანაბარმა რაოდენობამ (16.4%-16.4%) განაცხადა, რომ კვლავ პოლიციას დაუკავშირდებოდა, ან ადვოკატს მიმართავდა. კერძო უფლებადამცველისთვის დახმარების თხოვნაზე, როგორც ერთ-ერთ ალტერნატივაზე, ქალების 14%-მა მიუთითა. აღსანიშნია, რომ ორივე სამიზნე ჯგუფში თითქმის თანაბარია ისეთთა რაოდენობა, რომლებიც ასეთ შემთხვევაში სასამართლოს მიმართავდნენ (ქალები - 15.6%; კაცები - 13.5%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2= 84.003$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.37).

დიაგრამა #2.37



კვლევის შედეგების გათვალისწინებით, მოზარდთა (17.2%), 55-64 (20%) და 65 წლის ან მეტი (21.9%) ასაკის რესპონდენტების ყველაზე დიდი ნაწილი, მათ მიმართ პოლიციის მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევაში, კვლავ პოლიციას მიმართავდა. ამისგან განსხვავებით, 18-29 წლის რესპონდენტებს მსგავსი სიტუაციიდან ოპტიმალურ გამოსავლად ადვოკატთან დაკავშირება მიაჩნიათ (17.9%), 30-54 წლამდე მოსახლეობის 22.4% კი პრობლემის მოგვარების ეფექტიან გზად შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასთან დაკავშირებას ასახელებს. შსს-ს გენერალურ ინსპექციასთან დაკავშირების ვარიანტი დააფიქსირა მოზარდთა 13.5%-მა; ახალგაზრდების 15.9%-მა, 55-64 წლის რესპონდენტთა 17.7%-მა და 65+ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა 19.2%-მა. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi 2= 172.187$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი#2.13).

ცხრილი #2.13

იმ შემთხვევაში, თუ პოლიციელმა საკუთარი უფლებამოსილება დაარღვია თქვენი მისამართით, ვის მიმართავდით? (ასაკის ჭრილში)	**15-17 წლის (N=382)**	**18-29 წლის (N=388)**	**30-54 წლის (N=397)**	**55-64 წლის (N=381)**	**65+ წლის (N=360)**
	%				
შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას	13.5	15.9	22.4	17.7	19.2
სასამართლოს	14.7	14.9	15.2	13.6	14.5
ადვოკატს	15	17.9	14.6	13.6	13
ისევ პოლიციას	17.2	16	17.1	20	21.9
მედია საშუალებებს	3.7	6.1	3.9	3.1	2.3
სახალხო დამცველს	10	8.5	8.6	8.8	9.2
არასამთავრობო ორგანიზაციებს	4.4	5.1	4.8	3.7	3
ქურდული სამყაროს წევრებს	0.9	-	0.5	-	-
განვაცხადებ სოციალურ ქსელში	5.1	4.7	3.1	2.2	0.4
სხვა	2.6	1.4	1.6	2.9	2.8
უარი პასუზე	0.2	1	0.5	1	0.7
არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	12.5	8.5	7.5	13.7	13.1

დასახლების ტიპის დონეზე საკითხის სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ თბილისის მოსახლეობის (21.2%) ყველაზე დიდი ნაწილი, პოლიციასთან კონფლიქტის შემთხვევაში შსს-ს გენერალურ ინსპექციასთან დაკავშირებას მიიჩნევს ძირითად გამოსავლად (სხვა ქალაქები - 17.5%, სოფლები - 18.5%). სხვა ქალაქებისა (19%) და სასოფლო დასახლებების (20.3%) მაცხოვრებლების უმეტესი ნაწილი კი აცხადებს, რომ პოლიციის მხრიდან მათ მიმართ უფლებამოსილების გადაჭარბების შემთხვევაში, ისინი კვლავ პოლიციას მიმართავენ (თბილისი - 13.3%; სხვა ქალაქები - 19%). როგორც სასამართლოსთან, ისე ადვოკატთან დაკავშირების მოსალოდნელობას ყველაზე მეტად ურბანული ტიპის დასახლებების (გარდა თბილისისა) მოსახლეობამ გაუსვა ხაზი. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2$= 168.335; $p<0.05$)

რაც შეეხება აღმოსავლეთ/დასავლეთ საქართველოს ჭრილში სტატისტიკურ მონაცემებს შორის სხვაობას, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მოსახლეობის 23.4% პოლიციასთან ურთიერთობის პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადასალახად, საუკეთესო გამოსავლად შსს-ს გენერალურ ინსპექციასთან დაკავშირებას მოიაზრებს, მაშინ როდესაც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის თითქმის იგივე ნაწილმა (24.3%) განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში კვლავ პოლიციას მიმართავდა. აღმოსავლეთ საქართველოში გამოკითხულები, დასახელებულთან ერთად, პრობლემის გადაწყვეტის ისეთ გზებსაც ასახელებენ, როგორებიცაა სასამართლოში ჩივილი (19.7%), საადვოკატო სერვისის გამოყენება (17.7%) (დასავლეთი: სასამართლო -13%; ადვოკატი - 12.4%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2$= 309.954; $p<0.05$) (იხ. ცხრილი#2.14).

ცხრილი #2.14

იმ შემთხვევაში, თუ პოლიციელმა საკუთარი უფლებამოსილება დაარღვია თქვენი მისამართით, ვის მიმართავდით?	დასახლების ტიპის ჭრილში χ^2=168.335; $p<0.05$)			ადგილმდებარეობის ჭრილში χ^2=309,954; $p<0.05$)	
	თბილისი (N=567)	სხვა ქალაქები (N=534)	სოფელი (N=807)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	დასავლეთ საქართველო (N=699)
	%				
შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას	21.2	17.5	18.5	23.4	12.7
სასამართლოს	10.9	17.1	15.9	19.7	13
ადვოკატს	15	16	14.5	17.7	12.4
ისევ პოლიციას	13.3	19	20.3	15.3	24.3
მედია საშუალებებს	9.3	2.3	1.5	1.6	2.1
სახალხო დამცველს	9.8	8.3	8.2	5.9	10.5
არასამთავრობო ორგანიზაციებს	5.8	3.6	4.1	2.3	5.6
ქურდული სამყაროს წევრებს	0.6	-	0.2	0.3	-
განვაცხადებ სოციალურ ქსელში	3.9	3.1	3	3	3
სხვა	2.5	1.3	2	1.6	1.9
უარი პასუხზე	-	1	1.1	1.3	0.8
არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	7.8	10.7	10.7	7.9	13.5

საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში დაუცველობის შეგრძნების მქონე რესპონდენტთა წილი 7.6%-ს არ აღემატება („ძალზე დაუცველად“/“უფრო დაუცველად ვიდრე დაცულად“ ვგრძნობ თავს). ამის საპირისპიროდ, გამოკითხულთა შორის, პოზიტიური განწყობის მქონე რესპონდენტთა 40.5% შეფასების უკიდურესად დადებით ნიშნულს იყენებს („ძალზე დაცულად“). ასევე, საკუთარ განწყობას სკალის პოზიტიურ ველში ათავსებს გამოკითხულთა 36.3% („უფრო დაცულად ვიდრე დაუცველად“) მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყოველი მეოთხე რესპონდენტი (23%) საკუთარ საცხოვრებელ გარემოში მის დაცულობაზე არ მიუთითებს (იხ. დიაგრამა #2.38).

დიაგრამა #2.38



საცხოვრებელ გარემოში/უბანში სოფელში დაცულობის განცდის შეფასებისას, ქალებისა (8.2%) და კაცების (6.9%) თითქმის თანაბარმა ნაწილმა მიუთითა უსაფრთხოების შეგრძნების არქონაზე („ძალზე დაუცველად“/“უფრო დაუცველად ვიდრე დაცულად“), რასაც მნიშვნელოვნად აღემატება საპირისპირო განწყობის მქონე რესპონდენტთა წილი კვლევაში. კერძოდ, ფაქტი, რომ ქალების 74.6%-ს და მამაკაცების 79.2%-ს დაცულობის შეგრძნება აქვს, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მათ უბანში/საცხოვრებელ გარემოში კრიმინალური შემთხვევების დაფიქსირების სიხშირე დაბალია (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2= 19.346$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.39).

დიაგრამა 2.39



კვლევის შედეგების მიხედვით, საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში დაცულობის შეგრძნება ყველაზე ნაკლებად 30-54 წლის ადამიანებს აქვთ, ყველაზე მეტად კი 65+ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს. მოზარდებისა (7.1%) და ახალგაზრდების (7%) თანაბარი რაოდენობა ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ თავს „ძალზე დაუცველად+უფრო დაუცველად ვიდრე დაცულად“ გრძნობენ. აქვე, საგულისხმოა, რომ იმ რესპონდენტთა შორის, რომლებიც „ძალზე დაცულად“/“უფრო დაცულად ვიდრე დაუცველად“ გრძნობენ თავს, ყველაზე მაღალია მოზარდებისა და პენსიონრების წილი (82%-ზე მარალი), შედარებით ნაკლები კი ახალგაზრდებისა (74.3%) და 30-54 წლის (73.3%) მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლები (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2=48.062$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #2.40).

დიაგრამა #2.40



საცხოვრებელ გარემოში დაუცველობის შეგრძნება უფრო მეტად დედაქალაქისა (10.7%) და სხვა ურბანული დასახლებების (9.3%) მაცხოვრებლებს აქვთ ვიდრე სოფლის მოსახლეობას (4%). საპირისპირო განწყობაზე მიუთითებს თბილისის მოსახლეობის 66.4%, სხვა ქალაქების მაცხოვრებლების 74.7% და რურალური ტიპის გეოგრაფიულ ერთეულებში გამოკითხულთა 86%. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2= 105.7977$; $p<0.05$).
ზემოთქმულთან ერთად, აღსანიშნია, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გამოკითხულთა შორის თითქმის თანაბარია იმ რესპონდენტთა გადანაწილება, რომლებიც აცხადებენ, რომ დაუცველად ან უსაფრთხოდ გრძნობენ თავს იქ, სადაც ცხოვრობენ. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2= 102.519$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #2.15).

ცხრილი #2.15

რამდენად დაცულად გრძნობთ თავს თქვენს საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში?	**დასახლების ტიპის ჭრილში (χ^2= 105.7977; p<0.05).**			**გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში (χ^2= 102.519; p<0.05)**	
	თბილისი (N=567)	**სხვა ქალაქები (N=534)**	**სოფელი (N=807)**	**აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)**	**დასავლეთ საქართველო (N=699)**
	%				
ძალზე დაუცველად	2.8	3.2	1.9	1.7	3.1
უფრო დაუცველად, ვიდრე დაცულად	7.8	6	2.1	3.6	3.7
იმდენადვე დაუცველად, რამდენადაც დაცულად	22.2	15.7	9.6	14.5	9.7
უფრო დაცულად	35.1	40.1	34.6	43.1	30.9
ძალზე დაუცველად	31.4	34.6	51.4	36.8	52
უარი პასუხზე	0.3	0.2	0.1	-	0.3
არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	0.3	0.2	0.3	0.3	0.1

3. მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის მაპროვოცირებელი მახასიათებლები

კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებმა შეაფასეს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის მახასიათებლები, კერძოდ, სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული მდგომარეობიდან (ასაკი, სქესი, განათლების დონე, ინდივიდის/ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა, დასაქმების სტატუსი, მრწამსი, ოჯახური მდგომარეობა) რომელი აპროვოცირებს მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას და ზრდის კანონდარღვევის დაფიქსირების რისკს.

• განათლების დონე: გამოკითხულთაგან ყოველი მეოთხე რესპონდენტი (25.8%) ფიქრობს, რომ არასრული საშუალო განათლების მქონე პირები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი დანაშაულის ჩადენისკენ ვიდრე უფრო მაღალ საგანმანათლებლო საფეხურზე მყოფები. ამასთან, რესპონდენტთა უმრავლესობა (59.2%) აცხადებს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ალბათობის ზრდაზე/კლებაზე არ მოქმედებს ინდივიდის განათლების დონე („განათლების დონეს არ აქვს მნიშვნელობა“).
• ასაკი: რესპონდენტთა 22.4%-ის შეფასებით, 13-19 წლამდე ასაკობრივი სეგმენტის წარმომადგენლები უფრო მეტად სჩადიან დანაშაულებრივ ქმედებებს ვიდრე უფროსი ასაკის ადამიანები. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (49.2%) კი დასძენს, რომ ინდივიდის წლოვანება არ განსაზღვრავს მის მიერ დანაშაულებრივი ქმედების მოსალოდნელობას.
• რელიგიურობა: რესპონდენტთა შორის მხოლოდ 17% ფიქრობს, რომ რელიგიური რიტუალების მიმართ გულგრილ ადამიანებში უფრო მაღალია დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილების რისკი; დიდი უმრავლესობა (71.8%) კი აცხადებს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რელიგიურობას არ აქვს მნიშვნელობა.
• სქესი: მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის თვალსაზრისით, რესპონდენტთა 59.6% ფიქრობს, რომ მამრობითი სქესის წარმომადგენელი ადამიანები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი დანაშაულების ჩადენისკენ ვიდრე ქალები (3.6%). ყოველი მესამე რესპონდენტი კი მიიჩნევს, რომ ასეთი ქმედების განხორციელების ალბათობის დინამიკა არ არის სქესთან დაკავშირებული („სქესს არ აქვს მნიშვნელობა“ – 34.1%) (იხ. ცხრილი #3.1).

ცხრილი #3.1

რომელი თვისების მქონე ადამიანი არის უფრო მეტად მიდრეკილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისკენ?	
განათლების დონე (%)	
არასრული საშუალო განათლება	25.8
სრული საშუალო განათლება	7.2
უმაღლესი განათლება	4
განათლების დონეს არ აქვს მნიშვნელობა	59.2
უარი პასუხზე	0.4
არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	3.3
ასაკი (%)	
თინეიჯერული ასაკი (13-19 წლის)	22.4
სრულწლოვანი-ახალგაზრდა (20-34 წლის)	16.2
საშუალო ასაკის (35-54 წლის)	6.9
უფროსი თაობა (55+ წლის)	1.7
ასაკს არ აქვს მნიშვნელობა	49.2
უარი პასუხზე	0.3
არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	3.4
რელიგიურობა (%)	
რელიგიური რიტუალების მიმართ გულგრილობა	17
ათეისტობა	4.7
რელიგიურობას არ აქვს მნიშვნელობა	71.8
უარი პასუხზე	0.8
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	5.8
სქესი (%)	
მამრობითი	59.6
მდედრობითი	3.6
სქესს არ აქვს მნიშვნელობა	34.1
უარი პასუხზე	0.7
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	2

ყოველ მეორე ქალ რესპონდენტს (55.2%) და მამაკაცების გამოკვეთილ უმრავლესობას (64.6%) მიაჩნია, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისკენ უფრო მეტად მამრობითი სქესის ადამიანები არიან მიდრეკილნი. ამასთან, ორივე სამიზნე ჯგუფში გამოკითხულთა მესამედი აღნიშნავს, რომ კანონდარღვევის განხორციელების რისკს სქესი არ განაპირობებს („სქესს არ აქვს მნიშვნელობა“). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2= 45.513$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #3.1).

დიაგრამა #3.1



თითოეული ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთაგან ყველაზე დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისკენ მიდრეკილებას ასაკი არ განსაზღვრავს (15 -17 წლის: 52.3%; 18-29 წლის: 50.4%; 30-54 წლის: 47.1%; 55-64 წლის: 51.3%; 65+ წლის: 49.8%;). თუმცა, ხუთივე სამიზნე ჯგუფში რესპონდენტების სულ მცირე მეხუთედი აცხადებს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქცევა უფრო მეტად მოზარდობის პერიოდში მყოფ პირებს ახასიათებთ. ამ მოსაზრებას ყველაზე მეტად მოზარდები (24.4%) ემხრობიან.

რაც შეეხება რელიგიას/რელიგიურობას, როგორც დანაშაულის ჩადენის მაპროვოცირებელ ან პრევენციულ ფაქტორს, თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტთა დიდი ნაწილის შეფასებით - მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების თვალსაზრისით რელიგიურობას არ აქვს მნიშვნელობა. აღნიშნულ პოზიციას ყველაზე მეტად მოზარდები (74.1%) და ახალგაზრდები (74.3%) აფიქსირებენ, ყველაზე ნაკლებად კი 65+ ასაკის რესპონდენტები (65%) (იხ. ცხრილი #3.2).

ცხრილი #3.2

თქვენი აზრით, თითოეული მახასიათებლის რომელი მნიშვნელობის მქონე პირი უფრო მეტადაა მიდრეკილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისკენ?	**ასაკის ჭრილში**				
ასაკობრივი ჯგუფი (χ^2= 81.960; p<0.05)	**15-17 წლის (N=382)**	**18-29 წლის (N=388)**	**30-54 წლის (N=397)**	**55-64 წლის (N=381)**	**65+ წლის (N=360)**
	%				
თინეიჯერული ასაკი (13-19 წლის)	24.4	22.2	23.4	20	21.9
სრულწლოვანი-ახალგაზრდა (20-34 წლის)	10.5	19.5	16.9	15.3	12.6
საშუალო ასაკის (35-54 წლის)	7	4	9.5	5	5.6
უფროსი თაობა (55+ წლის)	-	0.7	-	4.4	5
ასაკს არ აქვს მნიშვნელობა	52.3	50.4	47.1	51.3	49.8
უარი პასუხზე	-	-	0.3	0.3	0.7
არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	5.8	3.2	2.8	3.8	4.3
რელიგიურობა **(χ^2= 35.254; p<0.05)**	**15-17 წლის (N=382)**	**18-29 წლის (N=388)**	**30-54 წლის (N=397)**	**55-64 წლის (N=381)**	**65+ წლის (N=360)**
რელიგიური რიტუალების მიმართ გულგრილობა	12.8	16.4	15.4	20.3	18.8
ათეისტობა	5.9	5	4.3	4.1	6.3
რელიგიურობას არ აქვს მნიშვნელობა	74.1	74.3	73.7	69.7	65
უარი პასუხზე	-	1	0.8	0.9	0.7
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	7.1	3.2	5.9	5.0	9.2

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, თბილისის მოსახლეობის 37.6%-ს მიაჩნია, რომ არასრული საშუალო განათლების მქონე ადამიანები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი დანაშაულის ჩადენისკენ, რასაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ასეთივე პოზიციის მქონე რესპონდენტების წილი სხვა ურბანულ დასახლებებსა (21%) და სოფლებში (20%). ამასთან, თბილისთან შედარებით, სოფლებსა და ქალაქებში (თბილისის გარდა) უფრო მაღალია იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც ფიქრობენ, რომ დანაშაულის ჩადენის კუთხით განათლების დონეს არ აქვს მნიშვნელობა.
ასაკსა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის არსებული მიმართების შეფასებისას, სამივე დასახლების ტიპში მსგავსი ტენდენციები გამოვლინდა. კერძოდ, როგორც თბილისის, ისე სხვა ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის თითქმის თანაბარი ნაწილი ფიქრობს, რომ მოზარდობის ასაკში დანაშაულის ჩადენის ალბათობა უფრო მაღალია (თბილისი - 20.7%; სხვა ქალაქები - 23.6%; სოფელი - 22.8%).

თბილისში (64.8%), სხვა ქალაქებსა (57.7%) და სოფლებში (56.7%) გამოკითხულთა დიდი ნაწილის შეფასებით, მამრობითი სქესის ადამიანები უფრო მეტად სჩადიან დანაშაულებრივ ქმედებებს ვიდრე ქალები. დედაქალაქის მოსახლეობის მეხუთედზე მეტს კი მიაჩნია, რომ კანონდარღვევის განხორციელებას სქესი არ განსაზღვრავს, რაც სხვა ურბანულ და რურალურ დასახლებაში ყოველმა მესამე რესპონდენტმა აღნიშნა (იხ. ცხრილი #3.3)

ცხრილი #3.3

თქვენი აზრით, თითოეული მახასიათებლის რომელი მნიშვნელობის მქონე პირი უფრო მეტადაა მიდრეკილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისკენ?	***დასახლების ტიპის ჭრილში***		
განათლების დონე (χ^2= 87.091; p<0.05)	თბილისი (N=567)	სხვა ქალაქები (N=534)	სოფელი (N=807)
	%		
არასრული საშუალო განათლება	37.6	21.1	20.0
სრული საშუალო განათლება	5.5	9.8	6.7
უმაღლესი განათლება	5.8	2.6	3.6
განათლების დონეს არ აქვს მნიშვნელობა	48.2	61.1	66.4
უარი პასუხზე	0.2	0.8	0.4
არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	2.7	4.5	3.0
ასაკი (χ^2= 25.481; p<0.05)	თბილისი (N=567)	სხვა ქალაქები (N=534)	სოფელი (N=807)
თინეიჯერული ასაკი (13-19 წლის)	20.7	23.6	22.8
სრულწლოვანი-ახალგაზრდა (20-34 წლის)	14.8	18.3	15.8
საშუალო ასაკის (35-54 წლის)	9.5	7.7	4.4
უფროსი თაობა (55+ წლის)	2.2	1.9	1.3
ასაკს არ აქვს მნიშვნელობა	49.8	44.5	51.7
უარი პასუხზე	0.0	0.4	0.5
არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	3.0	3.6	3.6
სქესი (χ^2= 28.278; p<0.05)	თბილისი (N=567)	სხვა ქალაქები (N=534)	სოფელი (N=807)
მამრობითი	64.8	57.7	56.7
მდედრობითი	4.5	2.8	3.5
სქესს არ აქვს მნიშვნელობა	28.8	35.5	37.2
უარი პასუხზე	0.3	1.9	0.3
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	1.5	2.1	2.3

• ოჯახური მდგომარეობა: კვლევაში მონაწილე პირთა 14.8% მიიჩნევს, რომ დაუოჯახებელი ადამიანები უფრო მეტად არღვევენ კანონს ვიდრე სხვა სტატუსის მქონე პირები. ამისგან განსხვავებით გამოკითხულთა დიდი ნაწილი (67.9%) აცხადებს, რომ ოჯახური მდგომარეობა არ არის მართლსაწინააღმდეგო აქტის მადეტერმინირებელი ფაქტორი.
• მშობლებთან ცხოვრება: რაც შეეხება მშობლებთან ცხოვრების ასპექტს, გამოკითხულთაგან მეხუთედი (20%) ნაწილი ფიქრობს, რომ უდედმამო ადამიანები დანაშაულებრივ ქმედებებს უფრო მეტად სჩადიან ვიდრე ისინი, რომლებიც მშობლებთან ერთად ცხოვრობენ (სულ მცირე ერთ მშობელთან). ამასთან, 70.5%-ის აზრით, აღნიშნული მახასიათებელი კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისკენ პირის მიდრეკილებას არ განსაზღვრავს (იხ. ცხრილი #3.4).

ცხრილი #3.4

რომელი თვისების მქონე ადამიანი არის უფრო მეტადა მიდრეკილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისკენ?	
ოჯახური მდგომარეობა (%)	
დაოჯახებული	5.6
დაუოჯახებელი	14.8
განქორწინებული	6.9
ოჯახურ მდგომარეობას არ აქვს მნიშვნელობა	67.9
უარი პასუხზე	0.4
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	4.5
მშობლებთან ერთად ცხოვრება (%)	
უდედმამო	20
დედასთან ცხოვრება	1.6
მამასთან ცხოვრება	0.7
ორივე მშობელთან ცხოვრება	2.7
მშობლებთან ცხოვრებას არ აქვს მნიშვნელობა	70.5
უარი პასუხზე	0.7
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	3.9

• დასაქმების სტატუსი: კვლევის შედეგების გათვალისწინებით, უმუშევარი ადამიანები უფრო მეტად იდენტიფიცირდებიან დანაშაულებრივი ქმედებების განმახორციელებელ აქტორებად (53.5%) ვიდრე დასაქმებულები. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ რესპონდენტთა 36.7%-ის შეფასებით, დასაქმების სტატუსი არ განსაზღვრავს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისკენ მიდრეკილებას.
• ინდივიდის/ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა: როგორც ინდივიდის (45.9%), ისე ოჯახის (45.7%) დაბალი ეკონომიკური მდგომარეობა უარყოფითად მოქმედებს პიროვნების ქცევის ფორმირების პროცესზე - კერძოდ, ორივე შემთხვევაში, რესპონდენტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ დაბალი ეკონომიკური მდგომარეობა ზრდის მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ალბათობას (იხ. ცხრილი #3.5).

ცხრილი #3.5

რომელი თვისების მქონე ადამიანი არის უფრო მეტადა მიდრეკილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისკენ?	
დასაქმების სტატუსი (%)	
დასაქმებული საჯარო სექტორში	1.5
დასაქმებული კერძო სექტორში	1.4
თვითდასაქმებული	2.1
უმუშევარი	53.5
დასაქმების სტატუსს არ აქვს მნიშვნელობა	39.2
უარი პასუხზე	0.4
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	2
ინდივიდის ეკონომიკური მდგომარეობა (%)	
დაბალი	45.9
საშუალოზე დაბალი	4.9
საშუალო	6.9
საშუალოზე მაღალი	1.1
მაღალი	1.6
პირის ეკონომიკურ მდგომარეობას არ აქვს მნიშვნელობა	36.7
უარი პასუხზე	0.3
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	2.6
ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა (%)	
დაბალი	45.7
საშუალოზე დაბალი	5.8
საშუალო	6.6
საშუალოზე მაღალი	0.8
მაღალი	1.3
პირის ეკონომიკურ მდგომარეობას არ აქვს მნიშვნელობა	37.2
უარი პასუხზე	0.1
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	2.6

რესპონდენტების სქესის ჭრილში, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისკენ მიდრეკილებაზე ოჯახის/ინდივიდის ეკონომიკური მდგომარეობის გავლენის შეფასება შემდეგ ტენდენციებს ავლენს:

• ქალებისა (45.8%) და კაცების (45.9%) თანაბარი რაოდენობა ფიქრობს, რომ დაბალი ეკონომიკური მდგომარეობის ინდივიდები უფრო მეტად სჩადიან დანაშაულებრივ ქმედებებს. ამასთან, ყოველი მესამე ქალი აღნიშნავს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას პირის ეკონომიკური მდგომარეობა არ განსაზღვრავს, რასაც მამაკაცების 38.9% ეთანხმება.

• უმნიშვნელო განსხვავება ვლინდება იმ ქალი და კაცი რესპონდენტების რაოდენობებს შორის, რომლებიც ფიქრობენ, რომ არა მხოლოდ ინდივიდის, არამედ, ოჯახის დაბალი ეკონომიკური მდგომარეობაც მნიშვნელოვანად ზრდის დანაშაულის ჩადენის რისკს (იხ. ცხრილი #3.6).

ცხრილი #3.6

თქვენი აზრით, თითოეული მახასიათებლის რომელი მნიშვნელობის მქონე პირი უფრო მეტადაა მიდრეკილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისკენ?	**სქესის ჭრილში**	
ინდივიდის ეკონომიკური მდგომარეობა **(**χ^2= 15.759; p<0.05)	ქალი (N=1048)	კაცი (N=860)
	%	
დაბალი	45.8	45.9
საშუალოზე დაბალი	6.3	3.1
საშუალო	6.8	7.2
საშუალოზე მაღალი	1.1	1.1
მაღალი	1.8	1.5
პირის ეკონომიკურ მდგომარეობას არ აქვს მნიშვნელობა	34.8	38.9
უარი პასუხზე	0.2	0.3
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	3.2	1.9
ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა (χ^2= 16.212; p<0.05)	ქალი (N=1048)	კაცი (N=860)
დაბალი	46.2	45
საშუალოზე დაბალი	6.6	5
საშუალო	6.4	6.9
საშუალოზე მაღალი	0.8	0.7
მაღალი	1.7	0.8
პირის ეკონომიკურ მდგომარეობას არ აქვს მნიშვნელობა	34.7	40
უარი პასუხზე	0.2	-
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	3.4	1.7

თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში, გარდა 30-54 წლის სეგმენტისა (49.2%), გამოკითხულ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ საზოგადოების წევრებს, რომლებიც ეკონომიკურად აქტიურები არ არიან (უმუშევრები) უფრო მეტად აქვთ დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილება ვიდრე ამა თუ იმ ფორმით დასაქმებულებს. მოზარდებსა (40.5%) და 30-54 წლის (42.4%) ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტებს შორის ყველაზე მეტადაა გავრცელებული მოსაზრება, რომ დანაშაულის ჩადენის თვალსაზრისით დასაქმების სტატუსს არ აქვს მნიშვნელობა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2= 54.281$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #3.7).

ცხრილი #3.7

თქვენი აზრით, თითოეული მახასიათებლის რომელი მნიშვნელობის მქონე პირი უფრო მეტადაა მიდრეკილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისკენ	**ასაკის ჭრილში**				
დასაქმების სტატუსი	**15-17 წლის (N=382)**	**18-29 წლის (N=388)**	**30-54 წლის (N=397)**	**55-64 წლის (N=381)**	**65+ წლის (N=360)**
	%				
დასაქმებული საჯარო სექტორში	2.4	0.8	2.3	1.9	-
დასაქმებული კერძო სექტორში	-	1	2	1.2	0.3
თვითდასაქმებული	-	2.3	2.6	2.2	1
უმუშევარი	52.4	55.6	49.2	57.5	58.3
დასაქმების სტატუსს არ აქვს მნიშვნელობა	40.5	38.8	42.4	35.4	34.8
უარი პასუხზე	-	-	0.3	0.6	1
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	4.8	1.5	1.3	1.2	4.6

გარდა ზემოთ განხილული სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლებისა, რესპონდენტებმა დაასახელეს ოთხი ძირითადი ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენს ინდივიდის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე. გამოიკვეთა შემდეგი ოთხი ფაქტორი:

- მშობლების მხრიდან გამოხატული უყურადღებობა/მიშვებულობა - 16.4%;
- პირის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა - 12.6%;
- კანონთან წინააღმდეგობაში მყოფი პირების ყოლა საახლობლო გარემოში - 12.6%;
- არაინფორმირებულობა კანონსაწინააღმდეგო ქმედების თანმხლები რისკის შესახებ - 11.3% (იხ. დიაგრამა #3.2).

დიაგრამა #3.2



რესპონდენტთა ასაკის ჭრილში საკითხის სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ თითოეული ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა ყველაზე დიდი ნაწილის შეფასებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე გავლენის მომხდენი პირველი რიგის ფაქტორი - მშობლების მხრიდან გამოხატული უყურადღებობა/მიშვებულობაა (15-17 წლის: 14.7%; 18-29 წლის: 16.3%; 30-54 წლის: 15.8%; 55-64 წლის: 17.7%; 65+ წლის: 17.3%;). მეორე მნიშვნელოვან ფაქტორად მოზარდები კანონსაწინააღმდეგო ქმედების თანმხლები რისკების შესახებ მოწყვლადი ჯგუფების არაინფორმირებულობას ასახელებენ. ახალგაზრდები და 55-64 წლის რესპონდენტები - პირის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, 30-54 და 65 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტები კი კანონთან წინააღმდეგობაში მყოფი პირების ყოლას საახლობლო გარემოში (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2= 187.957$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #3.8).

ცხრილი #3.8

ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან, გთხოვთ აარჩიოთ მაქსიმუმ 3, რომლებიც თქვენი აზრით გავლენას ახდენს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე? **(ასაკის ჭრილში)**	**15-17 წლის (N=382)**	**18-29 წლის (N=388)**	**30-54 წლის (N=397)**	**55-64 წლის (N=381)**	**65+ წლის (N=360)**
	%				
კანონთან წინააღმდეგობაში მყოფი პირების ყოლა საახლობლო გარემოში	9.5	12	14.3	10.1	12.5
არაინფორმირებულობა კანონსაწინააღმდეგო ქმედების თანმხლები რისკების შესახებ	13.2	10.1	11.6	11.2	11.8
პირის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა	11.9	14	12.2	12.1	12.4
მშობლების მხრიდან გამოხატული უყურადღებობა/მიშვებულობა	14.7	16.3	15.8	17.7	17.3
მშობლის მხრიდან ზედმეტი კონტროლი და ძალადობა	9.6	8.1	6	7.6	6.9
დანაშაულის ადრეული პრევენციის სერვისების და ღონისძიებების არარსებობა	8.2	7.6	9.2	7.1	6.9
კრიმინალური მენტალიტეტისადმი ტოლერანტობა/მაღალი მიმღებლობა	9.1	9.1	10	10.4	7.9
კრიმინალური ავტორიტეტების გავლენა	8.5	6.2	7.3	6.7	7.5
სკოლის პერსონალის (მასწავლებელი/მანდატური) მხრიდან გამოხატული უყურადღებობა	4.6	3.6	3.1	4.7	4.3
ქვეყანაში გავრცელებული დაუსჯელობის სინდრომი / პოლიციის მიმართ შიშის არარსებობა	4.7	6.9	4.3	5.4	6
ქვეყანაში არსებული შერჩევითი მართლმსაჯულება	1.3	4	3.7	4.5	3.5
სხვა	-	0.1	0.5	0.3	1.1
უარი პასუხზე	0.1	0.2	0.2	0.4	-
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	4.5	10.5	2	1.9	1.8

რესპონდენტთა დასახლების ტიპის ჭრილში საკითხის დამუშავება ცხადყოფს, რომ, როგორც თბილისის (18.7%), ისე სხვა ქალაქებისა (13.9%) და სოფლების (16.2%) მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაზე გავლენის მომხდენ მთავარ ფაქტორად მშობლების მხრიდან გამოხატული უყურადღებობა/მიშვებულობა იდენტიფიცირდება. მეორე საკვანძო მიზეზად თბილისსა და სხვა ურბანულ დასახლებებში გამოკითხულთაგან დიდი ნაწილის მიერ საახლობლო გარემოში კანონთან წინააღმდეგობაში მყოფი პირების ყოლა დასახელდა, ხოლო სოფლის მოსახლეობამ კი კანონსაწინააღმდეგო ქმედების თანმხლები რისკების შესახებ მოსახლეობის არაინფორმირებულობას გაუსვა ხაზი (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi2= 169.876$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #3.9).

ცხრილი #3.9

ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან, გთხოვთ აარჩიოთ მაქსიმუმ 3, რომლებიც თქვენი აზრით გავლენას ახდენს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე? **(დასახლების ტიპის ჭრილში)**	თბილისი (N=567)	სხვა ქალაქები (N=534)	სოფელი (N=807)
	%		
კანონთან წინააღმდეგობაში მყოფი პირების ყოლა საახლობლო გარემოში	14	13.5	10.9
არაინფორმირებულობა კანონსაწინააღმდეგო ქმედების თანმხლები რისკების შესახებ	9	11.9	12.7
პირის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა	11	12.7	13.8
მშობლების მხრიდან გამოხატული უყურადღებობა/მიშვებულობა	18.7	13.9	16.2
მშობლის მხრიდან ზედმეტი კონტროლი და ძალადობა	7.6	7.1	6.5
დანაშაულის ადრეული პრევენციის სერვისების და ღონისძიებების არარსებობა	10.3	7.1	7
კრიმინალური მენტალიტეტისადმი ტოლერანტობა/მაღალი მიმღებლობა	8.7	10	9.8
კრიმინალური ავტორიტეტების გავლენა	5.1	8	8.1
სკოლის პერსონალის (მასწავლებელი/მანდატური) მხრიდან გამოხატული უყურადღებობა	3.1	4.8	3.6
ქვეყანაში გავრცელებული დაუსჯელობის სინდრომი / პოლიციის მიმართ შიშის არარსებობა	6.4	4.6	4.9
ქვეყანაში არსებული შერჩევითი მართლმსაჯულება	4.8	4.2	2.6
სხვა	0.3	0.9	-
უარი პასუხზე	0.1	0.2	0.3
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	0.9	2.9	2

გამოკითხვაში მონაწილე პირებმა **სხვადასხვა ტიპის დანაშაულთან მიმართებით განსაზღვრეს, საზოგადოების რომელი ჯგუფები სჩადიან ყველაზე მეტად კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას - 1. მოზარდები, 2. ზრდასრულები თუ 3. ორივე თანაბრად.**

- კვლევაში მონაწილე პირთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ისეთ დანაშაულებში, როგორებიცაა: ქურდობა/ძარცვა (56.3%), კრიმინალური გარჩევები (52.7%), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (54.5%) და ფიზიკური ძალადობა (58.8%) - მოზარდები და ზრდასრულები თანაბრად მონაწილეობენ. აქვე აღსანიშნია ისიც, რომ იმ რესპონდენტებს შორის, რომლებმაც დანაშაულების ჩადენის კატეგორიზება მოახდინეს ასაკობრივ დონეზე, ქურდობა/ძარცვასთან მიმართებით უფრო მეტი აცხადებს, რომ მოზარდები (26.6%) სჩადიან ვიდრე ზრდასრულები (13.9%), მაშინ როდესაც კრიმინალური გარჩევები, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება და ფიზიკური ძალადობა უფრო მეტად ზრდასრულთა დანაშაულად იდენტიფიცირდება.
- ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, როგორებიცაა: ყაჩაღობა, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება და რეალიზება, მკვლელობა და სექსუალური ტიპის დანაშაული - რესპონდენტებისთვის უფრო მეტად ზრდასრულების მიერ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებთან ასოცირდება ვიდრე მოზარდების. უფროსი ასაკის ჯგუფებთან შედარებით, არასრულწლოვანთა სეგმენტს უფრო მეტად ხულიგნობას მიაწერენ (33.5%). ამასთან საგულისხმოა, რომ ჩამოთვლილ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებთან მიმართებით ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მოზარდები და ზრდასრულები აღნიშნულ დანაშაულებს თანაბრად სჩადიან 43.8%-49.3%-ს შორის ვარირებს (იხ. დიაგრამა #3.3).

დიაგრამა #3.3



მდედრობითი და მამრობითი სქესის რესპონდენტების დიდი ნაწილის შეფასებით ისეთ კრიმინალურ ქმედებას, როგორიცაა ყაჩაღობა (ქალები -52.3%; კაცები - 44.8%;) და ხულიგნობა (ქალები -49.2%; კაცები - 46.2%;) ზრდასრულები და მოზარდები თანაბრად ახორციელებენ. ამასთან, საპირისპირო მოსაზრების მქონე ქალების 31.3%-ს მიაჩნია, რომ დაყაჩაღებებში უფრო მეტად ზრდასრული ადამიანები მონაწილეობენ; ანალოგიურ მოსაზრებას აფიქსირებს მამაკაცი რესპონდენტების 37%. რაც შეეხება ხულიგნობას, ქალების 30.1% და მამაკაცების 37.4% ფიქრობს, რომ მსგავსი ტიპის დანაშაულებში უფრო მეტად მოზარდები მონაწილეობენ (იხ. ცხრილი #3.10).

ცხრილი #3.10

თქვენი შეფასებით, ქვემოთ ჩამოთვლილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს უფრო მეტად მოზარდები ჩადიან, ზრდასრულები თუ თანაბრად? **(სქესის ჭრილში)**		**ქალი (N=1048)**	**კაცი (N=860)**
		%	
ყაჩაღობა (χ^2= 15.576; p<0.05)	მოზარდები	11.4	14.5
	ზრდასრულები	31.3	37
	თანაბრად	52.3	44.8
	უარი პასუხზე	0.7	0.3
	არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	4.3	3.4
ხულიგნობა (χ^2= 15.737; p<0.05)	მოზარდები	30.1	37.4
	ზრდასრულები	15.1	12.8
	თანაბრად	49.2	46.2
	უარი პასუხზე	1.5	0.6
	არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	4.1	3

რესპონდენტთა ასაკის ჭრილში საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ თითოეული ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი, სისხლის სამართლის სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენის მთავარ აგენტებად ზრდასრულებს მოიაზრებს. ამასთან საკმაოდ მაღალია კვლევაში ისეთთა წილი, რომლებიც ამბობენ, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის მაჩვენებლები ზრდასრულებსა და მოზარდებში თანაბარია. კერძოდ:

- ისეთი დანაშაულები, როგორებიცაა კრიმინალური გარჩევები და ფიზიკური ძალადობა, ხუთივე ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი რესპონდენტების თითქმის თანაბარი ნაწილის მიერ ზრდასრულთა დანაშაულად იდენტიფიცირდება;
- ყაჩაღობასადანარკოტიკულისაშუალებებისრეალიზებას,როგორცზრდასრულების მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებად ყველაზე ხშირად ახალგაზრდები (18-29 წლის პირები) ასახელებენ;
- მოზარდთა 40%-ის აზრით, ნარკოტიკული საშუალებების შენახვის დანაშაულს უფრო მეტად ზრდასრულები სჩადიან ვიდრე მოზარდები. ანალოგიური შეფასების მქონე პირების წილი სხვა ასაკობრივ კატეგორიებში 31%-36%-ს შორის მერყეობს;

• კვლევის ფარგლებში ხულიგნობა გამოიკვეთა ისეთ დანაშაულად, რომელიც ყველა თაობის წარმომადგენელი რესპონდენტის უფრო დიდმა ნაწილმა მოზარდებთან დააკავშირა ვიდრე ზარდასრულებთან. ამგვარი წარმოდგენის მქონე მოსახლეობას შორის ყველაზე მაღალია ახალგაზრდების წილი (37.4%).

• რაც შეეხება მკვლელობას, 30-54 წლის რესპონდენტთა 54.4% და 55-64 წლის რესპონდენტთა 49.4% აცხადებს, რომ აღნიშნული დანაშაული, როგორც ზრდასრულების, ისე მოზარდების მიერ თანაბრად ხორციელდება. სხვა ასაკობრივ ჯგუფებში ასეთი განწყობის მქონე რესპონდენტთა წილი 42%-46%-ს შორის ვარირებს. რაც შეეხება იმ რესპონდენტთა ასაკობრივ გადანაწილებას, რომლებიც აღნიშნულ სისხლის სამართლის დანაშაულს ზრდასრულებს მიაწერენ, მათ შორის ყველაზე მაღალი ახალგაზრდების (40.3%) და მოზარდების წილია (39.1%) (იხ. ცხრილი #3.11).

ცხრილი #3.11

თქვენი შეფასებით, ქვემოთ ჩამოთვლილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს უფრო მეტად მოზარდები ჩადიან, ზრდასრულები თუ თანაბრად? **(ასაკის ჭრილში)**		**15-17 წლის (N=382)**	**18-29 წლის (N=388)**	**30-54 წლის (N=397)**	**55-64 წლის (N=381)**	**65+ წლის (N=360)**
		%				
ყაჩაღობა (χ^2= 30.593; p<0.05)	მოზარდები	9.4	11	13.5	15	12.2
	ზრდასრულები	29.4	37.2	33.8	32.4	33.3
	თანაბრად	55.3	46.6	50.2	48.6	46.5
	უარი პასუხზე	-	1	-	0.3	1.7
	არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	5.9	4.2	2.5	3.7	6.3
კრიმინალური გარჩევები (χ^2= 34.897; p<0.05)	მოზარდები	8.1	6.5	10.5	11.3	12.2
	ზრდასრულები	30.2	34.4	31.2	31.9	29.4
	თანაბრად	53.5	51.9	55.3	50.9	48.8
	უარი პასუხზე	1.2	0.7	0.5	0.9	2
	არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	7.0	6.5	2.4	5	7.6
ნარკოტიკული საშუალებების შენახვა (χ^2= 32.229; p<0.05)	მოზარდები	3.5	5.5	7.1	7.2	8.6
	ზრდასრულები	40	36.4	32.2	32.8	31.7
	თანაბრად	41.2	43.1	52.4	48.1	45.5
	უარი პასუხზე	1.2	1.2	0.3	1.6	2.0
	არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	14.1	13.7	8	10.3	12.2
ნარკოტიკული საშუალებების რეალიზება (χ^2= 39.522; p<0.05)	მოზარდები	3.5	4	7.2	6.9	8.9
	ზრდასრულები	40.7	43.6	37	35.2	31.4
	თანაბრად	39.5	37.2	46.8	44.5	45.2
	უარი პასუხზე	1.2	1.2	0.3	1.9	1
	არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	15.1	14	8.8	11.5	13.5
ხულიგნობა (χ^2= 31.280; p<0.05)	მოზარდები	28.2	37.4	32	33.2	34.4
	ზრდასრულები	14.1	13.5	13.4	16.3	13.9
	თანაბრად	50.6	43.4	52.3	46.1	43.4
	უარი პასუხზე	1.2	1.2	0.5	0.9	2
	არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	5.9	4.5	1.9	3.4	6.3
მკვლელობა (χ^2= 40.081; p<0.05)	მოზარდები	3.4	7.2	6	9.1	9.2
	ზრდასრულები	39.1	40.3	32.7	32.8	34.3
	თანაბრად	43.7	42.3	54.4	49.4	46.2
	უარი პასუხზე	2.3	1.7	-	1.6	2.3
	არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	11.5	8.5	6.9	7.2	7.9

თქვენი შეფასებით, ქვემოთ ჩამოთვლილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს უფრო მეტად მოზარდები ჩადიან, ზრდასრულები თუ თანაბრად? **(ასაკის ჭრილში)**		**15-17 წლის (N=382)**	**18-29 წლის (N=388)**	**30-54 წლის (N=397)**	**55-64 წლის (N=381)**	**65+ წლის (N=360)**
		%				
ფიზიკური ძალადობა	მოზარდები	4.6	6	7.3	8.1	10.6
	ზრდასრულები	28.7	30	27.1	30.2	24.1
(χ^2= 30.652; p<0.05)	თანაბრად	56.3	57.8	61.7	54.5	57.4
	უარი პასუხზე	1.1	1.5	-	1.6	2
	არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	9.2	4.8	4	5.6	5.9

4. კრიმინალური სუბკულტურების გავლენის შეფასება

გამოკითხვაში მონაწილე პირთა უმრავლესობა (საშუალოდ 58%) მიიჩნევს, **ქვეყანაში არსებული კრიმინალური სუბკულტურები/რეალობა ადამიანებზე, განსაკუთრებით კი მოზარდების ცხოვრების წესსა და შეხედულებების ფორმირების პროცესზე, გავლენის მომხდენია.**[2] გავლენა ვრცელდება ინდივიდთა ცხოვრებისა თუ ცნობიერების სხვადასხვა ასპექტზე (ქულები 4 („უფრო ახდენს გავლენას ვიდრე არა“) და 5 („ძლიერ გავლენას ახდენს“)):

- ყოველდღიური ცხოვრების წესზე - 59.8%;
- განათლების მიღებაზე - 56.9%;
- დასაქმებაზე - 56.3%;
- სოციალური ქსელის (სამეგობრო/სანაცნობო წრის) შექმნაზე - 58.6%;
- ქცევით ჩვევებზე - 61%;
- ღირებულებათა სისტემაზე - 59%;
- კრიმინალურ სუბკულტურებში გაერთიანების სურვილზე - 57%;
- მოზარდებში დანაშაულებრივ ქცევაზე - 59.4%;
- სამოქალაქო ცნობიერებაზე - 57.4%;
- საზოგადოებაში ალტერნატიული „სამართლის“ სისტემის არსებობაზე - 56%.

როგორც იკვეთება, რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არსებულ კრიმინალურ სუბკულტურას ინდივიდთა, განსაკუთრებით კი მოზარდთა, ქცევით ჩვევებზე აქვს გავლენა. ისიც ხაზგასასმელია, რომ რესპონდენტთა თითქმის მეოთხედის (საშუალოდ 24%) აზრით, კრიმინალურ სუბკულტურას ზემოაღნიშნულ ასპექტებზე გავლენა თანაბრად აქვს და არც აქვს (ქულა 3). ამასთან რესპონდენტთა 16.2%-ის შეფასებით, ქვეყანაში არსებულ კრიმინალურ რეალობას ინდივიდების, განსაკუთრებით კი მოზარდებისა და ახალგაზრდების დასაქმებაზე გავლენა არ აქვს (ქულები 1 და 2) (იხ. ცხრილი #4.1).

2. *შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5-ქულიანი სკალა, ჰომეზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „საერთოდ არ ახდენს გავლენას“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „ძლიერ ახდენს გავლენას“.*

ცხრილი #4.1

თქვენი შეფასებით, რამდენად ახდენს გავლენას ქვეყანაში არსებული კრიმინალური სუბკულტურები/რეალობა ადამიანების, განსაკუთრებით მოზარდებისა და ახალგაზრდების... (%) (N=1908)	საერთოდ არ ახდენს გავლენას	უფრო არ ახდენს გავლენას, ვიდრე ახდენს	თანაბრად	უფრო ახდენს გავლენას, ვიდრე არ ახდენს	ძლიერ ახდენს გავლენას	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
ყოველდღიური ცხოვრების წესზე	3.3	7.9	24.6	31.6	28.2	0.5	4
განათლების მიღებაზე	5.1	9.5	24.6	30.9	26	0.7	3.2
დასაქმებაზე	6	10.2	23.5	29.5	26.8	0.5	3.5
სოციალური ქსელის (სამეგობრო/სანაცნობო წრის) შექმნაზე	4.1	7.7	23.4	32.7	25.9	0.7	5.6
ქცევით ჩვევებზე	2.9	6.5	24.3	35.2	25.8	0.7	4.6
ღირებულებათა სისტემაზე	2.9	6.8	24.4	33	26	0.8	6
კრიმინალურ სუბკულტურებში გაერთიანების სურვილზე	3.3	7.6	23.1	32	25.1	0.9	8.2
მოზარდებში დანაშაულებრივ ქცევაზე	2.5	6.7	25.3	34.1	25.3	0.8	5.5
სამოქალაქო ცნობიერებაზე	2.7	5.8	26.1	34	23.5	0.8	7.2
საზოგადოებაში ალტერნატიული „სამართლის“ სისტემის არსებობაზე	2.7	5.7	24.6	33.4	22.6	0.9	10.1

გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში საკითხის გაანალიზებისას ზოგადი ტენდენცია ნარჩუნდება, თუმცა ხაზგასასმელია, რომ კრიმინალური სუბკულტურების გავლენას ადამიანების, განსაკუთრებით კი მოზარდებისა და ახალგაზრდების, ცხოვრების წესსა და ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბებაზე დასავლეთ საქართველოში მცხოვრები რესპონდენტები მეტად გამოკვეთენ. აღმოსავლეთ საქართველოს (თბილისის გარდა) მაცხოვრებლების უმრავლესობაც თითოეულ ასპექტზე გავლენის არსებობაზე მიუთითებს, თუმცა, დასავლეთის მონაცემებთან შედარებით, უფრო მცირე წილით. სამიზნე ჯგუფებს შორის მკვეთრი განსხვავებები შემდეგ კატეგორიებში ფიქსირდება (პასუხის კატეგორია „ახდენს გავლენას“ ქულები 4 და 5):

- **ყოველდღიური ცხოვრების წესზე:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) - 54.4%, დასავლეთ საქართველო - 63.5%;
- **განათლების მიღებაზე:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) - 50.2%, დასავლეთ საქართველო - 60.4%;
- **სოციალური ქსელის შექმნაზე:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) - 51%, დასავლეთ საქართველო - 61.2%;
- **ქცევით ჩვევებზე:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) - 54.4%, დასავლეთ

საქართველო - 63%;

- **მოზარდებში დანაშაულებრივ ქცევაზე:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) - 52.7%, დასავლეთ საქართველო - 62.1%;
- **სამოქალაქო ცნობიერებაზე:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) - 51.6%, დასავლეთ საქართველო - 60% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.2).

ცხრილი #4.2

თქვენი შეფასებით, რამდენად ახდენს გავლენას ქვეყანაში არსებული კრიმინალური სუბკულტურები/რეალობა ადამიანების, განსაკუთრებით მოზარდებისა და ახალგაზრდების... (გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში) (%)		საერთოდ არ ახდენს გავლენას	უფრო არ ახდენს გავლენას, ვიდრე ახდენს	თანაბრად	უფრო ახდენს გავლენას, ვიდრე არ ახდენს	ძლიერ ახდენს გავლენას	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
ყოველდღიური ცხოვრების წესზე (X^2=76970, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	5	6.7	26.6	34.4	19.9	0.5	6.9
	დასავლეთ საქართველო (N=699)	1.2	8.1	23.2	28.3	35.2	0.9	3.1
განათლების მიღებაზე (X^2=52195, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	6.4	9.5	27.6	32	18.3	0.5	5.8
	დასავლეთ საქართველო (N=699)	4.2	10	22.5	31.2	29.2	1	1.8
დასაქმებაზე (X^2=60347, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	7.3	10.3	27.6	28.7	19.2	0.6	6.2
	დასავლეთ საქართველო (N=699)	5.1	11.5	21.3	28.1	30.5	0.9	2.5
სოციალური ქსელის (სამეგობრო/სანაცნობო წრის) შექმნაზე (X^2=68181, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	6.7	8	25.1	31.5	19.5	0.6	8.6
	დასავლეთ საქართველო (N=699)	1.6	7.9	22.5	31.9	29.3	1.3	5.4
ქცევით ჩვევებზე (X^2=66199, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	3.9	6.2	26.9	35.4	19	0.6	7.9
	დასავლეთ საქართველო (N=699)	1.2	5.8	24.7	34.8	28.2	1.2	4
ღირებულებათა სისტემაზე (X^2=57037, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	4.1	6.4	26.5	33.2	19.7	0.9	9.2
	დასავლეთ საქართველო (N=699)	1.3	6.3	27	30.7	28.5	1.2	4.9
კრიმინალურ სუბკულტურებში გაერთიანების სურვილზე (X^2=57716, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	3.4	6.4	25.4	33	20.1	0.8	10.9
	დასავლეთ საქართველო (N=699)	1.9	7.3	19.6	32.5	27.2	1.6	9.7
მოზარდებში დანაშაულებრივ ქცევაზე (X^2=55695, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	3.1	6.2	28.7	34.2	18.6	0.5	8.7
	დასავლეთ საქართველო (N=699)	1.5	6.1	23.7	33.1	29	1.2	5.4
სამოქალაქო ცნობიერებაზე (X^2=43371, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	3.4	5.1	29	32.3	19.3	0.6	10.1
	დასავლეთ საქართველო (N=699)	1.3	5.8	24.4	33.5	26.5	1.5	6.9
საზოგადოებაში ალტერნატიული „სამართლის“ სისტემის არსებობაზე (X^2=47616, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	3.4	5.3	25.6	33	20	0.5	12.2
	დასავლეთ საქართველო (N=699)	1.4	5.7	25.5	30	23.6	2	11.9

დასახლებისტიპისჭრილშიცზოგადიტენდენციებიშენარჩუნებულია-როგორცთბილისის, ისე სხვა ქალაქებისა და სოფლების მაცხოვრებლები კრიმინალური სუბკულტურების სხვადასხვა ცხოვრებისეულ ასპექტზე გავლენას გამოკვეთენ; უმრავლესობა მიიჩნევს, რომ გავლენა შეინიშნება (ქულები 4 და 5), როგორც ყოველდღიური ცხოვრების წესზე (თბილისი - 61.3%, სხვა ქალაქი - 61.2%, სოფელი - 57.6%), ისე განათლების მიღებაზე (თბილისი - 60%, სხვა ქალაქი - 57.5%, სოფელი - 54%), კრიმინალურ სუბკულტურებში გაერთიანების სურვილზე (თბილისი - 58.3%, სხვა ქალაქი - 57%, სოფელი - 56.2%) და ა.შ. მეორე მხრივ, დედაქალაქის მაცხოვრებლები უფრო მეტად გამოკვეთენ კრიმინალური სუბკულტურების გავლენას ა) ადამიანთა დასაქმებაზე (თბილისი - 62.6%; სხვა ქალაქი - 53.4%, სოფელი - 53.5%), ბ) ღირებულებათა სისტემაზე (თბილისი - 65.3%, სხვა ქალაქი - 56.1%, სოფელი - 56%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.3).

ცხრილი #4.3

თქვენი შეფასებით, რამდენად ახდენს გავლენას ქვეყანაში არსებული კრიმინალური სუბკულტურები/რეალობა ადამიანების, განსაკუთრებით მოზარდებისა და ახალგაზრდების... (დასახლების ტიპის ჭრილში) (%)		საერთოდ არ ახდენს გავლენას	უფრო არ ახდენს გავლენას, ვიდრე ახდენს	თანაბრად	უფრო ახდენს გავლენას, ვიდრე არ ახდენს	ძლიერ ახდენს გავლენას	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
ყოველდღიური ცხოვრების წესზე (X^2=29800, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	3.8	9	24	32	29.3	-	1.8
	სხვა ქალაქები (N=534)	2.8	6.1	26.1	34.3	26.9	0.8	3
	სოფელი (N=807)	3.3	8.3	24	29.4	28.2	0.6	6.2
განათლების მიღებაზე (X^2=28401, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	4.8	8.7	23.7	29.4	30.6	0.7	2
	სხვა ქალაქები (N=534)	3	9.1	26.8	34.2	23.4	0.9	2.6
	სოფელი (N=807)	6.7	10.4	23.7	29.8	24.3	0.6	4.5
დასაქმებაზე (X^2=40314, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	5.7	8.5	21.4	31.9	30.7	-	1.8
	სხვა ქალაქები (N=534)	4	9.8	28.6	28.6	24.8	0.9	3.2
	სოფელი (N=807)	7.6	11.7	21.5	28.3	25.1	0.8	5
სოციალური ქსელის (სამეგობრო/სანაცნობო წრის) შექმნაზე (X^2=45878, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	3.8	7.2	22.5	35.1	28.9	-	2.5
	სხვა ქალაქები (N=534)	3.4	7.8	25.7	33.5	25.1	0.8	3.8
	სოფელი (N=807)	4.7	8.2	22.3	30.6	24	1	9.1
ქცევით ჩვევებზე (X^2=47853, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	3.7	7.4	21.1	35.5	30.6	0.2	1.7
	სხვა ქალაქები (N=534)	1.9	5.9	27.8	37.2	22.7	0.8	3.8
	სოფელი (N=807)	2.9	6.2	24.5	33.6	24.4	1	7.4
ღირებულებათა სისტემაზე (X^2=50897, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	3.3	7.8	19.5	35.3	30	0.3	3.7
	სხვა ქალაქები (N=534)	2.1	6.2	30.8	31.8	24.4	0.6	4.2
	სოფელი (N=807)	3.1	6.5	23.9	32	23.9	1.4	9.1
კრიმინალურ სუბკულტურებში გაერთიანების სურვილზე (X^2=48152, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	4.7	9.2	24.2	30.4	27.9	0.2	3.5
	სხვა ქალაქები (N=534)	2.1	6	25.1	32.3	24.7	0.9	8.9
	სოფელი (N=807)	3.1	7.3	20.8	33.1	23.1	1.4	11.3
მოზარდებში დანაშაულებრივ ქცევაზე (X^2=30471, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	2.8	7.7	23.4	35.2	28.2	0.7	2
	სხვა ქალაქები (N=534)	1.9	6.4	26.7	34.1	24.6	0.8	5.5
	სოფელი (N=807)	2.4	6	25.7	33.4	23.5	0.9	8.1
სამოქალაქო ცნობიერებაზე (X^2=30841, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	3.3	6.5	24.9	36.1	24.6	-	4.5
	სხვა ქალაქები (N=534)	2.5	4.7	29.4	33.8	22.6	0.8	6.2
	სოფელი (N=807)	2.3	6	24.7	32.4	23.2	1.3	10
საზოგადოებაში ალტერნატიული „სამართლის“ სისტემის არსებობაზე (X^2=39101, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	3.2	6	22.5	37.7	24.5	-	6
	სხვა ქალაქები (N=534)	2.3	5.3	26.4	33.6	21.9	1.1	9.4
	სოფელი (N=807)	2.4	5.8	25	29.9	21.7	1.4	13.7

სქესის ჭრილში კრიმინალური სუბკულტურის რამდენიმე ასპექტზე გავლენის შეფასებისას სტატისტიკურად სანდო შედეგები იკვეთება ($p<0.05$). როგორც ქალების, ისე მამაკაცების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არსებული კრიმინალური რეალობა გავლენის მომხდენია (ქულები 4 და 5) ადამიანების, განსაკუთრებით მოზარდებისა და ახალგაზრდების:

- დასაქმებაზე: ქალი - 57.8%, კაცი - 54.6%;
- სოციალური ქსელის (სამეგობრო/სანაცნობო წრის) შექმნაზე: ქალი - 58.5%, კაცი - 58.7%;
- ქცევით ჩვევებზე: ქალი - 61%, კაცი - 61.1% (იხ. ცხრილი #4.4).

ცხრილი #4.4

თქვენი შეფასებით, რამდენად ახდენს გავლენას ქვეყანაში არსებული კრიმინალური სუბკულტურები/რეალობა ადამიანების, განსაკუთრებით მოზარდებისა და ახალგაზრდების... (სქესის ჭრილში) (%)		საერთოდ არ ახდენს გავლენას	უფრო არ ახდენს გავლენას, ვიდრე ახდენს	თანაბრად	უფრო ახდენს გავლენას, ვიდრე არ ახდენს	ძლიერ ახდენს გავლენას	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
დასაქმებაზე (X^2=21877, $p<0.05$)	ქალი (N=1048)	5	8.1	24.6	31.1	26.7	0.9	3.6
	კაცი (N=860)	7.2	12.6	22.2	27.7	26.9	0.1	3.4
სოციალური ქსელის (სამეგობრო/სანაცნობო წრის) შექმნაზე (X^2=16511, $p<0.05$)	ქალი (N=1048)	2.8	7.2	24.9	32.9	25.6	1.1	5.5
	კაცი (N=860)	5.5	8.3	21.6	32.5	26.1	0.2	5.6
ქცევით ჩვევებზე (X^2=14092, $p<0.05$)	ქალი (N=1048)	2	6.3	25	36.3	24.7	1.1	4.6
	კაცი (N=860)	3.9	6.6	23.5	33.9	27.2	0.2	4.6

ასაკობრივი ჯგუფების ჭრილში საკითხის განხილვისას, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ თითოეული ასაკის რესპონდენტის აზრით, ქვეყანაში არსებული კრიმინალური რეალობა გავლენის მომხდენია მოზარდის განათლებაზე, მისი შეხედულებებისა და მოსაზრებების ჩამოყალიბებაზე. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ მოზარდების (15-17 წლის) ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები თითოეული ასპექტის შეფასებისას, მეტად უსვამენ ხაზს მსგავსი გავლენის არარსებობას (ქულები 1 და 2):

- განათლების მიღებაზე: 15-17 წლის - 21%, 18-29 წლის - 16%, 30-54 წლის - 13.8%, 55-64 წლის - 13.1%, 65 წლის ან მეტის - 14.5%;
- სოციალური ქსელის შექმნაზე: 15-17 წლის - 20%, 18-29 წლის - 9.5%, 30-54 წლის - 13%, 55-64 წლის - 10.6%, 65 წლის ან მეტის - 10.9%;
- კრიმინალურ სუბკულტურებში გაერთიანების სურვილზე: 15-17 წლის - 16.5%, 18-29 წლის - 11.4%, 30-54 წლის - 10%, 55-64 წლის - 11.6%, 65 წლის ან მეტის - 9.9%;
- მოზარდებში დანაშაულებრივ ქცევაზე: 15-17 წლის - 17.4%, 18-29 წლის - 7.9%, 30-54

წლის - 8.5%, 55-64 წლის - 10.3%, 65 წლის ან მეტის - 8.5%;

- სამოქალაქო ცნობიერებაზე: 15-17 წლის - 13%, 18-29 წლის - 8.9%, 30-54 წლის - 7.9%, 55-64 წლის - 9.5%, 65 წლის ან მეტის - 7.2% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.5).

ცხრილი #4.5

თქვენი შეფასებით, რამდენად ახდენს გავლენას ქვეყანაში არსებული კრიმინალური სუბკულტურები/რეალობა ადამიანების, განსაკუთრებით მოზარდებისა და ახალგაზრდების... (ასაკის ჭრილში) (%)		საერთოდ არ ახდენს გავლენას	უფრო არ ახდენს გავლენას, ვიდრე ახდენს	თანაბრად	უფრო ახდენს გავლენას, ვიდრე არ ახდენს	ძლიერ ახდენს გავლენას	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
განათლების მიღებაზე (X^2=37225, $p<0.05$)	15-17 წლის (N=382)	10.5	10.5	19.8	33.7	19.8	1.2	4.7
	18-29 წლის (N=388)	4.5	11.5	26.2	29.9	23.2	0.5	4.2
	30-54 წლის (N=397)	4.5	9.3	25.7	30.3	28.2	0.5	1.5
	55-64 წლის (N=381)	5.3	7.8	23.4	33	26.2	0.9	3.4
	65+ წლის (N=360)	5.9	8.6	21.8	30.7	25.4	1.7	5.9
დასაქმებაზე (X^2=38078, $p<0.05$)	15-17 წლის (N=382)	12.8	9.3	20.9	29.1	19.8	1.2	7
	18-29 წლის (N=388)	4.7	10.5	23.9	30.4	25.4	0.7	4.2
	30-54 წლის (N=397)	5.6	11	24.2	27.7	29.3	-	2.3
	55-64 წლის (N=381)	6.2	9.3	21.5	33	26.2	0.6	3.1
	65+ წლის (N=360)	7	8.6	23.8	29.1	24.8	1.7	5
სოციალური ქსელის (სამეგობრო/სანაცნობო წრის) შექმნაზე (X^2=48860, $p<0.05$)	15-17 წლის (N=382)	9.4	10.6	20	30.6	21.2	1.2	7.1
	18-29 წლის (N=388)	3	6.5	23.7	34.7	24.4	1	6.7
	30-54 წლის (N=397)	4.6	8.4	23.7	33.2	26.9	-	3.3
	55-64 წლის (N=381)	2.5	8.1	24.7	31.3	26.9	0.9	5.6
	65+ წლის (N=360)	4.6	6.3	21.5	30.7	25.1	2	9.9
ქცევით ჩვევებზე (X^2=37049, $p<0.05$)	15-17 წლის (N=382)	5.8	9.3	19.8	32.6	23.3	1.2	8.1
	18-29 წლის (N=388)	2	6.2	26.4	35.4	23.2	1	5.7
	30-54 წლის (N=397)	2.9	6.5	24.5	34.9	28.5	-	2.8
	55-64 წლის (N=381)	3.1	7.2	21.6	37.8	24.1	0.9	5.3
	65+ წლის (N=360)	3.3	5	25.2	33.4	24.8	1.7	6.6
კრიმინალურ სუბკულტურებში გაერთიანების სურვილზე (X^2=40510, $p<0.05$)	15-17 წლის (N=382)	7.1	9.4	20	29.4	20	1.2	12.9
	18-29 წლის (N=388)	3.2	8.2	23.9	31.3	22.9	0.7	9.7
	30-54 წლის (N=397)	3	7	24.8	31	28.2	0.3	5.8
	55-64 წლის (N=381)	2.8	8.8	20.3	36.6	22.8	1.3	7.5
	65+ წლის (N=360)	3.3	6.6	21.5	31.4	23.4	2	11.9
მოზარდებში დანაშაულებრივ ქცევაზე (X^2=50498, $p<0.05$)	15-17 წლის (N=382)	5.8	11.6	17.4	32.6	20.9	1.2	10.5
	18-29 წლის (N=388)	2.7	5.2	28.4	32.3	24.4	0.5	6.5
	30-54 წლის (N=397)	2.5	6	25.4	35.4	26.9	0.5	3.3
	55-64 წლის (N=381)	0.6	9.7	21.9	37.5	23.1	0.9	6.3
	65+ წლის (N=360)	2.6	5.9	26.4	29.7	25.7	2	7.6
სამოქალაქო ცნობიერებაზე (X^2=47361, $p<0.05$)	15-17 წლის (N=382)	5.9	7.1	18.8	34.1	20	1.2	12.9
	18-29 წლის (N=388)	2.7	6.2	26.2	33.9	21.2	0.5	9.2
	30-54 წლის (N=397)	2.9	5	28.9	33.1	26.1	0.3	3.8
	55-64 წლის (N=381)	1.3	8.2	22.3	37.9	21.6	0.6	8.2
	65+ წლის (N=360)	2.6	4.6	24.8	32.1	22.5	2	11.3
საზოგადოებაში ალტერნატიული „სამართლის“ სისტემის არსებობაზე (X^2=58024, $p<0.05$)	15-17 წლის (N=382)	6	7.1	19	33.3	17.9	1.2	15.5
	18-29 წლის (N=388)	2.2	6.5	24.6	33.1	21.1	0.5	11.9
	30-54 წლის (N=397)	2.9	4.8	27.4	32.8	25.2	0.3	6.6
	55-64 წლის (N=381)	1.3	6.3	24.1	35.3	20.3	0.9	11.9
	65+ წლის (N=360)	3.3	5.9	19.4	32.9	21.7	3	13.8

როგორც გამოიკვეთა, რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით (57%), კრიმინალური სუბკულტურა ინდივიდთა მსგავს დაჯგუფებებში გაერთიანების სურვილზე გავლენის მომხდენია. ამასთან, 29.1%-ის შეფასებით, **ბოლო 5 წლის განმავლობაში მოზარდებში კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილი გაიზარდა** (ქულები 4 და 5).[3] თითქმის მეოთხედს უტოლდება მათი წილი, ვინც მიიჩნევს, რომ ამ მხრივ არანაირი ცვლილება არ მომხდარა (24.7%), ხოლო 26.4%-ის აზრით, მოზარდებში მსგავსი სურვილი შემცირებულია. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ რესპონდენტთა 15.8%-ს საკითხის შეფასება გაუჭირდა (იხ. დიაგრამა #4.1).

დიაგრამა #4.1



აღმოსავლეთ (თბილისის გარდა) (24.1%) და **დასავლეთ** საქართველოში (28.3%) გამოკითხულთა საშუალოდ 26% ბოლო 5 წლის განმავლობაში მოზარდებში კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილის გაზრდაზე მიუთითებს. ამასთან, მნიშვნელოვანი სხვაობა დაფიქსირდა გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში, როდესაც საუბარია ამ მხრივ ცვლილების არარსებობაზე - აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის გარდა) გამოკითხულთა თითქმის მეხუთედი (19.3%) აღწერს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში სიტუაცია არ შეცვლილა.
მსგავს პოზიციას იზიარებს დასავლეთ საქართველოში გამოკითხულთა 29.1% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=154887$, $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #4.2).

3. *შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5-ქულიანი სკალა, ჰომელზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „ძალზე შემცირდა კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილი“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „ძალზე გაიზარდა კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილი“.*

დიაგრამა #4.2



თუკი სოფლებსა (26.8%) და, დედაქალაქის გარდა, **სხვა ქალაქებში** (25.9%) საშუალოდ 26% მიიჩნევს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილი მოზარდებში გაიზარდა (ქულები 4 და 5), **თბილისში** მაჩვენებელი 35.4%-მდეა გაზრდილი. ამასთან, თუ სხვა ტიპის დასახლებებში გამოკითხულთა საშუალოდ 4% ფიქრობს, რომ მოზარდებში ასეთი სურვილი საერთოდ აღარ არსებობს, დედაქალაქში მსგავსი პოზიციის მქონეთა წილი მხოლოდ 0.5%-ია (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:$X2=120073$, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.6).

ცხრილი #4.6

თქვენი შეფასებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში როგორ შეიცვალა კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილი მოზარდებში? (დასახლების ტიპის ჭრილში) (%)	თბილისი (N=567)	სხვა ქალაქები (N=534)	სოფელი (N=807)
ძალზე შემცირდა კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილი	4.7	11.5	8.2
მეტ-ნაკლებად შემცირდა კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილი	22.5	17.2	16
არაფერი შეცვლილა	25.5	28.5	21.5
მეტ-ნაკლებად გაიზარდა კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილი	24.5	22.5	20.8
ძალზე გაიზარდა კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილი	10.9	4.3	5.1
მოზარდებში ასეთი სურვილი საერთოდ აღარ არსებობს	0.5	3.6	5.3
უარი პასუხზე	-	1.1	0.9
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	11.4	11.3	22.2

სქესის ჭრილში საკითხის გაანალიზებისას იკვეთება, რომ თუკი ქალების თითქმის მესამედის (31.7%) აზრით, ბოლო 5 წლის განმავლობაში მოზარდებში კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილი გაიზარდა, მსგავს პოზიციას კაცი რესპონდენტების 26.3% ავლენს. კაცები მეტად ფიქრობენ, რომ ამ მხრივ ქვეყანაში არაფერი შეცვლილა (ქულა 3): ქალი - 22.5%, კაცი - 27.2%. ამასთან ხაზგასასმელია, რომ ქალების შედარებით დიდ წილს (16.8%) საკითხის შეფასება გაუჭირდა (კაცი - 14.6%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:X2=22742, p<0.05) (იხ. ცხრილი #4.7).

ცხრილი #4.7

თქვენი შეფასებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში როგორ შეიცვალა კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილი მოზარდებში? (სქესის ჭრილში) (%)	ქალი (N=1048)	კაცი (N=860)
ძალზე შემცირდა კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილი	7	9.3
მეტ-ნაკლებად შემცირდა კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილი	18.9	17.8
არაფერი შეცვლილა	22.5	27.2
მეტ-ნაკლებად გაიზარდა კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილი	24.8	19.7
ძალზე გაიზარდა კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილი	7	6.6
მოზარდებში ასეთი სურვილი საერთოდ აღარ არსებობს	2.3	4.4
უარი პასუხზე	0.9	0.4
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	16.8	14.6

რესპონდენტთა უმრავლესობის შეფასებით, **მოზარდების კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილის მხრივ მნიშვნელობს, როგორც ინფორმირებულობის დონე, გარემო პირობები, სანაცნობო წრე, ისე გაერთიანების წევრობით მიღებული სარგებელი.** უფრო კონკრეტულად, რესპონდენტთა 68.1% მიიჩნევს, რომ მოზარდები არ არიან ინფორმირებულნი კრიმინალური სუბკულტურების უარყოფითი საქმიანობის შესახებ. ამასთან, მნიშვნელოვნად მიიჩნევენ პირველადი სოციალური ჯგუფის მოზარდის მიმართ დამოკიდებულებას. ამ პერსპექტივით, გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, მოზარდების კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილის მხრივ, გავლენის მომხდენია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა (ქულები 4 და 5)[4]

- მშობლების მიერ უგულებელყოფა - 69.8%;
- მშობლის მხრიდან ძალადობრივი აღზრდა - 68.3%.

4. *შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5-ქულიანი სკალა, ჰომეოზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „ძალზე მნიშვნელოვანია“.*

ამასთან, მნიშვნელოვნად მიიჩნევა მოზარდის ოჯახში კრიმინალური სუბკულტურის მიმღებლობა (70%) და საახლობლო წრეში კრიმინალური ავტორიტეტის ყოლა (66.4%). რესპონდენტთა უმრავლესობა განსაკუთრებულ როლს სკოლის პერსონალს აკისრებს და მიიჩნევს, რომ მოზარდთა კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილზე შესაძლოა გავლენას ახდენდეს მასწავლებლის/მანდატურის მხრიდან არასწორი პედაგოგიკა და უყურადღებობა (65.3%).

პირველადი სოციალური ჯგუფისა და სანათესაო/სანაცნობო წრის გარდა, გამოკითხულთა მიერ მნიშვნელოვან ფაქტორადაა შეფასებული კრიმინალური სუბკულტურების წევრობით მიღებული შესაძლო „სარგებელი" (ქულები 4 და 5):

- ძალაუფლების მოპოვება - 64.8%;
- უსაფრთხოების გარანტია - 61%;
- პრივილეგიების მიღება - 64.2%;
- სუბკულტურის წევრობით შექმნილი პრესტიჟი - 63%.

რესპონდენტთა აზრით, შესაძლოა კრიმინალური სუბკულტურების მიმართ მოზარდების მიმზიდველობას სწორედ ეს ფაქტორები ავითარებდეს (იხ. ცხრილი #4.8).

ცხრილი #4.8

როგორ შეაფასებდით ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების მნიშვნელოვნებას კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილის მხრივ მოზარდებში? (%) (N=1908)	საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი	უფრო არ არის მნიშვნელოვანი, ვიდრე არის	თანაბრად	უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არა	ძალზე მნიშვნელოვანია	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
არაინფორმირებულობა კრიმინალური სუბკულტურების უარყოფითი საქმიანობის შესახებ	1.5	3.6	17.5	34.4	33.6	1.2	8.1
მშობლების მიერ უგულებელყოფა	1.3	3.3	19.1	32.4	37.5	0.6	5.8
მშობლის მხრიდან ძალადობრივი აღზრდა	2.6	4.3	18	31.3	37	0.8	5.9
ოჯახში კრიმინალური სუბკულტურის მიმღებლობა	2.5	2.7	15.7	32.9	37.11	1.3	7.9
სკოლის პერსონალის (მასწავლებელი/მანდატური) მხრიდან არასწორი პედაგოგიკა, უყურადღებობა	3	5.7	19.8	32.7	32.6	0.7	5.5
განსხვავებული ღირებულებების ქონა	2.9	3.8	21	33.1	29.6	1.1	8.4
საახლობლო წრეში კრიმინალური ავტორიტეტის ყოლა	3.2	4.2	17.7	32.3	34	1	7.5
ძალაუფლების მოპოვება	2.4	4.2	19.2	34	30.8	0.9	8.6
უსაფრთხოების გარანტია	2.3	3.6	21.1	31.7	29.3	1.2	10.7
პრივილეგიების მიღება	2.2	4.2	18.2	32.9	31.3	1.1	10.1
სუბკულტურის წევრობით შექმნილი პრესტიჟი	2.6	4	17.4	33	30	1.3	11.8

აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის გარდა) გამოკითხულთა 69.6% მიიჩნევს, რომ მოზარდებში კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ დაჯგუფებების უარყოფითი საქმიანობის შესახებ არაინფორმირებულობა. მსგავს პოზიციას **დასავლეთ საქართველოში** გამოკითხულთა 65.8% იზიარებს. პირველადი სოციალური ჯგუფის, ერთი მხრივ, მოზარდის, ხოლო, მეორე მხრივ, კრიმინალური სუბკულტურების მიმართ დამოკიდებულებას მნიშვნელოვნად სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში გამოკითხულთა თითქმის თანაბარი წილი მიიჩნევს (ქულები 4 და 5):

- **მშობლების მიერ უგულებელყოფა:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) - 69.9%, დასავლეთ საქართველო - 70%;
- **მშობლის მხრიდან ძალადობრივი აღზრდა:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) - 68.4%, დასავლეთ საქართველო - 70.5%;
- **ოჯახში კრიმინალური სუბკულტურის მიმღებლობა:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) - 68.8%, დასავლეთ საქართველო - 69.6%.

აღმოსავლეთ (თბილისის გარდა) (63.3%) და დასავლეთ საქართველოში (60%) გამოკითხულთა საშუალოდ 62% მიიჩნევს, რომ მოზარდების კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილის მხრივ მნიშვნელოვანი ფაქტორია წევრობით შექმნილი პრესტიჟი. თუკი აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის გარდა) მცხოვრებთა 64.9%-სთვის საახლობლო წრეში კრიმინალური ავტორიტეტის ყოლა მნიშვნელოვანია, დასავლეთ საქართველოში მაჩვენებელი 68.4%-მდე იზრდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.9)

ცხრილი #4.9

როგორ შეაფასებდით ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების მნიშვნელოვნებას კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილის მხრივ მოზარდებში? (გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში) (%)		საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი	უფრო არ არის მნიშვნელოვანი, ვიდრე არის	თანაბრად	უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არა	ძალზე მნიშვნელოვანია	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
არაინფორმირებულობა კრიმინალური სუბკულტურების უარყოფითი საქმიანობის შესახებ (X^2=82326, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	0.8	1.9	15.4	37	32.6	0.5	11.9
	დასავლეთ საქართველო (N=699)	1.9	4	17.4	27.6	38.2	2.8	7.9
მშობლების მიერ უგულებელყოფა (X^2=75606, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	2	0.3	18.7	35.7	34.2	0.2	8.9
	დასავლეთ საქართველო (N=699)	0.6	4.3	18.6	28.8	41.2	1.6	4.8
მშობლის მხრიდან ძალადობრივი აღზრდა (X^2=98966, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	2	1.1	18.7	38	30.4	0.3	9.5
	დასავლეთ საქართველო (N=699)	2.5	6.3	14.7	25.5	45	1.6	4.3
ოჯახში კრიმინალური სუბკულტურის მიმღებლობა (X^2=50846, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	2.3	1.6	15.2	35.9	32.8	0.5	11.7
	დასავლეთ საქართველო (N=699)	1.5	3.8	16.4	28.7	40.9	1.7	7.1
სკოლის პერსონალის (მასწავლებელი/მანდატური) მხრიდან არასწორი პედაგოგიკა უყურადღებობა (X^2=98165, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	3	2	19.3	35.3	30.9	0.6	8.9
	დასავლეთ საქართველო (N=699)	1.9	6.3	16.3	29.4	40.5	1.3	4.2
განსხვავებული ღირებულებების ქონა (X^2=92609, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	1.9	2	18.7	35.4	28.9	0.6	12.5
	დასავლეთ საქართველო (N=699)	1.3	3.6	19.2	31.8	33.4	2.5	8.1
საახლობლო წრეში კრიმინალური ავტორიტეტის ყოლა (X^2=44385, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	4	3	16	35.5	29.4	1.1	11
	დასავლეთ საქართველო (N=699)	2.5	4.2	16.8	29.9	38.5	1.5	6.6

როგორ შეაფასებდით ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების მნიშვნელოვნებას კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილის მხრივ მოზარდებში? (გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში) (%)		საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი	უფრო არ არის მნიშვნელოვანი, ვიდრე არის	თანაბრად	უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არა	ძალზე მნიშვნელოვანია	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
ძალაუფლების მოპოვება (X^2=59747, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	2.3	1.7	19	34.4	28.8	0.5	13.2
	დასავლეთ საქართველო (N=699)	1.8	5.4	17.2	34.7	31.7	1.9	7.2
უსაფრთხოების გარანტია (X^2=49002, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	2.2	2.6	19.6	34.3	26	0.6	14.6
	დასავლეთ საქართველო (N=699)	2.2	4.8	20	30.8	29.7	2.7	9.7
პრივილეგიების მიღება (X^2=63940, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	1.9	2.2	17	36.3	28.7	0.3	13.6
	დასავლეთ საქართველო (N=699)	1.6	5.4	16.8	32.2	32.2	2.7	9
სუბკულტურის წევრობით შექმნილი პრესტიჟი (X^2=64058, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	1.9	2.5	17.2	36.7	26.7	0.3	14.8
	დასავლეთ საქართველო (N=699)	2.1	5.1	17.7	30.8	29.2	3.3	11.8

დასახლების ტიპის ჭრილში საკითხის განხილვისას ძირითადი ტენდენციები შენარჩუნებულია. ზემოაღნიშნულ ფაქტორებს მოზარდებში კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილის მხრივ თითოეულ ლოკაციაზე გამოკითხულ პირთა უმრავლესობა მნიშვნელოვნად აფასებს. დასახლების ტიპებს შორის, ზოგადი დამოკიდებულების თვალსაზრისით, განსხვავებები არ ფიქსირდება, თუმცა რამდენიმე ფაქტორზე მსჯელობისას, შედარებით მკაფიო პროცენტული სხვაობები გამოიკვეთა. მაგალითად, თუკი მშობლების მიერ უგულებელყოფის კომპონენტს თბილისში 69.8% და სხვა ქალაქებში 64.3% ასახელებს, სოფლად მცხოვრებთა შორის მაჩვენებელი 73.9%-მდე იზრდება (ქულები 4 და 5). პოზიციათა იდენტური გადანაწილებაა პრივილეგიების მიღების, როგორც მოზარდის კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილის მხრივ ერთ-ერთი სარგებლის, შეფასებისას - ამ შემთხვევაშიც სოფლის მოსახლეობის უფრო დიდი წილი (66.8%) მიიჩნევს ამ ასპექტს მნიშვნელოვნად ვიდრე საქალაქო ტიპის დასახლებების (თბილისი - 63%, სხვა ქალაქები - 61.8%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა; p<0.05) (იხ. ცხრილი #4.10).

ცხრილი #4.10

როგორ შეაფასებდით ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების მნიშვნელოვნებას კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილის მხრივ მოზარდებში? (დასახლების ტიპის ჭრილში) (%)		საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი	უფრო არ არის მნიშვნელოვანი, ვიდრე არის	თანაბრად	უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არა	ძალზე მნიშვნელოვანია	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
არაინფორმირებულობა კრიმინალური სუბკულტურების უარყოფითი საქმიანობის შესახებ (X^2=59327, p<0.05)	თბილისი (N=567)	1.8	5	19.9	39.2	29.5	0.2	4.3
	სხვა ქალაქები (N=534)	1.7	3.8	17.8	36	29.9	2.1	8.7
	სოფელი (N=807)	1.2	2.4	15.4	29.7	39.3	1.4	10.6
მშობლების მიერ უგულებელყოფა (X^2=49720, p<0.05)	თბილისი (N=567)	1.2	5.4	20.1	32.8	37	-	3.7
	სხვა ქალაქები (N=534)	1.5	4	22.5	33.5	30.8	0.9	6.8
	სოფელი (N=807)	1.2	1.3	16.1	31.4	42.4	0.9	6.8
მშობლის მხრიდან ძალადობრივი აღზრდა (X^2=33782, p<0.05)	თბილისი (N=567)	3.2	5.5	21.2	30.6	35.4	0.5	3.7
	სხვა ქალაქები (N=534)	1.5	5.1	18.4	34.5	33.1	0.9	6.4
	სოფელი (N=807)	2.8	2.8	15.5	29.6	41	1	7.3
ოჯახში კრიმინალური სუბკულტურის მიმღებლობა (X^2=54631, p<0.05)	თბილისი (N=567)	3.8	2.5	15.7	34.2	37.6	1.7	4.5
	სხვა ქალაქები (N=534)	1.1	4	18.3	37.9	30.2	1.1	7.4
	სოფელი (N=807)	2.6	1.9	14	28.4	41.5	1	10.7
სკოლის პერსონალის (მასწავლებელი/ მანდატური) მხრიდან არასწორი პედაგოგიკა უყურადღებობა (X^2=68418, p<0.05)	თბილისი (N=567)	4.3	8.8	24.4	33.6	25.7	-	3.2
	სხვა ქალაქები (N=534)	1.7	5.3	19.3	35	32.5	0.8	5.5
	სოფელი (N=807)	3	3.5	16.8	30.4	38	1.2	7.2
განსხვავებული ღირებულებების ქონა (X^2=80455, p<0.05)	თბილისი (N=567)	5.8	5.7	25.5	32	26.2	0.2	4.7
	სხვა ქალაქები (N=534)	1.7	3	19.1	38	28.9	1.1	8.1
	სოფელი (N=807)	1.5	2.8	19	30.5	32.7	1.9	11.5
საახლობლო წრეში კრიმინალური ავტორიტეტის ყოლა (X^2=37511, p<0.05)	თბილისი (N=567)	3.2	5.7	20.5	31.5	34	0.3	4.8
	სხვა ქალაქები (N=534)	3.4	4.4	17	36.6	29	1.9	7.8
	სოფელი (N=807)	3.1	2.9	16	30.1	37.6	0.9	9.4
ძალაუფლების მოპოვება (X^2=37024, p<0.05)	თბილისი (N=567)	3	5.5	21.5	32.9	31.7	0.2	5.2
	სხვა ქალაქები (N=534)	2.1	5.1	20.2	35	28.2	0.9	8.5
	სოფელი (N=807)	1.9	2.6	16.7	34.4	31.8	1.4	11.2
	თბილისი (N=567)	2.7	3.5	24	29.7	32.3	0.2	7.7

როგორ შეაფასებდით ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების მნიშვნელოვნებას კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილის მხრივ მოზარდებში? (დასახლების ტიპის ჭრილში) (%)		საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი	უფრო არ არის მნიშვნელოვანი, ვიდრე არის	თანაბრად	უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არა	ძალზე მნიშვნელოვანია	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
უსაფრთხოების გარანტია (X^2=45363, p<0.05)	სხვა ქალაქები (N=534)	2.5	5.7	20.8	35	25.4	1.1	9.5
	სოფელი (N=807)	1.9	2.3	19.1	30.9	29.8	2.1	13.9
პრივილეგიების მიღება (X^2=49103, p<0.05)	თბილისი (N=567)	3.3	5	21.2	29.8	33.2	-	7.5
	სხვა ქალაქები (N=534)	2.5	6.2	18.1	35	26.8	1.5	9.8
	სოფელი (N=807)	1.3	2.2	16	33.7	33.1	1.5	12.2
სუბკულტურის წევრობით შექმნილი პრესტიჟი (X^2=61037, p<0.05)	თბილისი (N=567)	4	4.3	17.2	31.4	34.4	0.2	8.5
	სხვა ქალაქები (N=534)	2.8	6.4	18.9	35.3	24.6	1.3	10.6
	სოფელი (N=807)	1.4	1.9	16.5	32.6	30.2	2.2	15.2

მართალია, როგორც **ქალების**, ისე **კაცების** უმრავლესობის აზრით, პირველადი სოციალური ჯგუფის მოზარდის მიმართ დამოკიდებულება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მის კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილზე, ხაზგასასმელია, რომ ამ ჯგუფის უმნიშვნელობაზე კაცები უფრო მეტად მიუთითებენ (ქულები 1 და 2):

- **მშობლების მიერ უგულებელყოფა:** ქალი - 3.6%, კაცი - 6.9%;
- მშობლის მხრიდან ძალადობრივი აღზრდა: ქალი - 5.6%, კაცი - 8.6%;
- **ოჯახში კრიმინალური სუბკულტურის მიმღებლობა:** ქალი - 3.3%, კაცი - 7.3%.

ამასთან, კაც რესპონდენტთა მეათედი (10%) მიიჩნევს, რომ სკოლის პერსონალის არასწორი პედაგოგიკა კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილის მხრივ არანაირ მნიშვნელობას იძენს. მსგავს პოზიციას ქალების 7.6% იზიარებს. თუმცა, მეორე მხრივ, როგორც ქალების, ისე კაცების 60%-ზე მეტი ამ აქტორთა როლს მნიშვნელოვნად აფასებს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: p<0.05) (იხ. ცხრილი #4.11).

ცხრილი #4.11

როგორ შეაფასებდით ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების მნიშვნელოვნებას კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილის მხრივ მოზარდებში? (სქესის ჭრილში) (%)		საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი	უფრო არ არის მნიშვნელოვანი, ვიდრე არის	თანაბრად	უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არა	ძალზე მნიშვნელოვანია	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
მშობლების მიერ უგულებელყოფა (X^2=16447, p<0.05)	ქალი (N=1048)	0.9	2.7	19.2	32.7	36.5	1	7.1
	კაცი (N=860)	1.7	4.2	19.1	32	38.5	0.2	4.4
მშობლის მხრიდან ძალადობრივი აღზრდა (X^2=17834, p<0.05)	ქალი (N=1048)	2.7	2.9	17.6	32.4	36.2	1.1	7.1
	კაცი (N=860)	2.6	6	18.5	29.9	37.9	0.6	4.6
ოჯახში კრიმინალური სუბკულტურის მიმღებლობა (X^2=23647, p<0.05)	ქალი (N=1048)	1.7	1.6	17.6	33	36	1.5	8.7
	კაცი (N=860)	3.5	3.8	13.7	32.7	38.4	1	6.9
სკოლის პერსონალის (მასწავლებელი/მანდატური) მხრიდან არასწორი პედაგოგიკა უყურადღებობა (X^2=16731, p<0.05)	ქალი (N=1048)	2.3	5.3	20.7	32.5	31.6	1.1	6.6
	კაცი (N=860)	3.9	6.1	18.8	33	33.9	0.2	4.2

შემდგომ ეტაპზე, რესპონდენტებს წარედგინათ **სიტუაციები და დებულებები; უნდა შეეფასებინათ, რამდენად ეთანხმებიან/არ ეთანხმებიან თითოეულ მათგანს.**[5] გამოკითხულთა უმრავლესობა იზიარებს მოსაზრებას, რომ **ა) სასკოლო გარემოში მოზარდებს შორის დაპირისპირების შესახებ სკოლის ადმინისტრაციას შეატყობინებდა** (76%), **ბ) სამეზობლოში პოტენციური კრიმინალის ფაქტს პოლიციას შეატყობინებდა** (57.9%). ხაზგასასმელია ისიც, რომ ზემოაღნიშნულ სიტუაციებში გამოკითხულთა საშუალოდ მეათედი არც სკოლის ადმინისტრაციას და არც პოლიციას საქმის კურსში არ ჩააყენებდა.

რამდენიმე დებულება შეეხებოდა კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მიდრეკილ მოზარდთან კომუნიკაციის სტრატეგიებს. გამოკითხულთა დაახლოებით მეათედი, თუკი **მოზარდზე მიიტანს ეჭვს, რომ კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ აქვს მიდრეკილება,** არც მოზარდთან და არც ოჯახთან გასაუბრებას სავალდებულოდ არ მიიჩნევს და მით უფრო ამ პროცესში საკუთარ თავს ვერ ხედავს (ქულები 1 და 2). რესპონდენტების უფრო დიდი წილი ეთანხმება მოსაზრებას, რომ მსგავს სიტუაციაში მოზარდს უნდა გაესაუბროს (65.5%), ოჯახის ჩარევის აუცილებლობას კი 60.3% გამოკვეთს. ის ფაქტი, რომ საშუალოდ 14% ნეიტრალურ პოზიციას იკავებს (თან ეთანხმება და თან არ ეთანხმება, ქულა 3), შესაძლოა მათ გულგრილობაზე მიუთითებდეს (იხ. ცხრილი #4.12).

5. *შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5-ქულიანი სკალა, ჰომეოზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „საერთოდ არ ვეთანხმები“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „სავსებით ვეთანხმები“.*

ცხრილი #4.12

გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებას.... (%) (N=1908)	საერთოდ არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	თანაბრად	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
სასკოლო გარემოში მოზარდებს შორის დაპირისპირების შესახებ შევატყობინებ სკოლის ადმინისტრაციას (მანდატურს, მასწავლებელს)	4	3	10.8	28.6	47.4	1.5	4.6
სამეზობლოში პოტენციური კრიმინალის ფაქტს შევატყობინებ პოლიციას	8	5.7	17.7	24.3	33.6	1.7	9
კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მოზარდის მიდრეკილებაზე ეჭვის შემთხვევაში გავესაუბრები თავად მოზარდს	7.4	3.3	13.4	26.9	38.6	1.7	8.8
კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მოზარდის მიდრეკილებაზე ეჭვის შემთხვევაში გავესაუბრები მოზარდის ოჯახს	8.4	4.4	15.3	24.9	35.4	1.3	10.3

გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში განხილვისას, ზოგადი ტენდენციის მსგავსად, მეტად პოზიტიური ქცევა იკვეთება, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება სკოლაში მოზარდებს შორის დაპირისპირებას - აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის გარდა) გამოკითხულთა 81.1% ეთანხმება, რომ მსგავს სიტუაციაში სკოლის ადმინისტრაციას შეატყობინებდა, რასაც დასავლეთში გამოკითხულთა 74.3%-იც იზიარებს.
საშუალოდ მეათედს უტოლდება სამიზნე არეალების ჭრილში იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც არ იზიარებენ შემდეგ პოზიციებს (ქულები 1 და 2):

- **სამეზობლოში პოტენციური კრიმინალის ფაქტს შევატყობინებ პოლიციას:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 10.8%, დასავლეთ საქართველო - 13.2%
- **კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მოზარდის მიდრეკილებაზე ეჭვის შემთხვევაში გავესაუბრები თავად მოზარდს:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 10.9%, დასავლეთ საქართველო - 9.9%
- **კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მოზარდის მიდრეკილებაზე ეჭვის შემთხვევაში გავესაუბრები მოზარდის ოჯახს:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 11.7%, დასავლეთ საქართველო - 12.1%

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$)

ამასთან, ხაზგასასმელია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის გარდა) გამოკითხულთა უფრო დიდ წილს უჭირს კონკრეტული პოზიციის დაფიქსირება ვიდრე დასავლეთ საქართველოს რესპონდენტებს (იხ. ცხრილი #4.13).

ცხრილი #4.13

გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებას.... (გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში) (%)		საერთოდ არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	თანაბრად	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
სასკოლო გარემოში მოზარდებს შორის დაპირისპირების შესახებ შევატყობინებ სკოლის ადმინისტრაციას (მანდატურს, მასწავლებელს) (X^2=58996, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	3	2.3	5.6	33.2	47.9	1.6	6.4
	დასავლეთ საქართველო (N=699)	2.8	3.6	13	27.7	46.6	2.4	3.9
სამეზობლოში პოტენციური კრიმინალის ფაქტს შევატყობინებ პოლიციას (X^2=56439, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	6.1	4.7	14.5	30.1	30.3	2.5	11.9
	დასავლეთ საქართველო (N=699)	6.9	6.3	19.4	23.4	33.9	2	8.1
კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მოზარდის მიდრეკილებაზე ეჭვის შემთხვევაში გავესაუბრები თავად მოზარდს (X^2=42190, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	7.5	3.4	12.5	29	33.1	2	12.5
	დასავლეთ საქართველო (N=699)	6.3	3.6	14.1	22.8	43	2.2	7.9
კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მოზარდის მიდრეკილებაზე ეჭვის შემთხვევაში გავესაუბრები მოზარდის ოჯახს (X^2=49225, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	7.3	4.4	12	26.3	34.4	1.9	13.7
	დასავლეთ საქართველო (N=699)	6.9	5.2	16.6	22.2	39.4	1.9	7.6

დასახლებისტიპისჭრილშისაკითხისგანხილვისასზოგადიპოზიტიურიდამოკიდებულება, ცხადია, შენარჩუნებულია, თუმცა ამ შემთხვევაში საინტერესოა ყურადღების ნეგატიურ ასპექტებზე გამახვილება. დედაქალაქში გამოკითხულთა შედარებით დიდი წილი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ სასკოლო გარემოში დაპირისპირების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაციას უნდა მიმართოს (თბილისი - 9.5%, სხვა ქალაქები - 7.2%, სოფელი - 5%) ან სამეზობლოში პოტენციური კრიმინალური ფაქტის შესახებ პოლიციას უნდა შეატყობინოს (თბილისი - 17.2%, სხვა ქალაქები - 11.8%, სოფელი - 12.3%). დამატებით, თბილისის მაცხოვრებლები ნაკლებად ხედავენ საკუთარ როლს კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მიდრეკილი მოზარდის შესახებ თავად მასთან ან ოჯახთან გასაუბრების მხრივ (ქულები 1 და 2):

- **კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მოზარდის მიდრეკილებაზე ეჭვის შემთხვევაში გავესაუბრები თავად მოზარდს:** თბილისი - 11.3%, სხვა ქალაქები - 9.6%, სოფელი - 10.9%;
- **კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მოზარდის მიდრეკილებაზე ეჭვის შემთხვევაში გავესაუბრები მოზარდის ოჯახს:** თბილისი - 14.7%, სხვა ქალაქები - 11.9%, სოფელი - 11.9% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.14).

ცხრილი #4.14

გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებას.... (დასახლების ტიპის ჭრილში) (%)		საერთოდ არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	თანაბრად	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
სასკოლო გარემოში მოზარდებს შორის დაპირისპირების შესახებ შევატყობინებ სკოლის ადმინისტრაციას (მანდატურს, მასწავლებელს) (X^2=82629, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	6.5	3	13.7	24.8	47.7	0.7	3.7
	სხვა ქალაქები (N=534)	4.2	3	12.3	36.9	37.4	2.8	3.4
	სოფელი (N=807)	1.9	3.1	7.4	26.1	53.9	1.4	6.2
სამეზობლოში პოტენციური კრიმინალის ფაქტს შევატყობინებ პოლიციას (X^2=79298, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	11.2	6	19.4	18.9	37.1	0.5	7
	სხვა ქალაქები (N=534)	5.5	6.3	19.5	33.3	24.1	2.8	8.5
	სოფელი (N=807)	7.2	5.1	15.3	22.3	37.5	1.7	10.9
კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მოზარდის მიდრეკილებაზე ეჭვის შემთხვევაში გავესაუბრები თავად მოზარდს (X^2=64200, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	8.5	2.7	13.7	29.3	39.5	0.5	5.8
	სხვა ქალაქები (N=534)	4.9	4.7	16.4	30.6	29.8	3.2	10.4
	სოფელი (N=807)	8.2	2.7	11.3	22.5	43.8	1.5	10
კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მოზარდის მიდრეკილებაზე ეჭვის შემთხვევაში გავესაუბრები მოზარდის ოჯახს (X^2=77422, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	11.2	3.5	17.4	26.4	32.1	-	9.5
	სხვა ქალაქები (N=534)	5.7	6.2	15.8	29.1	27.2	2.8	12.1
	სოფელი (N=807)	8.1	3.8	12.7	20.9	43.5	1.3	9.7

სქესის ჭრილში სხვადასხვა სიტუაციის განხილვისას განსხვავებული პოზიციები იკვეთება. კონკრეტულად, კაცები უფრო არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ა) სასკოლო გარემოში მოზარდებს შორის დაპირისპირების შესახებ სკოლის ადმინისტრაციას შეატყობინებდა (ქალი - 2.9%, კაცი - 11.8%), ბ) სამეზობლოში პოტენციური კრიმინალის ფაქტს პოლიციას შეატყობინებდა (ქალი - 8%, კაცი - 20.2%). ამასთან, კაცების უფრო დიდი ნაწილი არ თვლის საჭიროდ მოზარდის კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მიდრეკილების შესახებ მის ოჯახს გაესაუბროს: ქალი - 10.2%, კაცი - 15.9% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.15).

გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებას.... (სქესის ჭრილში) (%)		საერთოდ არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	თანაბრად	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
სასკოლო გარემოში მოზარდებს შორის დაპირისპირების შესახებ შევატყობინებ სკოლის ადმინისტრაციას (მანდატურს, მასწავლებელს) (X^2=105814, $p<0.05$)	ქალი (N=1048)	0.9	2	8.2	31.1	53.2	1.5	3.1
	კაცი (N=860)	7.5	4.3	13.7	25.7	40.8	1.7	6.3
სამეზობლოში პოტენციური კრიმინალის ფაქტს შევატყობინებ პოლიციას (X^2=80959, $p<0.05$)	ქალი (N=1048)	4.1	3.9	15.9	27.3	38.4	1.9	8.4
	კაცი (N=860)	12.4	7.8	19.8	20.8	28.2	1.5	9.7
კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მოზარდის მიდრეკილებაზე ეჭვის შემთხვევაში გავესაუბრები მოზარდის ოჯახს (X^2=19183, $p<0.05$)	ქალი (N=1048)	6.4	3.8	14.1	25.9	37.8	1.5	10.4
	კაცი (N=860)	10.7	5.2	16.6	23.7	32.7	1.1	10.1

ასაკობრივი ჯგუფების ჭრილში სიტუაციების განხილვისას იკვეთება, რომ სხვა ჯგუფებთან შედარებით, 15-17 წლის რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილი იკავებს თავს გაესაუბროს თავად მოზარდს ან მის ოჯახს კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მოზარდის მიდრეკილებაზე ეჭვის შემთხვევაში (ქულები 1 და 2):

- **კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მოზარდის მიდრეკილებაზე ეჭვის შემთხვევაში გავესაუბრები თავად მოზარდს:** 15-17 წლის - 18.8%, 18-29 წლის - 12.4%, 30-54 წლის - 8.8%, 55-64 წლის - 10.7%, 65 წლის ან მეტის - 10.9%;
- **კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მოზარდის მიდრეკილებაზე ეჭვის შემთხვევაში გავესაუბრები მოზარდის ოჯახს:** 15-17 წლის - 27.9%, 18-29 წლის - 15.2%, 30-54 წლის - 11.8%, 55-64 წლის - 9.3%, 65 წლის ან მეტის - 11.6% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.16).

გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებას.... (ასაკის ჭრილში) (%)		საერთოდ არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	თანაბრად	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მოზარდის მიდრეკილებაზე ეჭვის შემთხვევაში გავესაუბრები თავად მოზარდს (X^2=41102, $p<0.05$)	15-17 წლის (N=382)	12.9	5.9	10.6	23.5	31.8	2.4	12.9
	18-29 წლის (N=388)	7.7	4.7	14.7	23.9	35.2	2	10.7
	30-54 წლის (N=397)	7	1.8	14.4	30.7	38	1.3	6.9
	55-64 წლის (N=381)	6.6	4.1	11	24.5	42.9	1.6	9.4
	65+ წლის (N=360)	7.3	3.6	11.2	24.4	41.9	2.3	9.2
კრიმინალური სუბკულტურის წევრობისკენ მოზარდის მიდრეკილებაზე ეჭვის შემთხვევაში გავესაუბრები მოზარდის ოჯახს (X^2=67707, $p<0.05$)	15-17 წლის (N=382)	22.1	5.8	11.6	20.9	20.9	2.3	16.3
	18-29 წლის (N=388)	8.2	7	18.9	22.1	29.1	1	13.7
	30-54 წლის (N=397)	8.5	3.3	15.2	26.1	36.8	1	9.1
	55-64 წლის (N=381)	5.6	3.7	15.6	26.5	39.6	1.6	7.5
	65+ წლის (N=360)	7.3	4.3	11.9	24.8	39.6	2	10.2

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა - რესპონდენტთა 15.9% არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ **მის მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში პოლიციას შეატყობინებდა** (ქულები 1 და 2). მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ყოველი მეათე მსგავს გადაწყვეტილებას კატეგორიულად არ ეთანხმება (პასუხის კატეგორია „საერთოდ არ ვეთანხმები", ქულა 1). მსგავსი შედეგი შესაძლოა პოლიციის მიმართ უნდობლობით იყოს გამოწვეული ან იმით, რომ სამართლებრივი გზით პრობლემის გადაჭრის იმედი არ არსებობს. მეორე მხრივ, გამოკითხულთა 64.4% მსგავს სიტუაციაში სამართალდამცავ ორგანოს მიმართავდა.

ამასთან, იკვეთება, რომ ყოველი მეხუთე რესპონდენტი (20.7%) **მის მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში, კრიმინალური სუბკულტურის წევრებს შეატყობინებდა** და სწორედ ამ გზით ეცდებოდა არსებული პრობლემის გადაჭრას (ქულები 4 და 5). მსგავსი მონაცემები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კრიმინალური სუბკულტურის სოციუმის წევრებზე გავლენას და დავის გადაწყვეტისას მის როლს. რესპონდენტთა უმრავლესობა (63.8%) მსგავს შემთხვევაში კრიმინალური სუბკულტურის წევრებთან კომუნიკაციას არ ეთანხმება (ქულები 1 და 2).

მართალია, უმრავლესობა არ იზიარებს შემდეგ პოზიციას (63.6%, ქულები 1 და 2), თუმცა კრიმინალური სუბკულტურების სიტუაციურ მიმღებლობას მაინც გამოკვეთს ისიც, რომ გამოკითხულთა თითქმის მეხუთედისთვის (17.6%) მისაღებია, **თუ ადამიანი მის მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში ქურდული სამყაროს წევრებს მიმართავს** (იხ. ცხრილი #4.17).

ცხრილი #4.17

გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებას.... (%) (N=1908)	საერთოდ არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	თანაბრად	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
ჩემ მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში შევატყობინებ პოლიციას	10.8	4.1	12.2	25.1	39.2	1.5	7
ჩემ მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში შევატყობინებ კრიმინალური სუბკულტურის წევრებს	56.8	7	7.1	12.5	8.2	1.4	7
ჩემთვის მისაღებია, თუ ადამიანი მის მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში მიმართავს ქურდული სამყაროს წევრებს	56.6	6.9	8	10.2	7.4	1.4	9.4

ჩაგვრის შემთხვევაში პოლიციისთვის შეტყობინების/შეუტყობინებლობის მაჩვენებელი **გეოგრაფიული ადგილმდებარეობის** ჭრილში მკვეთრად განსხვავებულ პოზიციებს არ იძლევა - საშუალოდ 14% არ მიმართავდა პოლიციას, ხოლო საშუალოდ 63% მიმართავდა; თუმცა, საპირისპირო მდგომარეობა იკვეთება კრიმინალური ავტორიტეტების საქმის კურსში ჩაყენების შემთხვევაში. მონაცემები გამოკვეთს, რომ ავტორიტეტების/ სუბკულტურის წევრების მიმღებლობა დასავლეთ საქართველოში უფრო მაღალია. კონკრეტულად, თუკი რესპონდენტის მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველოს (თბილისის გარდა) მაცხოვრებელთა მხოლოდ 14.2% ეთანხმება, რომ კრიმინალური სუბკულტურის წევრებს შეატყობინებდა, დასავლეთ საქართველოში მაჩვენებელი 25.4%-მდე იზრდება. ამასთან, დასავლეთ საქართველოში გამოკითხული თითქმის ყოველი მეოთხე ადამიანისთვის (23.2%) მისაღებია ჩაგვრის/ დაპირისპირების შემთხვევაში ქურდული სამყაროს წევრებისთვის მიმართვა (ქულები 4 და 5). მსგავსი შეხედულება აღმოსავლეთ საქართველოში გამოკითხულთა მხოლოდ 9.8%-ს აქვს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.18).

ცხრილი #4.18

გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებას.... (გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში) (%)		საერთოდ არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	თანაბრად	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
ჩემ მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში შევატყობინებ პოლიციას (X^2=50544, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	10.5	3.8	8.6	27.7	38.1	1.3	10.2
	დასავლეთ საქართველო (N=699)	10.2	4.2	14.7	24.7	37.3	3	6
ჩემ მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში შევატყობინებ კრიმინალური სუბკულტურის წევრებს (X^2=98781, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	66.6	4.8	3.9	10	4.2	1.2	9.2
	დასავლეთ საქართველო (N=699)	49.6	8.7	7.5	12.9	12.4	2.7	6.3
ჩემთვის მისაღებია, თუ ადამიანი მის მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში მიმართავს ქურდული სამყაროს წევრებს (X^2=107689, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	67.1	5.5	4.7	5.5	4.4	1.4	11.5
	დასავლეთ საქართველო (N=699)	48.9	7.3	7.3	12.7	10.5	2.4	10.8

თბილისში გამოკითხულთა 16.3% არ იზიარებს მოსაზრებას, რომ მის მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში პოლიციას შეატყობინებს. მსგავს პოზიციას ავლენს **სხვა ქალაქების** მაცხოვრებელთა 12.7% და **სოფლების** მაცხოვრებელთა 15.5%. ამასთან, როგორც ჩანს, საქალაქო ტიპის დასახლებებში მეტადაა კრიმინალური სუბკულტურისგავლენადამისმიმართმიმღებლობა,რადგანდედაქალაქისრესპონდენტთა 22.4% კონფლიქტის შემთხვევაში კრიმინალური სუბკულტურის წევრებს მიმართავდა, სხვა ქალაქებში კი მაჩვენებელი 24%-ს უტოლდება; სასოფლო ტიპის დასახლებებში 17.1%-მდე მცირდება. საქალაქო ტიპის დასახლებებში (თბილისის ჩათვლით) რესპონდენტთა საშუალოდ მეხუთედისთვის მისაღებია, თუ ადამიანი მის მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში ქურდული სამყაროს წევრებს მიმართავს, სოფლებში მაჩვენებელი 13.5%-მდე მცირდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.19).

ცხრილი #4.19

გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებას.... (დასახლების ტიპის ჭრილში) (%)		საერთოდ არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	თანაბრად	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
ჩემ მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში შევატყობინებ პოლიციას (X^2=71135, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	11.8	4.5	13.2	22.8	42.7	-	5
	სხვა ქალაქები (N=534)	8.5	4.2	14.4	34	29.5	2.5	7
	სოფელი (N=807)	11.6	3.9	9.9	20.8	43.3	1.9	8.6
ჩემ მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში შევატყობინებ კრიმინალური სუბკულტურის წევრებს (X^2=65325, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	54.4	7.5	10.2	14.7	7.7	-	5.5
	სხვა ქალაქები (N=534)	49.9	7.2	8.5	15.7	8.3	2.3	8.1
	სოფელი (N=807)	63.3	6.5	3.7	8.6	8.5	1.8	7.6
ჩემთვის მისაღებია, თუ ადამიანი მის მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში მიმართავს ქურდული სამყაროს წევრებს (X^2=78035, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	54.2	8	12.2	12.5	7.2	0.2	5.8
	სხვა ქალაქები (N=534)	50.8	7.2	8.5	11.7	9.8	2.5	9.6
	სოფელი (N=807)	62.5	6	4.4	7.4	6	1.5	12.1

ქალები, მათ მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში, სიტუაციის მოგვარებისთვის სამართლებრივ გზებს ირჩევენ - 72.6% მიუთითებს, რომ მსგავს სიტუაციაში პოლიციას შეატყობინებდა. **კაცების** შემთხვევაში მაჩვენებელი 55%-მდე მცირდება. ყოველი მეხუთე კაცი რესპონდენტი ამ მოსაზრებას არ იზიარებს და პოლიციის ჩარევის საჭიროებას ვერ ხედავს (21.3%; ქალი - 9.3%). მართალია, კონკრეტულ შემთხვევებში ქალი (67.6%) და კაცი რესპონდენტების (59%) უმრავლესობა კრიმინალური სუბკულტურების წევრების ჩარევას არ ეთანხმება, თუმცა, კაცებში მეტადაა მიმღებლობა - 18.8%-ის აზრით, მისაღებია თუ ჩაგვრის შემთხვევაში ადამიანი ქურდული სამყაროს წევრებს მიმართავს (ქალები - 16.6%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.20).

გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებას.... (სქესის ჭრილში) (%)		საერთოდ არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	თანაბრად	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
ჩემ მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში შევატყობინებ პოლიციას (X^2=78858, $p<0.05$)	ქალი (N=1408)	6.7	2.6	10.9	27.4	45.2	1.5	5.7
	კაცი (N=860)	15.5	5.8	13.6	22.6	32.4	1.6	8.5
ჩემთვის მისაღებია, თუ ადამიანი მის მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში მიმართავს ქურდული სამყაროს წევრებს (X^2=33464, $p<0.05$)	ქალი (N=1408)	61.6	6	6.5	9.9	6.7	1.9	7.5
	კაცი (N=860)	51	8	9.7	10.5	8.3	0.8	11.8

მართალია, არცერთი **ასაკობრივი ჯგუფისთვის** არაა მისაღები, თუ ადამიანი მის მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში ქურდული სამყაროს წევრებს მიმართავს (ქულები 1 და 2; 15-17 წლის - 65.1%, 18-29 წლის - 62.3%, 30-54 წლის - 61.4%, 55-64 წლის - 65%, 65 წლის ან მეტის - 68.6%), თუმცა, ხაზგასასმელია, რომ 30-54 წლის ასაკის რესპონდენტთა მეხუთედისთვის (21.2%) მსგავსი გადაწყვეტილება მისაღებია (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=44399$, $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #4.3).

დიაგრამა #4.3



რესპონდენტთა საშუალოდ მეხუთედი (19%) **კრიმინალური სუბკულტურის გავლენასა და პრესტიჟთან დაკავშირებულ შემდეგ პოზიციებს იზიარებს** (ქულები 4 და 5):

- სადავო საკითხები/გარჩევები კრიმინალურ სუბკულტურასთან დაახლოებული პირის სასარგებლოდ სრულდება - 23.1%;
- დავაში/გარჩევაში კრიმინალური სუბკულტურების ჩარევა აუცილებელია - 16.9%;
- დავისას/გარჩევისას საბოლოო გადაწყვეტილება კრიმინალური სუბკულტურის წევრს („ქურდს“) უნდა ეკუთვნოდეს - 17.6%.

მართალია, გამოკითხულთა საშუალოდ 54% მსგავს შეხედულებას არ ეთანხმება (ქულები 1 და 2), თუმცა ის ფაქტი, რომ რესპონდენტთა დაახლოებით 16%-ს უჭირს პასუხის გაცემა, შესაძლოა კრიმინალური სუბკულტურების გავლენის შესახებ მკაფიო პოზიციის - როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური დამოკიდებულების - გაჟღერებისგან თავის არიდების მცდელობას ნიშნავდეს (იხ. ცხრილი #4.21).

ცხრილი #4.21

გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებას.... (%) (N=1908)	საერთოდ არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	თანაბრად	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
სადავო საკითხები/გარჩევები კრიმინალურ სუბკულტურასთან დაახლოებული პირის სასარგებლოდ სრულდება	38.5	5.7	10.8	13.8	9.3	1.9	20.1
დავაში/გარჩევებში კრიმინალური სუბკულტურების ჩარევა აუცილებელია	55.1	6.6	8.2	10.9	6	1.5	11.6
დავისას/გარჩევისას საბოლოო გადაწყვეტილება კრიმინალური სუბკულტურის წევრს („ქურდს“) უნდა ეკუთვნოდეს	50.6	5.9	8.6	11.5	6.1	1.9	15.4

თუკი **აღმოსავლეთ საქართველოში** (თბილისის გარდა) გამოკითხულთა მხოლოდ 16.4% მიიჩნევს, რომ სადავო საკითხები/გარჩევები კრიმინალურ სუბკულტურასთან დაახლოებული პირის სასარგებლოდ სრულდება, მსგავს პოზიციას **დასავლეთ საქართველოს** მაცხოვრებელთა მეოთხედი (25.9%) იზიარებს (ქულები 4 და 5), რაც კიდევ ერთხელ გამოკვეთს ამ გეოგრაფიულ არეალში კრიმინალური სუბკულტურის მეტ გავლენას.

მართალია, სამიზნე გეოგრაფიულ არეალებში გამოკითხულთა უმრავლესობა არ ფიქრობს, რომ დავაში კრიმინალური სუბკულტურების ჩარევა აუცილებელია (ქულები 1 და 2; აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 69.4%, დასავლეთ საქართველო - 55.8%), თუმცა, მათი ჩარევის აუცილებლობას დასავლეთ საქართველოში (22%) უფრო მეტი რესპონდენტი ხედავს ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში (10.7%).

დასავლეთ საქართველოში კრიმინალური სუბკულტურების მეტ გავლენაზე მიუთითებს ისიც, რომ ამ გეოგრაფიულ არეალში გამოკითხულთა 23.1%-ის აზრით, გარჩევისას საბოლოო გადაწყვეტილება „ქურდს“ უნდა ეკუთვნოდეს, რასაც აღმოსავლეთ

საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ მეათედი იზიარებს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.22).

ცხრილი #4.22

გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებას.... (გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში) (%)		საერთოდ არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	თანაბრად	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
სადავო საკითხები/გარჩევები კრიმინალურ სუბკულტურასთან დაახლოებული პირის სასარგებლოდ სრულდება (X^2=82991, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	47.4	5.1	7.9	10	6.4	1.4	21.8
	დასავლეთ საქართველო (N=699)	37	5.8	9.6	13.6	12.3	3.4	18.3
დავაში/გარჩევებში კრიმინალური სუბკულტურების ჩარევა აუცილებელია (X^2=105831, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	63.8	5.6	4.7	8	2.7	1.3	14.1
	დასავლეთ საქართველო (N=699)	47.6	8.2	7.6	11.8	10.2	2.8	11.7
დავისას/გარჩევისას საბოლოო გადაწყვეტილება კრიმინალური სუბკულტურის წევრს („ქურდს“) უნდა ეკუთვნოდეს (X^2=72366, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	56.5	5.3	7.9	6.7	3.6	1.4	18.5
	დასავლეთ საქართველო (N=699)	45.2	7.5	7.9	13.5	9.6	3.1	13.2

თბილისში გამოკითხულთა 17.8% მიიჩნევს, რომ დავაში კრიმინალური სუბკულტურების ჩარევა აუცილებელია, რასაც **სხვა ქალაქებში** გამოკითხულთა მეხუთედზე მეტი (22.1%) იზიარებს; **სასოფლო ტიპის დასახლებებში** მაჩვენებელი 12.7%-მდე მცირდება. ამასთან, საქალაქო დასახლებებში (თბილისის ჩათვლით) მცხოვრებთა საშუალოდ მეოთხედზე მეტის აზრით, გარჩევები კრიმინალურ სუბკულტურასთან დაახლოებული პირის სასარგებლოდ სრულდება, რესპონდენტები კიდევ ერთხელ უსვამენ ხაზს სუბკულტურების გავლენის ხარისხს (თბილისი - 27.3%, სხვა ქალაქები - 24%). მსგავსი დამოკიდებულება ვლინდება სოფლად გამოკითხულთა თითქმის მეხუთედის შემთხვევაშიც (19.3%). განხილული სიტუაციების მიხედვით იკვეთება, რომ თბილისში გამოკითხულთა 19.1%-ის აზრით, დავისას საბოლოო გადაწყვეტილება კრიმინალურ ავტორიტეტს ეკუთვნის, რასაც სხვა ქალაქებში გამოკითხულთა 21%-იც იზიარებს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.23).

ცხრილი #4.23

გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებას.... (დასახლების ტიპის ჭრილში) (%)		საერთოდ არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	თანაბრად	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
სადავო საკითხები/გარჩევები კრიმინალურ სუბკულტურასთან დაახლოებული პირის სასარგებლოდ სრულდება (X^2=67018, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	30.6	6	15.1	18.1	9.2	0.7	20.4
	სხვა ქალაქები (N=534)	39.2	6.4	11.7	13.2	10.8	2.3	16.4
	სოფელი (N=807)	44	4.9	6.8	10.9	8.5	2.6	22.4
დავაში/გარჩევებში კრიმინალური სუბკულტურების ჩარევა აუცილებელია (X^2=76537, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	54.5	58	12.7	13	4.8	0.3	8.8
	სხვა ქალაქები (N=534)	50.3	7	8.9	14	8.1	1.9	9.8
	სოფელი (N=807)	59	7.1	4.4	7.3	5.4	2.1	14.9
დავისას/გარჩევისას საბოლოო გადაწყვეტილება კრიმინალური სუბკულტურის წევრს („ქურდს“) უნდა ეკუთვნოდეს (X^2=48391, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	50.4	4.9	10.2	14.2	4.9	0.8	14.6
	სხვა ქალაქები (N=534)	44.2	7.9	10.8	12.9	8.1	2.5	13.6
	სოფელი (N=807)	55.2	5.4	6	8.3	5.6	2.2	17.3

სქესის ჭრილში დებულებების განხილვისას იკვეთება, რომ ქალ რესპონდენტთა მეხუთედის (20.9%) აზრით, სადავო საკითხები კრიმინალურ სუბკულტურასთან დაახლოებული პირის სასარგებლოდ სრულდება. მსგავს პოზიციას იზიარებს კაცების 25.5%-იც. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ, ქალების 17.4%-ისა და კაცების 16.8%-ის მოსაზრებით, დავისას საბოლოო გადაწყვეტილება „ქურდს“ ეკუთვნის. ამდენად, შესაძლოა ითქვას, რომ საკითხზე ზოგადად მსჯელობისას სქესის ჭრილში მკვეთრი განსხვავებები არ ფიქსირდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.24).

ცხრილი #4.24

გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებას.... (სქესის ჭრილში) (%)		საერთოდ არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	თანაბრად	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
სადავო საკითხები/გარჩევები კრიმინალურ სუბკულტურასთან დაახლოებული პირის სასარგებლოდ სრულდება (X^2=21280, $p<0.05$)	ქალი (N=1408)	40.9	4.6	9.3	12.6	8.3	2.2	22.1
	კაცი (N=860)	35.7	6.9	12.5	15.2	10.3	1.7	17.8
დავისას/გარჩევისას საბოლოო გადაწყვეტილება კრიმინალური სუბკულტურის წევრს („ქურდს“) უნდა ეკუთვნოდეს (X^2=14611, $p<0.05$)	ქალი (N=1408)	53.3	5.3	6.7	11.2	6.2	1.8	15.5
	კაცი (N=860)	47.5	6.6	10.9	11.8	6	1.9	15.3

დავაში კრიმინალური სუბკულტურის ჩარევის აუცილებლობას არ ეთანხმება არც ერთი **ასაკობრივი ჯგუფის** უმრავლესობა: 15-17 წლის - 64.3%, 18-29 წლის - 60.6%, 30-54 წლის - 58.9%, 55-64 წლის - 62.8%, 65 წლის ან მეტის - 69.6%. მეორე მხრივ, იკვეთება, რომ გარჩევებში კრიმინალური ავტორიტეტების ჩარევის მომხრე ყველაზე მეტად 30-54 წლის რესპონდენტები არიან - მათი მეხუთედი (21.2%) სწორედ მსგავს პოზიციას ავლენს, რაც, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, მაღალია: 15-17 წლის - 13.1%, 18-29 წლის - 13.7%, 55-64 წლის - 15.6%, 65 წლის ან მეტის - 12.2% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X2=52273, p<0.05) (იხ. დიაგრამა #4.4).

დიაგრამა #4.4



ზემოთ აღნიშნული სიტუაციების გათვალისწინებით, რომლებიც შეეხებოდა კრიმინალური სუბკულტურებისთვის უპირატესობის მინიჭებას, ან პოლიციის ინსტიტუტისადმი უნდობლობას, მონაცემთა დამუშავების ეტაპზე შეიქმნა **ინდექსური ცვლადი** - კრიმინალური მენტალიტეტის მიმღებლობა, რაც დამოკიდებულ ცვლადად განისაზღვრა. ინდექსური ცვლადისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი სიტუაციური დებულებები:

- ჩემ მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში შევატყობინებ პოლიციას;
- ჩემ მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში შევატყობინებ კრიმინალური სუბკულტურის წევრებს;
- ჩემთვის მისაღებია, თუ ადამიანი მის მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შემთხვევაში მიმართავს ქურდული სამყაროს წევრებს;
- სადავო საკითხები/გარჩევები კრიმინალურ სუბკულტურასთან დაახლოებული პირის სასარგებლოდ სრულდება;
- დავაში/გარჩევებში კრიმინალური სუბკულტურების ჩარევა აუცილებელია;
- დავისას/გარჩევისას საბოლოო გადაწყვეტილება კრიმინალური სუბკულტურის წევრს („ქურდს“) უნდა ეკუთვნოდეს.

პირველი დებულების შემთხვევაში სკალა შებრუნდა (ქულა 1 გახდა ქულა 5; ქულა 2 -> ქულა 4; ქულა 3 არ შეცვლილა; ქულა 4 -> ქულა 2; ქულა 5 -> ქულა 1), რათა თითოეული დებულების სკალის კატეგორიებს ერთნაირი შინაარსობრივი მნიშვნელობა ჰქონოდა.
შედეგად, ინდექსური ცვლადი, დებულებების მსგავსად, გადაზომილ იქნა 5-ქულიან სკალაზე, რომელზეც ქულა 1 მიემართებოდა კრიმინალური სუბკულტურის/მენტალიტეტის მიუღებლობას, ხოლო ქულა 5 - მის მიმღებლობას. შექმნილი ინდექსური ცვლადის მიხედვით, შესაძლებელი გახდა რესპონდენტთა შორის იმ წილის განსაზღვრა, რომელთაც კრიმინალური მენტალიტეტის მიმღებლობა აქვს/არ აქვს. გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა მეხუთედი (20.7%) კრიმინალური მენტალიტეტით ხასიათდება, ანუ ისეთ დებულებებს ეთანხმება, რომლებიც კრიმინალური სუბკულტურებისთვის უპირატესობის მინიჭებას გულისხმობს (ქულები 4 და 5), ხოლო 66.1% მათ მიმართ უნდობლობას გამოხატავს და კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გადაჭრისას უპირატესობას პოლიციის ინსტიტუტს ანიჭებს. შესაბამისად, რესპონდენტთა მეათედზე მეტი (13.2%) ნეიტრალურთა ჯგუფში ექცევა, ანუ მისი მიმღებლობა კრიმინალური მენტალიტეტის მიმართ სიტუაციურად, კონტექსტუალურად ცვალებადია.
რეგრესიული მოდელის ფარგლებში შეფასდა სხვა ფაქტორების კრიმინალური მენტალიტეტის/სუბკულტურების მიმღებლობაზე გავლენის ხარისხი. დამოუკიდებელი ცვლადების ფარგლებში უბანში/საცხოვრებელ გარემოში დაფიქსირებული კანონდარღვევის ფაქტების სიხშირეების გათვალისწინებით **კრიმინალური გარემოს ინდექსური ცვლადი** შეიქმნა. მისი ინტერპრეტაცია შემდეგია - თუკი საცხოვრებელ გარემოში/უბანში/სოფელში სხვადასხვა ტიპის კანონსაწინააღმდეგო ფაქტები ყოველდღიურად, ხშირად, ზოგჯერ ან იშვიათად ხდება, გარემო ფასდება, როგორც კრიმინალური; ხოლო თუ რესპონდენტები მიუთითებენ, რომ კანონდარღვევის ფაქტები თითქმის არასდროს ან არასდროს ხდება, მაშინ გარემო კრიმინალურად არ მიიჩნევა. გამოიკვეთა, რომ ყოველი მეოთხე რესპონდენტი (25.4%), მათივე შეფასებით, კრიმინალურ გარემოში ცხოვრობს; შესაბამისად, გამოკითხულთა 74.6% საცხოვრებელ გარემოს/უბანს/სოფელს კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის არეალად/ლოკაციად არ მიიჩნევს.
რეგრესიული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კრიმინალური მენტალიტეტის მიმართ მიმღებლობა მეტად აქვთ:

- დასავლეთ საქართველოს მაცხოვრებლებს;
- მათ, ვინც პოლიციელის მიერ უფლებამოსილების დარღვევის შემთხვევაში ქურდულ სამყაროს მიმართავდა;
- მათ, ვინც ნაკლებად მიიჩნევს, რომ მათ უბანში/საცხოვრებელ ადგილას კრიმინალური გარემოა;
- მათ, ვინც არ ისურვებდა, რომ მისი ოჯახის რომელიმე წევრი პოლიციის თანამშრომელი იყოს.

მეორე მხრივ, კრიმინალური მენტალიტეტის/სუბკულტურების მიმღებლობა დაბალია სასოფლო ტიპის დასახლებებში (იხ. ცხრილი #4.25).

ცხრილი #4.25

	კრიმინალური მენტალიტეტის მიმღებლობა		
	Beta	Standardized CI	P
ისურვებდით თუ არა, რომ თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი იყოს პოლიციის თანამშრომელი?	-0.413	-0.606 - -0.221	**0**
დასახლების ტიპი (სასოფლო ტიპის დასახლება)	-0.641	-0.854 - -0.428	**0**
გეოგრაფიული ადგილმდებარეობა (დასავლეთ საქართველო)	0.549	0.322-0.777	**0**
იმ შემთხვევაში, თუ პოლიციელმა საკუთარი უფლებამოსილება დაარღვია თქვენი მისამართით, მიმართავდით ქურდული სამყაროს წევრებს?	1.419	0.566-2.271	**0.001**
კრიმინალური გარემო	-0.004	-0.009-0	**0.049**
თქვენი აზრით, საქართველოში რამდენად პრესტიჟულია იყო პოლიციის თანამშრომელი?	-0.034	-	0.452
ბოლო 5 წელში როგორ შეიცვალა კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილი მოზარდებში?	0.064	-	0.124
სქესი	-0.030	-	0.448
ასაკი	-0.004	-	0.929
დასახლების ტიპი (თბილისი)	0.077	-	0.114
დასახლების ტიპი (სხვა ქალაქი)	0.080	-	0.114
გეოგრაფიული ადგილმდებარეობა (აღმოსავლეთ საქართველო)	-0.082	-	0.114

შემდგომ ეტაპზე შეფასდა, თუ **რა რეაგირება ექნებოდათ რესპონდენტებს სამეზობლოში ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში.** გამოკითხულთა 4.2% მიუთითებს, რომ სამეზობლოში ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმირებულობისას არანაირი რეაგირება არ ექნებოდა. მსგავს პოზიციას ავლენს გამოკითხულთა 3.5% ქალთა მიმართ ძალადობის დროსაც. მნიშვნელოვანია იმის გამოკვეთაც, რომ საშუალოდ 26% მსგავს შემთხვევაში თავად შეეცდებოდა სიტუაციის განმუხტვას და პოლიციას არ ჩარევდა. გამოკითხულთა ნახევარზე მეტის შეფასებით კი, ასეთ დროს პოლიციის საქმის კურსში ჩაყენება აუცილებელია და სწორედ ამიტომ მათი რეაგირება 112-ზე დარეკვა იქნებოდა: ოჯახში ძალადობის შემთხვევაში - 50.7%, ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში - 53.9%. რესპონდენტთა საშუალოდ მეათედს მსგავს სიტუაციებში საკუთარი ქცევის იდენტიფიცირება უჭირს (პასუხის კატეგორია „არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა“), რაც შესაძლოა ნეიტრალურ დამოკიდებულებად მივიჩნიოთ, რადგან ამ რესპონდენტებს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია არ გააჩნიათ - მსგავს სიტუაციებში პოლიციის ჩართულობას აპრიორად მართებულ გადაწყვეტილებად არ მიიჩნევენ და თავადაც არ სურთ პროცესებში მონაწილეობა (იხ. დიაგრამა #4.5).

დიაგრამა #4.5



ზოგადი ტენდენციის მსგავსად, ოჯახში ძალადობისა თუ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმირებულობისას, როგორც **აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის გარდა), ისე დასავლეთ საქართველოში** გამოკითხულთა უმრავლესობა 112-ზე დარეკავდა. ხაზგასასმელია, რომ დასავლეთში მეტია ისეთ პირთა წილი, ვინც თავად შეეცდებოდა სიტუაციის განმუხტვას:

- **ოჯახში ძალადობის შემთხვევაში:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 22.6%, დასავლეთ საქართველო - 29.2% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=41952$, $p<0.05$);
- **ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 22%, დასავლეთ საქართველო - 29.1% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=37838$, $p<0.05$).

აქვე ისიც ხაზგასასმელია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს (თბილისის გარდა) მოსახლეობის მცირედით მეტი წილი მიუთითებს, რომ მსგავს სიტუაციებში არანაირი რეაგირება ექნებოდა (საშუალოდ 4%; დასავლეთ საქართველო - საშუალოდ 2%) (იხ. დიაგრამა #4.6).

დიაგრამა #4.6



დასახლების ტიპის ჭრილში იკვეთება, რომ სამეზობლოში როგორც ოჯახში ძალადობის, ისე ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმირებულობისას ქალაქის (თბილისის გარდა) მაცხოვრებლებში ყველაზე მაღალია მათი წილი, ვინც 112-ზე დარეკავდა, თუმცა, სხვა ტიპის დასახლებებშიც აღნიშნული ქმედებაა დომინანტური:

- **ოჯახში ძალადობის შემთხვევაში:** თბილისი - 49.8%, სხვა ქალაქები - 54.6%, სოფელი - 48.7% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X2=35027, p<0.05);
- **ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში:** თბილისი - 53.4%, სხვა ქალაქები - 56.9%, სოფელი - 52.2% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X2=48963, p<0.05).

აქვე ხაზგასასმელია, რომ პოლიციის საქმის კურსში ჩაყენების პრაქტიკა უფრო ქალთა მიმართ ძალადობას უკავშირდება ვიდრე ოჯახში ძალადობას. ამ უკანასკნელი შემთხვევის დროს, რესპონდენტები მეზობლებსაც განიხილავენ, როგორც დამხმარე აქტორებს - მსგავს პოზიციას დედაქალაქში გამოკითხული პირები მეტად ავლენენ ვიდრე სხვა ტიპის დასახლებებში (პასუხის კატეგორია „მეზობლებს ვთხოვ დახმარებას“):

- **ოჯახში ძალადობის შემთხვევაში:** თბილისი - 9.2%, სხვა ქალაქები - 6%, სოფელი - 5.8%;
- **ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში:** თბილისი - 7%, სხვა ქალაქები - 3.6%, სოფელი - 4.7% (იხ. ცხრილი #4.26).

ცხრილი #4.26

როგორ მოიქცეოდით თუკი გექნებოდათ ინფორმაცია თქვენს სამეზობლოში.. (დასახლების ტიპის ჭრილში) (%)	...ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ?			...ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტის შესახებ?		
	თბილისი (N=567)	სხვა ქალაქები (N=534)	სოფელი (N=807)	თბილისი (N=567)	სხვა ქალაქები (N=534)	სოფელი (N=807)
დავრეკავდი 112-ზე	49.8	54.6	48.7	53.4	56.9	53.2
მე თვითონ შევეცდებოდი სიტუაციის განმუხტვას	26.4	22.9	28.1	28.4	23.4	27
მეზობლებს ვთხოვდი დახმარებას	9.2	6	5.8	7	3.6	4.7
არანაირი რეაგირება არ მექნებოდა	5	1.7	5.3	3.8	0.8	4.7
უარი პასუხზე	0.7	0.6	-	1	0.9	0.4
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	8.9	14.2	12.2	6.3	14.4	10.9

სქესის ჭრილში საკითხის განხილვისას პოზიციათა მნიშვნელოვანი სხვაობები გამოვლინდა. ქალთა შორის მაღალია მათი წილი, ვინც სამეზობლოში ოჯახში ძალადობის (ქალი - 61.7%, კაცი - 38%) ან ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაციის ქონის შემთხვევაში (ქალი - 65.2%, კაცი - 40.9%) 112-ზე დარეკავდა. მეორე მხრივ, კაცებში ჭარბობს მათი წილი, ვინც თავად შეეცდებოდა მსგავსი სიტუაციების განმუხტვას (ქალი - საშუალოდ 17%, კაცი - საშუალოდ 37%), ან არანაირი რეაგირება ექნებოდა (ქალი - საშუალოდ 2%, კაცი - საშუალოდ 5%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.27).

ცხრილი #4.27

როგორ მოიქცეოდით თუკი გექნებოდათ ინფორმაცია თქვენს სამეზობლოში... (სქესის ჭრილში) (%)	...ოჯახში ძალადობის შესახებ? (X^2=153174, $p<0.05$)		...ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ? (X^2=137879, $p<0.05$)	
	ქალი (N=1048)	კაცი (N=860)	ქალი (N=1048)	კაცი (N=860)
დავრეკავდი 112-ზე	61.7	38	65.2	40.9
მე თვითონ შევეცდებოდი სიტუაციის განმუხტვას	17	36.5	17.3	37
მეზობლებს ვთხოვდი დახმარებას	8	5.7	5.5	4.6
არანაირი რეაგირება არ მექნებოდა	2.4	6.3	2.1	4.9
უარი პასუხზე	-	0.9	-	0.9
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	11	12.6	0.6	11.7

ასაკობრივი ჯგუფების დონეზე საკითხის გაანალიზებამ გამოკვეთა, რომ სამეზობლოში ოჯახში ძალადობისა თუ ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტის შემთხვევაში ასაკის მატებასთან ერთად შედარებით იკლებს იმ რესპონდენტთა წილი, რომელიც 112-ზე დარეკავდა და იზრდება მათი წილი, რომელიც თავად შეეცდებოდა სიტუაციის განმუხტვას, რაც ყველაზე მაღალ ნიშნულს 65 წლის ან მეტი ასაკის ინდივიდების კატეგორიაში აღწევს: ოჯახში ძალადობის შემთხვევაში - 30.4%, ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში - 32.7%. პოლიციისადმი მიმართვით 15-17 წლის და 18-29 წლის ასაკობრივი ჯგუფები გამოირჩევა:

- **ოჯახში ძალადობის შემთხვევაში:** 15-17 წლის - 59.3%, 18-29 წლის - 61.7%, 30-54 წლის - 48.6%, 55-64 წლის - 48.3%, 65 წლის ან მეტის - 41.3%;
- **ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში:** 15-17 წლის - 61.6%, 18-29 წლის - 63.8%, 30-54 წლის - 53.2%, 55-64 წლის - 50.6%, 65 წლის ან მეტის - 43.6% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.28).

ცხრილი #4.28

როგორ მოიქცეოდით თუკი გექნებოდათ ინფორმაცია თქვენს სამეზობლოში.. (ასაკის ჭრილში) (%)	...ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ? (X^2=51862, p<0.05)					...ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტის შესახებ? (X^2=58359, p<0.05)				
	15-17 წლის (N=382)	18-29 წლის (N=388)	30-54 წლის (N=397)	55-64 წლის (N=381)	65+ წლის (N=360)	15-17 წლის (N=382)	18-29 წლის (N=388)	30-54 წლის (N=397)	55-64 წლის (N=741)	65+ წლის (N=360)
დავრეკავდი 112-ზე	59.3	61.7	48.6	48.3	41.3	61.6	63.8	53.2	50.6	43.6
მე თვითონ შევეცდებოდი სიტუაციის განმუხტვას	12.8	22.1	26.7	29	30.4	15.1	22.5	26.2	29.7	32.7
მეზობლებს ვთხოვდი დახმარებას	8.1	5.2	6.4	7.3	10.2	4.7	3.5	4.8	5.6	7.6
არანაირი რეაგირება არ მექნებოდა	5.8	2.5	4.3	5.6	4.6	4.7	2.3	2.9	5.3	4
უარი პასუხზე	-	0.5	0.5	-	0.3	-	0.7	1.3	-	0.3
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	14	8	13.6	10	13.2	14	7.4	11.8	8.8	11.9

იმ პირებმა, რომლებიც მსგავს სიტუაციებში პოლიციაში არ განაცხადებდნენ, ამ გადაწყვეტილებისარგუმენტებიმიუთითეს.პოლიციაშიგანუცხადებლობისდომინანტური მიზეზ(ებ)ი კი, ორივე შემთხვევაში, ძირითადად, იდენტურია:

- **ვფიქრობ, რომ მსგავსი შემთხვევები ჩემი საქმე არ არის:** ოჯახში ძალადობის ფაქტი - 17.8%, ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტი - 15.3%;
- **მსგავს შემთხვევაში არ მიმაჩნია საჭიროდ პოლიციის ჩარევა, თავად განმუხტავენ სიტუაციას:** ოჯახში ძალადობის ფაქტი - 41.8%, ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტი - 38.6%;
- **თავად მსხვერპლს არ სურს პოლიციის ჩარევა:** ოჯახში ძალადობის ფაქტი - 13%, ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტი - 14.5%.

ამასთან, პრობლემურია ის საკითხი, რომ რესპონდენტთა საშუალოდ 5% მსგავს სიტუაციებში 112-ზე პოლიციის მიმართ უნდობლობის გამო არ დარეკავდა.
გამოკითხულთა საშუალოდ 17% კონკრეტული მიზეზის დასახელებისგან თავს იკავებს (პასუხის კატეგორია „არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა“). მთლიანობაში, პოლიციის მიმართ უნდობლობის აღმწერია ის ერთეული შემთხვევებიც, რომლის დროსაც ინდივიდი ჯერ საკუთარი ძალებით ეცდებოდა სიტუაციის განმუხტვას და მხოლოდ წარუმატებლობის შემთხვევაში დარეკავდა 112-ზე (იხ. დიაგრამა #4.7).

დიაგრამა #4.7



როგორც **აღმოსავლეთ** (თბილისის გარდა) (საშუალოდ 34%), ისე **დასავლეთ** საქართველოში (საშუალოდ 43%) გამოკითხულ იმ პირთა ძირითადი ნაწილი, რომელიც ზემოთ აღნიშნულ სიტუაციებში 112-ზე არ დარეკავდა, ამ ქცევის დომინანტურ მიზეზად ასახელებს, რომ ასეთ შემთხვევებში პოლიციის ჩარევის საჭიროებას ვერ ხედავს, რადგან მხარეები თავად განმუხტავენ სიტუაციას. აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის გარდა) მცხოვრებთა საშუალოდ 16% მიზეზად ასახელებს, რომ თავად მსხვერპლს არ სურს პოლიციის ჩარევა, ხოლო დასავლეთ საქართველოში საშუალოდ 18.9%-ის აზრით, მსგავსი შემთხვევები მისი საქმე არ არის და ამიტომ არც თავად ჩაერევა და არც პოლიციას შეატყობინებს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.29).

ცხრილი #4.29

რატომ არ განაცხადებდით პოლიციაში? (გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში) (%)	...ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ? (X^2=67058, $p<0.05$)		...ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტის შესახებ? (X^2=53348, $p<0.05$)	
	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=274)	დასავლეთ საქართველო (N=416)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=262)	დასავლეთ საქართველო (N=380)
ვფიქრობ, რომ მსგავსი შემთხვევები ჩემი საქმე არ არის	17	18.3	12.5	16.5
მსგავს შემთხვევაში არ მიმაჩნია საჭიროდ პოლიციის ჩარევა, თავად განმუხტავენ სიტუაციას	36	44.4	31.9	41.3
თავად მსხვერპლს არ სურს პოლიციის ჩარევა	14.4	11.6	18.8	13.4
მოძალადის მხრიდან მუქარა პოლიციაში დარეკვის შემთხვევაში	1.4	4.6	3	4.7
არ ვენდობი პოლიციას	6.1	2.1	6.6	2.2
ჯერ მე შევეცდებოდი სიტუაციის განმუხტვას და მერე დავრეკავდი 112-ზე	2.1	-	1.8	-
უარი პასუხზე	4.8	2.2	3.9	2.5
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	18.3	16.7	21.6	19.2

დასახლების ტიპის ჭრილშიც პოლიციაში განუცხადებლობის მთავარი მიზეზი ისაა, რომ მსგავს შემთხვევებში პოლიციის ჩარევის საჭიროებას ვერ ხედავენ. ასეთი დამოკიდებულება სამივე ტიპის დასახლების დონეზე უფრო დომინანტურია ოჯახში ძალადობის ვიდრე ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში. ამ მოტივით პოლიციაში განუცხადებლობის მიზეზი ოჯახში ძალადობის შემთხვევაში წამყვანია სოფლის მაცხოვრებლებში (44.4%; თბილისი - 43.5%, სხვა ქალაქები - 34.8%), ხოლო ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში, სხვა ტიპის დასახლებებთან შედარებით, ყველაზე მაღალი წილით თბილისის მაცხოვრებლები არიან წარმოდგენილნი (41.6%; სხვა ქალაქები - 33.3%, სოფელი - 39.6%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.30).

ცხრილი #4.30

რატომ არ განაცხადებდით პოლიციაში? (დასახლების ტიპის ჭრილში) (%)	...ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ? (X^2=61700, $p<0.05$)			...ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტის შესახებ? (X^2=36184, $p<0.05$)		
	თბილისი (N=315)	სხვა ქალაქები (N=245)	სოფელი (N=445)	თბილისი (N=288)	სხვა ქალაქები (N=232)	სოფელი (N=410)
ვფიქრობ, რომ მსგავსი შემთხვევები ჩემი საქმე არ არის	17.9	15.4	19.1	16.4	13.8	15.3
მსგავს შემთხვევაში არ მიმაჩნია საჭიროდ პოლიციის ჩარევა, თავად განმუხტავენ სიტუაციას	43.5	34.8	44.4	41.6	33.3	39.6
თავად მსხვერპლს არ სურს პოლიციის ჩარევა	13.5	14.9	11.6	11.9	15.1	16.2
მოძალადის მხრიდან მუქარა პოლიციაში დარეკვის შემთხვევაში	2.5	2.5	3.8	3.4	3.3	4.4
არ ვენდობი პოლიციას	8.3	5	3.1	7.9	5.6	3.3
ჯერ მე შევეცდებოდი სიტუაციის განმუხტვას და მერე დავრეკავდი 112-ზე	0.5	1.1	0.7	0.6	1.1	-
უარი პასუხზე	-	6	1.6	-	4.9	2
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	13.8	20.5	15.8	18.2	22.8	18.7

პოლიციაში განუცხადებლობის მიზეზად, როგორც **ქალების** (საშუალოდ 37%), ისე **კაცების** (საშუალოდ 42%) ძირითადი ნაწილი მსგავსი გადაწყვეტილების საჭიროების არარსებობას ასახელებს, რადგან მიიჩნევენ, რომ ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა პოლიციის ჩარევას არ საჭიროებს, სიტუაცია თავად განიმუხტება. ხაზგასასმელია, რომ იმ მამაკაცთა მეხუთედი, ვინც სამეზობლოში ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციის ქონის შემთხვევაში პოლიციაში არ განაცხადებდა, მიზეზად ასახელებს, რომ მსგავსი სიტუაციები მისი საქმე არ არის. მსგავს პოზიციას ამ ჯგუფის ქალების 15.1%-იც იზიარებს. თითქმის იდენტური მდგომარეობაა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაშიც - კაცების 16.3% მიიჩნევს, რომ პოლიციაში არ დარეკავდა, რადგან მისი საქმე არ არის; ამავე მიზეზს ასახელებს ქალების 13.8% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.31).

რატომ არ განაცხადებდით პოლიციაში? (სქესის ჭრილში) (%)	...ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ? ($X^2=28279$, $p<0.05$)		...ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტის შესახებ? ($X^2=33274$, $p<0.05$)	
	ქალი (N=425)	კაცი (N=580)	ქალი (N=390)	კაცი (N=540)
ვფიქრობ, რომ მსგავსი შემთხვევები ჩემი საქმე არ არის	15.1	19.7	13.8	16.3
მსგავს შემთხვევაში არ მიმაჩნია საჭიროდ პოლიციის ჩარევა, თავად განმუხტავენ სიტუაციას	40.8	42.5	33.6	42
თავად მსხვერპლს არ სურს პოლიციის ჩარევა	16.2	10.8	18.1	12.1
მოძალადის მხრიდან მუქარა პოლიციაში დარეკვის შემთხვევაში	4.1	2.3	5.2	2.8
არ ვენდობი პოლიციას	2.9	6.9	2.9	7
ჯერ მე შევეცდებოდი სიტუაციის განმუხტვას და მერე დავრეკავდი 112-ზე	1.1	0.5	1.3	0.4
უარი პასუხზე	3.3	1.4	2.7	1.7
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	16.5	16	22.3	17.8

როდესაც საქმე ეხება **საკუთარ ოჯახს, ძალადობის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში** რესპონდენტთა თითქმის თანაბარი ოდენობა მიუთითებს, რომ 112-ზე დარეკავდა (43.1%), ან თავად შეეცდებოდა სიტუაციის განმუხტვას (42.5%). მეტად პრობლემურია, რომ 13 რესპონდენტს არანირი რეაგირება არ ექნებოდა - არც პოლიციას ჩააყენებდა საქმის კურსში, არც თავად შეეცდებოდა პრობლემის მოგვარებას და არც მეზობლებს თხოვდა დახმარებას (იხ. დიაგრამა #4.8).

დიაგრამა #4.8



საკუთარ ოჯახში ძალადობის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში **აღმოსავლეთ** საქართველოში (თბილისის გარდა) გამოკითხულთა ძირითადი წილი მიუთითებს, რომ 112-ზე დარეკავდა, **დასავლეთ** საქართველოში კი დომინანტური ქცევა პრობლემის საკუთარი ძალებით განმუხტვაა (პასუხის კატეგორია „მე თვითონ შევეცდებოდი სიტუაციის განმუხტვას“ – 44.9%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=34438$, $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #4.9).

დიაგრამა #4.9



საკუთარ ოჯახში ძალადობის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში **თბილისის** (45.1%) და **სხვა ქალაქების** (46.8%) მაცხოვრებელთა ძირითადი ნაწილი 112-ზე დარეკავდა, ხოლო **სოფლის ტიპის დასახლებებში** გამოკითხულთა 44.9% თვითონ შეეცდებოდა სიტუაციის განმუხტვას. ამ ტიპის დასახლებაში, სხვებთან შედარებით, მცირედით მეტია იმ რესპონდენტთა წილი, ვინც მეზობლებს განიხილავს დამხმარე აქტორად (3.7%; თბილისი - 2.2%, სხვა ქალაქები - 1.5%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X2=36469, p<0.05) (იხ. ცხრილი #4.32).

ცხრილი #4.32

საკუთარ ოჯახში ძალადობის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში როგორ მოიქცეოდით? (დასახლების ტიპის ჭრილში) (%)	თბილისი (N=567)	სხვა ქალაქები (N=534)	სოფელი (N=807)
დავრეკავდი 112-ზე	45.1	46.8	39.1
მე თვითონ შევეცდებოდი სიტუაციის განმუხტვას	44.6	36.6	44.9
მეზობლებს ვთხოვდი დახმარებას	2.2	1.5	3.7
არანაირი რეაგირება არ მექნებოდა	0.2	1.5	0.5
უარი პასუხზე	1.2	3	1.7
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	6.8	10.6	10.1

სქესის ჭრილში საკითხის განხილვისას მნიშვნელოვნად განსხვავებული პოზიციები იკვეთება. საკუთარ ოჯახში ძალადობის ფაქტის შემთხვევაში ქალების უმრავლესობა (56.2%) პოლიციას ჩააყენებდა საქმის კურსში. მსგავსი პოზიცია კაცების მხოლოდ 28.2%-ს აქვს. კაცების შემთხვევაში დომინანტურია კატეგორია, რომ თავად ეცდებოდა სიტუაციის განმუხტვას (56.5%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X2=167745, p<0.05). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კაცი რესპონდენტებისთვის უფრო მიუღებელია მის ოჯახში მიმდინარე მოვლენების, კონკრეტული შემთხვევების ოჯახის გარეთ განხილვა და მით უმეტეს პოლიციის გამოძახება (იხ. დიაგრამა #4.10).

დიაგრამა #4.10



პოლიციაში განცხადებაზე უარისმთქმელ რესპონდენტთა უმრავლესობა (54.5%) მიიჩნევს, რომ **ოჯახში ძალადობა პოლიციის განსახილველი საკითხი არ არის, თავად განიმუხტება.** მეათედს აღემატება მათი წილი, ვისი აზრითაც **მსხვერპლმა თავად უნდა მიიღოს სამართალდამცავების ჩარევის გადაწყვეტილება** (16.7%) და რომელთაც გაუჭირდათ კონკრეტული მიზეზის იდენტიფიცირება (13.7%). 112-ზე დარეკვისგან თავის შეკავების მოტივი ზოგიერთ შემთხვევაში პოლიციისადმი უნდობლობაა (5%). კვლევაში მონაწილე 4 რესპონდენტის აზრით, ოჯახის წევრს ვერ გაიმეტებდა იმისთვის, რომ პოლიცია საქმის კურსში ჩაეყენებინა (იხ. დიაგრამა #4.11).

დიაგრამა #4.11



საკუთარ ოჯახში ძალადობის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში პოლიციაში განუცხადებლობის ძირითადი მოტივი ორივე **გეოგრაფიულ არეალში** შემდეგია - მსგავსი სიტუაციები პოლიციის განსახილველი საკითხი არ არის და თავად განიმუხტება: აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 49%, დასავლეთ საქართველო - 58%. აღმოსავლეთში ყოველი მეხუთე რესპონდენტის აზრით, პოლიციაში განცხადება მსხვერპლის მისაღები გადაწყვეტილებაა და სხვა არავის. ამ პოზიციას დასავლეთში მაცხოვრებელთა 15.1%-იც იზიარებს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=81771$, $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #4.12).

დიაგრამა #4.12



საკუთარ ოჯახში ძალადობის ფაქტის პოლიციისადმი შეუტყობინებლობის ძირითადი მიზეზი, განსაკუთრებით **თბილისის** მაცხოვრებელთა შორის (58.3%), არის ერთი მხრივ ის, რომ ოჯახში ძალადობა პოლიციის განსახილველ საკითხად არ მიიჩნევა (სხვა ქალაქები - 49.6%, სოფელი - 54.7%). მეორე მხრივ, სოფლის ტიპის დასახლებების მაცხოვრებელთა თითქმის მეხუთედი (18.6%) მიიჩნევს, რომ მსხვერპლმა თვითონ უნდა მიიღოს სამართალდამცავების ჩარევის გადაწყვეტილება. დედაქალაქში მსგავს პოზიციას 13.5% აფიქსირებს. ამასთან ხაზგასასმელია, რომ თბილისში მეტად იკვეთება პოლიციისადმი უნდობლობის ფაქტორი (7.9%) ვიდრე სხვა ტიპის დასახლებებში: სხვა ქალაქები - 6.3%, სოფელი - 2.2% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=57521$, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.33).

ცხრილი #4.33

რატომ არ განაცხადებდით პოლიციაში? (დასახლების ტიპის ჭრილში) (%)	თბილისი (N=329)	სხვა ქალაქები (N=287)	სოფელი (N=499)
მიმაჩნია, რომ ოჯახში ძალადობა პოლიციის განსახილველი საკითხი არ არის, თავად განიმუხტება	58.3	49.6	54.7
მოძალადის მხრიდან მუქარა პოლიციაში დარეკვის შემთხვევაში	9.2	4.7	5.3
მსხვერპლმა თვითონ უნდა მიიღოს სამართალდამცავების ჩარევის გადაწყვეტილება	13.5	17.4	18.6
არ ვენდობი პოლიციას	7.9	6.3	2.2
ვერ გავიმეტებდი ოჯახის წევრს	0.4	0.3	0.7
უარი პასუხზე	1.9	5.9	2.6
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	8.9	15.8	15.9

სპეციფიკური შემთხვევების განხილვის შემდეგ **კრიმინალური სუბკულტურების მოზარდებზე გავლენის ნეგატიური შედეგები** შეფასდა. მათ შორის ყველაზე აქტუალური კრიმინალური სუბკულტურების წევრების მიმბაძველობაა, რაც შესაძლოა ჩაცმულობით, ლექსიკით, ქცევითი ჩვევებით, ღირებულებებით გამოიხატებოდეს (18.2%). მეორე დომინანტურ პოზიციას მოზარდების განვითარებისთვის შეუსაბამო ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაში ყოფნა წარმოადგენს (15.8%). მესამე ნეგატიურ შედეგად რესპონდენტთა 14.8% კრიმინალურ გარჩევებში აქტიურ ჩართულობას ასახელებს. გამოკითხულთა 13.4%-ის შეფასებით, კრიმინალური სუბკულტურების გავლენა მოზარდებისთვის განათლების მიღებას არაპრიორიტეტულს ხდის. მეათედს მცირედით ჩამორჩება მათი წილი, ვინც კრიმინალური სუბკულტურების გავლენის შედეგად თანატოლების ჯგუფში იერარქიული ურთიერთობების ჩამოყალიბებას გამოკვეთს (8.6%) (იხ. ცხრილი #4.34).

ცხრილი #4.34

გთხოვთ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან აარჩიოთ ყველაზე მნიშვნელოვანი მაქსიმუმ 3 ნეგატიური შედეგი, რაც, თქვენი აზრით, მოზარდებზე კრიმინალური სუბკულტურების გავლენას მოყვება (N=1908)	%
განათლების მიღების არაპრიორიტეტულობა	13.4
კრიმინალური სუბკულტურების წევრების მიმბაძველობა (ჩაცმულობა, ლექსიკა, ქცევითი ჩვევები, ღირებულებები)	18.2
მოზარდის განვითარებისთვის შეუსაბამო ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაში ყოფნა	15.8
კრიმინალურ გარჩევებში აქტიური ჩართულობა	14.8
მშობლების, როგორც ავტორიტეტული პირების, ჩანაცვლება კრიმინალური სუბკულტურის წევრებით	13.6
სამართლებრივი ორგანოებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება (მართლსაწინააღმდეგო ქმედების გაუთქმელობა)	11.5
თანატოლების ჯგუფში იერარქიული ურთიერთობების ჩამოყალიბება	8.6
უარი პასუხზე	0.6
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	3.6

ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია **გეოგრაფიული ადგილმდებარეობის** ჭრილშიც. კრიმინალური სუბკულტურების მოზარდებზე გავლენის პირველი ორი დომინანტური ნეგატიური მიზეზი არეალებს შორის იდენტურია:

- **კრიმინალური სუბკულტურების წევრების მიმბაძველობა (ჩაცმულობა, ლექსიკა, ქცევითი ჩვევები, ღირებულებები):** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 17.2%, დასავლეთ საქართველო - 17.6%;
- **მოზარდის განვითარებისთვის შეუსაბამო ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაში ყოფნა:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 18.8%, დასავლეთ საქართველო - 17%.

რაც შეეხება რიგით მესამე მიზეზს, აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის გარდა) გამოკითხულთათვის განათლების მიღების არაპრიორიტეტულობაა (14%), ხოლო დასავლეთის რესპონდენტებისთვის - კრიმინალურ გარჩევებში აქტიური ჩართულობა (15.7%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=142517$, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.35)

ცხრილი #4.35

გთხოვთ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან აარჩიოთ ყველაზე მნიშვნელოვანი მაქსიმუმ 3 ნეგატიური შედეგი, რაც, თქვენი აზრით, მოზარდებზე კრიმინალური სუბკულტურების გავლენას მოყვება (გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში) (%)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	დასავლეთ საქართველო (N=699)
განათლების მიღების არაპრიორიტეტულობა	14	11.1
კრიმინალური სუბკულტურების წევრების მიმბაძველობა (ჩაცმულობა, ლექსიკა, ქცევითი ჩვევები, ღირებულებები)	17.2	17.6
მოზარდის განვითარებისთვის შეუსაბამო ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაში ყოფნა	18.8	17
კრიმინალურ გარჩევებში აქტიური ჩართულობა	12.1	15.7
მშობლების, როგორც ავტორიტეტული პირების, ჩანაცვლება კრიმინალური სუბკულტურის წევრებით	13.3	13.5
სამართლებრივი ორგანოებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება (მართლსაწინააღმდეგო ქმედების გაუთქმელობა)	10	13.3
თანატოლების ჯგუფში იერარქიული ურთიერთობების ჩამოყალიბება	8.7	7.5
უარი პასუხზე	0.4	0.8
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	5.5	3.6

როდესაც საუბარია მოზარდებზე კრიმინალური სუბკულტურების გავლენით მიღებულ ნეგატიურ შედეგებზე, **თბილისსა** (19.7%) და **სხვა ქალაქებში** (17.2%) პირველ ადგილზე კრიმინალური სუბკულტურების წევრების მიმბაძველობა (ჩაცმულობა, ლექსიკა, ქცევითი ჩვევები, ღირებულებები) დგას. **სასოფლო ტიპის დასახლებებში** დომინანტურ პოზიციას მოზარდის განვითარებისთვის შეუსაბამო ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაში ყოფნა იკავებს (19.2%). რიგით მეორე ნეგატიურ შედეგად დედაქალაქში გამოკითხულ პირთა 16.6% კრიმინალურ გარჩევებში აქტიურ მონაწილეობას ასახელებს, შემდგომ პოზიციას კი განათლების მიღების არაპრიორიტეტულობა იკავებს (15.1%). სხვა ქალაქებსა (14.8%) და სოფლებში (13.3%) გამოკითხულ პირთა საშუალოდ 14%-ის შეფასებით, რიგით მესამე ნეგატიური შედეგი კრიმინალურ გარჩევებში აქტიური ჩართულობაა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=119061$, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.36).

ცხრილი #4.36

გთხოვთ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან აარჩიოთ ყველაზე მნიშვნელოვანი მაქსიმუმ 3 ნეგატიური შედეგი, რაც, თქვენი აზრით, მოზარდებზე კრიმინალური სუბკულტურების გავლენას მოყვება (დასახლების ტიპის ჭრილში) (%)	თბილისი (N=567)	სხვა ქალაქები (N=534)	სოფელი (N=807)
განათლების მიღების არაპრიორიტეტულობა	15.1	13.4	12
კრიმინალური სუბკულტურების წევრების მიმბაძველობა (ჩაცმულობა, ლექსიკა, ქცევითი ჩვევები, ღირებულებები)	19.7	17.2	17.5
მოზარდის განვითარებისთვის შეუსაბამო ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაში ყოფნა	11.5	15.9	19.2
კრიმინალურ გარჩევებში აქტიური ჩართულობა	16.6	14.8	13.3
მშობლების, როგორც ავტორიტეტული პირების, ჩანაცვლება კრიმინალური სუბკულტურის წევრებით	14	14	13
სამართლებრივი ორგანოებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება (მართლსაწინააღმდეგო ქმედების გაუთქმელობა)	11.3	10.7	12.3
თანატოლების ჯგუფში იერარქიული ურთიერთობების ჩამოყალიბება	9.7	8.7	7.6
უარი პასუხზე	0.5	0.9	0.4
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	1.7	4.4	4.6

კვლევაში მონაწილე **ქალებისა და მამაკაცებისთვის** მოზარდებზე კრიმინალური სუბკულტურების გავლენის 3 დომინანტური ნეგატიური შედეგი რიგითობითაც კი იდენტურია:

- **კრიმინალური სუბკულტურების წევრების მიმბაძველობა (ჩაცმულობა, ლექსიკა, ქცევითი ჩვევები, ღირებულებები):** ქალი - 17.2%, კაცი - 19.3%;
- **მოზარდის განვითარებისთვის შეუსაბამო ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაში ყოფნა:** ქალი - 16%, კაცი - 15.5%;
- **კრიმინალურ გარჩევებში აქტიური ჩართულობა:** ქალი - 15%, კაცი - 14.5% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=18509$, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.37).

ცხრილი #4.37

გთხოვთ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან აარჩიოთ ყველაზე მნიშვნელოვანი მაქსიმუმ 3 ნეგატიური შედეგი, რაც, თქვენი აზრით, მოზარდებზე კრიმინალური სუბკულტურების გავლენას მოყვება (სქესის ჭრილში) (%)	ქალი (N=1048)	კაცი (N=860)
განათლების მიღების არაპრიორიტეტულობა	14	12.7
კრიმინალური სუბკულტურების წევრების მიმბაძველობა (ჩაცმულობა, ლექსიკა, ქცევითი ჩვევები, ღირებულებები)	17.2	19.3
მოზარდის განვითარებისთვის შეუსაბამო ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაში ყოფნა	16	15.5
კრიმინალურ გარჩევებში აქტიური ჩართულობა	15	14.5
მშობლების, როგორც ავტორიტეტული პირების, ჩანაცვლება კრიმინალური სუბკულტურის წევრებით	13.9	13.3
სამართლებრივი ორგანოებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება (მართლსაწინააღმდეგო ქმედების გაუთქმელობა)	11.3	11.7
თანატოლების ჯგუფში იერარქიული ურთიერთობების ჩამოყალიბება	8.2	9
უარი პასუხზე	0.3	0.9
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	4.1	3

როდესაც საუბარია **მოზარდებზე კრიმინალური სუბკულტურის გავლენის შემცირებაზე, რესპონდენტთა ძირთადი ნაწილი პირველადი და მეორეული სოციალური ჯგუფების, ოჯახისა (94.9%) და სამეგობროს (93.2%), მნიშვნელოვან როლს გამოკვეთენ** (ქულები 4 და 5)[6]. მართალია, რესპონდენტთა უმრავლესობის მიერ **პარლამენტი, სასამართლო და პროკურატურაც** პრევენციულ მექანიზმებად განისაზღვრება, თუმცა საშუალოდ მეოთხედი მათ ჩართულობას უმნიშვნელოდ და არაეფექტიანად მიიჩნევს (ქულები 1 და 2): პარლამენტი - 27.3%, სასამართლო - 23%, პროკურატურა - 22.3%. მსგავს პოზიციას იკავებს გამოკითხულთა 17.4% **პენიტენციური დაწესებულების** როლზე მსჯელობისას - სავარაუდოდ, რესპონდენტთა ნაწილის აზრით, პენიტენციური დაწესებულება ვერც პირველადი და ვერც განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პრევენციას ვერ ახდენს. კვლევის შედეგებით იკვეთება, რომ კრიმინალური სუბკულტურის გავლენის შემცირების მხრივ, **ეკლესიის** (74.8%) მნიშვნელოვან როლს უფრო მეტი რესპონდენტი გამოკვეთს, ვიდრე - **პოლიციისას** (68.2%) (ქულები 4 და 5). გამოკითხულთა მეათედს აჭარბებს მათი წილი, ვისთვისაც პოლიცია გავლენის შემცირების ინსტიტუტად არ განიხილება (12.2%; ქულები 1 და 2). თითქმის იდენტური ოდენობა არც **სოციალური მუშაკის ინსტიტუტს** მიიჩნევს კრიმინალური სუბკულტურის მოზარდებზე გავლენის შემცირების მექანიზმად (13.2%). რესპონდენტთა შორის მეტი ნდობა და მიმზიდველობა **ფსიქოლოგის** მომსახურებას აქვს - გამოკითხულთა 73.7% მის როლს მნიშვნელოვნად აფასებს.

6. შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5-ქულიანი სკალა, ჰომეოზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „ძალზე მნიშვნელოვანია“.

მართალია, ყოველი მეათე რესპონდენტის აზრით, **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების** როლი თანაბრად მნიშვნელოვანი და უმნიშვნელოა, უმრავლესობა (83.9%) მის როლს პოზიტიურად მიიჩნევს - მსგავსი შედეგი შესაძლოა სწორედ სკოლაში გატარებულ დროსთან იყოს დაკავშირებული; მოზარდი დღის ძირითად ნაწილს სკოლაში ატარებს, იქ იძენს სამეგობროს; ამდენად, ამ დაწესებულების, მისი ადმინისტრაციის ჩართულობა კრიმინალური სუბკულტურის მოზარდებზე გავლენის ერთგვარ პრევენციულ მექანიზმად მიიჩნევა (იხ. ცხრილი #4.38).

ცხრილი #4.38

თქვენი შეფასებით, მოზარდებზე კრიმინალური კულტურის გავლენის შემცირების მხრივ რამდენად მნიშვნელოვანია ქვემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუტების როლი? (%) (N=1908)	საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი	უფრო არ არის მნიშვნელოვანი, ვიდრე არის	თანაბრად	უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არა	ძალზე მნიშვნელოვანია	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
ოჯახი	0.3	-	3.9	15.3	79.7	0.1	0.7
სამეგობრო	0.4	0.1	5.7	18.1	75.1	0.1	0.5
სანაცნობო	1.5	1.3	10.8	21	64.5	0.2	0.7
პარლამენტი	17.7	9.5	14.7	16.4	33.2	1.1	7.4
სასამართლო	13.6	9.4	15.3	19.6	34.8	0.9	6.4
პროკურატურა	13.3	9	15.5	19.9	34.9	0.8	6.7
პოლიცია	7.8	5.4	16.1	23.4	44.8	0.4	3.1
ეკლესია	4.2	3.3	14	22.6	52.2	1	2.8
სკოლა	1.9	2.1	10.3	24.6	59.3	0.4	1.4
პენიტენციური დაწესებულება	10.5	6.9	17.3	18.9	35.8	0.8	9.8
სოციალური მუშაკი	7.3	5.9	15.5	21.1	41.4	0.9	8
ფსიქოლოგი	4.2	4	12.5	24.6	49.1	0.5	5

თუკი მოზარდებზე კრიმინალური სუბკულტურის შემცირების მხრივ ცალსახად მნიშვნელოვნად მიიჩნევა, ოჯახის, სამეგობროს, სანაცნობოს როლი, როდესაც განიხილება სახელმწიფო სტრუქტურების მნიშვნელოვნება რესპონდენტთა დამოკიდებულებები ორივე გეოგრაფიულ არეალში ნეგატიურისკენ იცვლება. ნეგატიური დამოკიდებულებები უფრო აქტუალური აღმოსავლეთ საქართველოს (თბილისის გარდა) რესპონდენტთა შორისაა (ქულები 1 და 2):

- **პარლამენტი:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 33.2%, დასავლეთ საქართველო - 22.3%;
- **სასამართლო:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 26.5%, დასავლეთ საქართველო - 19.5%;
- **პროკურატურა:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) - 26.3%, დასავლეთ საქართველო - 18.1%;
- **პენიტენციური დაწესებულება:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 22.4%, დასავლეთ საქართველო - 13.5%.

ამასთან, აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის გარდა) გამოკითხულთა 6.5% სკოლას,

როგორც მოზარდებზე კრიმინალური სუბკულტურის გავლენის შემცირების მექანიზმს არ განიხილავს. მსგავს პოზიციას დასავლეთის მცხოვრებთა მხოლოდ 1.2% იზიარებს.

გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილშიც, ფსიქოლოგის ინსტიტუტის, როგორც გავლენის შემცირების მხრივ მნიშვნელოვანი აქტორის განხილვა უფრო აქტუალურია, ვიდრე სოციალური მუშაკის (ქულები 4 და 5):

- **სოციალური მუშაკი:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 54.4%, დასავლეთ საქართველო - 65.7%;
- **ფსიქოლოგი:** აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 66.8%, დასავლეთ საქართველო - 75.3% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #4.39).

ცხრილი #4.39

თქვენი შეფასებით, მოზარდებზე კრიმინალური კულტურის გავლენის შემცირების მხრივ რამდენად მნიშვნელოვანია ქვემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუტების როლი? (გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში) (%)		საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი	უფრო არ არის მნიშვნელოვანი, ვიდრე არის	თანაბრად	უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არა	ძალზე მნიშვნელოვანია	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
ოჯახი (X^2=101279, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	0.3	-	6.1	24.9	67.6	0.2	0.9
	დასავლეთ საქართველო (N=699)	-	-	3.1	9.7	85.8	0.3	1
სამეგობრო (X^2=103366, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	0.5	0.2	9.8	27.1	61.6	0.2	0.6
	დასავლეთ საქართველო (N=699)	0.4	-	4.5	13	81.1	0.3	0.6
სანაცნობო (X^2=68107, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	1.1	1.2	11.7	27.6	57.2	0.2	1.1
	დასავლეთ საქართველო (N=699)	0.7	0.4	9.1	14.1	74.5	0.3	0.7
პარლამენტი (X^2=47660, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	20.1	13.1	14.8	19.2	24.5	1.1	7.2
	დასავლეთ საქართველო (N=699)	15	7.3	15.7	15.4	37.1	1.3	8.1
სასამართლო (X^2=78840, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	11.7	14.8	16.7	23.7	24.8	1.1	7.2
	დასავლეთ საქართველო (N=699)	12.9	6.6	15.9	17.4	39.2	0.8	7.2
პროკურატურა (X^2=71703, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	11.7	14.6	17.1	21.5	16.8	0.8	7.5
	დასავლეთ საქართველო (N=699)	11.8	6.3	15.4	18.3	39.2	1.2	7.8
პოლიცია (X^2=119479, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	8.1	9.8	20.3	24.8	31.9	0.5	4.5

თქვენი შეფასებით, მოზარდებზე კრიმინალური კულტურის გავლენის შემცირების მხრივ რამდენად მნიშვნელოვანია ქვემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუტების როლი? (გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში) (%)		საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი	უფრო არ არის მნიშვნელოვანი, ვიდრე არის	თანაბრად	უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არა	ძალზე მნიშვნელოვანია	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
	დასავლეთ საქართველო (N=699)	4.3	3.4	14.5	18.2	55.8	0.6	3.1
ეკლესია (X^2=119668, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	3.6	5.3	16.2	27.9	40.3	1.2	5.5
	დასავლეთ საქართველო (N=699)	3.1	1.3	10.2	16.8	65.7	1.2	1.6
სკოლა (X^2=118880, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	3.6	3	15.4	29.3	46.6	0.3	1.9
	დასავლეთ საქართველო (N=699)	0.6	0.6	9.1	16.9	70.2	0.7	1.8
პენიტენციური დაწესებულება (X^2=76364, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	12.6	9.8	20.6	21.5	24.6	0.9	10
	დასავლეთ საქართველო (N=699)	8.6	5	18.2	15.2	40.7	0.9	11.6
სოციალური მუშაკი (X^2=84066, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	6.2	8.3	19.2	24	30.4	1.2	10.6
	დასავლეთ საქართველო (N=699)	5.7	4.6	14.5	16.6	49	0.9	8.5
ფსიქოლოგი (X^2=88089, p<0.05)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	3.1	5.5	17.2	27.1	39.6	05	7
	დასავლეთ საქართველო (N=699)	2.8	4.2	11.1	19.5	55.8	0.9	5.7

დასახლების ტიპის ჭრილში საკითხის განხილვისას, ზოგადი ტენდენციის მსგავსად, სხვადასხვა ჯგუფისა თუ ინსტიტუტის, როგორც პრევენციული მექანიზმის განხილვისას, ძირითადად, პოზიტიური დამოკიდებულებები იკვეთება. ამ შემთხვევაშიც ნეგატიური შეფასებებია სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ - დასახლების ტიპებს შორის მკვეთრი სხვაობა არ ფიქსირდება, ტენდენციები მსგავსია (ქულები 1 და 2):

- **პარლამენტი:** თბილისი - 26.4%, სხვა ქალაქები - 27.4%, სოფელი - 27.9%;
- **სასამართლო:** თბილისი - 22.9%, სხვა ქალაქები - 23.2%, სოფელი - 23%;
- **პროკურატურა:** თბილისი - 22.7%, სხვა ქალაქები - 23.5%, სოფელი - 21.3%;
- **პენიტენციური დაწესებულება:** თბილისი - 16.4%, სხვა ქალაქები - 19.7%, სოფელი - 16.7% (იხ. ცხრილი #4.40).

ცხრილი #4.40

თქვენი შეფასებით, მოზარდებზე კრიმინალური კულტურის გავლენის შემცირების მხრივ რამდენად მნიშვნელოვანია ქვემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუტების როლი? (დასახლების ტიპის ჭრილში) (%)		საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი	უფრო არ არის მნიშვნელოვანი, ვიდრე არის	თანაბრად	უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არა	ძალზე მნიშვნელოვანია	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
ოჯახი (X^2=73497, p<0.05)	თბილისი (N=567)	0.7	-	2.5	11	85.8	-	-
	სხვა ქალაქები (N=534)	-	-	6.2	24	68.8	0.2	0.8
	სოფელი (N=807)	0.3	0.1	3.3	12.6	82.3	0.3	1.2
სამეგობრო (X^2=82252, p<0.05)	თბილისი (N=567)	0.3	0.2	2.5	14.2	82.7	-	0.2
	სხვა ქალაქები (N=534)	0.6	-	11.6	23.7	63.8	0.2	0.2
	სოფელი (N=807)	0.4	0.1	4.1	17.4	76.8	0.3	0.9
სანაცნობო (X^2=53172, p<0.05)	თბილისი (N=567)	2.7	2.3	11.7	21.5	61.2	0.3	0.3
	სხვა ქალაქები (N=534)	0.6	1.1	12.7	27	57.8	0.2	0.6
	სოფელი (N=807)	1.2	0.6	8.8	16.4	71.5	0.3	1.2
პარლამენტი (X^2=444354, p<0.05)	თბილისი (N=567)	18.2	8.2	13.2	14.7	38.1	0.8	6.7
	სხვა ქალაქები (N=534)	18.3	9.1	20.4	19.7	25.9	0.8	5.9
	სოფელი (N=807)	16.9	10.9	11.9	15.5	34.3	1.4	9
სასამართლო (X^2=61340, p<0.05)	თბილისი (N=567)	16.2	6.7	13.2	17.7	40.7	0.8	4.7
	სხვა ქალაქები (N=534)	11.6	11.6	19.1	25.8	25.9	0.8	5.3
	სოფელი (N=807)	13	10	14.4	16.9	36.3	0.9	8.5
პროკურატურა (X^2=52684, p<0.05)	თბილისი (N=567)	16.7	6	14	19.8	38.5	0.3	4.7
	სხვა ქალაქები (N=534)	11.2	12.3	18.8	22.5	28.6	1.3	5.3
	სოფელი (N=807)	12.2	9.1	14.5	17.9	36.4	0.8	9.1
პოლიცია (X^2=71731, p<0.05)	თბილისი (N=567)	8	3	13.4	27.5	46.4	0.2	1.5
	სხვა ქალაქები (N=534)	5.9	7.8	21.4	26.7	34.4	0.6	3.4
	სოფელი (N=807)	6.4	5.6	14.6	18	50.7	0.5	4.1
ეკლესია (X^2=74638, p<0.05)	თბილისი (N=567)	6	3.3	15.7	23.2	50	0.5	1.2
	სხვა ქალაქები (N=534)	3	3.6	17.4	26.3	48.8	0.6	0.4
	სოფელი (N=807)	3.6	3.1	10.3	19.6	56.4	1.5	5.5
სკოლა (X^2=70519, p<0.05)	თბილისი (N=567)	1.5	2.8	6	28.2	60.8	0.2	0.5
	სხვა ქალაქები (N=534)	1.9	1.7	16.7	28.2	49.8	0.6	1.1
	სოფელი (N=807)	2.1	1.8	9.2	19.5	64.6	0.6	2.2
პენიტენციური დაწესებულება (X^2=67583, p<0.05)	თბილისი (N=567)	10.4	6	12.9	20.2	42.3	0.3	7.9
	სხვა ქალაქები (N=534)	11.9	7.8	22.5	22.3	28.9	0.8	5.9
	სოფელი (N=807)	9.6	7.1	17.2	15.6	35.4	1.2	14
სოციალური მუშაკი (X^2=90835, p<0.05)	თბილისი (N=567)	10	4.7	12.7	22.9	44.6	0.5	4.5
	სხვა ქალაქები (N=534)	6.4	7.6	21.6	25.9	31.1	0.9	6.4
	სოფელი (N=807)	5.6	5.6	13.7	16.3	45.9	1.2	11.7
ფსიქოლოგი (X^2=103742, p<0.05)	თბილისი (N=567)	6.7	2.2	9.2	27.6	52	0.2	2.2
	სხვა ქალაქები (N=534)	3.4	6.2	19.3	28	37.6	0.8	4.7
	სოფელი (N=807)	2.8	3.9	10.5	20	54.8	0.6	7.3

ყოველი მეხუთე რესპონდენტის აზრით, **ინდივიდებს/ჯგუფებს შორის დაპირისპირების შემთხვევაში კონფლიქტის მოსაგვარებლად** არც სამართალდამცავი ორგანოებისთვის და არც კრიმინალური ავტორიტეტებისთვის მიმართვა არის საჭირო, ინდივიდმა თავად უნდა მოაგვაროს კონფლიქტი (21.4%). თითქმის 5% კრიმინალური ავტორიტეტების ჩართულობას მიიჩნევს საჭიროდ, ხოლო ყოველი მეათესთვის თანაბრად აქტუალურია კონფლიქტის მოგვარების მიზნით როგორც სამართალდამცავი ორგანოებისთვის, ისე კრიმინალური ავტორიტეტებისთვის მიმართვა. მეორე მხრივ, გამოკითხულთა 54% მეტად აქტუალურ გზად პოლიციის ჩარევას მიიჩნევს (იხ. დიაგრამა #4.13).

დიაგრამა #4.13



აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის გარდა) გამოკითხულთა მეხუთედზე მეტი (22.3%) მიიჩნევს, რომ დაპირისპირების შემთხვევაში ინდივიდები არც სამართალდამცავ ორგანოს და არც კრიმინალურ ავტორიტეტს მიმართავენ და თავად აგვარებენ კონფლიქტს. მსგავს პოზიციას **დასავლეთში** მცხოვრებთა 19%-იც იზიარებს. მეორე მხრივ, დასავლეთ საქართველოს რესპონდენტთა შორის (17.2%), აღმოსავლეთის რესპონდენტებთან შედარებით (5.1%), გასამმაგებულია მათი წილი, ვინც კონფლიქტის გადაჭრის თვალსაზრისით, ორივე მხარეს თანაბრადმნიშვნელოვნად აფასებს. ამასთან, დასავლეთ საქართველოში გამოკითხულთა 5%-ზე მეტი მეტად აქტუალურად კრიმინალური ავტორიტეტისადმი მიმართვას განიხილავს, რაც აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის გარდა) მცხოვრებთა წილს (1.1%) აღემატება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=168735$, $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #4.14).

დიაგრამა #4.14



მართალია, **დასახლების ტიპის** ჭრილში დომინანტურია დაპირისპირების შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვა (თბილისი - 59.8%, სხვა ქალაქები - 49.6%, სოფელი - 52.4%), თუმცა, ხაზგასასმელია, რომ მსგავს სიტუაციაში კრიმინალური ავტორიტეტების ჩარევას თბილისში გამოკითხულთა უფრო მეტი წილი (6.7%) მიიჩნევს აქტუალურად ვიდრე სხვა ტიპის დასახლებებში გამოკითხულები (სხვა ქალაქები - 3.4%, სოფელი - 3.5%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=90962$, $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #4.15).

დიაგრამა #4.15



რეგრესიული მოდელის ფარგლებში შეფასდა ქვეყანაში კრიმინალური მენტალიტეტის გავლენა, შემდეგ შეკითხვაზე დაყრდნობით - ინდივიდებს/ჯგუფებს შორის დაპირისპირების შემთხვევაში, კონფლიქტის მოსაგვარებლად რომელი გზაა უფრო აქტუალური.

მონაცემთა დამუშავების შედეგად, რეგრესიულმა მოდელმა გამოავლინა, რომ ქვეყანაში კრიმინალური მენტალიტეტის გავლენას მეტად გამოკვეთენ (კონფლიქტის შემთხვევაში აქტუალურად კრიმინალური ავტორიტეტებისთვის მიმართვა მიაჩნიათ) ის პირები:

- ვისი აზრითაც, საქართველოში პოლიციის თანამშრომლობა არაპრესტიჟულია;
- ვინც მიიჩნევს, რომ მის უბანში/საცხოვრებელ ადგილას კრიმინალური გარემოა (სხვადასხვა ტიპის კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ხდება);
- ვინც არ ისურვებდა მისი ოჯახის რომელიმე წევრის პოლიციის თანამშრომლობას;
- ვისი შეფასებითაც, რომ ბოლო 5 წელში მოზარდებში კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილი გაიზარდა.

სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებლებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში კრიმინალური მენტალიტეტის გავლენას მეტად გამოკვეთენ:

- თბილისის გარდა, სხვა საქალაქო ტიპის დასახლების მაცხოვრებლები;
- კაცები (იხ. ცხრილი #4.41).

ცხრილი #4.41

	ქვეყანაში კრიმინალური მენტალიტეტის გავლენა		
	Beta	Standardized CI	P
თქვენი აზრით, საქართველოში რამდენად პრესტიჟულია იყო პოლიციის თანამშრომელი?	-0.171	-0.275- -0.066	**0.001**
კრიმინალური გარემო	0.007	0.003-0.010	**0**
ისურვებდით თუ არა, რომ თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი იყოს პოლიციის თანამშრომელი	-0.269	-0.483 - -0.055	**0.014**
ბოლო 5 წელში როგორ შეიცვალა კრიმინალური სუბკულტურების წევრობის სურვილი მოზარდებში?	0.137	0.049-0.224	**0.002**
დასახლების ტიპი (სხვა ქალაქი)	0.253	0.043-0.464	**0.018**
სქესი	-0.222	-0.411 - -0.032	**0.022**
იმ შემთხვევაში, თუ პოლიციელმა საკუთარი უფლებამოსილება დაარღვია თქვენი მისამართით, მიმართავდით ქურდული სამყაროს წევრებს?	-0.054	-	0.162
ასაკი	0.015	-	0.692
დასახლების ტიპი (თბილისი)	0.029	-	0.548
გეოგრაფიული ადგილმდებარეობა (დასავლეთ საქართველო)	-0.054	-	0.213
გეოგრაფიული ადგილმდებარეობა (აღმოსავლეთ საქართველო)	0.030	-	0.469
დასახლების ტიპი (სასოფლო ტიპის დასახლება)	-0.030	-	0.548

5. პენიტენციურ დაწესებულებაში კრიმინალური სუბკულტურების გავლენის შეფასება

გამოკითხულთა უმრავლესობის შემთხვევაში **არც თავად და არც მისი ოჯახის რომელიმე წევრს არ აქვს სასჯელის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდის გამოცდილება** (94.7%). 2.3%-მა მიუთითა, რომ მისი ოჯახის წევრი იხდიდა სასჯელს. კვლევაში მონაწილეთა მხოლოდ 1.2%-ს აქვს პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის გამოცდილება. დაახლოებით 2%-მდეა მათი წილი, ვინც შეკითხვაზე პასუხისგან თავი შეიკავა ან პასუხზე უარი განაცხადა.

პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის გამოცდილება არ აქვს **აღმოსავლეთ** საქართველოში (თბილისის გარდა) გამოკითხულთა 94.1%-ს და დასავლეთში გამოკითხულთა 97.3%-ს. **დასავლეთ** საქართველოში გამოკითხულთა მხოლოდ 1.2% მიუთითებს, რომ თავად ჰქონია მსგავსი გამოცდილება, ხოლო 0.6%-ის შემთხვევაში - ოჯახის წევრს. აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის გარდა) 1%-საც არ აღწევს მათი წილი, ვინც თავად მჯდარა პენიტენციურ დაწესებულებაში (0.8%), ხოლო 3% მიუთითებს, რომ ოჯახის წევრს აქვს მსგავსი გამოცდილება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=34990$, $p<0.05$).

თბილისში (92.4%), **სხვა ქალაქებსა** (94.5%) და **სოფლებში** (96.5%) გამოკითხულთა 90%-ზე მეტს პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის გამოცდილება არ აქვს. დადებითი პასუხის კატეგორიები უფრო მეტად მიემართება ოჯახის წევრებს ვიდრე საკუთარ გამოცდილებას (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=26842$, $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #5.1).

დიაგრამა #5.1



კვლევაში მონაწილე **ქალების** 95.4% და **კაცების** 93.8% აღწერს, რომ არც თავად და არც მისი ოჯახის წევრი პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელს არ იხდიდა. გამოკითხვაში მონაწილე ქალებს შორის მხოლოდ 1 იყო, ვინც საკუთარ პატიმრობის გამოცდილებას გაუსვა ხაზი, კაცების შემთხვევაში ოდენობა 2.5%-მდე იზრდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=29149$, $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #5.2).

დიაგრამა #5.2



პენიტენციურ დაწესებულებაში თავად ან ოჯახის წევრის ყოფნის გამოცდილების მქონე რესპონდენტთა უმრავლესობის შეფასებით, **კრიმინალური სუბკულტურების პატიმრებსა (60.3%; N=37) და ციხის ადმინისტრაციაზე (37.5%; N=24) გავლენა მაღალია** (ქულები 3 და 4).[7] ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა საშუალოდ მეხუთედი (19%; N=12) პასუხის კატეგორიას „არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა“ აფიქსირებს, შესაძლოა მკაფიო პოზიციის გამოხატვისგან თავის არიდებაზე მიუთითებდეს, არათუ საკითხის შეფასების შეუძლებლობაზე (იხ. ცხრილი #5.1).

7. *შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 4-ქულიანი სკალა, ჰომეიზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „ძალიან დაბალი“, ხოლო ქულა 4 - კატეგორიას „ძალიან მაღალი“.*

ცხრილი #5.1

იმ პენიტენციურ დაწესებულებაში, რომელშიც თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი იხდიდით სასჯელს, როგორ შეაფასებდით კრიმინალური სუბკულტურების გავლენის დონეს... (%) (N=62)	ძალიან დაბალი	მეტ-ნაკლებად დაბალი	მეტ-ნაკლებად მაღალი	ძალიან მაღალი	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
... პატიმრებზე?	5.3	12.4	34.1	26.2	4.7	17.3
... ციხის ადმინისტრაციაზე?	2.8	28.5	21.6	15.9	10.7	20.5

გამოკითხულთა მეოთხედს (24.3%) **პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილის მოტივების** შეფასება გაუჭირდა. დასახელებულ კატეგორიებს შორის შემდეგი ფაქტორები ჭარბობს (ცალკეულ შემთხვევაში მაჩვენებელი 10%-ს აღემატება):

- კრიმინალური სუბკულტურის წევრობით მიღებული პრესტიჟი - 18.7%;
- სხვა პატიმრებისგან თავდაცვა - 15.7%;
- კრიმინალური სუბკულტურის წევრებისგან ჩაგვრის, გარიყვის შემთხვევების თავიდან აცილება - 13.8%;
- სხვა პატიმრების დაქვემდებარების/დამორჩილების სურვილი - 12.3% (იხ. დიაგრამა #5.3).

დიაგრამა #5.3



აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის გარდა) გამოკითხულ პირთა 22.3%-ის შეფასებით, პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილს ყველაზე მეტად წევრობით მიღებული პრესტიჟი განაპირობებს, შემდეგ პოზიციას კი სხვა პატიმრებისგან თავდაცვის (17.2%) კატეგორია იკავებს. **დასავლეთ** საქართველოს რესპონდენტთა მიერ დასახელებულ ფაქტორებში კრიმინალური სუბკულტურის წევრებისგან ჩაგვრის, გარიყვის შემთხვევების თავიდან აცილება ჭარბობს (16.5%). აღმოსავლეთში გამოვლენილი დომინანტური კატეგორიები ამ შემთხვევაში მეორე და მესამე პოზიციას იკავებს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=142053$, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #5.2).

ცხრილი #5.2

თქვენი შეფასებით, რა ფაქტორები განაპირობებს პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილს? (გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში) (%)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	დასავლეთ საქართველო (N=699)
კრიმინალური სუბკულტურის წევრობით მიღებული პრესტიჟი	22.3	15.7
სხვა პატიმრებისგან თავდაცვა	17.2	15.3
კრიმინალური სუბკულტურის წევრებისგან ჩაგვრის, გარიყვის შემთხვევების თავიდან აცილება	8.2	16.3
სხვა პატიმრების დაქვემდებარების/დამორჩილების სურვილი	7.8	14.8
ციხის ადმინისტრაციასთან დაახლოების სურვილი	7.3	8.1
ციხის ადმინისტრაციაზე გავლენის მოპოვების სურვილი	7	7.2
უარი პასუხზე	1.8	2.4
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	28.4	20

როგორც **თბილისში** (18.2%), ისე **სხვა ქალაქებსა** (18.9%) და **სოფლებში** (18.9%) გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი მიუთითებს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურების წევრობის მთავარი მოტივი კრიმინალური სუბკულტურის წევრობით მიღებული პრესტიჟია. მეორე დომინანტურ მიზეზად დედაქალაქის შემთხვევაში კრიმინალური სუბკულტურის წევრებისგან ჩაგვრის, გარიყვის შემთხვევების თავიდან აცილება (16.5%), ხოლო სხვა ქალაქებისა (14.8%) და სოფლების (17.2%) შემთხვევაში სხვა პატიმრებისგან თავდაცვა განიხილება. ხაზგასასმელია, რომ დასახლების ტიპის ჭრილში, ზოგადი ტენდენციის მსგავსად, ჭარბობს იმ რესპონდენტთა წილი, რომელთაც კონკრეტული მოტივის იდენტიფიცირება გაუჭირდათ (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=74423$, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #5.3).

ცხრილი #5.3

თქვენი შეფასებით, რა ფაქტორები განაპირობებს პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილს? (დასახლების ტიპის ჭრილში) (%)	თბილისი (N=567)	სხვა ქალაქები (N=534)	სოფელი (N=807)
კრიმინალური სუბკულტურის წევრობით მიღებული პრესტიჟი	18.2	18.9	18.9
სხვა პატიმრებისგან თავდაცვა	14.6	14.8	17.2
კრიმინალური სუბკულტურის წევრებისგან ჩაგვრის, გარიყვის შემთხვევების თავიდან აცილება	16.5	13.3	11.9
სხვა პატიმრების დაქვემდებარების/დამორჩილების სურვილი	14.1	11.7	11.2
ციხის ადმინისტრაციასთან დაახლოების სურვილი	4.9	8.9	6.9
ციხის ადმინისტრაციაზე გავლენის მოპოვების სურვილი	6.5	9.2	5.7
უარი პასუხზე	0.4	2	2.1
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	24.8	21.2	26

ქალ რესპონდენტებს შედარებით მეტად გაუჭირდათ პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილის განმაპირობებელი ფაქტორების იდენტიფიცირება: ქალი - 27.6%, კაცი - 20.8%. **სქესის** ჭრილში შინაარსობრივად განსხვავებული პოზიციები არ დაფიქსირებულა - ორივე ჯგუფის წარმომადგენელთა თითქმის მეხუთედი მიიჩნევს, რომ მსგავსი ქმედების ძირითადი მოტივი კრიმინალური სუბკულტურის წევრობით მიღებული პრესტიჟია, ხოლო, საშუალოდ 15%-ის აზრით, ეს სხვა პატიმრებისგან თავდაცვის ერთგვარი გზაა: ქალი - 14.9%, კაცი - 16.5% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=36563$, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #5.4).

ცხრილი #5.4

თქვენი შეფასებით, რა ფაქტორები განაპირობებს პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის კრიმინალური სუბკულტურის წევრობის სურვილს? (სქესის ჭრილში) (%)	ქალი (N=1048)	კაცი (N=860)
კრიმინალური სუბკულტურის წევრობით მიღებული პრესტიჟი	18	19.4
სხვა პატიმრებისგან თავდაცვა	14.9	16.5
კრიმინალური სუბკულტურის წევრებისგან ჩაგვრის, გარიყვის შემთხვევების თავიდან აცილება	13.4	14.3
სხვა პატიმრების დაქვემდებარების/დამორჩილების სურვილი	11.3	13.4
ციხის ადმინისტრაციასთან დაახლოების სურვილი	6	7.6
ციხის ადმინისტრაციაზე გავლენის მოპოვების სურვილი	7.1	6.7
უარი პასუხზე	1.7	1.3
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	27.6	20.8

გამოკითხულთა მესამედისთვის (32.9%) რთული აღმოჩნდა **პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურების გავლენის მაპროვოცირებელი ფაქტორების** შეფასება. დომინანტურ კატეგორიად დასახელდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში წესრიგი სწორედ კრიმინალური სუბკულტურების მეშვეობით მყარდება (17.6%). მეათედს აჭარბებს მათი წილი, ვინც მიიჩნევს, რომ ა) პენიტენციური დაწესებულების გარეთ არსებული ავტორიტეტული კრიმინალური სუბკულტურების მფარველობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ბ) ადმინისტრაციას კრიმინალური სუბკულტურების ეშინია (11.5%) (იხ. დიაგრამა #5.4).

დიაგრამა #5.4



როგორც **აღმოსავლეთ** (თბილისის გარდა) (16.3%), ისე **დასავლეთ** საქართველოში (17.5%) გამოკითხულთა საშუალოდ 17% მიიჩნევს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურების გავლენას სწორედ ის განაპირობებს, რომ ამ დაწესებულებებში წესრიგი სუბკულტურების მეშვეობით მყარდება. დასავლეთ საქართველოში მაცხოვრებელთა 17.1%-ის აზრით, მნიშვნელოვანი ფაქტორია დაწესებულების გარეთ არსებული ავტორიტეტული კრიმინალური სუბკულტურის მფარველობა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=124103$, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #5.5).

ცხრილი #5.5

თქვენი შეფასებით, რა განაპირობებს პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურების გავლენას? (გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში) (%)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	დასავლეთ საქართველო (N=699)
ციხის ადმინისტრაციასთან სიახლოვე	7.6	7.1
პენიტენციურ დაწესებულებებში წესრიგის დამყარება კრიმინალური სუბკულტურების მეშვეობით	16.3	17.5
კრიმინალური სუბკულტურების მიმართ ციხის ადმინისტრაციის შიში	9.6	13
ციხის ადმინისტრაცია დაკომპლექტებულია კრიმინალური სუბკულტურის წევრებით	4.1	8.8
პენიტენციური დაწესებულების გარეთ არსებული ავტორიტეტული კრიმინალური სუბკულტურის მფარველობა	9.9	17.1
პენიტენციურ დაწესებულებაში შერჩევითი სამართალი პატიმრების მოპყრობის მხრივ	8.9	5.3
უარი პასუხზე	3	3.8
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	40.7	27.6

მართალია, დედაქალაქშიც და მის მიღმაც რესპონდენტთა საშუალოდ მესამედს გაუჭირდა პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის გავლენის განმაპირობებელი ფაქტორების იდენტიფიცირება, თუმცა ორი დომინანტური მიზეზი დასახელდა, რაც **დასახლების ტიპის** სამივე დონეზე წამყვან პოზიციებს იკავებს:

- **პენიტენციურ დაწესებულებებში წესრიგის დამყარება კრიმინალური სუბკულტურების მეშვეობით:** თბილისი - 18.9%, სხვა ქალაქები - 16.4%, სოფელი - 17.3%;
- **პენიტენციური დაწესებულების გარეთ არსებული ავტორიტეტული კრიმინალური სუბკულტურის მფარველობა:** თბილისი - 15%, სხვა ქალაქები - 12.7%, სოფელი - 14.1% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=47989$, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #5.6).

ცხრილი #5.6

თქვენი შეფასებით, რა განაპირობებს პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურების გავლენას? (დასახლების ტიპის ჭრილში) (%)	თბილისი (N=567)	სხვა ქალაქები (N=534)	სოფელი (N=807)
ციხის ადმინისტრაციასთან სიახლოვე	6.2	6.6	7.8
პენიტენციურ დაწესებულებებში წესრიგის დამყარება კრიმინალური სუბკულტურების მეშვეობით	18.9	16.4	17.3
კრიმინალური სუბკულტურების მიმართ ციხის ადმინისტრაციის შიში	11.8	12.6	10.5
ციხის ადმინისტრაცია დაკომპლექტებულია კრიმინალური სუბკულტურის წევრებით	9.8	7.6	5.8
პენიტენციური დაწესებულების გარეთ არსებული ავტორიტეტული კრიმინალური სუბკულტურის მფარველობა	15	12.7	14.1
პენიტენციურ დაწესებულებაში შერჩევითი სამართალი პატიმრების მოპყრობის მხრივ	6.6	8.4	6.1
უარი პასუხზე	0.7	3.6	3.3
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	30.9	32.1	35.2

პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურების გავლენის შეფასება ქალების მესამედზე მეტს (37.1%) გაუჭირდა (კაცი - 28.3%). დასახელებულ კატეგორიებს შორის ორივე **სქესის** რესპონდენტები დომინანტურად მიიჩნევენ ფაქტს, რომ დაწესებულებებში წესრიგის დამყარება სწორედ კრიმინალური სუბკულტურების მეშვეობით ხდება: ქალი - 15.7%, კაცი - 19.6%. გავლენის მხრივ მნიშვნელოვან გარემოებადაა აღქმული პენიტენციური დაწესებულების გარეთ არსებული ავტორიტეტული კრიმინალური სუბკულტურების მფარველობა: ქალი - 13.2%, კაცი - 14.9% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=49891$, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #5.7).

ცხრილი #5.7

თქვენი შეფასებით, რა განაპირობებს პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურების გავლენას? (სქესის ჭრილში) (%)	ქალი (N=1048)	კაცი (N=860)
ციხის ადმინისტრაციასთან სიახლოვე	5.8	8.2
პენიტენციურ დაწესებულებებში წესრიგის დამყარება კრიმინალური სუბკულტურების მეშვეობით	15.7	19.6
კრიმინალური სუბკულტურების მიმართ ციხის ადმინისტრაციის შიში	12.6	10.2
ციხის ადმინისტრაცია დაკომპლექტებულია კრიმინალური სუბკულტურის წევრებით	7.2	8.1
პენიტენციური დაწესებულების გარეთ არსებული ავტორიტეტული კრიმინალური სუბკულტურის მფარველობა	13.2	14.9
პენიტენციურ დაწესებულებაში შერჩევითი სამართალი პატიმრების მოპყრობის მხრივ	6	7.9
უარი პასუხზე	2.3	2.8
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	37.1	28.3

პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური ჯგუფების გავლენის შემცირების მხრივ, რესპონდენტთა თითქმის თანაბარი წილი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანი როლი **ციხის ადმინისტრაციას** (55%), **იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს** (53.1%), **სახალხო დამცველის აპარატს** (53.4%) ეკისრება (ქულები 4 და 5). [1] პოზიტიური შეფასებები ნარჩუნდება არასამთავრობო სექტორისა (48.4%) და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სერვისების (50.2%) როლის შეფასებისას. თუმცა, მთლიანობაში ხაზგასასმელია, რომ საშუალოდ ყოველ მეხუთე რესპონდენტს ზემოაღნიშნული ინსტიტუტების მნიშვნელოვნების განსაზღვრა გაუჭირდა, ხოლო საშუალოდ 15% მათი როლის შეფასებისას ნეიტრალურ პოზიციას იკავებს - ანუ თანაბრად მნიშვნელოვნად და უმნიშვნელოდ განსაზღვრავს (ქულა 3) (იხ. ცხრილი #5.8).

ცხრილი #5.8

როგორ შეაფასებდით, ქვემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუტების როლს პენიტენციურ დაწესებულებაში კრიმინალური ჯგუფების გავლენის შემცირების მხრივ? (%) (N=1908)	საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი	უფრო არ არის მნიშვნელოვანი, ვიდრე არის	თანაბრად	უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არა	ძალზე მნიშვნელოვანია	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
ციხის ადმინისტრაცია	2.8	3.1	15.1	23.2	31.8	3.2	20.8
იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური პენიტენციური სამსახური	3.1	3.5	16.3	24.5	28.6	3.1	20.8
სახალხო დამცველი	4.5	3.8	16.3	24.4	29	2.7	19.1
არასამთავრობო სექტორი	5.3	5.2	17	23.9	24.4	3.2	21.1
რესოციალიზაცია რეაბილიტაციის სერვისები	4.3	3.4	15.5	22.5	27.7	3.2	23.4

1 *შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „ძალზე მნიშვნელოვანია“.*

აღმოსავლეთ საქართველოს (თბილისის გარდა) რესპონდენტთა საშუალოდ 30%-ს პენიტენციურ დაწესებულებაში კრიმინალური ჯგუფების გავლენის შემცირების მხრივ სხვადასხვა ინსტიტუტის როლის განსაზღვრა გაუჭირდა. მართალია, ამ ჭრილშიც ზოგადი ტენდენციის მსგავსი შედეგები დაფიქსირდა და თითოეული ინსტიტუტი მნიშვნელოვნად მიიჩნევა, თუმცა შედარებით მაღალი ნეგატიური შედეგით გამოირჩევა სახალხო დამცველის ინსტიტუტი (აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 7.5%, დასავლეთ საქართველო - 8.5%) და არასამთავრობო სექტორი (აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) – 10.9%, დასავლეთ საქართველო - 10.4%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #5.9).

ცხრილი #5.9

როგორ შეაფასებდით, ქვემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუტების როლს პენიტენციურ დაწესებულებაში კრიმინალური ჯგუფების გავლენის შემცირების მხრივ? (გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჭრილში) (%)		საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი	უფრო არ არის მნიშვნელოვანი, ვიდრე არის	თანაბრად	უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არა	ძალზე მნიშვნელოვანია	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
ციხის ადმინისტრაცია (X^2=110746, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	3.6	1.6	14.2	24.3	25	1.6	29.8
	დასავლეთ საქართველო (N=699)	2.7	2.2	16.8	18.3	36.5	5.7	17.8
იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური პენიტენციური სამსახური (X^2=110841, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	4.1	2	16.1	24.8	20.9	1.3	30.8
	დასავლეთ საქართველო (N=699)	2.8	3.3	16.1	25.7	29.9	6	16.1
სახალხო დამცველი (X^2=93929, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	5.1	2.3	16	22.6	22	2.2	29.8
	დასავლეთ საქართველო (N=699)	4.2	4.3	15.6	24.4	33.4	4.3	13.6
არასამთავრობო სექტორი (X^2=90194, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	5.6	5.3	12.9	23.6	20.6	1.4	30.6
	დასავლეთ საქართველო (N=699)	5.3	5.1	19.4	21.5	27.6	6	15.2
რესოციალიზაცია რეაბილიტაციის სერვისები (X^2=77807, $p<0.05$)	აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის გარდა) (N=642)	2.7	2	14.4	22.8	24.5	1.4	32.3
	დასავლეთ საქართველო (N=699)	4.6	3.4	16.8	22.5	28	6	18.6

დასახლების ტიპის ჭრილში საკითხის განხილვისასაც, პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური დაჯგუფებების გავლენის შემცირების მხრივ, შედარებით ნაკლებმნიშვნელოვან აქტორებად არასამთავრობო სექტორი, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სერვისები განიხილება. სამივე სამიზნე დონეზე, სხვა ინსტიტუტებთან შედარებით, ამ აქტორთა მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების მაჩვენებელი მცირედით მაღალია (ქულები 1 და 2):

- **არასამთავრობო სექტორი:** თბილისი - 9.8%, სხვა ქალაქები - 9%, სოფელი - 11.8%;
- **რესოციალიზაცია რეაბილიტაციის სერვისები:** თბილისი - 10.5%, სხვა ქალაქები - 6.6%, სოფელი - 6.3%.

თუმცა, ზოგადი შეფასებისთვის უნდა ითქვას, რომ ცალკეული წარმოდგენილი აქტორის/სტრუქტურის როლი მნიშვნელოვნად ფასდება (ქულები 4 და 5) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #5.10).

ცხრილი #5.10

თქვენი შეფასებით, მოზარდებზე კრიმინალური კულტურის გავლენის შემცირების მხრივ რამდენად მნიშვნელოვანია ქვემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუტების როლი? (დასახლების ტიპის ჭრილში) (%)		საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი	უფრო არ არის მნიშვნელოვანი, ვიდრე არის	თანაბრად	უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არა	ძალზე მნიშვნელოვანია	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
ციხის ადმინისტრაცია (X^2=57577, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	2.2	5.7	14.3	27.5	33.8	2.2	14.3
	სხვა ქალაქები (N=534)	3.8	1.7	17.7	22.8	27	3.8	23.2
	სოფელი (N=807)	2.7	2.2	14	20.1	33.5	3.6	24
იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური პენიტენციური სამსახური (X^2=56686, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	2.3	5.5	16.7	22.9	35.2	2	15.4
	სხვა ქალაქები (N=534)	4.3	1.5	19.1	26.5	22.3	3.2	23.1
	სოფელი (N=807)	2.8	3.3	14.1	24.5	27.7	4	23.5
სახალხო დამცველი (X^2=61011, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	4	4.8	17.6	26.6	31.6	1.5	13.9
	სხვა ქალაქები (N=534)	3.8	2.7	22	24.8	22	4	20.8
	სოფელი (N=807)	5.4	3.7	11.7	22.6	31.8	2.8	22.1
არასამთავრობო სექტორი (X^2=36065, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	4.8	5	18.7	27.2	25	1.8	17.4
	სხვა ქალაქები (N=534)	4.7	4.3	20.9	24	20.4	3.8	21.9
	სოფელი (N=807)	6	5.8	13.1	21.5	26.6	3.7	23.2
რესოციალიზაცია რეაბილიტაციის სერვისები (X^2=39546, $p<0.05$)	თბილისი (N=567)	5.5	5	15.3	22.3	30.6	2	19.3
	სხვა ქალაქები (N=534)	4.3	2.3	19.1	24.6	22.3	4.2	23.3
	სოფელი (N=807)	3.2	3.1	13.2	21.3	29	3.5	26.7

6. რესპონდენტის სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი

სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო **1908 რესპონდენტმა.** მათგან თითქმის მესამედი (31.4%) **თბილისში** გამოიკითხა, დანარჩენ რეგიონებში რესპონდენტთა წილები მოცემულია დიაგრამაზე #6.1:

დიაგრამა #6.1



თბილისს გარდა, სხვა რეგიონებში გამოკითხულთა 59.6% **სასოფლო ტიპის** დასახლებების მაცხოვრებელია, ხოლო 40.4% - **საქალაქო ტიპის დასახლებების.** გამოკითხვაში მონაწილე პირთა 53.4% მდედრობითი სქესის წარმომადგენელია, შესაბამისად, 46.6% - მამრობითი სქესის. რესპონდენტთა ასაკობრივი გადანაწილება შემდეგია:

- 15-17 წლის - 4.5%;
- 18-29 წლის - 21%;
- 30-54 წლის - 41.8%;
- 55-64 წლის - 32.7%.

რაც შეეხება რესპონდენტთა **განათლების დონეს,** 37.7%-ს სრული უმაღლესი განათლების საფეხური აქვს დასრულებული, ხოლო 30.7% - სრული საშუალო განათლების საფეხური. თითქმის ყოველი მეხუთე (18.6%) პროფესიული განათლების მქონეა (იხ. დიაგრამა #6.2).

დიაგრამა #6.2



რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (92.2%) **ეთნიკურად ქართველია**, თითქმის 5% კი - **ეთნიკურად აზერბაიჯანელი** (4.2%). 2.7%-ს უტოლდება **სომხების წილი**. 1%-საც ვერ აღწევს რუსებისა (0.3%) თუ სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა წილი (0.6%).

გამოკითხულთა მეხუთედი (20.3%) **კერძო სექტორშია დაქირავებული მუშაკი**. საჯარო სექტორში დასაქმებულთა წილი 13.1%-ს უტოლდება. რესპონდენტთა 16% პენსიონერია, 12.3% კი - ამჟამად უმუშევარი (იხ. ცხრილი #6.1).

ცხრილი #6.1

რესპონდენტის დასაქმების სტატუსი (იგულისხმება ძირითადი საქმიანობა) (N=1908)	%
დაქირავებული მუშაკი საჯარო სექტორში	13.1
დაქირავებული მუშაკი კერძო სექტორში	20.3
თვითდასაქმებული (სამუშაოს მიმცემი)	6.2
თვითდასაქმებული (მეწარმე, მეურნე, პროფესიული საქმიანობით დაკავებული პირი)	11.3
პენსიონერი	16
დეკრეტულ შვებულებაში მყოფი	0.1
დიასახლისი	11.4
სტუდენტი	4.3
ამჟამად უმუშევარი	12.3
არასდროს უმუშავია	1.2
მოსწავლე	3.8

რესპონდენტთა მესამედზე მეტი აღწერს, რომ მათ ოჯახში 2-3 ადამიანი ცხოვრობს (34.4%). გამოკითხულთა მეოთხედის ოჯახი 4-სულიანია (25.3%). 28.7%-ს უტოლდება მათი წილი, ვის ოჯახშიც 5-6 ადამიანი ცხოვრობს. კვლევაში მონაწილე პირთა 4.5% მარტოხელაა (იხ. დიაგრამა #6.3).
გამოიკვეთა, რომ ოჯახების საშუალო ზომა 4-სულიანია. ზოგადი ტენდენციის მსგავსი შედეგია შენარჩუნებული როგორც დედაქალაქში, ისე სხვა ქალაქებსა თუ სოფლებში - ყოველი ტიპის დასახლებაში ოჯახის ზომა საშუალოდ 4 ადამიანს უტოლდება (თბილისი - 3.69, სხვა ქალაქები - 4.09, სოფელი - 4.24, საქართველო - 4.03). (იხ. დიაგრამა #6.3).

დიაგრამა #6.3



რესპონდენტთა **ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის** აღსაწერად რამდენიმე დებულება იქნა გამოყენებული. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა ძირითად ნაწილს (43.%) საკმარისი ფული აქვს საკვებისთვის, ტანსაცმლისთვის, ფეხსაცმლისთვის, თუმცა, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესაძენად ფულის დაზოგვა ან სესხება უწევს; მეოთხედზე მეტს (26.9%) ფული მხოლოდ საკვებზე ჰყოფნის და ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაძენად დაზოგვა/სესხება უწევს. უკიდურეს გაჭირვებაში, რომელთაც მხოლოდ საკვებზე ჰყოფნის ფული და სხვა ნივთების შეძენას ვერც დანაზოგით და ვერც სესხით ვერ შეძლებენ, გამოკითხულთა 12.1% იმყოფება (იხ. ცხრილი #6.2).

ცხრილი #6.2

რესპონდენტის დასაქმების სტატუსი (იგულისხმება ძირითადი საქმიანობა) (N=1908)	%
საკვებზე გვყოფნის ფული	12.1
ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, მაგრამ ტანსაცმლის და ფეხსაცმლის საყიდლად ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს	26.9
ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისთვის და ფეხსაცმლისთვის მაგრამ იმისთვის, რომ შევიძინოთ კარგი ტანსაცმელი, მობილური ტელეფონი, მტვერსასრუტი და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს	43.5
ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის მაგრამ იმისთვის, რომ შევიძინოთ მანქანა ან ბინა ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს	14
ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერ მომენტში შევიძინოთ ყველაფერი, რაც გვსურს	1
უარი პასუხზე	1.5
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	1.1

ვერბალური აღწერის გარდა, კვლევის ფარგლებში **რესპონდენტთა ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი** შეფასდა. განმარტებული იყო, რომ შემოსავალში იგულისხმება ნებისმიერი ფულადი შემოსავალი, მათ შორის პენსია და სოციალური სარგებელი. რესპონდენტთა 27.7% გაუჭირდა კონკრეტული ოდენობის დასახელება, ხოლო 14.8%-მა პასუხზე უარი განაცხადა. დასახელებული კატეგორიების მიხედვით, გამოკითხულთა 14.5%-ის ოჯახის თვიური შემოსავალი 500 ლარს არ აღემატება. შემოსავლების მიხედვით, ოჯახების ყველაზე დიდი წილი (46%) 701-დან 1500 ლარამდე კატეგორიაში ექცევა:

- 701-1000 ლარი - 25.7%;
- 1001-1500 ლარი - 20.3% (იხ. დიაგრამა #6.4).

დიაგრამა #6.4



კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიდან იკვეთება, რომ მარტოხელა ადამიანის საშუალო თვიური შემოსავალი, ძირითადად, 301-500 ლარის ფარგლებშია (47.2%). მარტო მცხოვრებთა მეოთხედის შემოსავლის ოდენობა 300 ლარამდეა (24.5%). 2-3-სულიანი ოჯახების თვიური შემოსავლის დომინანტური ოდენობა 701-1000 ლარის ფარგლებში მერყეობს (28.6%). იმ ოჯახების დიდი წილის შემოსავლები, სადაც 4-6 ადამიანი ცხოვრობს, 701-1500 ლარის ფარგლებშია:

- **4-სულიანი ოჯახი:** 701-1000 ლარი - 24.1%, 1001-1500 ლარი - 21.7%;
- **5-6-სულიანი ოჯახი:** 701-1000 ლარი - 26%, 1001-1500 ლარი - 25.7%.

7 და მეტსულიანი ოჯახები ერთადერთი კატეგორიაა, სადაც 3000-ზე მეტი შემოსავლის ქონაზე რესპონდენტთა მეათედი (10.1%) მიუთითებს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=237886$, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #6.3).

ცხრილი #6.3

ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი (ოჯახის წევრთა რაოდენობის ჭრილში) (%) (N=1097)	ოჯახის წევრთა რაოდენობა				
	მარტოხელა	2-3 ადამიანი	4 ადამიანი	5-6 ადამიანი	7 და მეტი ადამიანი
300 ლარი ან ნაკლები	24.5	6.4	2	2.6	1.4
301-დან 500 ლარის ჩათვლით	47.2	12	4	6.1	4.3
501-დან 700 ლარის ჩათვლით	5.7	15.2	7.1	7.1	8.7
701-დან 1000 ლარის ჩათვლით	7.5	28.6	24.1	26	27.5
1001-დან 1500 ლარის ჩათვლით	9.4	16.9	21.7	25.7	20.3
1501-დან 2000 ლარის ჩათვლით	1.9	10.8	20.9	19.3	10.1
2001-დან 2500 ლარის ჩათვლით	3.8	5.1	8.7	3.5	8.7
2501-დან 3000 ლარის ჩათვლით	-	2.2	7.5	5.1	8.7
3000 ლარზე მეტი	-	2.9	4	4.5	10.1

თვისებრივი კვლევის შედეგები

1. დანაშაულებრივი ქმედების მაპროვოცირებელი ფაქტორები

კვლევის ფარგლებში, დაინტერესებულმა ჯგუფებმა დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია თუ რა არის დანაშაულებრივი ქმედების მაპროვოცირებელი ფაქტორ(ებ)ი. რესპონდენტთა მიერ დასახელდა: ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, დემოგრაფიული და სოციალურ ფონთან დაკავშირებული ფაქტორები. კერძოდ:

რესპონდენტთა დიდი ნაწილი (ყველა სამიზნე ჯგუფში) აღნიშნავს, რომ ოჯახის არასახარბიელო **ეკონომიკური მდგომარეობა** წამყვანი ფაქტორია, რომელიც ბავშვებს დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებს. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ხაზს უსვამენ, რომ დღეს საქართველოში მშობლები შვილებთან ვერ ატარებენ საკმარის დროს/ვერ აქცევენ შვილებს საკმარის ყურადღებას, რადგან შემოსავლის ძიებაში გადატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვთ. მშობლების ენერგია, ძირითადად, შვილ(ებ)ის პირველადი საჭიროების საშუალებებით უზრუნველყოფას (კვება, ჩაცმა) ხმარდება, რის გამოც ფერხდება შვილებსა და მშობლებს შორის საჭირო კომუნიკაცია აღზრდასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე (ამ კატეგორიაში ემიგრაციაში წასული მშობლებიც იგულისხმება). ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ბავშვები იზრდებიან ისე, რომ მშობლებთან ცოტა რამ აქვთ საერთო. ამდენად, ბავშვები იწყებენ სხვა ავტორიტეტების ძებნას, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, კრიმინალურ სუბკულტურასთან დაახლოებული მოზარდები არიან (15-დან 18-წლამდე, ან უფროსი).

> „საქართველოში, სამწუხაროდ, გვაქვს ისეთი ცხოვრება, რომ არ გვაქვს შესაძლებლობა, მშობელმა ბავშვს ყურადღება მიაქციოს, იცით რატომ? იმიტომ, რომ იმ ბავშვს უნდა აჭამოს, ასვას, ჩააცვას, დაახუროს და ამისთვის უწევს სამსახურის შოვნა და გასვლა სამსახურში. ბავშვი რჩება მარტო, ეძებს რაღაც ახალს“ (სკოლის მასწავლებელი).

> "ჩემი აზრით, მოწყალების მთხოვნელი ქუჩაში მცხოვრები ბავშვები არიან უფრო დანაშაულისკენ მიდრეკილი. სრულწლოვნები ძირითადად არასრულწლოვნებს იყენებენ დანაშაულის ჩასადენად, ვინაიდან მათ კანონით არ ემუქრებათ დასჯა“ (სკოლის მანდატური).

ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ეკონომიკური გაჭირვება მნიშვნელოვანი რისკ ფაქტორია, თუმცა, ბავშვებისთვის სხვადასხვა სიკეთეებზე გაიოლებული ხელმისაწვდომობაც რისკის შემცველია, რადგან ასეთი ბავშვები მიჩვეულნი არიან ყველაფრის მარტივად მიღებას და ამ გზაზე შეფერხება მათ ფსიქიკაში დისონანსს/დისკომფორტს იწვევს, რომლის გადასახალად კრიმინალურ გზას ირჩევენ - „ბავშვები, რომლებიც მშობლებისგან წახალისებულნი არიან მარტივად მიიღონ სიკეთეები. შემდეგ ცხოვრებაში რაღაცეები ისე რომ არ მიდის, როგორც მიეჩვივნენ, ამას ვერ იღებენ შესაბამისად და კრიმინალს მიმართავენ“ (სკოლის მასწავლებელი).

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების აზრით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს **ძალაუფლებრივი გავლენები** მოზარდებში: კრიმინალური მენტალიტეტის მქონე მოზარდები (15-დან 18-წლამდე, ან უფროსები), ხშირ შემთხვევაში, აიძულებენ ბავშვებს (14 წლამდე), რომ ჩაიდინონ სხვადასხვა წვრილმანი დანაშაული - „უფროსკლასელები უმცროსკლასელებს ავალებენ სხვადასხვა ობიექტში შესვლასა და ქურდობას. 14 წლამდე ბავშვები არ ისჯებიან

და ამით სარგებლობენ“ (სკოლის ფსიქოლოგი). ერთ-ერთი სკოლის მანდატურის თქმით, 14 წლამდე ბავშვები მასთან საუბარში ამბობენ, რომ სხვების დავალებით დანაშაულს ჩადიან, რადგან ეშინიათ ბულინგის, დამცირების და უარყოფის.

> „ხშირად დანაშაულის ჩადენის შემდეგ, როცა ბავშვებს ვესაუბრებით, მიზეზად გვისახელებენ შიშს, რომ თუ ამას არ გააკეთებდნენ, მეგობრები არ მიიღებდნენ და მათ დააბულინგებდნენ“ (სკოლის მანდატური).

სკოლის მანდატურებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში გამოიკვეთა მოსაზრება, რომ მშობლების მიერ ბავშვის აღზრდისას დაშვებული შეცდომები შესაძლოა გახდეს ბავშვის დანაშაულებრივი ქმედების მაპროვოცირებელი ფაქტორი. კერძოდ, ის ბავშვები, რომლებიც **ავტორიტარული სტილით იზრდებიან** და ხშირად არიან აგრესიის ობიექტები, მიღებულ აგრესიას გადაიტანენ ხოლმე ცხოველებზე, სხვა ბავშვებზე/მოზარდებზე. ასევე, ყურადსაღებია ისეთი შემთხვევა, როდესაც მშობლები ვერ ახერხებენ ბავშვს ჩამოუყალიბონ მყარი ღირებულებათა სისტემა. ეს რისკის ფაქტორია, რადგან არამყარი ღირებულებათა სისტემის მქონე ბავშვებზე გავლენის მოხდენა კრიმინალურ ჯგუფებს უადვილდებათ.

> „მშობლების აღზრდის სტილიც შეგვიძლია განვიხილოთ, მაგალითად, თუ მშობელი ავტორიტარულ აღზრდის სტილს იყენებს და ბავშვის მიმართ თავად გამოხატავს აგრესიას, შემდეგ ბავშვიც ამ აგრესიას შეიძლება გამოხატავდეს თუნდაც სათამაშოების, ან თანატოლების მიმართ“ (სკოლის მანდატური).

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა ნაწილის თქმით, სკოლებში არსებობს ე.წ. „ყოჩის“ ინსტიტუტი, რომელიც გულისხმობს სხვა ბავშვებთან შედარებით დაწინაურებულ მდგომარეობაში ყოფნას და წარმოადგენს ერთგვარ ქცევით ეტალონს სხვა ბავშვებისთვის. გამოკითხულთა ნაწილი ამბობს, რომ ბავშვები ცდილობენ „ყოჩობას“ რადგან ეს სხვა ბავშვებზე გავლენის მოხდენის საშუალებაა და გარკვეულწილად უსაფრთხოების ჩარჩოც - „სკოლაში არის „ყოჩის“ ინსტიტუტი და ბავშვები ცდილობენ დაემსგავსონ ამ მოდელს“ (სკოლის მასწავლებელი). ასევე, პენიტენციურ დაწესებულებებში მომუშავე სოციალურ მუშაკებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში გამოიკვეთა მოსაზრება, რომ „ყოჩობისკენ“ მიზიდულობის ერთ-ერთი ფაქტორი ისაა, რომ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს დომინანტი ბიჭები უფრო მოსწონთ.

რესპონდენტთა ნაწილი **სქესს** დანაშაულებრივ ქმედებასთან კორელაციაში მყოფ ერთ-ერთ ფაქტორად მიიჩნევს. ბავშვთა განვითარების ფსიქოლოგის თქმით, მამაკაცები უფრო მეტად არიან დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილნი ვიდრე ქალები, რაზეც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული გენდერული განაწილებაც მეტყველებს. რესპონდენტის თქმით, ტრადიციული კულტურის ქვეყნებში/საზოგადოებებში უფრო ხშირია დანაშაულის ჩადენა მამაკაცების მხრიდან. ხოლო, ლიბერალურ დასავლურ საზოგადოებებში ქალების მიერ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი უფრო მაღალია სხვა ქვეყნებთან შედარებით. ფოკუს ჯგუფში ჩართული ფსიქოლოგის აზრით, ეს ქალთა ემანსიპაციასთან არის დაკავშირებული.

> „სქესი ცალსახად ახდენს გავლენას, მამაკაც პატიმართა რაოდენობა უფრო მეტია ვიდრე ქალების, ისეთ საზოგადოებაში, სადაც ქალთა ემანსიპაცია უფრო მაღალია, მაგალითად დასავლეთ ევროპაში, იქ ქალი პატიმრები უფრო მეტია, სხვა ქვეყნებთან შედარებით“ (ბავშვთა განვითარების ფსიქოლოგი).

სოციალური ფონი

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა შორის დანაშაულის ჩადენის განმაპირობებელ ფაქტორად გამოიკვეთა მძიმე ოჯახური ინტერაქციების ფონი: ოჯახში მშობლებს შორის მუდმივი კონფლიქტი (მათ შორის ფიზიკური დაპირისპირების ჩათვლით) და მშობლების ალკოჰოლსა თუ სხვადასხვა ნარკოტიკულ ნივთიერებაზე დამოკიდებულება. ასეთი მშობლები ვერ ახერხებენ შვილებისთვის სათანადო ყურადღების მიქცევას და საჭირო პირობების შექმნას, რაც საბოლო ჯამში, რისკის ფაქტორია, რადგან ბავშვები მშობლებისგან იღებენ ნეგატიურ როლურ მოდელს. ასევე, გამოიკვეთა, რომ ოჯახის რომელიმე წევრის (მამა, ძმა, ბიძა და სხვ.) კრიმინალური სუბკულტურის წევრობა და ციხეში ყოფნა, შესაძლოა, გახდეს ბავშვის კრიმინალური ცხოვრების წესით დაინტერესების ფაქტორი - „კრიმინალისკენ მიდრეკილ ოჯახის წევრს ან ახლობელს შეიძლება ბაძავდეს ბავშვი“ (სკოლის მანდატური, დასავლეთ საქართველო).

ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ბავშვების მიერ ჩადენილ მცირე დანაშაულზე ზოგიერთი მშობელი არ ახდენს სათანადო რეაგირებას, რადგან თავადაც აქვს კრიმინალური სამყაროს მიმართ გარკვეული სენტიმენტები (კრიმინალური აზროვნება) - „პრობლემა არის ისიც, რომ მშობლებს ამ დანაშაულებზე სათანადო რეაგირება არ აქვთ და ამას გულგრილად უდგებიან“ (სკოლის მანდატური). მშობლების ასეთი დამოკიდებულება ბავშვს არასწორ გამოცდილებასა და ღირებულებებს უყალიბებს.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები აღნიშნავენ, რომ კრიმინალური გამოცდილების მქონე ოჯახებში გაზრდილი ბავშვების ნაწილი ცდილობს თავადაც გაყვეს კრიმინალურ ცხოვრების წესს და სწორედ ამ ცხოვრების წესის ხელშესაწყობად ჩადის დანაშაულს, რათა შეიქმნას და მოიმზადოს გარკვეული ტიპის ავტორიტეტი/ცნობადობა კრიმინალურ წრეებში. ხოლო, ციხეში მოხვედრის შემდგომ, ელოდება, რომ მიიღებს გარკვეულ პრივილეგიებს.

> „არიან ბავშვები, რომლებსაც პრინციპულად აქვთ განსაზღვრული, რომ ჩაიდინონ გარკვეული დანაშაულები და მოხვდნენ ციხეში. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ასეთი დანაშაულებით ისინი ემსახურებიან იმ დამკვეთებს, რომლებიც არიან ე.წ. „კარგი ბიჭები“ ციხეში. როდესაც მქონდა საუბარი ბავშვებთან, მათ არ დაუმალავთ, რომ ისინი იქმნიან საფუძველს იმისთვის რომ, როდესაც შევლენ ციხეში ძალიან კარგად იგრძნობენ თავს, იმიტომ, რომ იქ მფარველები გაუჩნდათ“ (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტი).

რესპონდენტთა დიდი ნაწილი ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებს კომბინაციაში განიხილავს და ამბობს, რომ ხშირია, როდესაც ბავშვი ერთდროულად ეკონომიკურად არასტაბილური, დისფუნქციური და კრიმინალური გამოცდილების მქონე წევრებით შემდგარი ოჯახიდანაა. ასეთ დროს, განსაკუთრებით მაღალია ბავშვის/მოზარდის მხრიდან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის რისკი.

2. დანაშაულის ჩადენის რისკ- ჯგუფები

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა იმ ჯგუფების შესახებ ისაუბრეს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის რისკ-ჯგუფებს წარმოადგენენ. ისინი თანხმდებიან, რომ ასაკი და სქესი დანაშაულის ჩადენასთან კორელაციაში მყოფი დემოგრაფიული მახასიათებლებია: ბიჭები/კაცები უფრო მეტად არიან დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილნი ვიდრე გოგონები/ქალები. ასაკობრივი თვალსაზრისით, 18-წლამდე ასაკობრივი კატეგორია უფრო მეტადაა მიდრეკილი არაკანონიერი ქმედებების ჩადენისკენ. რესპონდენტების

ნაწილის თქმით, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა არასრულწლოვანთა დანაშაული 14 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში. რესპონდენტები ამბობენ, რომ 14 წლამდე მოზარდებს სხვადასხვა ჯგუფები იყენებენ საკუთარი კრიმინალური საქმიანობის ინსტრუმენტად.

> „ასაკი ცალსახად ახდენს გავლენას, განსაკუთრებით მოზარდობის ასაკი, ეს არის ასაკი, როდესაც მოზარდში არის ფსიქოლოგიური დუღილი, მათ ახალი იდენტობები სჭირდებათ, ეწვევათ სექსუალობა, რომლისთვისაც ფსიქოლოგიურად მზად არ არიან და იწყებენ საკუთარი თავის ძალადობრივ დამკვიდრებას“ (ბავშვთა განვითარების ფსიქოლოგი).

მონაწილეთა თქმით, დანაშაულებრივი ქმედებისკენ მიდრეკილება ახასიათებს, აგრეთვე, სპეციფიკურ სამიზნე ჯგუფებს:

ა) ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, რომლებიც ცდილობენ მოწყალების თხოვნით ირჩინონ თავი, მაღალი ალბათობით, წარმოადგენენ დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილ სეგმენტს.

> „ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებში, სადაც ნაკლები მზრუნველობის სიჭარბეა, რა თქმა უნდა, მეტია ალბათობა იმისა, რომ ისინი იყვნენ ჩართულები დანაშაულში. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას რომ ისინი აუცილებლად ჩაიდნენ დანაშაულს“ (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტი).

ბ) ბავშვებთან მომუშავე ფსიქოლოგების თქმით, ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროებების მქონე ბავშვები, შესაძლოა, იყვნენ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისკენ მიდრეკილნი.

> „შეიძლება იყოს [...] ფსიქოპატია, ნარცისიზმის მაღალი დონე, რაც, ავტომატურად არა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში დაკავშირებულია რაღაცა ტიპის დანაშაულის ჩადენასთან (ბავშვთა განვითარების ფსიქოლოგი).

გ) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთი ექსპერტის მოსაზრებით, ბავშვები, რომლებიც ალტერნატიული ზრუნვის ინსტიტუტებში იზრდებოდნენ (მინდობით აღმზრდელი ოჯახი, მცირე საოჯახო ტიპის სახლი) და ხშირად იცვლიან ზრუნვის დაწესებულებებს, შესაძლოა, დანაშაულის ჩადენისკენ მეტად იყვნენ მიდრეკილნი. რესპონდენტის თქმით, ასეთ ბავშვებს არ აქვთ სხვა ადამიანებთან სიახლოვის შეგრძნება და ვერ იღებენ მხარდაჭერას უფროსებისგან; სწორედ ამიტომ, დანაკლისის ანაზღაურებას კრიმინალურ ჯგუფებში გაერთიანებით ცდილობენ/ახერხებენ.

> „ვისთანაც მე მიმუშავია, ბავშვების უმეტესობა იყვნენ ისინი, ვინც სახელმწიფომ განათავსა ან მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, ან მინდობით აღზრდაში. მსგავსი ბავშვები რამდენჯერმე იცვლიან საცხოვრებელ ადგილს, არ გრძნობენ მხარდაჭერას არავისგან, შემდეგ ეძებენ ალტერნატიულ მხარდაჭერას კრიმინალურ სუბკულტურაში“ (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტი).

3. კრიმინალური სუბკულტურის მიმზიდველობა

კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გაგება, თუ რა არის დანაშაულის ჩადენის მოტივები. კვლევის მონაწილეთა ნაწილი მიუთითებს, რომ ასეთ მოტივს ყოველთვის არ წარმოადგენს კრიმინალურ ჯგუფებთან დაახლოების სურვილი. ერთ-ერთი სკოლის მასწავლებლის თქმით, ჰქონია არაერთი შემთხვევა, როდესაც სკოლის მოსწავლეს ქურდობა ჩაუდენია (მოუპარავს საკვები, ფული და სხვ.). რესპონდენტების აზრით, დანაშაულის ჩადენისკენ მოზარდს, შესაძლოა, ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შეუძლებლობამ უბიძგოს.

> „მქონია შემთხვევა, როდესაც ბავშვებს მასწავლებლების ჩანთიდან ფული ამოუღიათ, ასევე ყოფილა შემთხვევა, როდესაც ბავშვს საკვები მოუპარავს, რადგან შიოდა და არ ჰქონდა საკვებზე წვდომა“ (სკოლის მასწავლებელი).

> “თუ ოჯახი სოციალურად შეჭირვებულია, მას არ სჭირდება კრიმინალური ავტორიტეტი, რომ მოიპაროს, ამისკენ მოზარდს სოციალური მდგომარეობა უფრო უბიძგებს” (სკოლის ფსიქოლოგი).

თუმცა, რესპონდენტების დიდი ნაწილის აზრით, დანაშაულის ჩადენის მიზეზი, ხშირ შემთხვევაში, კრიმინალური სუბკულტურის წევრად გახდომის სურვილი შეიძლება იყოს, რადგან ციხეში მოხვედრა ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა, რომ ადამიანი გახდეს კრიმინალური სუბკულტურის სრულუფლებიანი წევრი. თავის მხრივ, კრიმინალური სუბკულტურის წევრობა, ბავშვებისთვის მიმზიდველია, რადგან: ა) ხედავენ, რომ აღნიშნული ჯგუფი გავლენას ახდენს საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებზე (თვით პოლიტიკურ პროცესებზეც კი); ბ) კონკრეტულ ადამიანებს ეხმარებიან სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში/მოგვარებაში შესაბამისი ანაზღაურების/პატივისცემის სანაცვლოდ. ამგვარად, ბავშვებში ჩნდება განცდა, რომ კრიმინალური სუბკულტურის წევრები არ მუშაობენ და მხოლოდ „მოსამართლის“ როლს ასრულებენ და ასე შოულობენ მათი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის საჭირო დიდძალ რესურსს/ფინანსებს.

> „ზოგიერთ ბავშვს სჯერა, რომ არ ისწავლის, არ იშრომებს და მარტივად გახდება ავტორიტეტი, მას მოუსმენენ და ფულიც ექნება. მეორე მიზეზი ე.წ კანონიერ ქურდებზე სწორება, მათი მიბაძვა, მათთან ნაცნობობა და კონტაქტის სურვილია. არასრულწლოვნებს ეს მოსწონთ, მათნაირი ცხოვრება უნდათ, რომ მათ მსგავსად სამომავლოდ ვიღაცებს გადაუწყვიტონ პრობლემები, მათ დაეკითხონ აზრს და იყვნენ მათნაირები“ (სკოლის ფსიქოლოგი).

ფსიქოლოგები (ბავშვთა განვითარების ფსიქოლოგი, სკოლის ფსიქოლოგი) მიუთითებენ, რომ გარდატეხის ასაკში მყოფ მოზარდებში იზრდება საზოგადოებაში/გარშემო მყოფთა შორის თავის დამკვიდრების და ძალაუფლების მოპოვების/ლიდერობის სურვილი. ხოლო, კრიმინალური აქტივობა (იქნება ეს წვრილმანი ხულიგნობა თუ სხვა), კრიმინალური მენტალიტეტის მქონე ჯგუფებთან ურთიერთობა მოზარდებს უჩენს იმედს, რომ ისინი შეძლებენ გარკვეული უპირატესობის მოპოვებას სხვა მოზარდებთან შედარებით. გარდა ამისა, შესაძლებელია, რომ კრიმინალურ ჯგუფებთან ურთიერთობის მოტივაციას ქმნიდეს უსაფრთხოების მოპოვების სურვილი. რესპონდენტების თქმით, ზოგიერთი ბავშვი ფიქრობს, რომ თუ იქნება კრიმინალურ ჯგუფებთან ახლოს, მას ნაკლებად დაჩაგრავენ/შეაწუხებენ.

> „ეს არის ასაკობრივი თავისებურებების შედეგი, რადგან ამ ასაკში ადამიანი საკუთარი თავის დამკვიდრებას ცდილობს და საკუთარი „მე“-ს ძიებაშია. მოზარდს

> რთულ სიტუაციაში უწევს ცხოვრება და ისე ჩადის ზოგჯერ დანაშაულს, რომ ვერც აცნობიერებს შედეგს“ (სკოლის ფსიქოლოგი).

> „მოზარდობის ასაკში მძლავრია თავის დამკვიდრების სურვილი; ძალაუფლების და აღიარების სურვილი, რაც ასოცირდება კრიმინალურ ჯგუფებთან. ასევე, უსაფრთხოების განცდა მნიშვნელოვანია მათთვის ამ ასაკში და ფიქრობენ, რომ კრიმინალურ ჯგუფებთან სიახლოვით დაცულად იქნებიან“ (სკოლის ფსიქოლოგი).

ბავშვთა განვითარების ერთ-ერთი ფსიქოლოგის თქმით, მოზარდების ნაწილში კრიმინალური სამყაროს წევრები ასოცირებული არიან უსამართლობასთან ბრძოლასა და თავისუფლებასთან. რესპონდენტის აზრით, ასეთი წარმოდგენების შექმნას ხელს უწყობს სხვადასხვა ისტორიული თუ ლიტერატურული პერსონაჟი, რომელიც უპირისპირდება იმდროინდელ პოლიტიკურ რეჟიმს (არსენა მარაბდელი, კაკო ყაჩაღი, რობინ ჰუდი, ხარება და გოგია).

> „ბავშვობიდან გვესმის კაკო ყაჩაღი, არსენა მარაბდელი და რობინ ჰუდი; ისინი, მართალია, ყაჩაღები არიან, მაგრამ მათთან დაკავშირებულია სოციალური სამართლიანობის განცდა. კრიმინალის მიმართ მიზიდულობა ფსიქოლოგიურად ახსნადია, რამდენადაც კრიმინალურ პრაქტიკებში მონაწილეობა ხშირად ქმნის კარგი ადამიანობის, თავისუფლების ილუზიას“ (ბავშვთა განვითარების ფსიქოლოგი).

ბავშვთა განვითარების ფსიქოლოგებისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტების აზრით, ქვეყანაში კრიმინალური სუბკულტურის მიმართ ადამიანების ლოიალობა შესაძლოა განაპირობოს ხელისუფლების პოლიტიკამ/მმართველობის სტილმა. რესპონდენტები ამბობენ, რომ როდესაც ქვეყანაში ძირითადი ინსტიტუციები დეზორგანიზებულია (მაგ. პოლიცია) და ვერ ახერხებს ეფექტიანად გადაწყვიტოს მოქალაქეების პრობლემები, ასეთ დროს ადამიანები ეძებენ ალტერნატიულ საშუალებებს პრობლემების გადასაწყვეტად, სწორედ ამიტომ, მიდიან კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლებთან დახმარების მისაღებად. ასეთი მდგომარეობა მოზარდებზეც აისახება და სამართალდამცავი ორგანოების მიმართ უნდობლობას იწვევს, რადგან არ აქვთ განცდა, რომ სამართალდამცავი სტრუქტურები, საჭიროების შემთხვევაში, კვალიფიციურ დახმარებას გაუწევენ.

> „როდესაც ბავშვი პრობლემებს აწყდება, ის პოლიციაში არ რეკავს და ირჩევს პოტენციურად კანონთან კონფლიქტში ყოფნის გზას, რადგან არ აქვს პოლიციის იმედი, რომ ის მოუგვარებს პრობლემას, დამატებითი თავის ტკივილს გარეშე“ (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტი).

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო სტრუქტურები, ერთი მხრივ, უუნაროა პრობლემების მოსაგვარებლად, ხოლო, მეორე მხრივ, ზედმეტად რეპრესიულია კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების მიმართ (ვისაც პრობლემების მოგვარება ხელეწიფება), მოსალოდნელია, მოსახლეობას გაუჩნდეს თანაგრძნობა ამ ჯგუფის მიმართ, რაც საბოლოო ჯამში, კრიმინალური ჯგუფების გაძლიერებას გამოიწვევს ქვეყანაში.

> „ზოგადად, კრიმინალური სუბკულტურის პოპულარობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სახელმწიფოს სისუსტეა. მაგალითად, მოგპარეს ტელევიზორი და იცით, რომ კანონიერი გზებით მას ვერ დაიბრუნებთ, ამ დროს ადამიანი, პრობლემის მოსაგვარებლად, მიდის კრიმინალურ ავტორიტეტთან და არა სამართალდამცავებთან. ასეთ ვითარებაში, როდესაც სუსტი სახელმწიფო

ზედმეტად რეპრესიულია, ამ დროს შეიძლება მე მათ [კრიმინალურ წრეებს] დავუჭირო მხარი“ (ბავშვთა განვითარების ფსიქოლოგი).

ფოკუს ჯგუფების მონაწილე ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ იმაზეც, რომ ქვეყანაში არსებული კრიმინალური სუბკულტურა მიმზიდველი შეიძლება გახდეს რეპრეზენტაციული (ვიზუალური, ვერბალური და სხვ.) გამორჩეულობითაც. კერძოდ, კრიმინალური სუბკულტურის წევრებს გამოარჩევთ: ა) ჩაცმის სტილი (ძირითადად მუქი ფერის, უპირატესად შავი ფერის სამოსი); ბ) ლაპარაკის მანერა და ჟარგონული სიტყვების ხშირი გამოყენება; გ) ქუჩაში/“ბირჟაზე“ დიდი დროის გატარება და საყოველთაო ნაცნობობა. ასეთი გამორჩეულობა მოზარდებში მიმბაძველობის მოტივაციას აჩენს.

„ვიზუალურადაც კი განსხვავდებიან, აი, ჩაცმის სტილით ცდილობენ კრიმინალურ ავტორიტეტებს დაემსგავსონ, მუქ ფერებში იცვამენ. მეტყველებით მიმბაძველებიც არიან, ჟარგონულად, გაწელილად საუბრობენ. ამით გამოირჩევიან ისინი სხვა ბავშვებისგან“ (სკოლის მანდატური).

„უშუალოდ ქუჩაში ატარებენ დიდ დროს ეს ადამიანები, იქ გატარებული ძირითადი დრო ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა, რომ იმ წრეში მიღებულ ადამიანად ითვლებოდე“ (ბავშვთა განვითარების ფსიქოლოგი).

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები (საჯარო სკოლის მასწავლებლები, მანდატურები, ფსიქოლოგები) ხაზს უსვამენ იმას, რომ კრიმინალური სუბკულტურა როლურ მოდელებს ქმნის, რაც ახალგაზრდებზე ახდენს გავლენას. კრიმინალური სუბკულტურით დაინტერესებული ბავშვები, ხშირ შემთხვევაში, უარს ამბობენ განათლების მიღებაზე, რადგან ფიქრობენ, რომ ცხოვრებისთვის საჭირო რესურსების მოპოვებას არა განათლების მიღებითა და შემდგომ შრომით, არამედ ალტერნატიული, კრიმინალთან დაკავშირებული გზებით უფრო ეფექტიანად შეძლებენ. მოზარდები ასე ფიქრობენ, რადგან ხედავენ, რომ განათლებამიღებული ადამიანები ხშირად ვერ ახერხებენ ადეკვატური სამსახურისა და ანაზღაურების მიღებას. შესაბამისად, კრიმინალური სუბკულტურის წევრობა გარკვეულ აქტივობებში ჩართვას გამორიცხავს. ასეთი აქტივობები შეიძლება იყოს, მაგალითად, განათლების მიღება, დასაქმება, სამართალდამცავ სტრუქტურებთან თანამშრომლობა და სხვ.

“ზოგი მოზარდი ფიქრობს, რომ მაგალითად განათლების მიღება არ არის მისთვის მომგებიანი, ვინაიდან დედამისი, რომელმაც მიიღო განათლება, არც თუ ისე კარგად ცხოვრობს.” (სკოლის ფსიქოლოგი).

მოზარდებში კრიმინალური სამყაროს მიმართ ხიბლი, უკვე ზრდასრულ ასაკში, მათ გარშემო კრავს გარკვეულ წრეს, რომლებიც კრიმინალური მენტალიტეტის მატარებელი ადამიანებისგან შედგება. მეორე მხრივ, ასეთი არჩევანით, კრიმინალურ სამყაროსთან შეზრდილი ადამიანები კონფლიქტში მოდიან საზოგადოების სხვა ჯგუფებთან. „დანარჩენი“ საზოგადოებისთვის ისინი ასოცირდებიან დანაშაულთან, ციხესთან, და ბევრ სხვა უსიამოვნებასთან, რის გამოც უარს ამბობენ მათთან ინტერაქციაზე. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ძალიან რთულდება კრიმინალური გამოცდილების მქონე ადამიანისთვის „მოჯადოებული“ წრის გარღვევა და საკუთარი ცხოვრების წესის არსებითად შეცვლა. ასეთ შემთხვევაში, ფოკუს ჯგუფში მონაწილე ექსპერტები მიზნობრივი სერვისების მიწოდების აუცილებლობაზე მიუთითებენ, რათა წარსულში დამნაშავემ მოახერხოს საკუთარი ცხოვრების „განჯადოება“.

4. კრიმინალური სუბკულტურა - აღმავალი თუ დაღმავალი ტენდენცია? კრიმინალური სუბკულტურის წევრების მიმართ შეთავაზებული სერვისები

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებში არაერთგვაროვანი პოზიციაა იმასთან დაკავშირებით, წარმოადგენს თუ არა, დღესდღეობით, კრიმინალური სუბკულტურის მიმართ ახალგაზრდების დაინტერესება მეტ-ნაკლებად ძლიერ ტენდენციას. ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ბოლო წლებში სულ უფრო ნაკლები ახალგაზრდა არის დაინტერესებული კრიმინალური სამყაროს წევრობით. ბავშვთა განვითარების ერთ-ერთი ფსიქოლოგის თქმით, პენიტენციურ დაწესებულებებში მუშაობის პერიოდში, მას ხვდებოდნენ ბავშვები, რომლებსაც აღარ სურდათ საპატიმროეში ყოფნა და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გათავისუფლების შემდეგ აღარ დაუბრუნდებოდნენ ცხოვრების კრიმინალურ წესს.

> „ნამდვილად შეიცვალა ტენდენცია, ნელ-ნელა. ჩემთვის ხშირად უთქვამთ ბავშვებს, სულ სხვა რამე მეგონა და სინამდვილეში რა სისულელე ყოფილა. ბევრი ახალგაზრდისგან გამიგია, რომ აღარ უნდა ციხეში ყოფნა. ციხიდან გამოსვლა სურდა და იქ დაბრუნება - აღარ“ (ბავშვთა განვითარების ფსიქოლოგი).

სკოლის მასწავლებლები და მანდატურები ამბობენ, რომ ბოლო წლებში კრიმინალური აქტივობა ბავშვებისთვის ნაკლებად საინტერესოა. რესპონდენტები მიუთითებენ, რომ დღეს ბავშვების დიდ ნაწილს აქვს სხვადასხვა ინტერესი და მათი დაკმაყოფილების საშუალებები (მაგალითად კომპიუტერული თამაშები და სპორტი), რომლებიც აღარ არის დაკავშირებული კრიმინალურ სამყაროსთან იმ დოზით, როგორც ეს ადრე იყო. გარდა ამისა, ბავშვებს თავისუფალი დრო თითქმის არ აქვთ და დაკავებულები არიან ბევრი ფორმალური და არაფორმალური აქტივობით. დასახელდა, აგრეთვე, სახელმწიფოს როლიც, როგორც კრიმინალურ წრეებთან მებრძოლის და ის მკაცრი კანონმდებლობა, რომელიც კრიმინალური სუბკულტურის წევრების მიმართ მოქმედებს ქვეყანაში.

რესპონდენტთა მეორე ნაწილის (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტები) დაკვირვებით, ბოლო წლებში, კრიმინალური საქმიანობისადმი მოზარდების დაინტერესებამ, წინა წლებთან შედარებით, მოიმატა - „დიდი ხანია ამ სფეროში ვმუშაობ და რასაც ვხედავ ეს არის, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ნამდვილად გაუარესდა ვითარება და კრიმინალური მენტალიტეტი ისევ იკიდებს ფეხს“ (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტი). მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ერთ-ერთი ექსპერტი მიუთითებს, რომ ადრე კრიმინალურ საქმიანობაში ჩართულ ბავშვებთან კომუნიკაციის დამყარებას და მათი ნდობის მოპოვებას შედარებით ადვილად ახერხებდა ვიდრე ახლა. რესპონდენტის აზრით, ეს დაკავშირებულია სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ ნდობის დონის შემცირებასთან, რის გამოც მასაც ნაკლებად ენდობიან მოზარდები/ბავშვები, რადგან აღიქვამენ როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელს.

> „ადრე შემეძლო ბავშვის ნდობის მოპოვება, რომ რაღაც ტიპის თანამშრომლობაზე წავსულიყავით. ახლა სულ უფრო და უფრო რთულდება. ძალიან დაიკარგა ნდობა ყველანაირი სახელმწიფო სტრუქტურის მიმართ და ეს აისახა ჩემს საქმიანობაზე“ (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტი).

ბავშვთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტების თქმით, კრიმინალურ აქტივობაში ჩართვის მზარდი ტენდენციის მიზეზი ისაა, რომ მმართველ პოლიტიკურ ძალასა და კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლებს შორის არსებობს გარკვეული თანამშრომლობა. კერძოდ, ეს ეხება წინასაარჩევნოდ ე.წ. „ძველი ბიჭების“ აქტიურობას საარჩევნო პროცესებში. გარდა ამისა, კრიმინალური სუბკულტურის წევრებს

თავიანთი მიზნებისთვის იყენებენ საქართველოს საზღვრებს მიღმა მყოფი გავლენიანი კრიმინალური ავტორიტეტები, რომელთათვისაც სუბკულტურის წევრები ადგილობრივი „აგენტები“ არიან, რომლებსაც გარკვეულ დავალებებს აძლევენ და თავიანთ მოკავშირედ განიხილავენ - „ამ ხალხს [კრიმინალური სუბკულტურის წევრებს] იყენებს როგორც მთავრობა სხვადასხვა მიზნით, ისე ის კრიმინალური ხალხი ვინც დიდ ავტორიტეტად ითვლება„ (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტი). ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ კრიმინალური სუბკულტურის წევრები, ცდილობენ ბავშვები ჩაითრიონ კრიმინალურ საქმიანობაში, რათა შემდეგ გარკვეული დავალებების შემსრულებლები გახდნენ (სხვადასხვა წვრილმანი თუ მსხვილი დანაშაულის). კრიმინალური ავტორიტეტები ცდილობენ, რომ შეარჩიონ ისეთი ბავშვები, რომლებიც სხვადასხვა ტიპის დანაკლისს განიცდიან ოჯახში თუ ოჯახის გარეთ, ან არიან უსახლკარო, ან მოიხმარენ სხვადასხვა ტიპის ნარკოტიკულ/გამაბრუებელ ნივთიერებას (წებო, კანაფი, ფსიქოტროპული მედიკამენტები).

> „ბავშვი, რომელიც არ არის აღიარებული საზოგადოებაში, არ არის აღიარებული ოჯახში, სკოლაში აქვს გარკვეული პრობლემები, ზუსტად ასეთ ბავშვებზე არიან ჩასაფრებულები კრიმინალური ავტორიტეტები და ითრევენ მათ“ (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტი).

რესპონდენტები ამბობენ, რომ გავლენის მოსაპოვებლად, პირველ ეტაპზე, კრიმინალურ სუბკულტურასთან დაკავშირებული ბავშვები/მოზარდები ჩაგრავენ (ფიზიკური/ემოციური ძალადობა) მოწყვლად ბავშვებს/მოზარდებს, მათზე დომინირების მოპოვების მიზნით. ამის შემდეგ, დაჩაგრული ბავშვების მათ წრეში შეყვანას ცდილობენ, რაც მომგებიანია დაჩაგრული ბავშვებისთვის, იმ აზრით, რომ ისინი აღარ იქნებიან ძალადობის (ფიზიკური/ემოციური) მსხვერპლები. ასევე, ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვები, იქამდე სანამ მათ დაჩაგრავენ, წინასწარ გამოთქვამენ სურვილს იმეგობრონ და ითანამშრომლონ კრიმინალური მენტალიტეტის მქონე მოზარდებთან, რაც ჩაგვრისადმი ერთგვარი პრევენციული მექანიზმია.

პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებული სოციალური მუშაკების თქმით, არასრულწლოვანთა შორის ყველაზე გავრცელებულია ქურდობა/ხულიგნობა. როგორც უკვე აღინიშნა, ხშირ შემთხვევაში, ასეთი არასრულწლოვნების უკან კარგად ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფები დგანან, რომლებიც არასრულწლოვნებს აძლევენ მითითებებს და სხვადასხვა კრიმინალურ პრაქტიკებში რთავენ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე სპეციალისტების გამოცდილება

ფოკუს ჯგუფების მონაწილე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტები მიუთითებენ, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებისთვის სხვადასხვა სერვისის გაწევის გამოცდილება აქვთ, თუმცა სერვის(ებ)ი, როგორც წესი, „მიბმულია“ ამა თუ იმ პროექტზე და გააჩნია ასაკობრივი შეზღუდვაც. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, 14-წლამდე ბავშვების მიმართ ეფექტიანი სერვისების მწვავე დეფიციტია ქვეყანაში, რაც მნიშვნელოვანი ხარვეზია. არსებობს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი, რომელიც კრიმინალურ აქტივობებში ჩართულ ბავშვებს (მათ შორის, 14 წლამდე) აწვდის სერვისს. თუმცა, ამ ცენტრის საქმიანობას ნაკლებად ეფექტურად აფასებენ რესპონდენტები. ზოგადად, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული სერვისების მიმღები პირები არიან: ა) ყოფილი პატიმრები; ბ) პირობითი მსჯავრის მქონე პირები (პრობაციონერები). ხოლო, სერვისები ძირითადად უკავშირდება იურიდიულ

კონსულტაციას. სოციალური სერვისების კუთხით, არასამთავრობო სექტორი, გარდა იურიდიული დახმარებისა, ახორციელებს მიუსაფარ ბავშვთა დახმარების პროგრამას. თუმცა, აღნიშნული პროგრამა არ არის გრძელვადიანი და მხოლოდ 24 საათის განმავლობაში მიეწოდება დახმარება ბენეფიციარს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტების თქმით, ბოლო პერიოდში მათ მიერ მიწოდებული იურიდიული დახმარება ნაკლებ ეფექტიანია, რადგან სულ უფრო რთული ხდება სერვისის მიმღებთა დარწმუნება, რომ გადადგან იურიდიული თვალსაზრისით სწორი ნაბიჯები, რაც მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის შემსუბუქებას შეუწყობს ხელს. რესპონდენტების განმარტებით, ასეთი ქცევის მიზეზი ისაა, რომ ბენეფიციარებს დაკარგული აქვთ ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. მათ აქვთ განცდა, რომ არ მოექცევიან სამართლიანად, ამდენად, რთულდება კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის დაყოლიება საგამოძიებო სამსახურებთან თანამშრომლობაზე. აქ მნიშვნელოვანი ასპექტი ისაა, რომ კრიმინალური საქმიანობით დაკავებული პირებისთვის სამართალდამცავ სტრუქტურებთან თანამშრომლობა მიუღებლად ითვლება, რაც კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას. საბოლოო ჯამში, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები, ვისაც აქვს მოლოდინი, რომ უსამართლოდ მოექცევა სახელმწიფო ინსტიტუტები, არ თანხმდებიან თანამშრომლობაზე, რადგან თანამშრომლობის შემთხვევაში დიდია შანსი, რომ მათ პრობლემები შეექმნებათ კრიმინალური მენტალიტეტის მქონე პირების მხრიდან და არ აქვთ განცდა, რომ სახელმწიფო სტრუქტურები მათ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

> „იურიდიული კონსულტაცია ნელ-ნელა სულ უფრო კარგავს აზრს, იმიტომ რომ არავინ დარჩა [ინსტიტუცია] ვისაც ეს ბავშვი ენდობა“ (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტი).

ფოკუს ჯგუფების მონაწილე პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ გავლილი აქვთ სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. ამასთანავე, მათ აქვთ სრულწლოვან პირებთან მუშაობის გამოცდილებაც. უშუალოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის ფარგლებში სოციალურმა მუშაკებმა შეიძინეს ახალი ცოდნა არასრულწლოვან პრობაციონერებთან მუშაობის სპეციფიკის შესახებ, რაც გულისხმობს: ა) სამართლებრივ ნიუანსებში გარკვევას; ბ) არასრულწლოვანთა ქმედებების ფარული მნიშვნელობების (საზრისების) გაგებას; გ) არასრულწლოვანთა განვითარებისა და ემოციური თავისებურებების შესახებ ცოდნის მიღებას; დ) დანაშაულებრივი ქმედებების მონაწილე არასრულწლოვნების ნდობის მოპოვებასთან დაკავშირებული ტექნიკების შესწავლას. რესპონდენტების შეფასებით, ასეთი ტიპის გადამზადება ძალზე მნიშვნელოვანია, რათა შედეგზე ორიენტირებული სერვისები მიეწოდოს არასრულწლოვნებს.

> „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი სპეციალისტი, რომელიც მოზარდთან მუშაობს, გადამზადდეს. გადამზადება სხვადასხვა რამეს ეხება, იქნება ეს სამართლებრივი, თუ ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. ძალიან მნიშვნელოვანია თითოეულ სპეციალისტს ჰქონდეს გააზრებული, რომ რაღაც კონკრეტული ქმედება, რომელსაც ბავშვი ჩადის, სრულიად სხვა, ფარული ლოგიკით იყოს განპირობებული“ (პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი).

სოციალური მუშაკები გამოთქვამენ სურვილს, დამატებით გაიარონ სხვადასხვა ტრენინგი, რომლებიც მათ პროფესიული საქმიანობის შესრულების გაუმჯობესებაში დაეხმარება.

პროფესიული ზრდა მათთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც უაღრესად მგრძნობიარე თემებზე უწევთ მუშაობა, რომლებიც უკავშირდება განსაკუთრებით ბავშვების რთული ქცევის მართვას.

სოციალური მუშაკების შეფასებით, მათ მიერ მიწოდებული სერვისები, უმეტეს შემთხვევაში, ეფექტიანია, თუმცა არსებობს სივრცე გაუმჯობესებისთვის. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მათ მიერ მიწოდებული სერვისების მთავარი ნაკლი ისაა, რომ არ ხდება ბენეფიციარების საჭიროების მიხედვით სერვისების მიზნობრივი დიფერენცირება.

> „მომსახურების ნაწილთან მექნება კომენტარი, რომ შეგვეძლოს გარკვეული მომსახურება მოვარგოთ მოზარდების მოთხოვნაზე. ახლა პირიქით ხდება: **რესურსი გვაქვს, რომელსაც მოზარდი უნდა მოვარგოთ და არა პირიქით“** (პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი).

რესპონდენტების თქმით, პრობაციის სოციალური მუშაკები მუშაობენ პრობაციონერ არასრულწლოვნებთან და, აგრეთვე, ერთვებიან პროცესში მაშინ, როდესაც დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ გაფორმდება განრიდება. პირველ ეტაპზე, სოციალური მუშაკი ბენეფიციარს აწვდის ინფორმაციას, თუ რა ტიპის აქტივობებში მოუწევს მონაწილეობის მიღება და რა სახის დახმარებას უნდა ელოდოს პროგრამისგან. ამის შემდეგ იწყება უშუალოდ სხვადასხვა სერვისის მიწოდება.

5. მოზარდებში კრიმინალური მენტალიტეტის ფორმირების მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებმა გამოკვეთეს მოზარდებში კრიმინალური მენტალიტეტის ფორმირების მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები. კვლევაში მონაწილე რესპონდენტები თანხმდებიან იმაზე, რომ მოზარდების კრიმინალური ცნობიერების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს უფროსების ცხოვრებისეული გამოცდილებები. კერძოდ, **(1) მოზარდის კრიმინალურ სუბკულტურაში მოხვედრის რისკი ყველაზე მაღალია იმ ოჯახებში, სადაც ოჯახის წევრი/ნათესავი კრიმინალური სუბკულტურის (ქურდული სამყაროს) წევრია. (2) კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორია მოზარდის უგულებელყოფა მშობლების/მზრუნველის მხრიდან,** როდესაც მშობლები სათანადო ზრუნვას არ იჩენენ შვილების მიმართ. უგულებელყოფის დროს იზრდება ბავშვების კრიმინალური სუბკულტურის გავლენის ქვეშ მოხვედრის რისკი. მოსამართლეების დაკვირვებით, **(3) ოჯახში ძალადობის შემთხვევები ბავშვის კრიმინალურ სუბკულტურაში მოხვედრის კიდევ ერთი ფაქტორია.** მოზარდები ისეთ გარემოში იზრდებიან, სადაც უნებურად ხდებიან ძალადობის შემთხვევის მოწმეები. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალურმა მუშაკებმა და სკოლის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კრიმინალური მენტალიტეტის მქონე მოზარდებს შორის არიან ალტერნატიულ ზრუნვაში (მინდობითი აღზრდის, მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარები) მყოფი მოზარდები, რომლებიც **(4) სათანადო სერვისებს ვერ იღებენ სახელმწიფოსგან, რაც განაპირობებს მოზარდების კრიმინალურ სუბკულტურაში ჩართვას.** ამ მოსაზრებას კვლევაში მონაწილე მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებიც იზიარებენ და დამატებით აღნიშნავენ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის ადმინისტრაციისა და თანაკლასელების მიმღებლობას ალტერნატიულ ზრუნვაში მყოფ ბავშვების მიმართ. მოზარდის სკოლაში ადაპტაციის პროცესში განსაკუთრებული როლი ეკისრება სოციალურ მუშაკს.

> „სოციალურ მუშაკებთან ან მიმღებ ოჯახთან ცხოვრებისა და მუშაობის შემდეგ მოსწავლეების ქცევები უკეთესობისკენ იცვლება. თუმცა, დიდი

> მნიშვნელობა აქვს როგორ სკოლაში და კლასში მოხვდება და როგორ მიიღებენ მას კლასელები. შესაძლოა ის გახდეს ბულინგის სამიზნე თანაკლასელებისგან, ვინაიდან მათი თქმით, ის იმ არასრულფასოვანი ოჯახიდანაა, სადაც უარყვეს მშობლებმა ან მიატოვეს. თუ ბულინგის სამიზნემ გაუძლო წნეხს და დაიმკვიდრა თავი, შემდეგ თავად ხდება ხოლმე ბულინგის მაწარმოებელი“ (მანდატური; თბილისი)

ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ მოზარდებს შესაძლოა არ ჰქონდეთ კრიმინალური დაჯგუფებებში გაწევრიანების სურვილი, თუმცა, **(5) მათზე მოქმედებს კრიმინალური დაჯგუფებების შესახებ არსებული პოზიტიური შინაარსის სტერეოტიპული განწყობები.** მაგალითად, ის, რომ კრიმინალური მენტალიტეტის მქონე პირები პატივსაცემი, „სამართლიანობისთვის მებრძოლნი“ და მეგობრების ერთგულნი არიან. კრიმინალური სუბკულტურის მიმართ არსებული რომანტიზებული წარმოდგენები იწვევს ბავშვების დაინტერესებას. დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკების შეფასებით, მოზარდების ღირებულებები მყიფეა - „მოზარდებს არ აქვთ ჩამოყალიბებული ხედვა და აზრი იმის შესახებ, რა არის სწორი და რა - არასწორი“ (დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი). ერთ-ერთ მოსამართლეს პრაქტიკაში ჰქონია შემთხვევა, როდესაც ბრალდებული არასრულწლოვანი დაჟინებით ითხოვდა თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას, რომ საპატიმროში მოხვედრით კრიმინალური სუბკულტურის წევრი გამხდარიყო. **(6) მოზარდები ფსიქო-სოციალურად მოწყვლადები არიან, აქვთ სხვებთან მიკუთვნებულობის განცდის ქონის მოთხოვნილება, ადვილად ექცევიან გავლენის ქვეშ და ხდებიან მიმბაძველები** - „მოზარდებისთვის სოციალიზაცია და სამეგობრო ქსელის ქონა აუცილებელია, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ერთობლივი აქტივობები ზოგჯერ გულისხმობს კრიმინალურ ქმედებებსაც“ (დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი). გამოკითხვაში მონაწილე სკოლის ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ **(7) მოზარდებში კრიმინალური მენტალიტეტის გავლენას ხელს უწყობს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სოციალური ქსელების ხშირი გამოყენება.** მაგალითად, მსოფლიოში პოპულარული ვიდეო-თამაშები, ანიმაციური ფილმები, სოციალური ქსელები და ა.შ. ძალადობის შემცველია და მოზარდებს გადმოაქვთ და ამკვიდრებენ ყოველდღიურობაში. კვლევაში მონაწილე რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ არასრულწლოვნების კრიმინალურ დაჯგუფებებში მონაწილეობას, სხვა ფაქტორებთან ერთად, **(8) ხელს უწყობს მოზარდის ოჯახის მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა,** რაც გულისხმობს ოჯახების მიერ პრიორიტეტების იმგვარად განსაზღვრას, სადაც წამყვანია ოჯახის მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის ზრუნვა. ეს, შესაძლოა, გამოიხატებოდეს ოჯახის უფროსი წევრების მუდმივად საცხოვრებლის გარეთ ყოფნაში, რაც მოზარდებისთვის სათანადო ყურადღების მიქცევის და ზრუნვის შეუძლებლობას ნიშნავს. ეკონომიკურად უთანასწორო გარემო უბიძგებს ბავშვებს, რომ ჩაიდინონ კრიმინალური ქმედებები - „როდესაც იზრდებიან უთანასწორო გარემოში, ბავშვები ცდილობენ თავის დამკვიდრებას სხვადასხვა გზით, მათ შორის მიმართავენ ძალადობას და ქურდობას, რომ გააპროტესტონ სოციალურად უთანასწორო გარემოში მათი ყოფა“ (მოსამართლე). გაპროტესტებასთან ერთად, **(9) ბავშვები კრიმინალური ქმედებების ჩადენით მოიპოვებენ ძალაუფლებას** - „ანგარიშგასაწევი ადამიანები უნდათმ რომ იყვნენ. სურთ, რომ გააცნობიერონ საკუთარი თავის მნიშვნელოვნება“ (მოასამართლე). ასევე, გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ (10) მოზარდებისთვის უპერსპექტივო გარემო და **დროის ნაყოფიერად გასატარებლად შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა, კრიმინალურ სუბკულტურაში ჩართვის ხელშემწყობი ფაქტორებია.** რესპონდენტები

განსაკუთრებით სოფლის ტიპის დასახლებებზე სვამენ აქცენტს, სადაც, მაგალითად, არ არის ხელმისაწვდომი არაფორმალური განათლება, არასაკმარისია ინფრასტრუქტურა სპორტული აქტივობებისთვის და ა.შ. სოფლის მაცხოვრებელ მოზარდებში ბევრი თავისუფალი დროის ქონა ზრდის სუბკულტურის გავლენის ქვეშ მოხვედრის რისკებს და, ამდენად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. **(11) პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები ყურადღებას ამახვილებენ პანდემიის გავლენაზე.** მათი შეფასებით, მოზარდების ნაწილის მიერ ონლაინ სწავლების მიმართ ინტერესის დაკარგვით გაიზარდა კრიმინალური მენტალიტეტის მიმართ დაინტერესება - „ონლაინ სწავლის მიმართ ინტერესის დაკარგვამ განაპირობა კრიმინალური ქმედებების მიმართ ინტერესი“ (პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი). **(12) ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მომხმარება კრიმინალურ სუბკულტურაში მოხვედრის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია** - „მსუბუქი ნარკოტიკის სისტემატური მოხმარება ხელს უწყობს სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ჩადენას“ (მოსამართლე). როგორც კვლევაში მონაწილე ერთ-ერთმა მოსამართლემ განხილული საქმეების მიხედვით აღნიშნა, ხშირად მოზარდები დანაშაულს ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის ზეგავლენის ქვეშ ჩადიან. **(13) კანონის უზენაესობის პრობლემა და ინსტიტუტების მიმართ არასაკმარისი ნდობა დასახელდა ბავშვების კრიმინალურ ქმედებებში ჩართვის კიდევ ერთ ფაქტორად.** მაგალითად, მოზარდების წინაშე არსებული პრობლემები შესაძლებელია, რომ არაფორმალური გზებით, კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლის ჩართულობით მოგვარდეს. არსებობს შემთხვევები, როდესაც მოზარდებს სკოლის ადმინისტრაციისა და ოჯახის წევრების ჩარევის გარეშე სურთ თანატოლებთან კონფლიქტის მოგვარება, რასაც კრიმინალური დაჯგუფებების ჩარევით ახერხებენ. მოზარდებისთვის კრიმინალური სუბკულტურის ნორმების გაზიარება, უსაფრთხოების გარანტიების მოპოვებას ნიშნავს. როგორც ერთ-ერთმა მოსამართლემ აღნიშნა, კანონის უზენაესობის მიღწევა შეუძლებელია საზოგადოებაში კანონის უზენაესობის პოპულარიზაციის გარეშე, რაშიც სახელმწიფოს როლი უდიდესია - „თუ არ არსებობს სახელმწიფოებრივი ნება, თუ არ ხდება სამართლიანობის და კანონის უზენაესობის იდეის პოპულარიზაცია, იქ წინა პლანზე გამოდის კრიმინალური ცნობიერება“ (მოსამართლე).

6. კრიმინალური სუბკულტურის გავლენა მოზარდებზე

მოზარდები კრიმინალური სუბკულტურის მატარებელ ჯგუფებში დამკვიდრებას ჯგუფში არსებული წესების გაზიარებით ცდილობენ, როგორიც არის, მაგალითად, კრიმინალური ქმედებების ერთობლივად განხორციელება (ხულიგნობა, ბულინგი და ა.შ). კრიმინალური სუბკულტურის წევრობის მსურველი მოზარდი იწყებს მოქმედებას სუბკულტურის სხვა წევრების მსგავსად - „ეს შეიძლება იყოს თამბაქოს მოწევა, ჩაცმულობის სტილის შეცვლა. მაგალითად, შავი ჰუდითა და ჩაჩაჩული შარვლით სიარული, მათსავით საუბარი, მათი ქმედებების გამეორება და ა.შ.“ (ფსიქოლოგი; თბილისი). **კრიმინალური სუბკულტურის წევრი გამბედაობითა და ლიდერის უნარ-ჩვევების გამოვლენის შემთხვევაში სუბკულტურაში წესების მდგენელი ხდება, რითიც მოიპოვებს ნდობასა და ძალაუფლებას.** შესაბამისად, არსებულ იერარქიაში წინაურდება. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ კრიმინალურ სუბკულტურაში ძალიან ფასობს ერთგულება და საიდუმლოს შენახვა, ხოლო დაბეზღება - დასჯადია.

> „ხშირად ბავშვები დაუცველები არიან ხოლმე, როცა რაიმე ამბავი გამოაქვთ სააშკარაოზე, ვინაიდან მაღალია ალბათობა, რომ მას გაუსწორდებიან ამის გამო ისე, რომ ჩვენ შესაძლოა ვერც გავიგოთ. ამიტომ ბავშვები ირჩევენ

> დუმილს, რადგან იციან, რომ ჩვენც ბოლომდე შეიძლება ვერ დავიცავთ და ნდობაც ნაკლები აქვთ“ (სკოლის ფსიქოლოგი).

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კრიმინალური სუბკულტურა ძალზე მოქნილია, რაც იმაში გამოიხატება, რომ საწყის ეტაპზე მსგავსი ღირებულებების გაზიარება ხდება, რასაც მასწავლებელი ან მშობელი ბავშვს ასწავლის.

> „ურთიერთობა არ იწყება დანაშაულის ჩადენაზე საუბრით. არამედ ურთიერთობები ლაგდება საერთო ენის მოძებნით. საერთო ენას გამოვნახავთ, თუ გეტყვი, რომ კარგი შვილი უნდა იყო. დედაშენი კარგი ქალია, ამდენს შრომობს. ასე ლაგდება ურთიერთობები და შემდეგ ეტაპებზე ხდება დავალებების მიცემა. ბავშვს რისი დეფიციტიც აქვს - მოსმენის, გაგების, მთელი გულით საუბრის, ამას იღებს კრიმინალური მენტალიტეტის მქონე პირისგან“ (მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტი);

კრიმინალურ სუბკულტურაში მოხვედრილი არასრულწლოვნები თავდაპირველად დავალებებს არ ასრულებენ, არამედ ერთვებიან ერთობლივ აქტივობებში, რომლებიც ეტაპობრივად კრიმინალურ ქმედებებში გადაიზრდება. სწორედ ამ დროს ხდება მოზარდი კრიმინალური სუბკულტურის სრულფასოვანი წევრი - „ფსევდო ღირებულებების ირგვლივ გაერთიანება კარგი შირმაა იმისთვის, რომ ლიდერებმა მიაღწიონ თავიანთ მიზანს. ფსევდო ღირებულებები ძალიან მყიფეა და იცვლება მაღალი იერარქების მიერ, კონკრეტული ინტერესებიდან გამომდინარე. ერთ დღეს შეიძლება ერთი ღირებულება ერთს ნიშნავდეს, მეორე დღეს კი - სხვას“ (მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტი); **კრიმინალური სუბკულტურის გავლენის ზრდა პირდაპირპროპორციულად აისახება არასრულწლოვნების არჩევანზე. მაგალითად, განათლების მიღების, დასაქმების ადგილის და ა.შ. შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.**

თვისებრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტები თანხმდებიან იმაზე, რომ **მოზარდებზე კრიმინალური სუბკულტურის გავლენა სხვადასხვა ხარისხის არის და უმეტესწილად მოზარდების ცალკეულ ქცევებში ვლინდება (ლექსიკა, ჩაცმულობა და ა.შ.). ამდენად, უფრო მართებულია ითქვას, რომ მოზარდების ცხოვრების წესი შეიცავს კრიმინალურ ელემენტებს.** სკოლის მანდატურები ყურადღებას ამახვილებენ მომრავლებულ კიბერბულინგზე, რაც ძალადობის სხვა ფორმებისგან განსხვავებით სიახლეს წარმოადგენს. რესპონდენტების ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ მოსწავლეებში ძალადობა ისეთი ხილული არ არის, როგორიც ის მაგალითად, 10 წლის წინ იყო - „შეიძლება ითქვას, ბულინგის მეთოდები მოსწავლეებში დაიხვეწა. შეფარული ხასიათი აქვს და თავიდან რთულია გამოვლენა“ (სკოლის მასწავლებელი; აღმოსავლეთ საქართველო).

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ ბოლო წლებში შეიმჩნევა მოზარდების ინტერესის ზრდა ნეო-ნაცისტური დაჯგუფებების მიმართ - „ნეონაცისტებს რომ მიაკუთვნებენ თავს და მხოლოდ ქართველები რომ უნდა იყვნენ, ასეთ მოზარდებთან მქონია ურთიერთობის გამოცდილება, რაც ბოლო 5 წელში სიახლეა“ (პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი). ნეონაცისტური დაჯგუფებების მთავარი სამიზნეები ქვიარ თემის წევრები და ეთნიკური უმცირესობები არიან.

> „ერთ-ერთი ჯგუფური სარეაბილიტაციო პროგრამის დროს, თემა შეეხო პირსინგის, საყურის და სამკაულების ტარების საკითხს და იმდენად აგრესიულად იყვნენ განწყობილნი ჯგუფში მონაწილე 14-იდან 16 წლამდე ასაკის 5-6 ბიჭი, რომ თქვეს, შეიძლება ფიზიკურად გავუსწორდეთო, რადგან კაცურ ჩარჩოებში არ ზის და არ უხდება ბიჭს პირსინგიო“ (პრობაციის

ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი).

„ეთნიკური ნიშნით სიძულვილი თელავში აქტუალური თემაა იმიტომ, რომ აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს კომპაქტურად“ (პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რესპონდენტები საკუთარი აღქმების მიხედვით აფასებენ მოზარდების კრიმინალურ ქმედებებში მონაწილეობის რაოდენობის მატება-შემცირებას. ერთ-ერთი ფსიქოლოგის დაკვირვებით, კრიმინალური დაჯგუფებების რაოდენობა შემცირებულია - „ადრე თუ ყველა უბანს ყავდა გარკვეული ჯგუფები, ახლა შემცირებულია ან აღარ ყავს“ (სკოლის ფსიქოლოგი;). ამ მოსაზრებას სკოლის ფსიქოლოგების მეორე ნაწილი და ექსპერტები არ იზიარებენ და აღნიშნავენ, რომ კრიმინალური ჯგუფების გავლენის მატებასა და შემცირებას განსაზღვრავს სახელმწიფოს პოლიტიკა კრიმინალის და კონკრეტულად კრიმინალური მენტალიტეტის მიმართ. **რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ 1990-იან წლებთან შედარებით, კრიმინალური სუბკულტურის გავლენა არსებითად შემცირებულია, მაგრამ ბოლო წლების ვითარების შედარებისას თვალსაჩინოა, რომ კრიმინალური ქმედებები მოზარდებში გაზრდილია.** ექსპერტების შეფასებით, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობის დაკარგვის გამო, ბოლო წლებში გართულდა არასრულწლოვნებთან თანამშრომლობა.

„ბავშვებს კატეგორიულად არ უნდათ რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურასთან ურთიერთობა იმიტომ, რომ გამოცდილებაში აქვთ ნდობის გაცრუება. დღევანდელი შემთხვევა რომ ავიღოთ, სოციალური მუშაკი იმდენად ხშირად იცვლება, რომ ბავშვი არის სტრესში. ბავშვი მეოთხე სოციალურ მუშაკთან არის და მეოთხემ გვითხრა მივდივარო, მეხუთეს გადავაბარებო“ (ექსპერტი მართლმსაჯულების საკითხებში).

მანდატურების შეფასება განსხვავებულია. ისინი ფიქრობენ, რომ **ახლანდელი მოზარდები მოტივირებულები არიან მიიღონ განათლება და შეძლონ დასაქმება საკუთარი შემოსავლის გაჩენის მიზნით, რაც გაზრდის მათი დამოუკიდებლობის ხარისხს** - „მაღალ კლასებში უმრავლესობა ემზადება ეროვნული გამოცდებისთვის. მათი პრიორიტეტია განათლების მიღება“ (სკოლის მანდატური; აღმოსავლეთ საქართველო). დასაქმების მიმართ ინტერესზე ყურადღებას პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკებიც ამახვილებენ და აღნიშნავენ, რომ ბოლო წლებში კრიმინალური სუბკულტურის წევრ მოზარდებში გაჩნდა დასაქმების მიმართ ინტერესი - „ყოფილა შემთხვევები, როდესაც დასჭირდათ მუშაობა და იმუშავეს პერიოდულ სამუშაოზე, ერთ არასრულწლოვან მსჯავრდებულთან ვმუშაობ, რომელიც საწყის ეტაპზე გამორიცხავდა სპორტულ აქტივობებში ჩართვას და დასაქმებას, მაგრამ რაღაც დროის შემდეგ მითხრა, რომ მუშაობა დაიწყო, ეს იყო სრული სიურპრიზი ჩემთვის“ (პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი). სკოლის მასწავლებლების შეფასებით, უფროსკლასელების ერთი ნაწილი დასაქმებულია სეზონურად, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში.

კრიმინალური მენტალიტეტის გავლენაზე საუბრისას, მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ მათ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც პირებს ბრალად ცრუ ჩვენების მიცემა ედებათ, სწორედ იმიტომ, რომ კრიმინალური სუბკულტურის წესებით მოქმედებენ, რომელთა მიხედვითაც ჩაშვება მკვეთრად მიუღებელი საქციელია - „თვითმხილველმა მოწმემ მისცა აღიარებითი ჩვენება, მაგრამ სასამართლოში ცვლის, რადგან უბნის, თუ სამეგობროს გავლენით ცუდ საქციელად ითვლება გამოძიებასთან თანამშრომლობა (მოსამართლე).

რესპონდენტების ერთ ნაწილში გამოიკვეთა მოსაზრება, რომ კრიმინალური სუბკულტურის რაობა, მისი გავლენის ხარისხი მოზარდებზე და მოზარდების სუბკულტურის წევრობისკენ მიდრეკილება განსხვავებულია არამხოლოდ ქალაქის და სოფლის, არამედ ქალაქის უბნების მიხედვითაც.

7. კრიმინალური სუბკულტურისა და ცნობიერების გამოვლინება სკოლებში

სკოლებში კრიმინალური მენტალიტეტის მქონე არასრულწლოვნები შიშის დანერგვით მოიპოვებენ ავტორიტეტს და რიდს სკოლის დანარჩენ მოსწავლეებში. კრიმინალური მენტალიტეტის მქონე მოსწავლეები გამოირჩევიან გამბედაობითა და უხეშობით და მათი ქცევები ხშირად გამოხატულია დაწესებული ნორმების მიმართ დაუმორჩილებლობაში (საკლასო პროცესის წესების გაუთვალისწინებლობა, მასწავლებლებთან ურთიერთობისას ეთიკური ნორმების დაუცველობა და ა.შ). კრიმინალური სუბკულტურის წევრობა კავშირშია მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან. მოსწავლეთა ნაწილში მსუბუქი ნარკოტიკული საშუალება („მარიხუანა“) აღქმულია ანტიდეპრესანტად. ექსპერტების შეფასებით, ბოლო წლებში ნარკოტიკული საშუალებები უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდა მოსწავლეებისთვის - „ყურადსაღებია ის, რომ ძალიან იმატა მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარებამ. ხელმისაწვდომი გახდა, რაც ძალიან დიდი პრობლემაა“ (მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტი). როგორც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, კრიმინალური მენტალიტეტის მქონე მოსწავლეების სარგებელი ვლინდება სკოლის მოსწავლეებზე ზეგავლენის შედეგად მატერიალური სარგებლის მიღებაში (ნივთი, ფული და ა.შ.).

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების შეფასებით, წლების წინ, ძირითადად, სკოლის მოსწავლეების ორი ტიპი იყო გამოკვეთილი - 1) მოსწავლეები, რომლებიც მოწესრიგებულები არიან, აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრება და კრიმინალური სუბკულტურისგან დისტანცირებულები არიან და 2) მოსწავლეები, რომლებსაც დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ, იყენებენ უცენზურო ლექსიკას, აქვთ კონკრეტული ჩაცმის სტილი და მიდრეკილებები კრიმინალური ქმედებების ჩადენისკენ. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ **ამჟამად, კრიმინალური მენტალიტეტის მქონე და არმქონე მოსწავლეების იდენტიფიცირება ისე მარტივი აღარ არის, როგორიც ის ადრე იყო** - „ახლა უფრო რთულია ერთი შეხედვით მიხვდე, რა მისწრაფებები აქვს მოსწავლეს, რამდენად ახლოა ან შორს კრიმინალურ სუბკულტურასთან“ სკოლის ფსიქოლოგი; აღმოსავლეთ საქართველო). ქალაქის ტიპის დასახლების სკოლებში მომუშავე რესპონდენტები (ფსიქოლოგები. მასწავლებლები) აღნიშნავენ, რომ გოგონებსა და ბიჭებში ცხოვრების წესი, ჩაცმულობა, ლექსიკა და ა.შ. სულ უფრო მეტად უნივერსალური გახდა. ამის მიუხედავად, ყველაზე ხშირად ბულინგის სამიზნე ის მოზარდები არიან, რომელთა გარეგნობა სხვებისგან მკვეთრად განსხვავებულია - „ზოგადად, გამრავალფეროვნდა ჩაცმულობა ბოლო წლებში, მაგრამ, მე ვიტყოდი, რომ განსხვავებული გარეგნობის ბიჭს უფრო ერჩიან, მაგალითად, თმაშეღებილს ან პირსინგებიანს“ (ფსიქოლოგი; თბილისი). ბულინგის სამიზნეები ხდებიან სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლეები, რომლებსაც, როგორც წესი, უჭირთ კლასში დამკვიდრება. სკოლის მასწავლებლების ფოკუს ჯგუფებში ერთმანეთისგან განასხვავეს საჯარო და კერძო სკოლებში არსებული მდგომარეობა კრიმინალური მენტალიტეტის გავლენის თვალსაზრისით. მასწავლებლების ერთი ნაწილის შეფასებით, კერძო სკოლებში განსხვავებული ქცევისა და სტილის მქონე მოსწავლეების მიმართ მიმღებლობა მეტია, ვიდრე საჯარო სკოლებში - „კერძო სკოლაში გვყავს ბიჭები, რომლებიც ატარებენ შეღებილ გრძელ თმას, უკეთიათ საყურეები, რაც საერთოდ არ არის სირცხვილი და იქ არავისი ეშინიათ. ეს ბავშვები, მაგალითად, რომ სწავლობდნენ საჯარო სკოლაში, აუცილებლად გახდებოდნენ ბულინგის სამიზნეები“

(სკოლის მასწავლებელი; დასავლეთ საქართველო).

რესპონდენტები (სკოლის ფსიქოლოგები, მასწავლებლები და მანდატურები) თანხმდებიან იმაზე, რომ **კრიმინალური მენტალიტეტი უფრო მეტად გავრცელებულია შუა კლასების (7-9) მოსწავლეებში და ნაკლებად მაღალ (10-12) კლასებში. მაღალ კლასებში მოსწავლეების მოტივაციები და სამომავლო მიზნები უფრო მეტად ჩამოყალიბებულია. ამას გარდა, უფროსკლასელებს უფრო მეტად აქვთ გააზრებული კრიმინალური ქმედებების მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები** - „ე.წ. გარდატეხის ასაკი არის კრიტიკული, როგორც ბიჭისთვის, ისე გოგოსთვის“ (სკოლის მასწავლებელი; აღმოსავლეთ საქართველო).

რესპონდენტების შეფასებით, სკოლებში მოსწავლეების მხრიდან კრიმინალური სუბკულტურის ცნობიერება ვლინდება ფსიქოლოგიურ (მათ შორის, კიბერ) ბულინგში (გარიყვა, სიტყვიერი შეურაცხყოფა) და ფიზიკურ ძალადობაში. ასევე, ისეთ კრიმინალურ ქმედებებში, როგორებიცაა ფულის გამოძალვა (ძირითადად უფროსკლასელების მხრიდან უმცროს კლასელებისგან) და ქურდობა. რესპონდენტებმა დაასახელეს როგორც ე.წ. “ბულერების”, ისე ბულინგის სამიზნე მოსწავლეთა მახასიათებლები. **სკოლაში “ბულერები” გამოირჩევიან აქტიური ქმედებებით, არიან აგრესიულები, უჭირთ ემოციების მართვა და აქვთ დაბალი აკადემიური მოსწრება. ჩაგრული მოსწავლეებისთვის დამახასიათებელია ჩაკეტილობა, გარიყულობა, სამეგობრო წრის არქონა და მორიდებულობა. თუმცა, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, მჩაგვრელ და ჩაგრულ მოზარდებს ერთი საერთო მახასიათებელი აქვთ - ეს არის დაბალი თვითშეფასება.**

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სკოლაში კრიმინალური მენტალიტეტი ისეთი პოპულარული არ არის, როგორიც ის 20 წლის წინ იყო - „აღზრდის ამბავი იყო, იმათ ყველაფერი შეეძლოთ, გავლენა ჰქონდათ საზოგადოებაზე, მარტივად მიუწვდებოდათ ხელი, დღევანდელი ახალგაზრდობა გაცილებით საღად და რეალურად მსჯელობს“ (სკოლის მასწავლებელი; დასავლეთ საქართველო). ამის მიუხედავად, სკოლაში მომუშავე რესპონდენტების შეფასებით, მოსწავლეებს შორის ბულინგი ძალიან გავრცელებულია. სკოლის პედაგოგები ყურადღებას ამახვილებენ უფროსი ასაკის მოსწავლეების მხრიდან უმცროსკლასელების ბულინგის გახშირებულ შემთხვევებზე.

ბულინგი გამოიხატება უცენზურო მიმართვით, როგორც ვირტუალურად (კიბერბულინგი), ისე პირისპირ, ხოლო გარიყვა - იგნორირებაში. სკოლის მანდატურების გამოცდილებით, უფროსკლასელები ცდილობენ უმცროსკლასელების მართვას, რომ მათთვის სასარგებლო ქმედებები ჩაადენინონ - „დაბალი კლასის მოსწავლეები ავალებენ, რომ მოიპარონ მაღაზიიდან პროდუქტი და მიუტანონ მათ“ (მანდატური; დასავლეთ საქართველო). არსებობს შემთხვევები, როდესაც მაღალი კლასის მოსწავლეები ფიზიკურად ძალადობენ დაბალი კლასის მოსწავლეებზე. ფიზიკური დაპირისპირების მიზეზები სხვადასხვაა, თუმცა, ყველაზე ხშირად კონფლიქტი ხუმრობის ფორმით გამოთქმული შეურაცხმყოფელი რეპლიკების გამო ხდება - „ჯერ ეხუმრებიან ერთმანეთს და საბოლოოდ ფიზიკურად ეხებიან ხოლმე“ (მანდატური; დასავლეთ საქართველო). ასეთ დროს გამოიყენება კომპლექსური მიდგომა და პროცესში მანდატურების გარდა სხვა სპეციალისტებიც ერთვებიან (მაგალითად, სოციალური მუშაკები, პოლიცია და ა.შ.). მოსწავლეებს შორის დაპირისპირების დროს მანდატურთან ერთად ერთვებიან დამრიგებელი და მშობლები. კომუნიკაციის მიზანია კონფლიქტის მიზეზების გარკვევა და მოსწავლეების იმაში დარწმუნება, რომ ერთმანეთს სცენ პატივი. კონფლიქტების მიზეზების შესასწავლად აუცილებელია მოსწავლეებთან აქტიური კომუნიკაციის ქონა.

მანდატურებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს შორის გამოიკვეთა მოსაზრება, რომ სკოლებში გავრცელებულია ქურდობა (ძირითადად, სავაჭრო ობიექტებში), რომელსაც არა მხოლოდ ბიჭები, არამედ გოგონებიც სჩადიან. მაღალი კლასის მოსწავლეები 14 წლამდე ასაკის მოსწავლეებს ავალებენ, რომ იქურდონ, რადგან იციან, რომ არ მოხდება მათი თავისუფლების აღკვეთა - „მქონია ასეთი შემთხვევა, რომ 16-17 წლის ბავშვებმა აიძულეს 12-13 წლის მოზარდები, შესულიყვნენ მაღაზიაში და ტკბილეული მოეპარათ." (მანდატური). ერთ-ერთი მანდატური იხსენებს შემთხვევას, როცა მოსწავლეების მიერ ქურდობის შესახებ მშობლებს შეატყობინეს. მშობლების რეაქცია საინტერესო იყო იმ თვალსაზრისით, რომ ბავშვების მიერ ჩადენილი ქმედება მშობლების მიერ მნიშვნელოვან პრობლემად არ ყოფილა აღქმული - „უფრო აღიქვეს „ბავშვურ ცუღლუტობად" ვიდრე სერიოზულ დანაშაულად" (მანდატური; თბილისი). მშობლების ინტერესი უფრო მეტად ის იყო, რომ საკუთარი შვილის ქმედება გაემართლებინათ და პასუხისმგებლობა შვილის დანაშაულის თანამონაწილე თანაკლასელზე გადაეტანათ - „მშობლებმა სკოლაშივე დაიწყეს კამათი იმაზე, თუ ვისი ბრალი იყო ბავშვის ეს ქმედება" (მანდატური; თბილისი). ერთ-ერთ მანდატური იხსენებს შემთხვევას, როდესაც გოგო თანაკლასელებს საკუთარი ძმით აშინებდა, რადგან ის კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელი იყო - „აბულინგებდა, აყენებდა როგორც სიტყვიერ, ისე ფიზიკურ შეურაცხყოფას თანაკლასელ გოგოებს" (მანდატური; თბილისი). მანდატურების შეფასებით, როგორც წესი, გოგონებს შორის კონფლიქტის მიზეზები ბიჭებთან არის დაკავშირებული - „ვის ვინ მოწონს, ძირითადად ამაზეა კამათი" (მანდატური; თბილისი). კრიმინალური მენტალიტეტი გავლენა ბიჭებში იმ მხრივ ვლინდება, რომ საშინაო დავალების შესრულება და გაკვეთილის მოყოლა არ არის ბიჭებისთვის მოსაწონი ქცევა - „მათივე თქმით „ტეხავს" გაკვეთილის მოყოლა" (მანდატური; თბილისი).

როგორც მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მოსწავლეები ცდილობენ, რომ კონფლიქტი არ იყოს ხილული, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში ეს არ გამოსდით.

> „ყოფილა შემთხვევები, როცა უცდიათ მოზარდებს თავად მოეგვარებინათ კონფლიქტი, მაგრამ ვერ მოახერხეს და შემდეგ ხილული გახდა ჩვენთვისაც სიტყვიერი თუ ფიზიკური დაპირისპირებები" (მანდატურები; დასავლეთ საქართველო)

მანდატურების ერთი ნაწილი ერიდება, დანაშაულად მოიხსენიონ მოზარდების მიერ ჩადენილი ესა თუ ის კრიმინალური ქმედება, რადგან, მათი აზრით, დევიანტურ ქმედებებს მოზარდები, როგორც წესი, რაციონალური განზრახვით არ სჩადიან. კრიმინალური მენტალიტეტის მქონე მოსწავლეების არაპროგნოზირებადი ქცევის მართვა სკოლის პედაგოგებისთვის გამოწვევას წარმოადგენს - „მე მყავდა მოსწავლე, რომლის ბიძაც იყო დაჭერილი და ის ამით ამაყობდა. მეტყველებდა უცენზურო სიტყვებით, შეეძლო ამდგარიყო და დაუკითხავად გასულიყო საკლასო ოთახიდან. ძალიან მძიმეა, როდესაც ბავშვი ასე იზრდება და პედაგოგი ხვდება, რომ ბავშვი იღუპება, მასთან ძალიან ფრთხილი მოპყრობაა საჭირო. აქ ყვირილით, რაღაც მკაცრი ზომების მიღება, მე ვფიქრობ, რომ არ შეიძლება" (სკოლის მასწავლებელი; თბილისი). გამოწვევაა მშობლებთან ურთიერთობა და შვილის კრიმინალურ სუბკულტურაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის ადეკვატურად აღქმა.

> „იყო შემთხვევები, როდესაც პედაგოგმა მშობელს გააგებინა მისი შვილის საჭირბოროტო მდგომარეობა და მშობელი მოუტრიალდა და უთხრა, ეს არის ჩემი შვილი და მის პირადში თქვენ ნუ ჩაერევითო. ამიტომ, ძალიან დიდი

> სიფრთხილე გვმართებს. ყველა მშობელი ერთნაირად არ იღებს. მაგრამ მშობელი უნდა იყოს ინფორმირებული, რადგან ვერავისთან ვერ წახვალ მშობლის გარეშე, თუ მან არ დაგრთო ნება, ვერავის ჩააყენებ საქმის კურსში, ვერც დირექციას და ვერც სოციალურ მუშაკს“ (სკოლის მასწავლებელი; თბილისი).

რთული ქცევის მოსწავლეებთან მუშაობისას ფსიქოლოგების ჩართულობის მნიშვნელობაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ პედაგოგები. ერთი ნაწილის შეფასებით, მოსწავლეების მხრიდან კრიმინალურ ქმედებებს ხელს უწყობს ინფორმაციის ფლობა იმის შესახებ, რომ მოზარდებს პასუხისმგებლობა არ დაეკისრებათ კრიმინალური ქმედების ჩადენის შემთხვევაში. მანდატურებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში გამოიკვეთა მოსაზრება, რომ მოსწავლეები კრიმინალურ ქმედებებს ძირითადად სკოლის გარეთ ჩადიან, რადგან ცდილობენ შეუმჩნეველნი იყვნენ სკოლის ადმინისტრაციის და მანდატურის სამსახურის მხრიდან.

> „ჩემი გამოცდილებით, ეს ბავშვები საკმაოდ ჭკვიანები არიან იმისათვის, რომ რაიმე კრიმინალური ინტერესები ან ქცევები სკოლაში გამოხატონ. სამაგიეროდ, სკოლის მიღმა, ინტერნეტსივრცეში ან ქუჩაში შესაძლოა ამას აქტიურად გამოხატავდნენ თანატოლებთან“ (მანდატური; აღმოსავლეთ საქართველო).

> „მე მქონდა ასეთი შემთხვევა ერთ მოსწავლეზე, რომ გარკვეულ დაჯგუფებებთან ქონდა სკოლის გარეთ კავშირი, როცა სკოლაში იყო ძალიან მოწესრიგებული, მაღალი აკადემიური მოსწრების ბავშვი იყო. ამ დაჯგუფებამ რამდენიმე ვანდალიზმი ჩაიდინა.. კარგად იციან ნამდვილად მათი ინტერესების შენიღბვა და ამას ცალსახად არ გამოხატავენ სკოლაში“ (მანდატური; აღმოსავლეთ საქართველო)

როცა მასწავლებლები ხედავენ მოსწავლეებში კრიმინალური ქმედებებისკენ მიდრეკილებას, პირველ რიგში საქმის კურსში აყენებენ კლასის დამრიგებელს. დამრიგებელი, ინფორმაციის მოძიების შემდგომ, ამცნობს მშობელს და დირექტორს; დირექტორი კი საჭიროების მიხედვით მოქმედებს და მშობლის ჩართულობით, მოსწავლეს ამისამართებს სოციალურ მუშაკთან და/ან ფსიქოლოგთან. შესაძლოა საჭირო გახდეს მანდატურის ჩართვაც. გადამისამართებისას მნიშვნელოვანია სიფრთხილის გამოჩენა, რომ დაცული იყოს მოსწავლის კონფიდენციალურობა და გავლენა არ იქონიოს სასწავლო პროცესზე.

თვისებრივ კვლევაში მონაწილე სკოლის მასწავლებლებმა და მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს შორის ადგილი აქვს ხოლმე ფიზიკურ დაპირისპირებას. ასეთ ვითარებაში დიდია რისკი, რომ დაპირისპირება გაგრძელდეს სკოლის ფარგლებს გარეთ. ამიტომ მანდატურები ცდილობენ, რომ ინფორმირებულები იყვნენ შესაძლო კონფლიქტების შესახებ. ინფორმაციის მოპოვებისთვის მანდატურები სხვადასხვა სტრატეგიას იყენებენ, რაც ძირითადად, მოსწავლეებთან მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებით მათი ნდობის მოპოვებას გულისხმობს. ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებთან თანამშრომლობის ხარისხს კლასის ლიდერ(ებ)ის მხრიდან გამოვლენილი ღიაობა და თანამშრომლობის სურვილი განსაზღვრავს - „ეს განწყობა ნამდვილად შემიმჩნევია. თუკი ესირცხვილება კლასის რამდენიმე ლიდერ წევრს ფსიქოლოგთან კომუნიკაცია და დიალოგი, შესაძლოა, ეს განწყობებიც გადავიდეს სხვა

მოსწავლეებზე“ (ფსიქოლოგი; თბილისი).

რესპონდენტების შეფასებით, ბოლო წლებში მოსწავლეებში მანდატურის ინსტიტუტის მიმართ ნდობა მზარდია. თავდაპირველად, 2010 წელს, მანდატურის სამსახურის დაარსების პერიოდში, ინსტიტუტის მიმართ ბევრი კრიტიკული მოსაზრება არსებობდა. თუმცა, დროთა განმავლობაში ინსტიტუტის როლი, ფუნქცია და საჭიროება უფრო მიზნობრივი გახდა. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, მანდატურის სამსახური ორი მიმართულებით მუშაობს - სკოლებში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისა და მოსწავლეების ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერის მიმართულებებით. სკოლის ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ უმეტეს შემთხვევაში სკოლაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას ახდენს მანდატური, ხოლო ფსიქოლოგები სკოლის ადმინისტრაციის მეშვეობით იღებენ ინფორმაციას. მანდატურები, ფსიქოლოგების შეფასებით, კარგად გადამზადებულები არიან და აქვთ შესაბამისი ცოდნა და უნარები, რომ ადვილად ამოიცნონ ბულინგის შემთხვევა და უზრუნველყონ უსაფრთხო გარემო სკოლაში.

სკოლის ფსიქოლოგებმა ისაუბრეს იმ სტრატეგიების შესახებ, რომლებსაც ისინი იყენებენ მოსწავლეებს შორის კონფლიქტის ან/და ბულინგის დროს. ფსიქოლოგები პრობლემური საკითხების სამ - ინდივიდუალურ/მოსწავლის, ოჯახის და კლასის - დონეზე ცდილობენ მოგვარებას. ფსიქოლოგები მუშაობენ როგორც მოსწავლეებთან, ისე ოჯახის წევრებთან. როდესაც სკოლის არსებული რესურსები არ არის საკმარისი, მაშინ პროცესში ერთვება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკი და/ან პოლიცია.

თვისებრივ კვლევაში მონაწილე ფსიქოლოგების ერთი ნაწილის დაკვირვებით, ბოლო წლებში თვალშისაცემია თანაკლასელებს შორის ურთიერთობის (სოციალიზაციის) შემცირება, რაც გამოწვეულია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გაზრდით - „ძირითადი პრობლემა არის სოციალიზაციის შემცირება, რომ არ ყავთ მეგობრები, ცხოვრობენ ვირტუალურ სამყაროში და უჭირთ ურთიერთობები თანატოლებთან“ (ფსიქოლოგი; აღმოსავლეთ საქართველო). პოლიციას უწევს ჩართვა კიბერბულინგის შემთხვევების გამოვლენისას. კიბერბულინგის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლოა მოსწავლე მისთვის უცნობი პირისგან გახდეს ბულინგის ობიექტი - „შესაძლოა ვირტუალურად ხდებოდეს ფულის გამოძალვა, ჩაგვრა და ა.შ.“ (სკოლის ფსიქოლოგი; აღმოსავლეთ საქართველო).

ფსიქოლოგები „თვითდინებით მომართვიანობას“ ეძახიან იმ შემთხვევას, როდესაც ბულინგის სამიზნე ბავშვის მშობელი, დახმარების მიღების მიზნით, პირდაპირ მიმართავს ფსიქოლოგს. პირდაპირი მიმართვის მიზანი ისაა, რომ მოსწავლის ბულინგის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელდეს სკოლაში. როგორც წესი, მშობელს უჭირს პრობლემის იდენტიფიცირება - „კონსულტაციების შემდეგ ვლინდება ბულინგის პრობლემები, რაც სხვა პრობლემებითაა ხოლმე გადაფარული“ (ფსიქოლოგი; აღმოსავლეთ საქართველო). მანდატურისთვის მიმართვას აბრკოლებს იმის შიში, რომ ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში ბავშვი შესაძლოა ხელახალი ბულინგის მსხვერპლი გახდეს. თუმცა, ფსიქოლოგები იჩენენ სიფრთხილეს - „ბულინგის პრევენციაც მყისიერად არ ხდება, არამედ გონივრულ ვადაში, ძალიან ფაქიზად. კლასელი ვერ იგებს, რომ ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი ან მანდატური კონკრეტული მოსწავლის დაბულინგების გამოა კლასში შესული“ (ფსიქოლოგი; აღმოსავლეთ საქართველო). მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში მოსწავლეებს შორის ფიზიკური დაპირისპირების დროს პოლიციის გამოძახება ცალსახად მანდატურის პრეროგატივაა.

ფსიქოლოგების ერთი ნაწილის შეფასებით, სკოლები მაქსიმალურად ცდილობენ, რომ

ბულინგის შემთხვევების შესახებ ინფორმაცია არ გავრცელდეს სკოლის ფარგლებს გარეთ - იმის მიუხედავად, რომ სკოლას შესაძლოა არ გააჩნდეს პრობლემის გადაწყვეტის საკმარისი რესურსი. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების აზრით, ინფორმაციის გავრცელებით სკოლას რეპუტაციული ზიანი მიადგება. ასევე, შესაძლოა ინფორმაცია მასმედიის საშუალებითაც გავრცელდეს, რაც სკოლისთვის ყველაზე არასასურველი სცენარია. ამდენად, ზოგიერთ შემთხვევაში ბულინგის პრობლემის მოგვარების შემაფარხებელი ფაქტორი სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა - არ გაახმაუროს და დამალოს ასეთი შემთხვევები. „დაბალია ჩვენთან მომართვიანობა, არადა ძალიან ბევრ სერვისს ვთავაზობთ, რაც მთავარია, ვთავაზობთ მედიაციას“ (ფსიქოლოგი; აღმოსავლეთ საქართველო).

8. დანაშაულის პრევენცია სკოლებში

მანდატურებმა სკოლაში მათი ფუნქციების შესახებ საუბრისას აღნიშნეს, რომ მათი მთავარი საზრუნავია სკოლაში და მის ახლო პერიმეტრზე მოახდინონ დანაშაულის პრევენცია. სკოლებში დანაშაულის პრევენციული ღონისძიებები გულისხმობს როგორც მოსწავლეებთან პირისპირ შეხვედრებს და მეგობრულ საუბარს, ისე სემინარების ჩატარებას კრიმინალური ქმედებების შესახებ - „როცა მოსწავლე ხვდება, რომ ამ სუბკულტურებზე გვაქვს ინფორმაცია და ცოდნა, უფრო მეტად გვეხსნება მოდის და გვესაუბრება ამ თემებზე“ (მანდატური; თბილისი). სემინარებზე განიხილება კრიმინალური ქმედებების (დანაშაულის) სხვადასხვა სახეები. მოსწავლეების ინტერესი ტრენინგებში მონაწილეობის მიმართ სხვადასხვაგვარია. ნაწილი ინტერესით ისმენს მათთვის ახალ ინფორმაციას კრიმინალური სუბკულტურის შესახებ, ხოლო, მეორე ნაწილის მოტივაცია ნაკლებია იმის გამო, რომ სემინარებში მონაწილეობის გამო ქულები არ იწერება - „ვინაიდან არ დაეწერებოდათ ქულები, ამიტომ არ ქონდათ ჩართულობის ინტერესიც“ (მანდატური; თბილისი).

დანაშაულის პრევენციის ნაწილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერების მეშვეობით სასკოლო პროცესზე დაკვირვება. თუ მოსწავლეების ქცევაში ცვლილებები თვალშისაცემია, მანდატური იწყებს ცვლილების მიზეზების გარკვევას, რაშიც ერთვებიან მასწავლებლები და მშობლები. საჭიროების შემთხვევაში, ერთვებიან სკოლის ფსიქოლოგებიც. მანდატურები მოსწავლეების მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე სხვადასხვაგვარად რეაგირებენ. თუმცა, აღნიშნავენ, რომ კრიმინალური ქმედების დროს აუცილებელია მშობლების/მზრუნველების ჩართულობა, რომ ადეკვატურად მოხდეს ბავშვების ქცევის შეფასება - „ჩვენ ზოგჯერ მინიშნებასაც ვუკეთებთ მშობელს, რომ შესაძლოა ბავშვის ეს ქმედება იყოს განმეორებადი“ (მანდატური; თბილისი). ფსიქოლოგების და მანდატურების აზრით, მშობლები/ მზრუნველები საჭიროებენ ცნობიერების ამაღლებას კრიმინალური მენტალიტეტის შესახებ. ასევე, საჭიროებენ მეტი ინფორმაციის ფლობას ბავშვთა ფსიქოლოგიის შესახებ - „მშობლები შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს, როცა მათ შვილებს ფსიქოლოგთან ვამისამართებთ, უთქვამთ - „თქვენ ჩემი შვილი გიჟი ხომ არ გგონიათ?“ (მანდატური; თბილისი). მანდატურის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, მათ აქვთ უფლება, რომ მშობლის ნებართვის გარეშე გადაამისამართონ ბავშვი ფსიქოლოგთან (ე.წ. „რეფერალი“), თუმცა, ამას სწორედ იმიტომ არ აკეთებენ, რომ მშობლის დამოკიდებულება აღნიშნული გადაწყვეტილების მიმართ უარყოფითია, რის გამოც პროცესში ფსიქოლოგის ჩართვა ჭიანურდება - „ზოგჯერ კვირები და თვეც გვჭირდება, რომ მშობელი დავარწმუნოთ და მივიყვანოთ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ფსიქოლოგი ჩაერიოს“ (მანდატური; თბილისი). მანდატურები მოსწავლეებს ესაუბრებიან მანდატურის როლისა და ფუნქციის შესახებ,

რითიც ცდილობენ ბავშვების ნდობის მოპოვებას. ასევე, ესაუბრებიან განსხვავებაზე დაბეზღებას და მხარდაჭერას შორის - „ვასწავლით რატომ უნდა მოგვმართონ და რომ ეს არ არის „ჩაშვება", ამით ისინი მხარს დაუჭერენ როგორც მჩაგვრელს, ისე ჩაგრულს" (მანდატური; დასავლეთ საქართველო). მოსწავლეებთან ურთიერთობისას ყურადღება ეთმობა ძალადობის, ბულინგის, კიბერბულინგის, ადამიანისა და ბავშვთა უფლებების საკითხებს.

სკოლის ფსიქოლოგებმა მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის კრიმინალური ქცევის შესახებ განკუთვნილ ტრენინგებზე საუბრისას აღნიშნეს, რომ სამიზნე ჯგუფებისთვის ტრენინგები ბევრი ახალი ინფორმაციის წყაროა - „მასწავლებლებს უკვირდათ, როგორ შეიძლება მათმა მოსწავლეებმა მიიღონ რაიმე ნივთიერება. მათი განწყობებით შემიძლია დავასკვნა, რომ ჩვენამდე სკოლაში ამ თემებზე საუბარი და დისკუსია არ ქონიათ" (სკოლის ფსიქოლოგი; აღმოსავლეთ საქართველო). რაც შეეხება მოსწავლეებთან გამართულ შეხვედრებს, ფსიქოლოგები, ძირთადად არაფორმალურ გარემოში, ბულინგთან დაკავშირებულ თემებს განიხილავენ. როგორც უკვე აღინიშნა, ბავშვი სკოლის ფსიქოლოგის მომსახურების ქვეშ მანდატურის რეფერალის საფუძველზე ხვდება, ასევე, შესაძლებელია, რომ ბავშვი ფსიქოლოგთან მშობლის/მზრუნველის ინიციატივით, ცხელ ხაზზე დაკავშირებით მოხვდეს. სკოლის ფსიქოლოგები ამახვილებენ ყურადღებას სოციალური მუშაკების როლზე, რომლებიც ბოლო წლებში გამოჩნდნენ სკოლაში და ბავშვების საჭიროებებს ინდივიდუალურად სწავლობენ - „სოციალური მუშაკი ხელმძღვანელობს მოწყვლადობის დოკუმენტით და ავსებს ყველა მოსწავლეზე, რითიც ხდება სხვადასხვა პარამეტრით მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი მოსწავლეების გამოვლენა" (ფსიქოლოგი; თბილისი).

მასწავლებლების შემთხვევაში მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ცვლილებაზე პასუხისმგებლები სამოქალაქო განათლების მასწავლებლები არიან, რომლებიც სწავლებისას ეყრდნობიან დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებს. სამოქალაქო განათლების მასწავლებლები აწყობენ სხვადასხვა აქტივობებს, როგორებიცაა ფილმების ჩვენება, სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე დისკუსია და ა.შ.

9. კრიმინალური სუბკულტურა პენიტენციურ სისტემაში

ფოკუს ჯგუფების რესპონდენტებმა ისაუბრეს პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის წარმოშობის ისტორიაზე. მათი ცნობით ე.წ. ქურდული მენტალიტეტის დამკვიდრება სტალინის მმართველობის პერიოდიდან იწყება, რომლის მიზანი სახელმწიფოს მხრიდან საპატიმროებში არსებული მდგომარეობის მართვა იყო.

> „ისტორიულად ერთ-ერთი პირველი წყაროები არსებობს საბჭოთა გულაგების სისტემის შესახებ. იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირში პატიმართა რაოდენობა იყო რეკორდული, ადმინისტრაციას სჭირდებოდა ციხის ეფექტურად მართვა, ამისათვის კი იმ პატიმრების მართვა იყოს საჭირო, რომლებიც კრიმინალური სუბკულტურის მატარებლები იყვნენ" (ბავშვთა ფსიქოლოგი).

საბჭოთა პერიოდში კრიმინალური, იგივე ქურდული მენტალიტეტის მქონე პირები აქტიურად იყვნენ კორუფციაში ჩართულები და მომგვარებლის როლს ასრულებდნენ. 1990-იან წლებში, კრიმინალურმა სუბკულტურამ სახელმწიფო რესურსების ხელში ჩაგდება და მცირე პერიოდით ხელისუფლებაში ყოფნა მოახერხა. თუმცა, 2005 წელი კრიმინალური სუბკულტურისთვის გარდამტეხი იყო იმ თვალსაზრისით, რომ 2005 წელს მიღებული იქნა კანონი ორგანიზებული დანაშაულის და რეკეტის შესახებ. კანონში პირველად

გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ადამიანის დაპატიმრება შეიძლებოდა ქურდად აღიარების შემთხვევაში. პერიოდულად აღნიშნული კანონმდებლობა გამკაცრდა და დღეს იმ პირის დაპატიმრებაა შესაძლებელი, რომელიც ქურდულ გარჩევებში მონაწილეობს, და ასევე იმ პირისაც, რომელიც (ქურდულ) გარჩევაში კრიმინალურ ავტორიტეტს ჩართავს.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ კრიმინალური მენტალიტეტის მქონე არასრულწლოვნებისთვის საპყრობილეში მოხვედრა მიმზიდველია - „ციხეში იმიტომ მოხვდა, რომ მაგალითად, შეაგინა დედა ვიღაცამ და ამის საპასუხოდ დანა გაუყარა. სისხლის სამართლის კოდექსი კი დაარღვია, მაგრამ ამით თავისი „ღირსება“ დაიცვა“ (თბილისი; სკოლის მასწავლებელი). ამდენად, კრიმინალური სუბკულტურის გავლენის მქონე მოზარდების ნაწილს ჰგონია, რომ დევიანტური ქცევის ჩადენის გარეშე სამართალს ვერ იპოვიან. ვერც კრიმინალური სუბკულტურის სრულფასოვანი წევრები გახდებიან საპატიმროში მოხვედრის გარეშე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტების ინფორმაციით, კრიმინალური სუბკულტურის გავლენები პენიტენციურ დაწესებულებაში (მათ შორის, არასრულწლოვანთა დაწესებულებებში) იზრდება. პენიტენციურ დაწესებულებაში კრიმინალური სუბკულტურის გავლენების შენარჩუნებას ხელს უწყობს მისი მრავალწლიანი ისტორია - „რომელსაც ფეხი ჰქონდა მოკიდებული და ფაქტობრივად რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მართავდა პენიტენციურ სისტემას და ამის ასე ერთი ხელის მოსმით „გამოტანა“ სისტემიდან ძალიან ძნელია“ (მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტი). კრიმინალური სუბკულტურის შენარჩუნებას ხელს უწყობს, ასევე, დახურული ინსტიტუცია და პატიმრებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური და ეკონომიკური მოწყვლადი მდგომარეობა.

რესპონდენტებთან გამოიკვეთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ კრიმინალურ სუბკულტურაში არ ან ნაკლებად ეთმობა ყურადღება ლიდერის სოციალურ და დემოგრაფიულ პროფილს -„ქურდობისთვის არ აქვს მნიშვნელობა აფხაზი იქნება ის, თუ ამერიკელი, თუ 40 წლის. არ აქვს მნიშვნელობა“ (ბავშვთა განვითარების ფსიქოლოგი). თუმცა, მნიშვნელობა აქვს პატიმრის სექსუალურ ორიენტაციას, ღირებულებებს და ცხოვრების წესს. საპატიმროებში არსებულ კრიმინალურ სუბკულტურებში ვერ მოხვდებიან ქვიარ თემის წარმომადგენლები, დანარჩენ ჯგუფებს აქვთ კრიმინალური სუბკულტურის იერარქიაში მოხვედრის შანსი. კრიმინალური სუბკულტურის იერარქიაში ყველა მონაწილეს აქვს სოციალური როლი - „ყველას თავისი როლი აქვს იმისთვის, რომ ეს სუბკულტურა კიდევ უფრო გაძლიერდეს, გაფართოვდეს და მეტი ძალაუფლება შეიძინოს“ (ექსპერტი).

როგორც წესი, თავდაპირველად, კრიმინალური მენტალიტეტის მქონე ავტორიტეტები საპატიმროებში მარტივი კრიმინალური ქმედებების ჩადენით იწყებენ ძალაუფლების მოპოვებისკენ სვლას. თუმცა, კრიმინალური ქმედებების ჩადენა არ არის საკმარისი კრიტერიუმი საიმისოდ, რომ პატიმარმა სუბკულტურის იერარქიაში ავტორიტეტი და შესაბამისად, ძალაუფლება მოიპოვოს. საამისოდ მნიშვნელოვანია სხვადასხვა უნარ-ჩვევის ფლობა, როგორებიცაა, მაგალითად, აგრესიულობის მაღალი ხარისხი, სისასტიკე და გამბედაობა დანაშაულის მარტივად ჩასადენად. ასევე, აუცილებელია პატიმარს ჰქონდეს დარწმუნებისა და მანიპულაციის უნარ-ჩვევები.

> „როდესაც გესაუბრება, შეიძლება ჩათვალო, რომ ის რელიგიური მქადაგებელია. იმდენად დალაგებულია ლოგიკა და ღირებულებები. საუბრისას ეხებიან ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სიკეთე, სამართლიანობა, ნდობა, ადამიანობა. მე თავიდან მართლა მეგონა, რომ კრიმინალური

> სუბკულტურის ლიდერები სულ დანაშაულზე საუბრობენ, მაგრამ არა. ძალიან ადვილია ამ სუბკულტურაში მოექცნენ ბავშვები „სწორი იდეებით“. ისინი სამართლიანობაზე უკეთესად საუბრობენ ვიდრე პოლიტიკოსები“ (ექსპერტი).

ექსპერტებთან ჩატარებულ ინტერვიუებში გამოიკვეთა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც პენიტენციურ დაწესებულებებში არიან ისეთი პატიმრები, რომლებიც არცერთ საფეხურს იკავებენ კრიმინალური სუბკულტურის იერარქიაში. თუმცა, მეორე მხრივ, უწევთ საპატიმროში კრიმინალური სუბკულტურის მიერ დაწესებული წესების აღიარება და გათვალისწინება.

> „წესებს ცნობენ, პატივს სცემენ და ემორჩილებიან. სანაცვლოდ სუბკულტურა აქტიურად და უხეშად არ ერევა მათ ცხოვრებაში. ასე ვთქვათ სიმბიოზი არის ამ ჯგუფებს შორის. აღიარებენ ერთმანეთის ავტორიტეტს და ავტონომიურობას“ (ექსპერტი).

ნებისმიერ პატიმარს, იმის მიუხედავად, იზიარებს თუ არა კრიმინალურ ცნობიერებას, ევალება საპატიმროში არსებული წესების აღიარება. კვლევაში მონაწილე ექსპერტებს არ აქვთ სრულყოფილი ცოდნა არასრულწლოვანთა საპატიმროში დღეს არსებულ ვითარებაზე. მათი ინფორმირებულობა ფრაგმენტულია.

> „ჩემი ინფორმაცია ეყრდნობა ციხეებში მონიტორინგზე ყოფნის დროს დანახულს. არ ვიცი სრულყოფილი სურათი როგორია. მაგრამ იმის თქმა შეიძლება, რომ საკმაოდ მრავალფეროვანია საპატიმროში კრიმინალური ჯგუფები. შეიძლება იყოს რელიგიური და ტრადიციული, მაგრამ ამავდროულად იყოს მოქნილი და ახალ რეალობებთან ადვილად ადაპტირებადი“ (ექსპერტი).

ექსპერტებმა ისაუბრეს პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის როლის შესახებ და მათ დამოკიდებულებაზე საპატიმროებში კრიმინალური სუბკულტურის მიმართ. როგორც ექსპერტები აცხადებენ, **საპატიმროს ადმინისტრაცია, ძირითადად, ირჩევს ჩაურევლობის პოზიციას** - „შიგნით კონფლიქტებთან, პრობლემების გადაჭრასთან მიმართებით არ ერევიან აქტიურად და ასე ვთქვათ შორიდან უყურებენ“ (ექსპერტი). სწორედ ჩაურევლობა ახალისებს საპატიმროებში კრიმინალური მენტალიტეტის დომინაციას და კრიმინალური ქმედებების რაოდენობის ზრდას.

სრულწლოვანთა დაწესებულების მსგავსად, არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილ პენიტენციურ დაწესებულებაში ხელმისაწვდომია ფსიქოლოგის მომსახურება. ხოლო ყველა არასრულწლოვან პატიმართან მუშაობს სოციალური მუშაკი. 14-18 წლამდე არასრულწლოვანი პატიმრებისთვის დამახასიათებელია ისეთი ფსიქო-სოციალური გართულებები, როგორებიცაა შფოთვა, მოუსვენრობა და დეპრესია.

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე რესპონდენტების შეფასებით, მოზარდებში კრიმინალური სუბკულტურის გავლენების ზრდით საზოგადოება კარგავს ადამიანების ნაწილს, რომლებსაცშეუძლიათროგორცსაკუთარითავისთვის,ისესაზოგადოებისთვისდოვლათის შექმნა. კრიმინალურ სუბკულტურაში ჩართული ბავშვები ცალსახად კარგავენ მომავალს - “თავისუფლებიდან დაწყებული, ყველაზე ელემენტარულით დამთავრებული“ (ექსპერტი). იმისათვის, რომ კრიმინალური სუბკულტურის გავლენები შემცირდეს, აუცილებელია სწორ ღირებულებებზე დაფუძნებული სისტემის შექმნა, არსებული რესურსების სწორად გამოყენება და სისტემაში პროფესიონალი სპეციალისტების მოზიდვა. საამისოდ

აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა ისეთი სფეროებისთვის, როგორებიცაა არაფორმალური განათლების პროგრამების გამრავალფეროვნება და ხელმისაწვდომობის გაზრდა, სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის შეთავაზება, ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მხარდაჭერა, ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა, მოზარდებისთვის პერსპექტიული გარემოს შექმნა და ა.შ. „საკუთარი თავის განვითარება უნდა უნდოდეთ ბავშვებს, რომ კრიმინალურ ქცევებს ნაკლებად მიმართონ“ (მანდატური; დასავლეთ საქართველო).

10. სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

როგორც მოსამართლეებს, ისე პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალურ მუშაკებს გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ. სოციალურ მუშაკებს არასრუწლოვანთა მიმართულებით ჰყავთ ზედამხედველი, მხარდამჭერი პირი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ კონსულტირებისთვის.სპეციალურიმომზადებაარასრულწლოვანთამართლმსაჯულებაში შეეხება როგორც სამართლებრივ, ისე ფსიქოლოგიის საკითხებს - „კურსის ფარგლებში შევეხეთ არასრულწლოვნების ასაკობრივ და მათ ემოციურ თავისებურებებს. როგორი შეიძლება იყოს ემოციური მდგომარეობა მოზარდობის პერიოდში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათი საწინააღმდეგო ქმედება. როგორ შეიძლება ნდობის მოპოვება და ა.შ.“ (პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი). პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ ისინი ერთმანეთში აქტიურად ცვლიან პროფესიულ გამოცდილებას. ძირითადი საკითხები, რომლებსაც სოციალური მუშაკები ერთმანეთს უზიარებენ, შეეხება ბავშვების რთული ქცევის მართვას და დესტრუქციული ქმედებების და გამწვავებების მოგვარებას. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალურმა მუშაკებმა აღნიშნეს, რომ არსებობს სარეაბილიტაციო პროგრამები, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ არასრულწლოვნებისთვის. სერვისის მიწოდებისას არსებული გამოწვევების შესახებ საუბრისას, სოციალურმა მუშაკებმა აღნიშნეს, რომ პირობით მსჯავრდებულებთან რთულია ჯგუფური შეხვედრების ორგანიზება, მათი ერთად თავმოყრის შეუძლებლობის გამო. ამის მიზეზი სხვადასხვაა: მატერიალური, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული და ა.შ. „მოდიან სხვადასხვა სოფლიდან, ვერც მოვითხოვთ და რომც მოვითხოვოთ ვერც ახერხებენ, ჯგუფი რომ შედგეს ამის პრობლემა არის“ (პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი). სწორედ ამიტომ, სოციალურ მუშაკებს ხშირად უწევთ სერვისის ინდივიდუალურად მიწოდება. ზოგიერთი სოციალური მუშაკისთვის არსებობს სამუშაო ფართის პრობლემა, რის გამოც ბენეფიციარებთან შეხვედრებს, მაგალითად, უფასო სასადილოებში გეგმავენ. სოციალური მუშაკები განრიდების პროგრამის ფარგლებში მოზარდებს სხვადსხვა სახის აქტივობაში მათი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად რთავენ. ეს აქტივობებია, მაგალითად, ფოტოგრაფიის, არტ თერაპიის ან სხვა პროფესიული მოკლევადიანი კურსები, რომლებსაც პროფესიული და/ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებენ. სოციალური მუშაკები სთავაზობენ მოხალისეობრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობას, მაგალითად, როგორებიცაა ქარხნებში და მუზეუმებში ვიზიტი, კინოთეატრში ფილმის ჩვენება და ა.შ. მოზარდებში ყველაზე დიდი ინტერესი არსებობს IT-ს სფეროს მიმართულებით - „ბოლო პერიოდში გაფორმდა მემორანდუმი აიტი აკადემიასთან და ძალიან დიდი იყო მოთხოვნაც და დაინტერესებაც მოზარდების მხრიდან ისეთ კურსებზე, როგორებიცაა პროგრამირება და ვებ დიზაინი“ (პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი). თუმცა, საინტერესოა ის, რომ აკადემიაში გადამისამართებული 10 მოზარდიდან არცერთს გაუგრძელებია სწავლა. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ყველა მუნიციპალიტეტში არ არის ერთნაირი სერვისები ხელმისაწვდომი მოზარდი

მსჯავრდებულებისთვის - „საგანმანათლებლო ან შემსწავლელ კურსებს მცხეთაში ვერ ვთავაზობთ, რადგან არ გვაქვს“ (პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი).

მოსამართლეები უარყოფითად აფასებენ იმ ფაქტს, რომ საქართველოში ცალკე არ არსებობს არასრულწლოვანთა სასამართლო. აგრეთვე, არ არსებობს არასრულწლოვანთა ინსტიტუტი სასამართლოებში. როგორც მოსამართლეებმა აღნიშნეს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალური ორდღიანი კურსი ყველა მოსამართლეს აქვს გავლილი. თუმცა, მოსამართლეების შეფასებით, ტრენინგი ხანმოკლეა და სათანადო ცოდნითა და უნარებით ვერ აღჭურავს მოსამართლეებს. ამასთან, არ ხდება მოსამართლეების წინასწარი შერჩევა. ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც მოზარდებთან ურთიერთობა გარკვეული საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების ფლობას მოითხოვს, რომლებიც ყველა მოსამართლეს არ აქვს. ტრენინგების დასრულების შემდეგ ტესტირება და გამოკითხვა არ ტარდება, შესაბამისად, უცნობია ტრენინგის გავლის შედეგად, რა ცოდნა მიიღეს მოსამართლეებმა.

11. მართლმსაჯულების და არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს შეფასება

კვლევაში მონაწილე რესპონდენტები (განსაკუთრებით მოსამართლეები, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები და ექსპერტები) დადებითად აფასებენ არსებულ კანონმდებლობას. კერძოდ, 2016 წელს მიღებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს, რომელიც შეფასდა პროგრესულ კანონად და წინ გადადგმულ ნაბიჯად ქართული მართლმსაჯულების სისტემაში. კოდექსი ითვალისწინებს თავისუფლებააღკვეთილი ბავშვებისთვის განკუთვნილ მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებსაც სახელმწიფო ატარებს პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრილი ბავშვებისთვის. თუმცა, მოსამართლეებისთვის ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებაში არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მდგომარეობის შესახებ, რაც, მოსამართლეების აზრით, გამოსასწორებელია - „რაღაც დოზით კონტროლს უნდა ახორციელებდეს, მაგრამ საკანონმდებლო დონეზე საქართველოში ამის უფლება არ გვაქვს“ (მოსამართლე). მოსამართლეები დადებითად აფასებენ კოდექსით მინიჭებულ უფლებას, რომ გადაწყვეტილებები არასრულწლოვანთა ინდივიდუალური შეფასებების ანგარიშების გათვალისწინებით მიიღონ.

> “ბავშვის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ვეყრდნობით მოსამართლეები, რომელსაც სოციალური მუშაკები ამზადებენ. საქმის გარემოებების და მტკიცებულებების გათვალისწინებით ვიღებთ გადაწყვეტილებებს. ვცდილობთ, რაც შეიძლება ადეკვატური და შესაბამისი სასჯელი განვუსაზღვროთ ბავშვებს, რომ მაქსიმალურად დავუახლოვდეთ სასჯელის მიზანს“ (მოსამართლე)

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები სასამართლო პროცესში ხშირად არ მონაწილეობენ, თუმცა ამზადებენ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს - „ანგარიშში ბევრი პუნქტია ბავშვის შესახებ მოცემული, ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის, განათლების, მიზნების, დანაშაულის მიმართ დამოკიდებულების და ა.შ. შესახებ. ჩვენი დასკვნა ფაქტობრივად არის მოსამართლისთვის ერთ-ერთი დასაყრდენი“ (პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი). სწორედ პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ინდივიდუალური ანგარიშის საფუძველზე შეუძლია მოსამართლეს, რომ საქმე დაუბრუნოს პროკურორს და დაავალოს მოზარდის განრიდების პროგრამაში ჩართვა.

როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, მოსამართლეები, უმეტეს შემთხვევაში,

მოზარდებს განრიდების პროგრამაში რთავენ, თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებას კი უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ. სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ განრიდების პროგრამის არსებობა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ხშირია შემთხვევა, როდესაც მოზარდს კანონსაწინააღმდეგო ქმედება გაუცნობიერებლად აქვს ჩადენილი და ასეთ დროს განრიდების პროგრამა მოზარდებისთვის მნიშვნელოვან დაცვით მექანიზმს წარმოადგენს.

გამოკითხვაში მონაწილე ექსპერტები, რომლებიც იურიდიულ მომსახურებას უწევენ არასრულწლოვნებს, აღნიშნავენ, რომ მთავარ პრობლემას წარმოადგენს მოზარდების მხრიდან მართლმსაჯულების სისტემის მიმართ უნდობლობა. მაგალითად, უნდობლობის მიზეზი შესაძლოა იყოს მოსამართლის მიერ მოზარდებთან ურთიერთობის სპეციფიკის არცოდნა - „ჩემს შემთხვევაში ხშირად ხდება, რომ მოსამართლე არ უსმენს ბავშვს, სათანადო ყურადღებას არ იჩენს“ (ექსპერტი). პრობლემაა სოციალური მუშაკების ხშირი ცვლილება, რაც მოზარდისთვის ართულებს მუდმივად ახალ ადამიანთან ურთიერთობის დამყარებას, გახსნას და მათი ნდობის მოპოვებას. საბოლოოდ, ექსპერტების შეფასებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებული ვითარება ნეგატიურად განაწყობს მოზარდებს სისტემის მიმართ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტები არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოს დადებითად აფასებენ, თუმცა, ყურადღებას ამახვილებენ აღსრულების სირთულეზე.

> „კარგი ჩანაწერები არის ბავშვის უფლებათა კოდექსში დაზარალებული ბავშვების უფლებების დასაცავად, მაგრამ აღსრულების მექანიზმები მწირია. წერია, რომ უნდა მიეწოდოთ სერვისები, მაგრამ სერვისი თითქმის არ არსებობს. მაგალითად, მედიაცია უნდა გამოიყენებოდეს სასჯელთან ერთადაც, მაგრამ ასე ხშირად არ ხდება“ (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტი).

ფოკუს ჯგუფში მონაწილე ერთ-ერთი ექსპერტი დადებითად აფასებს პრობაციის სისტემაში ბავშვის საჭიროებების შეფასების სისტემის დანერგვას. თუმცა, პრობლემა ისაა, რომ აღნიშნული სისტემა 10-12 მუნიციპალიტეტში მოქმედებს და, შესაბამისად, დანარჩენი მუნიციპალიტეტების ბავშვები არიან ყურადღების მიღმა. ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ, აგრეთვე, ისეთი სპეციალისტების სიმცირეზე რეგიონებში, როგორებიცაა სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები. შესაბამისად, მოზარდებს არასრულფასოვნად, ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში, საერთოდ არ მიეწოდებათ ფსიქო-სოციალური, სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო სერვისები.

> “სერვისების ხშირი ცვლა ბავშვისთვის, რომელსაც დარღვეული აქვს ფსიქიკა, არ ჰყავს ადამიანი, რომელსაც დაეყრდნობა, მის საიდუმლოს და გულისტკივილს მოუყვება, ასეთ დროს ძალიან ძნელია რაიმე კეთილგანწყობაზე და რაიმეს გამოსწორებაზე ვისაუბროთ მათთან. ამიტომ, არსებული სერვისები არის განსავითარებელი, რომელიც მორგებული იქნება ბავშვთა კეთილდღეობაზე (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტი).

12. არასრულწლოვნების უფლებრივი მდგომარეობა სასამართლო პროცესზე

კვლევაში მონაწილე მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ არასრულწლოვნები იძაბებიან დაზარალებულის სტატუსით მოწმის სახით გამოკითხვისას. ამიტომ, მნიშვნელოვანია

ისეთი სისტემა შეიქმნას, სადაც ბავშვები მაქსიმალურად კომფორტულ გარემოში მისცემენ ჩვენებას. სასამართლოებში არ არსებობს სპეციალური დარბაზი არასრულწლოვანთა საქმეების განსახილველად, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

> „ხშირად პროცესებს ვატარებთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში, რომელიც ყველაზე დიდი და გრანდიოზული დარბაზია და შეიძლება შიშის მომგვრელი იყოს არასრულწლოვანისთვის როდესაც ამხელა დარბაზში შემოდის პირველად“ (მოსამართლე).

> „ვისურვებდი, რომ მალე განხორციელდეს სასამართლო სისტემის აღჭურვა და სივრცის მოწყობა, საიდანაც არასრულწლოვანი მის ადვოკატთან ერთად დაესწრება სხდომას. ვიცი, რომ ასეთი ოთახი არსებობს რუსთავის საქალაქო სასამართლოში“ (მოსამართლე).

მოსამართლეები აღნიშნავენ, რომ ბავშვზე მორგებული გარემო მხოლოდ შესაბამისად მოწყობილ სასამართლო დარბაზებს არ გულისხმობს, არამედ, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს პროცესში ჩართული სპეციალისტების პროფესიონალიზმს.

> „სპეციალიზაციის პრობლემა მარტო სასამართლოს არ უკავშირდება, ეს არის კომპლექსური პრობლემა. შეიძლება მოსამართლე იყოს ძალიან კარგი, მაგრამ იქ იყოს არაპროფესიონალი სოციალური მუშაკი, პროკურორი, რომელსაც არ აქვს მგრძნობელობა ბავშვთა საკითხების მიმართ და მისი ინტერესი ბავშვის დასჯით შემოიფარგლება (მოსამართლე).

მოსამართლეები აღნიშნავენ, რომ კანონის მიხედვით არასრულწლოვანი სავალდებულო დაცვას ექვემდებარება, რაც გულისხმობს როგორც ადვოკატის, ისე კანონიერი წარმომადგენელის დასწრების აუცილებლობას. მაგრამ, არსებული პრაქტიკის მიხედვით, მზრუნველობას მოკლებულები ბავშვების კანონიერი წარმომადგენლები ყოველთვის ხელმისაწვდომები არ არიან, ხოლო მეურნეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ გამოყოფილი საპროცესო წარმომადგენლის ჩართულობა, უმეტეს შემთხვევაში, ფორმალურია.

13. სასჯელის არსებული მეთოდების შეფასება

მოსამართლეებთან ჩატარებულ ინტერვიუებში გამოიკვეთა მოსაზრება, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული სანქციები გადახედვას საჭიროებს.

> „მე მქონდა შემთხვევა, როდესაც ქმარი თავის ცოლს, რომელიც ორსულად იყო და ჰყავდა ერთი არასრულწლოვანი შვილი, მისი თანდასწრებით ურტყამდა მუცელში. ასეთ ადამიანს უნდა მიესაჯოს მაქსიმუმ 3 წელი და მოზარდიც, რომელმაც მოიპარა ერთი ბოთლი „ჯეკ დენიელსი“, შეიძლება 3 წელი ჩასვა“ (მოსამართლე).

მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ არსებული სანქციები ნაკლებად ეფექტიანია და უმჯობესია მეტი ყურადღება გამახვილდეს დანაშაულის ჩადენის მიზეზებზე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდგომ აქტიურად გამოიყენება შიდა პატიმრობა, რაც მოსამართლეების მიერ დადებითად ფასდება.

> „იმგვარად უნდა დაინიშნოს შინაპატიმრობა, რომ არ შეუშალოს არასრულწლოვნის სწავლას, მუშაობას და ა.შ. ელექტრონული სამაჯური ფეხზე მაგრდება და შარვალში არ ჩანს. საკმაოდ აქტიურად

> გამოიყენება და ეფექტურია ისეთი ბავშვების მიმართ, რომლებიც ღამის საათებში ჩადიან დანაშაულს“ (მოსამართლე).

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკების შეფასებით, მოზარდებში ჩადენილი კრიმინალური ქმედებისთვის დაუსჯელობა ახალისებს ხელმეორედ კრიმინალის ჩადენას - „დაუსჯელობა აძლევთ იმის მოტივაციას მოზარდებს, რომ კიდევ შემდეგი დანაშაული ჩაიდინონ, ხოლო განრიდების პროგრამას განიხილავენ, როგორც სუსტ დასჯის მეთოდს. ზოგ შემთხვევაში განრიდება არ არის ხოლმე შემაკავებელი ფაქტორი მოზარდებისთვის“ (პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი). სოციალური მუშაკების დაკვირვებით, თუ არსებულ შემთხვევებს განვიხილავთ, სასჯელის ფორმაზე სქესი ახდენს გავლენას. გამოცდილება გვკარნახობს, რომ არასრულწლოვანი გოგონებისთვის, ბიჭებისგან განსხვავებით, როგორც წესი, საპატიმრო სასჯელი არ გამოაქვთ.

> „როგორც ჩანს, პოლიციის, გამომძიებლის მიდგომა ასეთია, რომ გოგონების მიმართ უფრო ლმობიერები არიან და მაქსიმალურად ცდილობენ არ გამოიყენონ საპატიმრო სასჯელი, როდესაც ათამდე ეკონომიკური დანაშაულის შემთხვევაში ბიჭისთვის საპატიმრო სასჯელი გამოუყენებიათ და ამ შემთხვევაში ფიზიკური ძალადობაც არის ხოლმე და გოგონები არ არიან კონკრეტული სასჯელის ქვეშ, შეიძლება ხარვეზად აღვიქვათ ეს“ (პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი).

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები სასჯელის ფორმებზე საუბრისას კიდევ ერთ გარემოებაზე ამახვილებენ ყურადღებას. მათი შეფასებით, როგორც პროკურორი, ისე სასამართლო, სასჯელის შეფარდებისას, ყველა არასრულწლოვანთან მიმართებით თანაბრობის პრინციპით არ ხელმძღვანელობს და არსებობს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების რისკი - „ქურდობისთვის განრიდებაში გაუშვიათ ბავშვი, ხოლო ქურდობის მცდელობისთვის მოგვსვლია სასამართლოსგან წინასასამართლო ანგარიში მოსამზადებლად. ალბათ არ არსებობს რაღაც მარეგულირებელი ჩარჩო რაც მისცემს საშუალებას პროკურორს და მოსამართლესაც, რომ თანაბრობის პრინციპით იმსჯელოს“ (პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი).

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ისეთი პრევენციული პროგრამების ამოქმედებაა საჭირო, რომლებიც არასრულწლოვანს სასჯელის მოხდის შემდეგ დაეხმარება დაბრკოლებების გარეშე ცხოვრების გაგრძელებაში; კერძოდ, განათლების მიღებასა და დასაქმებაში - „ზოგი სასჯელს იხდის და შემდეგ იმ რეალობის წინაშე დგება, რომ ისევ არავის სჭირდება, თან ნასამართლევია და თავი რომ ირჩინოს ისევ იმავე ქმედებებს უბრუნდება“ (მოსამართლე). ერთ-ერთი მოსამართლის შეფასებით ცუდია, რომ ცნება - „კანონის უზენაესობა“ ამოღებულია ყოველდღიური ხმარებიდან - „საზოგადოებას არ ვაჩვენებთ მაგალითებს, როდესაც კანონის საფუძველზე ხდება სამართლიანობის აღდგენა და სამართლის ზეიმი“ (მოსამართლე).

რეკომენდაციები

კრიმინალური მენტალიტეტის პრევენცია ბავშვებში/მოზარდებში მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას/ინტერვენციებს, რომლებიც მიმართული იქნება ანტისოციალური ქცევის დაძლევაზე. აუცილებელია კრიმინალური მენტალიტეტის პრევენციისადმი ჰოლისტური მიდგომა - იმ ინდივიდუალური, ოჯახური და სოციეტალური ფაქტორების გავლენის შემცირება (უკეთეს შემთხვევაში, აღმოფხვრა), რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ბავშვებში ანტისოციალურ ქცევას. ფართო გაგებით, სხვადასხვა ინსტიტუციას - ოჯახს, სკოლას, თემსა და მომსახურების მიმწოდებლებს შორის თანამშრომლობა წარმოადგენს გასაღებს ბავშვებისთვის პოზიტიური გარემოს შესაქმნელად.

ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი რეკომენდაცია, რომელიც დაეხმარება ბავშვთა/მოზარდთა პოზიტიურ განვითარებას და ხელს შეუშლის კრიმინალური ტენდენციების გაძლიერებას:

1. ადრეული ინტერვენცია: აუცილებელია მოზარდებში ქცევითი პრობლემების იდენტიფიცირება და შეძლებისდაგვარად გადაჭრა ადრეულ ეტაპზევე. ადრეული ინტერვენციის პროგრამებს ხელეწიფება კრიმინალური მიდრეკილებისა და გავლენების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების/მოზარდების იდენტიფიცირება და მათთვის დახმარების გაწევა. უფრო კონკრეტულად, საჭიროა:

- პირველადი ჯანდაცვის რგოლის (ოჯახის ექიმის) მომზადება ბავშვთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ნიშნების იდენტიფიცირების საკითხებზე, რეფერირების სისტემის გაძლიერება;
- სკოლამდელი დაწესებულებების (საბავშვო ბაღების) მომსახურე პერსონალის მომზადება ბავშვთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ნიშნების იდენტიფიცირების საკითხებზე, რეფერირების სისტემის გაძლიერება;
- სკოლამდელი დაწესებულების (საბავშვო ბაღების) მომსახურე პერსონალის მომზადება ოპოზიციური და ანტისოციალური ქცევის ადრეული ნიშნების იდენტიფიცირების, ბავშვთან და ოჯახთან კომუნიკაციის თვალსაზრისით, რათა დროულად მოხდეს ინტერვენცია;
- სკოლის საბაზო საფეხურზე სოციალური და ემოციური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების შექმნა, მასწავლებელთა გადამზადება;
- ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართვა დანაშაულის ადრეული პრევენციის პროგრამებში - თემის (უბნის) ინფრასტრუქტურის გამართვა (სპორტული მოედნების, ბიბლიოთეკების, სათამაშო მოედნების გამართვა); სათემო აქტივობების ორგანიზება (სპორტული, კუტურული და საგანმანათლებლო აქტივობები სხვადასხვა ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისათვის).

2. პოზიტიური მშობლობა: აუცილებელია მოხდეს პოზიტიური მშობლობის პრაქტიკების წახალისება, რაც გულისხმობს სიყვარულზე, დახმარებაზე და კომუნიკაციაზე ორიენტირებული საოჯახო გარემოს შექმნას. მშობელსა და ბავშვს შორის მჭიდრო ურთიერთობას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ბავშვის ქცევასა და გადაწყვეტილების მიღებაზე.

იქიდან გამომდინარე, რომ ოჯახებში არსებული ვითარება და ოჯახის წევრებს შორის არსებული ინტერაქციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვებში კრიმინალური გამოცდილების ჩამოყალიბებაზე, საჭიროა აქცენტი გაკეთდეს ოჯახში ბავშვებსა და უფროსებს შორის ურთიერთობის გაჯანსაღებაზე. უფრო კონკრეტულად, ინტერვენციები უნდა განხორციელდეს შემდეგი მიმართულებით:

- ავტორიტარული აღზრდის სისტემა ოჯახებში ჩანაცვლდეს თანამშრომლობაზე და ურთიერთპატივისცემაზე ორიენტირებული აღზრდის მოდელით;
- მშობლებს დარჩეს მეტი დრო შვილებთან (მოზარდებთან) კომუნიკაციისთვის;
- ოჯახებმა ბავშვებს ჩამოუყალიბოს ცნობიერება, რომ ცხოვრებისეულ სიკეთეებს ძალისხმევა და დამსახურება სჭირდება და არა კრიმინალური გზებით იოლად მოპოვება.

3. განათლება და ცნობიერება: მიზანშეწონილია, განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამები სკოლებისა და თემების დონეზე, რათა ამაღლდეს კრიმინალური ქცევის შედეგების შესახებ ბავშვების/მოზარდების ცნობიერება. გაძლიერდეს ბავშვებში სწავლება სამართლებრივი სისტემის, ეთიკური ღირებულებების და ემპათიის მნიშვნელოვნების შესახებ.

4. დახმარება ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივ: ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებსა და კონსულტირებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა იმ ბავშვებისთვის, რომელთაც აქვთ ემოციური და სხვა კოგნიტური გამოწვევები. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების ადრეულ ეტაპზე გადაჭრას შეუძლია თავიდან აიცილოს ბავშვებში კრიმინალური ქცევის ესკალაცია.

5. თემში ჩართულობა: მიზანშეწონილია, მოხდეს ბავშვებში/მოზარდებში სხვადასხვა თემთან კუთვნილებისა და თემში ჩართულობის (თემთან ინტეგრაციის) შეგრძნების ჩამოყალიბება. ეს გულისხმობს ბავშვების ჩართვას პოზიტიური სასწავლო პროგრამის მიღმა („ექსტრაკურიკულურ“) აქტივობებში, სპორტსა და სათემო ღონისძიებებში, რათა მათ განუვითარდეთ პასუხისმგებლობის და თემებთან მიკუთვნებულობის განცდა.

6. პოზიტიური როლური მოდელები: მიზანშეწონილია, ბავშვებისთვის/მოზარდებისთვის პოზიტიური როლური მოდელების შეთავაზება, სხვადასხვა მეთოდის (მათ შორის, სიტუაციური თამაშების) გამოყენებით, რომლებიც მათთვის ერთგვარი მეგზური და ინსპირატორი იქნება. ასეთი როლური მოდელები შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა აქტორს, რომლებსაც მოზარდის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია: ოჯახის წევრებს, მასწავლებლებს, მეგობრებს, თემის ლიდერებს და სხვა პირებს, რომლებიც პოზიტიური ღირებულებების მატარებლები არიან.

7. თანატოლთა გავლენის მენეჯმენტი (Peer Influence Management): მიზანშეწონილია ბავშვებისთვის/მოზარდებისთვის იმის სწავლება, თუ როგორ გაუმკლავდნენ თანატოლების ზეწოლას და როგორ გააკეთონ პასუხისმგებლიანი არჩევანი. შესაბამისად, საჭიროა ბავშვებთან/მოზარდებთან ღია კომუნიკაცია მეგობრობის შესახებ ადეკვატური წარმოდგენების შესაქმნელად და იმის გასააზრებლად, რომ მეგობრობა შენდება ჯანსაღი თვითშეფასებისა და თანატოლებს შორის ურთიერთგაგების და არა დაქვემდებარება/მორჩილების გრძნობაზე.

8. კონფლიქტების გადაჭრის უნარ-ჩვევები: მიზანშეწონილია ბავშვებისთვის/მოზარდებისთვის ეფექტიანი გზების სწავლება, თუ როგორ უნდა გადაიჭრას

კონფლიქტები ისე, რომ ეს არ გადაიზარდოს ძალადობაში ან კრიმინალურ ქცევაში. შესაბამისად, აუცილებელია მოზარდებში იმის მხარდაჭერა, რომ კომუნიკაცია, ემპათია და მოლაპარაკება წარმოადგენს უთანხმოების გადაჭრის ინსტრუმენტებს.

9. მედია განათლება: აუცილებელია, ბავშვებში/მოზარდებში მედია განათლების უზრუნველყოფა იმ თვალსაზრისით, რომ მათ შეძლონ ქცევასა და განწყობებზე სხვადასხვა მედია პროდუქტის - ვიდეო თამაშების, ფილმებისა და სოციალური მედიის კონტენტის - გავლენის გაცნობიერება და კრიტიკული შეფასება.

10. სამართლებრივი განათლება: აუცილებელია ბავშვებში/მოზარდებში ქვეყანაში არსებული სამართლებრივი სისტემისა და კრიმინალური მოქმედებების შედეგების შესახებ განათლების უზრუნველყოფა. ასეთი ცოდნა შეიძლება აღმოჩნდეს კრიმინალურ პრაქტიკებში ჩართვის შემაკავებელი ფაქტორი.

11. აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები: მიზანშეწონილია ე.წ. „აღდგენითი მართლმსაჯულების“ პროგრამების განხორციელება, რომლებიც ფოკუსირდება ზიანის გამოსწორებაზე, ანგარიშვალდებულების ხელშეწყობაზე და კონფლიქტებში ჩართულ ბავშვებს/მოზარდებს შორის თანაგრძნობის განვითარებაზე. საქართველოში არსებობს რამდენიმე ინსტიტუცია, რომელთა ფუნქცია სწორედ აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელებაა: დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, მართლწესრიგის ოფიცერი და სხვ. მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი სათემო პოლიციის (Community Policing) ერთ-ერთი ფორმაა, რომლის ვალდებულებაა ხელი შეუწყოს პოზიტიურ ურთიერთობებს სამართალდამცავებსა და საზოგადოებას/მოქალაქეებს შორის უფრო უსაფრთხო გარემოს შექმნის მიმართულებით. საჭიროა ზემოაღნიშნული ინსტიტუტების გაძლიერება დამატებითი პრევენციული ფუნქციებითა და პროგრამებით.